

ჟურნალ «სამართლის» საზიარებო ბარათი

“SAMARTALI”* journal visit-card

გაბოვლის თარიღი – 1926 წელი.

სტატუსი – იურიდიული პროფილის ერთადერთი რეცენზირებადი გამოცემა საქართველოში.

პერიოდულობა – წელიწადში გამოდის 12 ნომერი

ტირაჟი – 1000 ეგზემპლარი

დამფუძნებელი – საქართველოს იურისტთა კავშირი (1999)

იურიდიული მისამართი – 380046, საქართველო, ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი 30.

ჟურნალის მიზნებია:

- ხელი შეუწყოს საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმის განხორციელებას და მის წარმოჩენას;
- დაეხმაროს პრაქტიკოს-იურისტებს (მოსამართლეებს, პროკურორებს, ადვოკატებს, ნოტარიუსებს და სხვა) ახალი კანონმდებლობის უკვე შექმნილ შუამდგომლობებში;
- ქართველი და უცხოელი სპეციალისტების მეშვეობით გააცნოს საქართველოს იურიდიულ სასაზოგადოებას საზღვარგარეთის ქვეყნებში მიმდინარე სამართლებრივი პროცესები;
- ხელი შეუწყოს მოსახლეობის სამართლებრივი უკუკავშირისა და ცნობიერების დონის ამაღლებას; იურიდიული მეცნიერების, იურიდიული გათვლებისა რეფორმირებისა და სტრუქტურული სასკოლო პროცესისათვის ხელშეწყობა.

განხორციელების ფორმები:

- ქართველ და უცხოელ იურისტ მეცნიერთა და პრაქტიკოს-იურისტთა შემოქმედებითი პროდუქტისა და მათი საქმიანობის ამსახველი მასალები გამოქვეყნება;
- ნორმატიული მასალის გამოქვეყნება და ახალი კანონმდებლობის პროპაგანდა;
- ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოსა საქართველოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების გამოქვეყნება;
- სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა;
- ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის კათვალაღმოსწინებულ იურიდიული კონსულტაციების ის გამოქვეყნება;
- სასწავლო და აკადემიური მასალის გამოქვეყნება.

Date of issuance – year 1926

Status – the only reviewed legal-profile edition in Georgia

Periodicity – 12 editions annually

Circulation – 1000 units

Founder – Georgian Lawyers Union (1999)

Legal address – 380046, Rustaveli 30, Tbilisi, Georgia

Objectives of the journal are:

- To promote effectuation of the judicial reform which is under way in Georgia;
- To assist practician lawyers (judges, prosecutors, advocates, notaries and others) in better cognition of new legislation;
- To get Georgian legal society acquainted with the judicial process in foreign countries by means of Georgian and foreign specialists.
- To promote raising legal culture and legal consciousness of the population;
- To promote reforms of legal science and legal education and to foster students' study process.

Forms of effectuation

- Publication of materials resembling activity and creative production of Georgian and foreign scientist and practician lawyers;
- Publication of normative materials and propaganda of new legislation;
- Publication of decisions rendered by the European Court of Human Rights and by Georgian courts;
- Judicial practice review;
- Publication of legal consultations foreseen for juridical and natural persons;
- Publication of studying and academic materials.

* Term “SAMARTALI” in English means “Law”

«ს ა მ ა რ თ ა ლ ი»

“S A M A R T A L I”

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

Scientific-practical juridical journal

№4, 2001 წელი

ISSN 0868-4537

© შპს ჟურნალი „სამართალი“, 2001 წ.

მთავარი რედაქტორი
პაატა ცნობილაძე

EDITOR IN-CHIEF
PAATA TSNOBILADZE

მთავარი რედაქტორის მოადგილე
გელა ბერძენიშვილი

VICE-EDITOR IN-CHIEF
GELA BERDZENISHVILI

სარედაქციო საბჭო:
EDITORIAL COUNCIL:

რომან შენგელია – (თავმჯდომარე)
ლევან ალექსიძე
ჯამლეთ ბაბილაშვილი
ავთანდილ დემეტრაშვილი
ბესარიონ ზოიძე
კახა თარგამაძე
გივი ინჭკირველი
გია მეფარიშვილი
თევდორე ნინიძე
ნუგზარ საჯაია
მინდია უგრეხელიძე
ლადო ჭანტურია
ჯონი ხეცურიანი

ROMAN SHENGELIA - (chairman)
LEVAN ALEKSIDZE
JAMLET BABILASHVILI
AVTANDIL DEMETRASHVILI
BESARION ZOIDZE
KAKHA TARGAMADZE
GIVI INTSKIRVELI
GIA MEPARISHVILI
TEVDORE NINIDZE
NUGZAR SADJAIA
MINDIA UGREKHELIDZE
LADO CHANTURIA
JOHN KHETSURIANI

სარედაქციო კოლეგია:
EDITORIAL BOARD:

გელა ბერძენიშვილი
ნინო გვენეტაძე
მზია ლეკვეიშვილი
ვალერიან მეტრეველი
გიორგი ტყეშელიაძე
შალვა ჩიკვაშვილი
პაატა ცნობილაძე
გია ხუბუა

GELA BERDZENISHVILI
NINO GVENETADZE
MZIA LEKVEISHVILI
VALERIAN METREVELI
GEORGE TKESHELIADZE
SHALVA CHIKVASHVILI
PAATA TSNOBILADZE
GIA KHUBUA

რედაქციის მისამართი: 380046 თბილისი, ძმები ზუბალაშვილების №32
(შესასვლელი არსენას №21-დან).

ტელ: 99 02 45, 98 41 50, 99 51 01

ფაქსი: (995 32) 99 02 45

ს ა ძ ი მ ბ ე ლ ი

საკონსტიტუციო სამართალი

მანანა ხვედელიძე – საქართველოს
მენშევიკური მთავრობის მიერ საქართველოს
სახელმწიფო საზღვრის დადგენის
სამართლებრივი ასპექტები 5

ზაზა ჯოხაძე – ადამიანის ბუნებრივი
უფლებების ნიშნები, წყაროები და ცნება 10

პაატა დავითაია – გერმანიის ადგილობრივი
თვითმმართველობის აღმასრულებელი
ორგანოები 14

ამირან გიგუაშვილი – სახელმწიფო
საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში 17

სამოქალაქო სამართალი, პროცესი

ლელა ნადიბაიძე – საკუთრების უფლების
გადასვლა სამისდღეშიო რჩენის
ხელშეკრულებით 20

დავით იმნაძე – იურიდიული მნიშვნელობის
მქონე ფაქტების დადგენა 24

სისხლის სამართალი, კრიმინოლოგია

ჯემალ ჯანაშია – ნარკოტიკებზე მსოფლიო
კონტროლის სისტემის ჩამოყალიბება 30

კობა კობახიძე – გამოძალვის ბრალში
განზრახვის სახეთა საკითხის გამო 46

კახაბერ კაკაურიძე – სისხლისსამართლებრივი
რეციდივი 51

დავით კაჭკაჭიშვილი – სისხლის
სამართლის ახალი კოდექსი ნარკოტიკული
საშუალებების ტრანზიტით საერთაშორისო
გადაზიდვის შესახებ 54

სისხლის სამართლის პროცესი,

კრიმინალისტიკა

გიორგი შინდელიშვილი – ეჭვმიტანილის
და ბრალდებულის დაკითხვის მომზადება 61

Search guide

Constitutional Law

Manana Khvedelidze – Legal aspects of
establishing of state border of Georgia by
Menshevik government 5

Zaza Jokhadze – The rights of human's
natural signs, sources and idea..... 10

Paata Davitaia – Administrative institutions
of local government of Germany..... 14

Amiran Giguashvili – State society in the
political system..... 17

Civil Law, Procedure

Lela Nadibaidze – Transition of ownership
by the contract of lifelong maintenance 20

David Imnadze – Ascertainment of the
facts of juridical meaning 24

Criminal Law, Criminology

Jemal Janashia – Organizing of drug
world control system 30

Koba Kobakhidze – About questions of
premeditation kinds in the time of extortion 46

Kakhaber Kakauridze – Criminal
second offence 51

David Kachkachishvili – New Criminal
Case Code on International Transit
Shipping of Drugs 54

Criminal Procedure,

Criminalistics

George Shindelishvili – Preparation for
interrogatory of defendant and suspect 61

ადმინისტრაციული სამართალი

ვახტანგ ქარუმიძე, მამუკა ქარუმიძე – საბაჟო
ორგანოების ადგილი სახელმწიფო
მმართველობის სისტემაში 65

ინფორმაციული სამართალი

ნინო კუნცევა-გაბაშვილი – დომეინური
სახელების განვითარების და
რეგისტრაციის ისტორია 70

სახელმწიფოსა და სამართლის

ისტორია, თეორია

ნინო ცნობილაძე – ვაჟა-ფშაველა,
როგორც ქართული ჩვეულებითი
სამართლის მკვლევარი 78

ვეფხია გვარამია – საკონსულო
სასამართლოების როლი დამნაშავეთა
დასჯისა და ექსტრადიციის საქმეში
XIX საუკუნეში 83

მარიამ მესხიშვილი – სამცხის სამთავროს
სახელმწიფო წყობილება XIII-XVI სს.
სამცხის მთავრის ათაბაგის ცენტრალური
მმართველობის აპარატი 90

ლაშა შალუტაშვილი – პოლიტიკური
კულტურა და მმართველობის ფორმა 97

რეზიუმე 105

Administrative Law

Vakhtang Karumidze, Mamuka Karumidze –
Place of Custom bodies in the system
of state government 65

International Law

Nino Kuntseva-Gabashvili – History
of domeinic names development
and registration 70

History of State and Law,

Theory

Nino Tsnobiladze – Vaja-Phshavela
as a researcher of Georgian law 78

Vepkhia Gvaramia – Role of consular
courts in punishment of criminals and the
case of extradition in XIX century 83

Mariam Meskhishvili – Political system of
Samtskhe Samtavro in XIII-XVI centuries
(Instrument of central government of Santskhe
Head – Atabagi, leader Atabagis’s
administration – Sakhltukhutsesi) 90

Lasha Shalutashvili – Political culture
and form of government 97

RESUME 105



საკონსტიტუციო საქართალი

მანანა ხვედელიძე

საქართველოს მენშევიკური მთავრობის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დადგენის სამართლებრივი ასპექტები

1918 წლის 26 მაისს ქართველმა მენშევიკებმა შექმნეს დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის აქტით გამოცხადდა.

საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკა იყო, მას სურდა საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილშობილი განწყობილების შექმნა და კეთილშობილი ურთიერთობის დამყარება, განსაკუთრებით მოსაზღვრე სახელმწიფოებთან. საქართველოს მთავრობა ენერგიულად იბრძოდა, რათა მოეპოვებინა საერთაშორისო იურდიული აღიარება. 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა გერმანიამ, პოლონეთმა, ფინეთმა, ლატვიამ, ლიტვამ, ესტონეთმა, ჩეხოსლოვაკიამ, უნგრეთმა, არგენტინამ. მთელი 1919-1920 წლების მანძილზე საქართველოს მთავრობის დელეგაცია პარიზის საზავო კონფერენციის მონაწილე დიდ სახელმწიფოებს სთხოვდა ეცნოთ დამოუკიდებელი საქართველო „დე ფაქტოდ“ და „დე იურედ“, მაგრამ ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, იტალიის და სხვა ქვეყნების ოფიციალური წარმომადგენლობა ამ კონფერენციაზე ფეხს ითრევდა, აჭიანურებდა ამ მიმართულებით კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებას. მრავალ მიზეზთაგან მთავარი მაინც ის იყო, რომ ანტანტის ქვეყნები ელოდებოდნენ იმ ლაშქრობების წარმატებას, რომლებიც კოლჩაკმა, დენიკინმა, იუდენიჩმა, ვრანგელმა და სხვებმა წამოიწყეს საბჭოთა ქვეყ-

ნის წინააღმდეგ. ყველა ეს თეთრი გენერალი მთლიანი და განუყოფელი რუსეთის ლოზუნგით გამოდიოდა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება იმას ნიშნავდა, რომ ანტანტა უპირისპირდებოდა მონარქისტული რუსეთის ინტერესებს, რომლის განუყოფელ ნაწილად, მათი აზრით, საქართველოც წარმოიდგინებოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, 1920-21 წლებში ინგლისმა, საფრანგეთმა იტალიამ და სხვებმა დე იურედ ცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა.

1918 წლის 4 ივნისს საქართველოს სუვერენიტეტის განმტკიცების მიზნით მენშევიკურმა მთავრობამ სასწრაფოდ დადო საზავო ხელშეკრულება თურქეთთან, რომლის საფუძველზეც განისაზღვრა სასაზღვრო ხაზი, რომელიც ოტომანთა იმპერიას საქართველოსაგან, სომხეთისა და აზერბაიჯანისაგან გამოყოფდა, მაგრამ საზავო ხელშეკრულება რატიფიცირებული არ ყოფილა, ამდენად იგი სამართლებრივ დოკუმენტად არ მიიჩნევა.

საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, 1918 წლის ივლისში განსახილველად წარადგინა საზღვრების ტექსტობრივი აღწერა, რომელიც შეესაბამებოდა თბილისის გუბერნიის ყარსის ოლქის და ნაწილობრივ, შავი ზღვისპირეთის გუბერნიის საზღვრების გრაფიკულ მოხაზულობას და დატანილი იყო ამიერკავკასიის მხარის 20-ვერსიან (1/840000) რუკაზე.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარდგენილი საზღვრები ერთა ლიგამ აღიარა.

1918 წლის 4-6 ივლისს კონსტანტინოპოლის კონფერენციაზე წარსადგენად ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა პავლე ინგოროყვამ მოამზადა სპეციალური მოკლე სამახსოვრო ცნობარი საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ, რომელიც დაიბეჭდა კონსტანტინეპოლში კათოლიკე ქართველთა საგანის სტამბაში 1918 წელს. მართალია, აღნიშნული დოკუმენტი სამართლებრივი ხასიათის არ არის, მაგრამ მას დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მასში სრულყოფილადაა განხილული საზღვართან დაკავშირებული გეოგრაფიული, ისტორიული და ეთნოგრაფიული საკითხები.

1919 წლის 16 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის დაიდო შეთანხმების აქტი, იმ სერიოზული საფრთხის გამო, რომელიც მოელის ამიერკავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობას. შეთანხმებაში აღნიშნულია, რომ მხარეები ვალდებული არიან ერთად გამოვიდნენ თავისი შეიარაღებული ძალებით თავდასხმის წინააღმდეგ, რომელიც შეთანხმების მონაწილე მხარეების დამოუკიდებლობას ან ტერიტორიულ ხელშეუხებლობას ემუქრება. მაგრამ ეს არ უნდა გავრცელებულიყო იმ კონფლიქტებზე, რომლებიც შეიძლება მომხდარიყო საზღვრების გამო ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ტერიტორიის ჯერ კიდევ დაუმთავრებელი გადამიჯვნის ნიადაგზე. აქვე იყო აღნიშნული რომ, თუ რომელიმე მხარე თავს დაესხმის ერთმანეთს საზღვრის გამო დავის მიზნით, ის მეომარ სახელმწიფოდ გამოცხადდებოდა. შეთანხმება დაიდო სამი წლის ვადით. თუ ამ ვადის გასვლამდე დაარსდებოდა ხალხთა ლიგა, რომელიც უზრუნველყოფდა ყველა მის მონაწილე სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და საზღვრების ხელშეუხებლობას, რესპუბლიკების, ხალხთა ლიგაში შესვლისთანავე აღნიშნული შეთანხმება ძალადაკარგულად ჩაითვლებოდა. ასევე ამიერკავკასიის მესამე რესპუბლიკას, სომხეთს უფლება ეძლეოდა ორი კვირის განმავლობაში შეერთებოდა აღნიშნულ შეთანხმებას, იგი რატიფიცირებულია 1919 წლის 22 ივნისს.

1919 წლის 3 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა დებს ხელშეკრულებას სომხეთის რესპუბლიკის მთავრობასთან სადავო

საკითხების შეთანხმებით ან არბიტრაჟით გადაწყვეტის შესახებ. ეს ხელშეკრულება რატიფიცირებულია 1919 წლის 14 ნოემბერს.

1920 წლის 5 თებერვალს საქართველო-აზერბაიჯანის მთავრობებს შორის დაიდო ხელშეკრულება თავისუფალი ტრანზიტისა და უბაჟო გადასახდელების შესახებ. ხელშეკრულება რატიფიცირებულია 1920 წლის 19 მარტს.

რუსეთი პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც ოფიციალურად აღიარა საქართველოს დამოუკიდებელი და დემოკრატიული რესპუბლიკა, როგორც კანონიერი წარმონაქმნი, შესაბამისად, 1920 წლის 7 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ხელშეკრულებას დებს რუსეთის საბჭოთა სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკასთან, ეს დოკუმენტი მიჩნეულია სახელმწიფო საზღვრის მარეგულირებელ მნიშვნელოვან სამართლებრივ დოკუმენტად. ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლით სახელმწიფო საზღვარი საქართველოს და რუსეთს შორის გადის შავი ზღვიდან მდინარე ფსოუს გასწვრივ ასახჩის მთამდე; გადადის ასახჩისა და აგაპეტის მთაზე და მდის ყოფილი შავი ზღვის, ქუთაისის და თბილისის გუბერნიების ჩრდილოეთის საზღვრით ზაქათალის ოლქამდე და ზაქათალის ოლქის აღმოსავლეთ საზღვრით მდის სომხეთის საზღვრამდე, ხოლო ხელშეკრულების მე-4 მუხლით რუსეთმა ვალდებულება იკისრა, რათა საქართველოს უდავო შემადგენელ ნაწილებად აღიაროს თბილისის, ქუთაისის და ბათუმის ყველა მაზრა და ოლქი, აგრეთვე, ზაქათალის და სოხუმის ოლქი, გარდა შავი ზღვის გუბერნიების ნაწილებისა, რომელიც გადადის საქართველოს საზღვრებში პირველი და მესამე მუხლების ძალით, რუსეთმა ასევე მზადყოფნა გამოთქვა საქართველოს შემადგენელ ნაწილად ცნოს ყოფილი სანამესტნიკოს ესა თუ ის ნაწილი, რომელიც აღნიშნული ხელშეკრულებით გადავიდა მის ხელში ამ სახელმწიფო ერთეულებთან დადებული ხელშეკრულების ძალით. ხოლო რუსეთ-საქართველოს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების 1-ლი მუხლის თანახმად, საქართველოს და აზერბაიჯანის საზღვრების და ზაქათალის ოლქის სადავო ნაწილების საკითხი გადაეცა გადასაწყვეტად შერეულ კომისიას.

აღნიშნული შეთანხმება განუყოფელ ნაწილად იყო აღიარებული, ხელშეკრულება და დამატებითი შეთანხმება რატიფიცირებას არ საჭიროებდა, ვინაიდან ხელმოწერისთანავე შევიდა ძალაში. ხელშეკრულებაში ვადა განსაზღვრული არ ყოფილა. ამრიგად 1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის გაფორმდა ძალზე მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტი, რომელმაც განამტკიცა სტატუსი საერთაშორისო მასშტაბით, გაზარდა საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მსოფლიოს სახელმწიფოთა ნდობა, ამით საფუძველი ჩაეყარა ახალ თანასწორუფლებიან ურთიერთობებს რუს და ქართველ ხალხებს შორის.

1920 წლის 12 ივნისს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და აზერბაიჯანის სოციალისტურ რესპუბლიკას შორის დაიდო საზავო ხელშეკრულება. მისი მეორე მუხლით მხარეებს შორის საზღვრად დაიდო ბორჩალოსა და ყაზახის მაზრებს შორის გავლებული საადმინისტრაციო ხაზი, რომელიც იწყება სომხეთის ზონიდან, გადადის პოვერჩაშის მთაზე, შემდეგ გადაივლის ვარტიშის მთას საადმინისტრაციო საზღვრის ხაზით ჩრდილო-აღმოსავლეთით მიმართულ წყაროებამდე; ეს წყაროები ორი ვერსის მანძილზეა ყიზილჩაის მთის სამხრეთ-აღმოსავლეთით; იქიდან საზღვარი მოდის პირობით ნაგულისხმევი ხაზით ტარსისა და ბაბა-კირის მთების ქედს გადაღმა მის აღმოსავლეთით ფერდობებზე, წითელ ხიდს შუა გაუვლის, მერმე გაჰყვება ძველ საზღვარს, რომელიც ხრამსა და მტკვარს მისდევს. შემდეგ ფოილოს ხიდს გაუვლის შუაზე, იქიდან წავა ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით ძველ საადმინისტრაციო საზღვრით იალალჯისის ქედამდე, მერე სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ დაუხვევს ძველ საადმინისტრაციო საზღვრით პლან-ტუკენის მთის სამხრეთ კალთების ბოლომდის, მერე გაემართება ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ საადმინისტრაციო ხაზით და ასე მიდის ზაქათალის ოლქის მიჯნამდე (რუქა დიუმ 5 ვერსიანის).

მესამე მუხლით წითელი ხიდისა და ფოილოს ხიდის წინა მდებარე ზონები, აგრეთვე მტკვრის მარცხენა ნაპირი, აზერბაიჯანის მიწა-წყალზე ცნობილი იყო ნეიტრალურ ადგილებად ერთი

წლის განმავლობაში დღიდან ამ ხელშეკრულების დადებიდან შემდეგ საზღვართა შორის:

1) ყაზახის მაზრაში ის მიწა-წყალი, რომელიც შემოზღუდულია ინჯა-სუს მდინარითა და ბორჩალოსა და თბილ. მაზრის საადმინისტრაციო საზღვრით, 2) ყაზახის მაზრაში ის რაიონი, რომელსაც საზღვრავს ხაზი სოფელ ყიზილ-ჰაჯალისა, ფეიქალისა, სადგ. შაქარლი და ღლია მტკვრისა იმ ჭალებთან, რომელიც ჰასან-სუს შესართავის დასავლეთით იმყოფება, იქიდან პირდაპირი ხაზი წავა ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩობან-დაღის ქედის დასავლეთ კალთების ბოლომდის და შემდეგ ჩობან-დაღის ქედით სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით სიღნაღის მაზრის საადმინისტრაციო მიჯნამდე. ყველა ჩამოთვლილი სანაპირო დასახლებული ადგილია განსაკუთრებით.

მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით ნეიტრალური ზონების ტერიტორიაზე არ შეიძლებოდა არავითარი სიმაგრის აგება და არც ჯარის შეყვანა; ადმინისტრაცია და მმართველობა აზერბაიჯანის მხარეს უნდა დარჩენილიყო, წითელ ხიდს საქართველოს მხრიდან დაიცავდა ქართველთა სადარაჯო, ხოლო აზერბაიჯანის მხრიდან – აზერბაიჯანის სადარაჯო. საქართველოს უფლება ეძლეოდა ხიდით თავისუფლად ესარგებლა ტარსისა და ბაბა-კირის მთაში მიმოსვლისათვის. მე-6 მუხლის შესაბამისად ზაქათალის ოლქის საკითხი გადაეცა საარბიტრო კომისიას, რაც გათვალისწინებული იყო რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებაზე 12 მაისის დამატებითი შეთანხმებით. ვიდრე საარბიტრო კომისიის მიერ ეს საკითხი არ გადაწყდებოდა, არც ერთ მხარეს არ ეძლეოდა ნება ზაქათალის ოლქში ახალი ჯარის შეყვანაზე. აღნიშნული მუხლის შენიშვნაში ნათლად ჩანს, რომ ზაქათალის საქმის შესახებ შეთანხმება ვერ მოხერხდა მხარეთა სხვადასხვა აზრის გამო. იმავე დღეს 1920 წლის 12 ივნისს მხარეთა შორის დაიდო დამატებითი მორიგება, რომლის მე-3 მუხლით საქართველოს რესპუბლიკა კისრულობდა ფოილოს ხიდის აღდგენას, ხოლო ხიდის აღდგენისათვის საჭირო თანხები ორივე მხარეს უნდა გაეღო. აღნიშნული ხელშეკრულება, დამატებით მორიგებასთან ერთად, რატიფიცირებული იქნა 1920 წლის 25 ივნისს საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ. 1921 წლის

14 იანვარს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა კომისარიატში გაგზავნა ნოტა, სადაც აღნიშნულია, რომ აზერბაიჯანის მხარემ აქსტაფის ხელშეკრულების მე-4 მუხლი დაარღვია და ზაქათალაში დამატებითი ჯარი შეიყვანა.

1920 წლის 2 დეკემბერს ალექსანდროპოლში-გვირში (ლენინაკანში) თურქეთსა და სომხეთს შორის დაიდო სამშვიდობო ხელშეკრულება, რომლის მე-2 მუხლით განისაზღვრა სომხეთსა და თურქეთს შორის საზღვარი, ხოლო მე-12 მუხლი ითვალისწინებდა მხარეთა ვალდებულებას მეორე ქვეყნის პირებისა და სავაჭრო საქონლის თავისუფლად გატარებაზე, როგორც სარკინიგზო, ასევე სხვა გზებით და უარს აცხადებდა სატრანზიტო კანონებზე, სომხეთის მთავრობამ უარი განაცხადა აგრეთვე სატრანზიტო კანონის შესრულებაზე, რომელიც თურქეთს, აზერბაიჯანს, ირანსა და საქართველოს შორის სავაჭრო საქონლის, ვაგონების და სატვირთო მანქანების და ტრანზიტით გაგზავნას ეხებოდა.

1920 წლის 26 დეკემბრის სხდომაზე დამფუძნებელმა კრებამ განიხილა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი კონსტიტუციის პროექტი. მომხსენებელმა პ. საყვარელიძემ ტერიტორიის საკითხს არსებული სახელმწიფოებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა მიანიჭა, შეუძლებლად მიიჩნია სახელმწიფო განსაზღვრული ტერიტორიის გარეშე და ამიტომ კონსტიტუციაში აუცილებლად უნდა დაფიქსირებულიყო ტერიტორიის ხელშეუხებლობის საკითხი. მისი სიტყვებით, არავის არ შეეძლო გაჰყიდოს და გაჰყოს, დაანაწილოს საქართველოს ტერიტორია. მაგრამ ამ საკითხს ჰქონდა მეორე მხარეც – სადავო მიწები. საკითხის განხილვის დროს აღინიშნა, რომ სადავო ტერიტორიების შესახებ საკითხის გადაჭრა შეიძლებოდა მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოს საშუალებით, ადმინისტრაციული დაყოფაც საკანონმდებლო წესით უნდა მომხდარიყო. პ. საყვარელიძემ წამოაყენა აგრეთვე ავტონომიის პრინციპი. ავტონომიურ საფუძველზე მოეწყობოდნენ აფხაზეთი, სამუსლიმანო საქართველო და ზაქათალა, მაგრამ ავტონომია არავითარ შემთხვევაში არ მოასწავებდა სახელმწიფოს სახელმწიფოში,

მას არ უნდა დაეზიანებია სახელმწიფოს მთლიანობა.

1921 წლის 21 თებერვალს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო საქართველოს კონსტიტუცია, რომლის მე-6 მუხლით სახელმწიფოს ტერიტორიის გაცემა, დანაწილება და გაყიდვა შეუძლებელი იქნებოდა. სახელმწიფო ტერიტორიის გაფართოება ან სადავო საზღვრების შესწორება შეიძლებოდა მხოლოდ კანონმდებლობის წესით. მე-7 მუხლით განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული დაყოფა და თვითმართველ ერთეულთა საზღვრების დაწესება და შეცვლა უნდა მომხდარიყო მხოლოდ კანონმდებლობის წესით. კონსტიტუციის 107-ე მუხლით საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს – აფხაზეთის სოხუმის ოლქს, სამუსლიმანო საქართველოს (ბათუმის მხარეს) და ზაქათალას (ზაქათალის ოლქს) მიენიჭათ ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა.

მენშევიკურმა მთავრობამ ძალიან ცოტა დროში (ორწელიწად ნახევარში) ყველა ღონე იხმარა იმისათვის, რომ სამართლებრივად გაემიჯნა რუსეთ-საქართველოს საზღვარი 1920 წლის რუსეთ-საქართველოს 7 მაისის ხელშეკრულების, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარი 1920 წლის 12 ივნისის ხელშეკრულების საფუძველზე და მიიღო კონსტიტუცია, რომლის ძალითაც დააკანონა საქართველოს საზღვრებში აფხაზეთის სოხუმის ოლქი, სამუსლიმანო საქართველოს-ბათუმის მხარე და ზაქათალა-ზაქათალის ოლქი, მათ მხოლოდ ადგილობრივ საქმეებში მისცა ავტონომიური მმართველობის უფლება. ამ დროისათვის საქართველოს ტერიტორიის ფართობი შეადგენდა 82,8 ათასი კვ.კმ-ს ყარსის ოლქის გარეშე, რომლის ფართობი იყო 19,2 ათასი კვ. კმ. (ფართობი აღებულია 1902 წლის კავკასიის კალენდრის სტატისტიკური მონაცემებიდან). მენშევიკურმა მთავრობამ ვერ მოასწრო 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების მე-3 მუხლის მე-2,3,4 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უღელტეხილებისა და ნეიტრალური ტერიტორიების სამართლებრივად მოწესრიგება. თუმცა ამის გასამართლებელი მიზეზი ნამდვილად ჰქონდათ. ისტორიულად ცნობილია, რომ 20-იანი წლების დამლევს რუსეთს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა

დაეპყრო საქართველო, ვინაიდან საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობას, წიაღისეულს, უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ და ეკონომიკურ გზებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიაში რუსეთის პოზიციების განმტკიცებისათვის. როგორც ისტორიულ მასალებშია აღწერილი, ბოლო დროს რუსეთი ანგარიშს აღარ უწევდა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებას და ყოფილა სასაზღვრო პროვოკაციებისა და დივერსიული აქტების მოწყობის ფაქტები. საქართველოს სათანადო ორგანოები გარკვეულ რეაგირებას ახდენდნენ რუსეთის მიერ ხელშეკრულების დარღვევაზე. ასევე ყოფილა მცდელობა, როდესაც რუსეთი თვითონ ადანაშაულებდა საქართველოს, თითქოს ეს უკანასკნელი არღვევდა რუსეთ-საქართველოს შეთანხმებას. საომარი მოქმედებების გამო, მენშევიკურმა მთავრობამ ვერ მოახერხა საქართველო-სომხ-

ეთსა და საქართველო-თურქეთს შორის საზღვრის სამართლებრივი გამიჯვნა. 1920 წლის დამლევსა და 1921 წლის დასაწყისისათვის ბოლშევიკებს მიაჩნდათ, რომ ყველა პირობა არსებობდა საქართველოში მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების დაწყებისა და გამარჯვებისათვის. ეს გაითვალისწინა საქართველოს კ.პ. ცკ-მა და მიიღო დადგენილება შეიარაღებული აჯანყების მომზადების შესახებ. 16 თებერვალს შეიქმნა საქართველოს რევოლუციური კომიტეტი, რომელმაც დახმარება სთხოვა საბჭოთა რუსეთს. საქართველოს რევოლუციური კომიტეტის თხოვნით დასახმარებლად მოსული წითელი არმიის ნაწილები 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს დედაქალაქ თბილისში შემოვიდნენ. რევოლუციურმა კომიტეტმა საქართველო საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოაცხადა.

მანანა ხველიძე,
იურისტი.



ადამიანის ბუნებრივი უფლებების ნიშნები, წყაროები და ცნება

საკითხი ამა თუ იმ სუბიექტური უფლებების ბუნებრივ უფლებებზე მიკუთვნების ნიშნების შესახებ, საკმაოდ სადისკუსიოა. თეზისს იმის შესახებ, რომ ადამიანს აღმოუცენდება რიგი უფლებები დაბადების მომენტიდან, ემხრობოდა მრავალი ავტორი (ს. ვიცინი, ვ. ნერსესიანი, ც. იამპოლსკაია, ნ. მაზუტოვი, კ. იარიშჩენკო და სხვ.).

სხვა შეხედულება აქვს კ. რადიევას, რომელიც წერს: „ნებისმიერი არაქონებრივი ხასიათის უფლებების არსებობა, მათ შორის, ღირსების უფლება, დაკავშირებულია განსაზღვრულ იურიდიულ ფაქტებთან, რომელთა არ არსებობის შემთხვევაში, შეუძლებელია ამ უფლების აღმოცენება, სხვა საქმეა, რომ იურიდიულ ფაქტს, მოცემულ შემთხვევაში, გააჩნია განსაზღვრული სპეციფიკა. ეჭვს არ იწვევს, რომ ასეთ ფაქტად არ შეიძლება ჩაითვალოს დაბადების ფაქტი“.¹ ეს ავტორი ამტკიცებს, რომ იურიდიული ფაქტი, რომელიც წარმოშობს ღირსების უფლებას, შეიძლება იყოს მხოლოდ ადამიანისათვის უნარის აღმოცენება შეასრულოს „სოციალურად ნიშნირი ქცევები“, ე.ი. შეიცნოს თავი, როგორც პიროვნება; თუმცა, იქვე მიუთითებს, რომ შეუძლებელია ზუსტად მივუთითოთ დროის მომენტი, როცა ის (იურიდიული ფაქტი) აღმოცენდება.² მოცემული პოზიციის წინააღმდეგობა შემდეგ შია:

რასაკვირველია, ღირსება აღიქმება ადამიანის მიერ გარკვეული ასაკობრივი პერიოდის მიღწევის დროიდან. თუმცა, მოცემული გარემოება სულაც არ ნიშნავს, რომ მაგალითად, მცირეწლოვანს, რომელიც ვერ აღიქვამს თავის მოქმედებებს, არ გააჩნდეთ ადამიანური ღირსების უფლება აღნიშნული კატეგორიის პირებისათვის, ისევე როგორც კაცობრიობის სხვა დანარჩენი წარმომადგენლებისათვის, „უპირობო და ხელშეუხებელი უნდა დარჩეს უფლება იცხოვროს ადამიანის ბუნებისათვის ღირსეულ პირობებში“.³

მსგავსი აზრი დაფიქსირებულია რიგ სამართლებრივ აქტებშიც. მაგალითად, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის I მუხლში წერია:

„ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავის ღირსებებში და უფლებებში...“ ბავშვთა ღირსებებზე მოწმობს ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის (1959 წ.) მე-3, მე-4 და მე-9 პრინციპი.

ამდენად, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ აქ მნიშვნელოვანია არა ღირსების აღქმის, არამედ თვით ადამიანის არსებობის ფაქტი.

ღირსების უფლების მაგალითზე შეიძლება დავაფიქსიროთ სუბიექტური უფლებების ბუნებრივ უფლებებზე მიკუთვნების არსებითი ნიშანი,

¹ Рафиева Л.К., Честь и достоинство как правовая категория и Правоведение, 1996, №2, с.60.

² იქვე, გვ.60.

³ Мальцев Г.В., Новое мышление и современная философия право человека, М., 1989, с.30.

სახელდობრ: ბუნებრივი უფლებების აღმოცენება ადამიანის დაბადების მომენტიდან.

სუბიექტური უფლებების „ბუნებრივობის“ მეორე ნიშანია ადამიანისაგან მათი განუყოფლობა. განუყოფელი ხასიათი აქვს უმნიშვნელოვანეს კონსტიტუციურ უფლებებს, რომლებიც დაფიქსირებულია საქართველოს კონსტიტუციაში. თუმცა, ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციური ნორმები არ განსაზღვრავენ განუყოფელ უფლებების ზუსტ ნუსხას. აქ ჩვენ არ ვაყენებთ საკითხს, რომელია განუყოფელი თუ ჩამოსართმევი უფლებები, რამდენადაც ეს საკმაოდ რთულია და მოითხოვს სპეციალურ განხილვას. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ მაგალითად, განუყოფელი არ შეიძლება იყოს საკუთრების უფლება, რამდენადაც მესაკუთრემ შეიძლება თავად მოახდინოს გასხვისება საკუთარი ნებით – გადასცეს, აჩუქოს, მემკვიდრეობად დაუტოვოს და ა.შ.

ამასთან ერთად, არავითარ ეჭვს არ იწვევს ადამიანის ისეთი უფლებების განუყოფლობა, როგორცაა სიცოცხლის უფლება, თავისუფლების უფლება, ღირსების უფლება, პირადი ხელშეუხებლობის უფლება. მაგალითად, სიცოცხლის უფლების საფუძველში დევს ბიოლოგიური არსებობა, რომელიც წარმოუდგენელია ადამიანის გარეშე. თავისუფლებისადმი სწრაფვა პიროვნების თვისებაა, თავისუფლება არ არსებობს ადამიანის გარეშე, ხოლო ადამიანი – თავისუფლების.⁴ და ბოლოს, პიროვნების ხელშეუხებლობის უფლება არ ერთმევა არავის, იმ პირსაც კი, რომელიც იმყოფება თავისუფლების აღკვეთის ადგილებში.

მითითებული ბუნებრივი უფლებები უცვლელად სახელდება პირველთა რიგში ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციასა (მუხ.3) და სხვა საერთაშორისო დოკუმენტებში, საქართველოს კონსტიტუციაში, რაც მოწმობს მათ პრიორიტეტზე სხვა უფლებებთან შედარებით.⁵ ადამიანის განვითარების ყველაზე არსებითი შესა-

ძლებლობის ამ გამოხატვაში მდგომარეობს ადამიანის ბუნებრივი უფლებების მესამე ნიშანი.

ზემოთ აღნიშნული პირადი არაქონებრივი ღირებულებები (სიცოცხლე, თავისუფლება, ღირსება, პირადი ხელშეუხებლობა) წარმოადგენენ სამართლებრივ კატეგორიას. იკავებს რა ამ პოზიციას, არ შემიძლია დავეთანხმო ვ. ტოლსტოის იმაში, რომ პირს, რომელსაც ეკუთვნის ღირსება არ აქვს ქცევის ვარიანტები და საშუალებები და უაზროა ამ ქცევის რეგულირება.⁶ უარყოფს ღირსების ურთიერთობათა რეგულირებას ო. იოფეც, თუმცა, ერთი დათქმა, რომ რეგულირება მაინც ხდება, მაგრამ მხოლოდ ძალიან ცოტა შემთხვევაში, როცა მითითებული ურთიერთობები დაცულია დარღვევისაგან.⁷ უზუსტობა აქ მდგომარეობს იმაში, რომ უფლების რეალიზაცია „მთლიანად“ ყოველთვის არ არის სამართლის სუბიექტზე დამოკიდებული. მაგალითად, მცირეწლოვანთა და სულით ავადმყოფთა მრავალი უფლება ხორციელდება მათი ნებით მონაწილეობის გარეშე. ხოლო სიცოცხლის უფლება კი საერთოდ არ შეუძლია განკარგოს ნებისმიერმა ადამიანმა თავისი შეხედულებით, რადგან ამ ქვეყანაზე მოდის ბუნების ნებით, და ქვეყანასაც ტოვებს თავის ნებისაგან დამოუკიდებლად.⁸

უნდა დავეთანხმო პოზიციას, რომლის თანახმად სუბიექტური უფლების სტრუქტურაში ჩადებულია არა ორი-სამი უფლებამოსილება, არამედ ოთხი, რომელშიც გაერთიანებულია შემდეგი შესაძლებლობები:

1) მოქმედება, ე.ი. უფლებამოსილის საკუთარი ქცევის უფლება;

2) მოთხოვნა, ე.ი. სხვა პირთა მხრიდან სათანადო ქცევის უფლება;

3) განსაზღვრული სოციალური ღირებულებებით სარგებლობა, ე.ი. საკუთარი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების უფლება;

4) დაცვა, ე.ი. უფლება მიმართოს კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოს და იძულების

⁶ Толстой В.С., Отдельные виды обязательств, Н., 1986. с.43-44.

⁷ Иоффе О.С., Советское гражданское право, М. 1967, с.12.

⁸ Ковалев Н.И., Право на жизнь и право на смерть, “Государства и право”, 1992, №7, с.68.

⁴ Кодулин А.И. Об источниках прав человека, “Государство и право”, 1994, №2, с.146.

⁵ Рудинский Ф.М. История, теория и практика прав человека, “Государство и право”, 1995, №2, с.16.

მექანიზმი მოიყვანოს მოქმედებაში, თუ უფლება დარღვეულია.

ამ პოზიციებიდან ყველაფერი დგება თავის ადგილზე. მაგალითისათვის ავიღოთ ხელშეუხებლობის უფლება მის მოსაპოვებლად და განსაზღვრულად ადამიანს არ მოეთხოვება შეასრულოს რაიმე აქტიური მოქმედებები და ერთი შეხედვით, ის უზრუნველყოფილია ავტომატურად. თუმცა, არის რა აბსოლუტური უფლება, ე.ი. ართმევს ყველას შესაძლებლობას შეიჭრას განსაზღვრულ სფეროში, ის ერწყმის ყველა მოქალაქისა და თანამდებობის პირის მოვალეობას დაიცვას მოცემული პირის პირადი ხელშეუხებლობა, ხოლო მისი განსაზღვრება წარმოადგენს პიროვნების სპეციფიკურ მდგომარეობას ადამიანის მთელი ცხოვრების განმავლობაში – დაბადების მომენტიდან სიკვდილამდე. როგორც ვხედავთ, აქ აშკარაა საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების არსებობა. რომელიც დაკავშირებულია ადამიანის მიერ ისეთი სოციალური ღირებულებების ფლობასთან და სარგებლობასთან, როგორცაა პირადი ხელშეუხებლობა.

ზემოთ აღნიშნული საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ ადამიანის ბუნებრივი უფლებების კიდევ ორი თავისებურება:

ჯერ ერთი ისინი რეალიზდება უშუალოდ, ე.ი. რაიმე სამართალგამოყენებითი აქტის გარეშე. თავისუფლების, ღირსების, პირადი ხელშეუხებლობის უფლებები გააჩნია ყველა ადამიანს გამონაკლისის გარეშე. სხვა საქმეა, რომ განსაზღვრული გარემოებებისას შეიძლება შემცირდეს მათი მოცულობა, იმ დროს, როცა სხვა კონსტიტუციური უფლებებისათვის საჭიროა იურიდიული დოკუმენტების გაფორმება (მაგ., საკუთრებაზე, საცხოვრებელზე, შრომაზე).

მეორე, ბუნებრივი უფლებების რეალიზაცია ხორციელდება ობიექტურად, ადამიანთა ნებისაგან დამოუკიდებლად. ადამიანი ვერ ამოიჩვენებს მშობლებს, დაბადების დღესა და ადგილს, სქესს; ორგანიზმი ვითარდება განსაზღვრული ბიოლოგიური კანონებით, რომელიც ადამიანს ასევე არ შეუძლია შეცვალოს.

კაცობრიობის განვითარების პროცესში დადგინდა ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომელთა შესაბამისად პიროვნების ღირსებამ,

პირადმა ხელშეუხებლობამ შეიძინეს ფუნდამენტური სოციალური ღირებულებების თვისება, რაც გამოიხატება უმაღლეს საკანონმდებლო აქტებში, სახელმწიფოს მიერ მათ დაცვაში. ამიტომ ღირსებისა და ხელშეუხებლობის უფლება რეალიზდება ადამიანის მიერ დაბადებიდან და მას არ შეუძლია უარი თქვას მათ რეალიზებაზე.

მოყვანილი თავისებურებები შეადგენენ ადამიანის ბუნებრივი უფლებების მეოთხე ნიშანს.

ამრიგად, შეიძლება განვსაზღვროთ ადამიანის ბუნებრივი უფლებების შემდეგი არსებითი ნიშნები:

- 1) აღმოცენდება დაბადების მომენტიდან;
- 2) განუყოფლობა;
- 3) ადამიანის განვითარების ყველაზე არსებითი შესაძლებლობების გამოხატვა;
- 4) რეალიზაციის უშუალო და ობიექტური ხასიათი.

მოცემული ნიშნებით ბუნებრივი უფლებები ემიჯნება სხვა სუბიექტურ უფლებებს.

რაც შეეხება ბუნებრივი უფლებების წყაროებს, ყველა ეს წყარო თანაბარზომიერია, რამდენადაც ერთის გარეშე ვერ აღმოცენდება მეორე.

ადამიანის ბუნებრივი უფლებების წყაროებს მიეკუთვნება:

- 1) ადამიანის, როგორც გონიერი არსების ცხოველქმედება (ბიოლოგიური წყარო);
- 2) ადამიანთა ცხოვრების მატერიალური პირობების (მატერიალური წყარო);
- 3) საზოგადოებრივი ურთიერთობები (სოციალური წყარო);
- 4) ნორმატიული აქტები (ფორმალურ-იურიდიული წყაროები).

ბუნებრივი უფლებების არსი მდგომარეობს ნორმატიულ აქტებში ადამიანის ბიოლოგიური ბუნების, მისი როგორც გონიერი არსების, რიგი სოციალური ღირებულებების გამოხატვაში და ცნების სახით ის შეიძლება ასე ჩამოვყალიბოთ:

ეს არის სუბიექტური განუყოფელი დაბადებიდან, რომელსაც ღებულობს ადამიანი დაბადებიდან, რომელიც რეალიზდება მის მიერ უშუალოდ, ობიექტურად და აკმაყოფილებდა ერთ-ერთ სოციალურ ღირებულებას ან მოთხოვნილებას, გამომდინარეობენ ადამიანის ბუნებიდან, რომლებიც ასევე ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი განვითარების პროცესში.

როგორც აღინიშნა, ბუნებრივი უფლებების

ნუსხაში განსაკუთრებული ადგილი უკავია სიცოცხლის უფლებას. ეს უპირველესი უფლება იმყოფება ბუნებით-სამართლებრივი და საერთოდ სუბიექტურ-სამართლებრივი პირადიდის სათავეში, რაც სრულიად გასაგებია:

სიცოცხლის მოსპობისა ყველა სხვა უფლება კარგავს აზრს.

სიცოცხლის უფლებასთან ერთად, ყველაზე მნიშვნელოვანი ბუნებრივი უფლებაა თავისუფლების, პიროვნების ღირსების, პირადი ხელშეუხებლობის უფლებები, რომლებიც დაფიქსირებულია საერთაშორისო-სამართლებრივ დოკუმენტებსა და შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში. ადამიანის სწორედ ეს უფლებები, აბსოლუტურად მართებულად არის დაყენებული კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების

ის სათავეში და ითვლება უპირველეს ბუნებრივ უფლებებად.

ყველა სხვა ბუნებრივი უფლებები არის, ე.წ. მეორადი უფლებები, რომლებიც გამომდინარეობენ ძირითადი, პირველადი უფლებებიდან. მაგალითად, ჯანმრთელობის დაცვის უფლება, სასურველი გარემოს უფლება მაგალითად, შეიძლება ჩაითვალოს სიცოცხლის უფლების კომპონენტად. გადაადგილების თავისუფლება, აზრის თავისუფლება – თავისუფლების განზოგადებული ცნების შემადგენელ ნაწილად.

აღნიშნული გარემოებები გვაძლევს საშუალებას გამოვყოთ სიცოცხლის, თავისუფლების, ღირსებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლებები ფუნდამენტური საკაცობრიო ღირებულებების სახით და დავყოთ ისინი ერთ იერარქიულ მწკრივში.

ზაზა ჯონაძე,
იურისტი.




ბერმანის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოები

წარმომადგენლობით ორგანოსთან ერთად გფრ-ს ყველა თემში არსებობს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო. მის სათავეში დგას ხელმძღვანელი, რომელიც მიწის კანონმდებლობის შესაბამისად იწოდება ბურგომისტრად ან დირექტორად. ბურგომისტრი, ადმინისტრაციასთან ერთად, პასუხისმგებელია შემდეგი ამოცანების შესრულებაზე: წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელებაზე, წარმომადგენ-

კული გადაწყვეტილებებით. თემის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოები, ძირითადად, იხილავენ ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ეხება კონკრეტული ამოცანების შესრულებას. ამით ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო ეხება ადმინისტრაციულ სფეროს, მაგრამ როგორც ვ. გიზევიუსი წერს: აუცილებელია, რომ ორივე ორგანო - წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი მკაფიოდ ხედავდეს თავის

ცხრილში N1



ლობით ორგანოსათვის გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებაზე, სახელმწიფოს მიერ დაფარებული და მმართველობის მიმდინარე ამოცანების გადაწყვეტაზე.

დაკისრებული ამოცანების შესრულებისას აღმასრულებელი ორგანოები ხელმძღვანელობენ კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებებით, აგრეთვე წარმომადგენლობითი ორგანოს ცალ-

სახლვრებს¹. ამდენად, პრობლემების გადაჭრისას, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აღნიშნულ ორგანოებს შორის თანამშრომლობის დამყარებას, რათა წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობამ ხელი არ შეუშალოს აღმას-

¹ Гизевиус В., Политика местного самоуправления ФРГ, М., 1995, ст. 43.

რულებელი ორგანოს მუშაობას. ამ ორგანოთა ფუნქციები გამიჯნულია ცხრილში N1.

მუნციპალური მმართველობის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია მუნციპალური საბჭოს წინაშე. თავის მუშაობაში ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ეყრდნობა თავის მოადგილეებს და განყოფილებების ხელმძღვანელებს, რომლებიც დამოუკიდებლად მართავენ სამუშაოს ცალკეულ მონაკვეთებს.

ბურგომისტრის პოზიციები სხვადასხვა მოდელის მქონე თემებში სხვადასხვაგვარია. ბურგომისტრის ინსტიტუტი განსაკუთრებით ძლიერია სამხრეთ-გერმანული სტრუქტურის მქონე ბურგომისტრის ინსტიტუტზე დაყრდნობულ კომუნალური ტიპის მიწათა თემებში. ნაშრომში დაწვრილებით მიმოვიხილავთ ბურგომისტრის სამართლებრივ მდგომარეობას ბადენ-ვიურტემბერგის და ბავარიის მიწათა თემებში.

ბურგომისტრი, ბადენ-ვიურტემბერგის მიწის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ კანონის თანახმად, არის წარმომადგენლობითი ორგანოს - მუნციპალური საბჭოს თავმჯდომარე და თემის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. ის აირჩევა უშუალოდ მოსახლეობის მიერ.

ისეთ თემებში, სადაც მოსახლეობა 2000 მცხოვრებზე ნაკლებია, ბურგომისტრი წარმოადგენს არასაშტატო სახელმწიფო მოხელეს, რომელიც დანიშნულია განსაზღვრული დროით. დანარჩენ თემებში ბურგომისტრი საშტატო მოხელეა განსაზღვრული ვადით. ბურგომისტრის უფლებამოსილების ვადა 8 წელია. მიწების მსხვილ რაიონულ ცენტრებში ბურგომისტრი იწოდება ობერბურგომისტრად. ბურგომისტრი თავისი უფლებამოსილების განხორციელების დაწყებამდე დებს ფიქს მუნციპალური საბჭოს სხდომაზე, დაკისრებული ვალდებულებების პირნათლად შესრულებაზე. ბურგომისტრი, როგორც მუნციპალური საბჭოს თავმჯდომარე, ამზადებს სხდომებს და სისრულეში მოჰყავს მუნციპალური საბჭოს გადაწყვეტილებები. ბურგომისტრი უფლებამოსილია გამოვიდეს იმ გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომელსაც ხათვლის თემის ინტერესებთან შეუსაბამოდ, რის შესახებაც ერთი კვირის განმავლობაში უნდა აცნობოს მუნციპალურ საბჭოს. ამავე დროს ბურგომისტრი ვალდებულია მიუთითოს და

დაასაბუთოს თავისი პროტესტი სპეციალურად მოწვეულ საბჭოს სხდომაზე, რომელზედაც ხელახლა მიიღება გადაწყვეტილება. ასეთი სხდომა უნდა ჩატარდეს არა უგვიანეს სამი კვირის განმავლობაში. თუ ხელახლა მიღებულ გადაწყვეტილებას ისევ მიუღებლად ჩათვლის ბურგომისტრი, ის ვალდებულია კვლავ გამოთქვას პროტესტი და დაუყონებლივ გადასცეს საქმე სამართლებრივი ზედამხედველობის ორგანოებს.

ბადენ-ვიურტემბერგის თემების შესახებ დებულებების 43-ე მუხლით გათვალისწინებულია, რომ გადაუდებელ საქმეთა შესახებ გადაწყვეტილებას, მუნციპალური საბჭოს ნაცვლად, ღებულობს ბურგომისტრი, ამასთან აუცლოებულია აღინიშნოს გადაწყვეტილებების მიღების გადაუდებლობის მიზეზები.

ბურგომისტრი აირჩევა თემის მოქალაქეების მიერ საყოველთაო, თანასწორი, თავისუფალი და პირდაპირი არჩევნებით. არჩევნები ტარდება მაჟორიტარული სისტემით. კანონმდებლობის თანახმად, ბურგომისტრად შეიძლება აირჩეს გერმანელი მოქალაქე, რომელსაც უკვე შეუსრულდა 25 წელი და ჯერ არ არის 65 წლის. აღნიშნული ასაკობრივი ცენზი გათვალისწინებულია გფრ-ის კონსტიტუციის 116-ე მუხლით. სამართლებრივი ზედამხედველობის თანამშრომლებს არ შეუძლიათ ბურგომისტრის თანამდებობის შეთავსება. ბურგომისტრის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის ან ასაკობრივი ცენზის გამო თანამდებობიდან განთავისუფლების შემთხვევაში, ბურგომისტრის არჩევნები ტარდება სამი თვით ადრე და არაუგვიანეს თანამდებობის განთავისუფლებამდე ერთი თვით ადრე. შესაძლებელია არჩევნები გადაიდოს ერთი წლით. ეს ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული თემი უნდა დაიშალოს სხვა თემთან გაერთიანების გზით.

თემებში, სადაც არაა გათვალისწინებული ბურგომისტრის მოადგილის თანამდებობა, მუნციპალური საბჭო თავისი შემადგენლობიდან ნიშნავს ერთს ან რამდენიმე მოადგილეს, საზოგადოებრივ საწყისებზე. ყოველი წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნების შემდეგ ბურგომისტრის მოადგილეები ინიშნებიან ხელახლა. თუ წარმოიშობა თანამდებობის დაკავე-

ბისათვის ხელისშემშლელი ფაქტორები, მათ დანიშნავდა ბურგომისტრის მოადგილის მოვალეობას ასრულებს მუნიციპალური საბჭოს უხუცესი წევრი.

თემებში, სადაც მოსახლეობის რაოდენობა 10 000-ს აღემატება და საქალაქო რაიონებში აუცილებელია ერთი ან რამდენიმე საშტატო ბურგომისტრის მოადგილის დანიშვნა, მათი რიცხვი განისაზღვრება ყოველი თემის ძირითადი წესდებით ანუ სტატუტებით. აუცილებელია, რომ ბურგომისტრის მოადგილეებიდან ერთ-ერთი იყოს სამართალმცოდნე. მოადგილეები მუდმივად ცვლიან ბურგომისტრს მის საქმიანობაში. ბურგომისტრი უფლებამოსილია მისცეს მათ მითითებები, სამსახურებრივი საქმიანობის განხორციელებისას. როგორც წესი, ბურგომისტრის მოადგილეები ინიშნებიან როგორც საშტატო მოხელეები, მათი უფლებამოსილების ვადაა 8 წელი. ბურგომისტრის მოადგილეები აირჩევიან წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ. თუ ძირითად წესდებაში გათვალისწინებულია ბურგომისტრის რამდენიმე მოადგილე, მაშინ პარტიებმა და გაერთიანებებმა თავიანთი კანდიდატურები უნდა შეუსაბამონ მუნიციპალურ საბჭოში არსებულ ადგილებს.

მოკლებული თემის სხვა თემის შემადგენლობაში შესვლისას ან თემთა გაერთიანების გზით, ახალი თემის წარმოქმნისას კანონში გათვალისწინებულია, რომ ინტეგრირებული თემის ბურგომისტრი ან ბურგომისტრის მოადგილე ინიშნება ახლად შექმნილი თემის ბურგომისტრის მოადგილედ.

ბურგომისტრის მოადგილეებს არ შეუძლიათ ერთდროულად შეითავსონ თემის სხვა საშტატო თანამდებობები. არ შეიძლება ბურგომისტრის მოადგილე და ბურგომისტრი იმყოფებოდნენ ნათესაურ ურთიერთობაში.

აღმასრულებელი ორგანოების ძირითადი მუშაობა აისახება მის ადმინისტრაციულ აქტებში. ამ უკანასკნელს აქვს ან შიდა მნიშვნელობა,

როცა ადმინისტრაციული აქტები ეხებიან თვით გამგეობის ფინანსებს ან თანამშრომლებს, ან ადმინისტრაციულ აქტებს გააჩნიათ გარე მნიშვნელობა, შეეხებიან რა თავისი შინაარსით თემის მოქალაქეთა უფლებებს ან ფინანსებს. თემის მოქალაქეებს აქვთ აღმასრულებელი ორგანოების მოქმედებების გასაჩივრების შესაძლებლობა.

რაიონების შემადგენლობაში შემავალი თემების აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის ხელმძღვანელობას ახორციელებს რაიონის ადმინისტრაციული აპარატი. მისი მეშვეობითვე უზრუნველყოფილია თემებში სახელმწიფო ამოცანების შესრულება.

თემი ვალდებულია მიიღოს სამუშაოზე მოხელეთა, მოსამსახურეთა გარკვეული რიცხვი, რომლებიც აუცილებელია არიან თემის წინაშე დასახული ამოცანების შესასრულებლად.

თვითმმართველობითი ორგანოების მიერ სამუშაოების კვალიფიკაციური შესრულებისათვის თემში პასუხისმგებელი პირი უნდა იყოს, როგორც წესი, ერთი მოხელე, რომელსაც დაკავებული აქვს საპასუხისმგებო ადმინისტრაციული თანამდებობა. ასეთ პირს უწოდებენ მუნიციპალური გამგეობის მოხელე-სპეციალისტს.

თემი ზრუნავს თავისი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

კოლნში მდებარეობს საკონსულტაციო სამსახური, რომელსაც მიმართავენ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები თანამშრომლების ოპტიმალური შემადგენლობის დასადგენად.

ამრიგად, გრფ-ში არსებული ადგილობრივი თვითმმართველობის 5 ტიპიდან ყველაზე უფრო დემოკრატიულია თვითმმართველობის სამხრეთ-გერმანული ტიპი, სადაც ბურგომისტრი, ისევე, როგორც წარმომადგენლობითი ორგანო, აირჩევა უშუალოდ მოქალაქეების მიერ. ბურგომისტრს მინჭებული აქვს მნიშვნელოვანი როლი: ის არის მუნიციპალური საბჭოს თავმჯდომარე და ერთდროულად ხელმძღვანელობს ადმინისტრაციას.

პაატა ლავითაია,
იურიდიულ მეცნიერებათა
კანდიდატი.



სახელმწიფო საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში*

261
სახელმწიფო ასეთ სისტემებში ან მიიღწევის მათ კონსერვაციამდე, რაც, როგორც წესი, უპერსპექტივოა, ან უზრუნველყოფს სისტემის ევოლუციის ისტორიულად განპირობებულ სხვა ფორმაში. ამრიგად, შეიძლება გამოვყოთ პოლიტიკური სისტემების სხვადასხვა სახე და მათი ჩამომყალიბებელი სიღრმისეული სოციალური ფაქტორები, პირველ ყოვლისა გარემო, რომელიც აერთიანებს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების საშუალებებს და მის სულიერ მდგომარეობას, ტრადიციას, მენტალიტეტს. ასეთ კონცეფციაში საზოგადოების კლასობრივი დახასიათება არ არის ფუძემდებლური, თუმცა არ შეიძლება მისი როლის იგნორირება პოლიტიკური სისტემების ფორმირებისა და ფუნქციონირების პროცესებში.

ამა თუ იმ სოციალური გარემოს ხასიათი, რომელშიც აღმოცენდება პოლიტიკური სისტემები, შეიძლება გამოვყოთ ტოტალიტარული და ლიბერალური დემოკრატიული პოლიტიკური სისტემები. შესაძლებელია სხვა მეტნაკლებად მკაფიოდ გამოსახული სისტემები, მათ შორის, შერეული. სხვადასხვა კონკრეტულ-ისტორიული გარემოების მიხედვით მათ შეიძლება შეიძინონ დამატებითი მახასიათებლებიც, თავისებურებები. მაგალითად, ნაციონალური, შოვინისტური რასისტული იდეოლოგიები ბადებენ ფაშისტურ პოლიტიკურ სისტემებს – ტოტალიტარული სისტემების სახესხვაობას.

ურთიერთქმედების ხასიათის მიხედვით გამოყოფენ ღია და დახურულ პოლიტიკურ სისტემებს, სადაც პოლიტიკური ხელისუფლების მთელი ორგანიზაცია, ყველა სოციალური ინსტიტუტი ფუნქციონირებს ბელადის (ფიურერის, გენერალური მდივნის) მომსახურების რეჟიმში, მისი ნების შესასრულებლად. უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური რეჟიმების, ე.ი. სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების მეთოდებისა და ხერხების რეალიზაციას და სწორედ ამიტომაც არიან დაკავშირებული პოლიტიკურ რეჟიმებთან. უფრო დაწვრილებით პოლიტიკურ სისტემებს შეისწავლის პოლიტოლოგია. სახელმწიფოს თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის თეორიის ფარგლებში კი ძირითადი ყურადღება მახვილდება მხოლოდ პოლიტიკური სისტემის ზოგიერთ ასპექტზე.

ამასთან დაკავშირებით უნდა განვიხილოთ საკითხი სახელმწიფოსა და პარტიებს შორის ურთიერთქმედების შესახებ. ნამდვილად, პოლიტიკურ სისტემაში დიდ როლს თამაშობენ პოლიტიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანესი სოციალური ინსტიტუტები.

პოლიტიკური პარტია – ეს, როგორც წესი, ფრიად ფორმალური პოლიტიკური ორგანიზაციაა თავისი სტრუქტურით (ხელმძღვანელი ორგანოები, რეგიონალური ქვედანაყოფები, რიგითი წევრები), რომელიც გამოხატავს ამა თუ იმ სოციალური ფენის, ჯგუფის ინტერესებს, რომელ-

* დასასრული. დასაწ. იხ. ჟურნალ „სამართლის“ 2001 წლის №3.

იც აერთიანებს მის ყველაზე აქტიურ წარმომადგენლებს, რომელიც მიზნად ისახავს პოლიტიკური ხელისუფლების მოპოვებას გარკვეული პროგრამის განსახორციელებლად, გარკვეული მიზნებისა და იდეალების მისაღწევად.

ასეთი საზოგადოებრივი ორგანიზაციების აღმოცენება არის ობიექტური პროცესი, რომელიც საშუალების იძლევა გამოვლინდეს სხვადასხვა ჯგუფის საერთო ინტერესები და გარდაიქმნას ისინი სამართლებრივ მოთხოვნებში. სახელმწიფო სწორედ ის სოციალური ინსტიტუტია, სადაც პარტიული ინტერესები, მიზნები, იდეალები შეიძლება გამოვიდნენ, როგორც საზოგადოებრივი ინტერესები, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება ხელისუფლების მხარდაჭერით. ამიტომ, სახელმწიფო გამოდის კიდევ პოლიტიკური ბრძოლის ძალზედ ღირსეულ ობიექტად, განსაზღვრავს პარტიათა მონაწილეობას სახელმწიფო ხელისუფლების მოპოვებაში. განასხვავებენ საპარლამენტო პარტიებს, რომლებიც მიზნად ისახავენ ხელისუფლების მოპოვებას დემოკრატიული გზით, საპარლამენტო საქმიანობაში მონაწილეობას და პარტიებს, რომლებიც მიზნად ისახავენ საზოგადოებრივი წყობის ძალადური გზით გარდაქმნას, ხელისუფლების ძალადურ დაუფლებას.

სხვადასხვა პარტიის ორგანიზაცია და საქმიანობა, ისტორიულ რაკურსში, ფრიად მრავალფეროვანია. კიდევ უფრო მრავალფეროვანია მათი ურთიერთქმედება სახელმწიფოსთან, მის ინსტიტუტებთან.

სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობის მიხედვით, შეიძლება განვასხვავოთ არა მხოლოდ საპარლამენტო, არამედ ასევე მმართველი პარტიები, რომლებმაც უკვე მიიღეს და ახორციელებენ ხელისუფლებას. პარტია ახორციელებს ხელისუფლებას, ძირითადად, „თავისი ხალხის“ მეშვეობით, რომელსაც ის გაამწესებს მნიშვნელოვან სახელმწიფო პოსტებზე.

ზოგიერთ საზოგადოებაში ხანგრძლივი დროით, მიუხედავად პარტიული გავლენისა, ყალიბდება და ფუნქციონირებს სამინისტროთა აპარატი, მაგრამ ამ სამინისტროთა ხელმძღვანელები ინიშნებიან პარტიული კუთვნილების მიხედვით, იმის გათვალისწინებით, თუ რომელი საპარლამენტო პარტია მოვიდა ხელისუფლებაში. სხვა საზოგადოებებში ხდება სახელმწიფო აპარატის საყ-

ოველთაო ცვლილება, თუ ხელისუფლებაში მოდის სხვა პარტია. უკიდურეს შემთხვევაში პარტიისა და სახელმწიფოს ურთიერთქმედებას მიყვართ ისეთ პოლიტიკურ სისტემაში, რომელიც შეიძლება განისაზღვროს, როგორც „პარტიული სახელმწიფო“, ფუნქციონირებს ერთი გაბატონებული პარტია, მისი იდეოლოგიით ხდება პარტიისა და სახელმწიფო აპარატის შეზრდა.

პარტიის ხელმძღვანელი იქცევა ფაქტობრივ სახელმწიფო მეთაურად, უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები მიიღება პარტიულ სტრუქტურებში და სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ მხოლოდ ფორმდება ისინი. „პარტიულ სახელმწიფოში“ ყველა სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაცია ასევე ექცევა პარტიული კონტროლის ქვეშ და პოლიტიკური სისტემა იქცევა ტოტალიტარულ სისტემად.

„პარტიული სახელმწიფოს“ ტიპის პოლიტიკური სისტემის ანტიპათია მრავალპარტიული, პრულარისტური პოლიტიკური სისტემები, სადაც უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო გადაწყვეტილებები მიიღება დემოკრატიულად: აზრთა შეჯერებით, მათი დასაბუთებით, კანონის ფარგლებში ლობირებით, ერთი სიტყვით, ნორმალური საპარლამენტო პროცედურის მეშვეობით.

პოლიტიკურ პარტიებთან ერთად უნდა გამოვყოთ პოლიტიკური ეროვნული მოძრაობაც, როგორც პოლიტიკური სისტემის ელემენტები. ეს ნაკლებად ფორმალური ხელისუფლების მოპოვების საზოგადოებრივი წარმონაქმნებია, სხვადასხვა ფრონტები, კავშირები, სხვა ორგანიზაციები. პოლიტიკურ, ეროვნულ-კულტურულ მოძრაობას, როგორც წესი, არ აქვთ წევრობა, მათი სტრუქტურა არ არსებობს. ხშირად პოლიტიკური და სხვა საზოგადოებრივ მოძრაობებს არ აქვთ ფორმალური რეგიონალური განყოფილებები, მათი სახელით გამოდიან მხოლოდ ხელმძღვანელი ორგანოები (ორგანიზაციული კომიტეტები, პრეზიდიუმები და ა.შ.).

ურთიერთობა სახელმწიფოსა და პოლიტიკურ, ეროვნულ, სოციალურ მოძრაობებს შორის მრავალწახნაგოვანია. მაგალითად, სადაც ხორციელდება სახელმწიფო ორგანოების დეპარტიზაცია და დეიდეოლოგიზაცია, პოლიტიკური მოძრაობების მიზნები და ამოცანები სახელმწიფო აპარატის მიერ აღიქმება არა ორგანიზაციულად, არა ინსტიტუციონალურად, არამედ იდეოლოგიური ზემოქმედების რთული სისტემის მეშვეობით.

არანაკლებ რთული ურთიერთობა არსებობს სახელმწიფოსა და პროფკავშირებს შორის.

პროფესიული კავშირები აღმოცენდა ისტორიული განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე როგორც ორგანიზაცია, რომელიც გამოხატავდა და იცავდა მუშაკთა განსაზღვრული კატეგორიის ინტერესებს. შუასაუკუნეების ხელოსანთა წვრილი ორგანიზაციები დღეს გადაიქცა მძლავრ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალად.

ზოგიერთი საზოგადოების პოლიტიკური სისტემები მოიცავდა ან უარყოფდა პროფესიულ კავშირებს, ანიჭებდა მათ სხვადასხვა მნიშვნელობას.

დიაპაზონი აქ დიდია: სახელმწიფოების სხვადასხვა ეტაპზე პროფკავშირები ხან თანამშრომლობდნენ სახელმწიფოსთან როგორც პარტნიორები, ხანაც გამოდიოდნენ მის წინააღმდეგ.

განასხვავებენ დამოუკიდებელ, თავისუფალ პროფკავშირებს და ოფიციალურ პროფკავშირებს, რომლებსაც მხარს უჭერს სახელმწიფო, რომელიც ზოგიერთ პოლიტიკურ სისტემაში გადასცემდა კიდევ ოფიციალურ პროფკავშირებს კანონშემოქმედებით ფუნქციებს შრომით ურთიერთობათა სფეროში.

კონკრეტულ პოლიტიკურ სისტემებში, რომლებიც განსაკუთრებით დამახასიათებელია განაწილებითიდან საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის სოციალური გარემოსათვის, პროფკავშირთა საქმიანობა ანიჭებს ამ სისტემებს თავისებურ ანარქო-სინდიკალისტურ თვისებას. ასეთ სისტემებში ესა თუ ის პროფკავშირული ორგანიზაცია გამოდის თავისი წევრების სახელით და გვევლინება მთავრობაზე ზემოქმედების მძლავრ იარაღად შრომის ანაზღაურების, შრომის პირობების გაუმჯობესების, შეღავათების მიღების და სხვა საკითხებში.

პოლიტიკური სისტემის ისტორიაში ცალკე საკითხად დგას ურთიერთობა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის. ისტორიამ იცის თეოკრატიული სახელმწიფოები და საერო სახელმწიფოები, ათეისტური და კონფესიურ-პლურალისტური, შესაბამისად კი სხვადასხვა პოლიტიკური სისტემები.

როგორც წესი, საზოგადოების უმრავლესობაში პოლიტიკურმა სისტემებმა, განსაკუთრებით თანამედროვე ეტაპზე, ფორმალურად ამორიცხეს

ეკლესია თავისი შემადგენლობიდან, მოხდა სახელმწიფოს გამოყოფა ეკლესიისაგან. ეს პრინციპი მტკიცდებოდა კონსტიტუციურად, სახელმწიფო ფორმალურად არ ერეოდა ეკლესიის საქმეებში, ხოლო ეკლესია, რომელსაც აქვს ზნეობრივ-რელიგიური, რეალური აღზრდის, უფრო ხშირად კი საზოგადოების აღორძინების კეთილშობილური მიზანი, არ ერეოდა სახელმწიფო ცხოვრებაში, პოლიტიკაში. ასეთ ურთიერთობებში რეალიზდება სინდისის, რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება, პოლიტიკის სეკულარიზაცია და რელიგიის ავტონომიურობა. თუმცა, ასე ხდება მხოლოდ ნორმალურად ფუნქციონირებულ ლიბერალურ-დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემებში.

და ბოლოს, საკითხი სახელმწიფოსა და თვითმმართველობის ორგანოების ურთიერთობების შესახებ.

ასეთი ორგანოები აღმოცენდება, ე.წ. ადგილობრივი საქმეების – საყოფაცხოვრებო და კომუნალური მოწყობის და სხვათა გადასაწყვეტად. ეს არის სხვადასხვა საბჭოები, მუნიციპალიტეტები, საკრებულოები და სხვა. მათი მნიშვნელობა პოლიტიკურ სისტემაში საკმაოდ დიდია. ისინი დიდ როლს თამაშობენ საზოგადოების ყველაზე მასობრივ, „ქვედა“ პოლიტიკურ სტრუქტურებში.

ამრიგად, საზოგადოების პოლიტიკური სისტემა სახელმწიფოსა და სხვა სოციალური ელემენტების ორგანული ერთიანობაა, რომლებსაც ობიექტურად გააჩნიათ სხვადასხვა პოლიტიკური ფუნქცია.

პოლიტიკურ სისტემაში სახელმწიფო შედის როგორც საზოგადოების პოლიტიკური, სტრუქტურული და ტერიტორიული წარმონაქმნი და არა მხოლოდ მისი ცალკეული ელემენტებითა და სახელმწიფო ინსტიტუტებით. სახელმწიფო საზოგადოების პოლიტიკური სისტემის მართლაც მნიშვნელოვანი ელემენტია, თუმცა თავის ფუნქციებს ასრულებს სხვა სოციალურ ინსტიტუტებთან – პარტიებთან, პროფკავშირებთან, სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთკავშირში.

პოლიტიკურ სისტემებს გააჩნიათ დინამიური ხასიათი, განიცდის ევოლუციას, თუმცა აღმოცენდება ობიექტურად.

ამირან ზიბუაშვილი,
იურისტი.

სამოქალაქო სამართალი, პროცესი

ლელა ნადიბაიძე

საკუთრების უფლების გადასვლა სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებით

კერძო საკუთრების აღიარებამ და ეკონომიკის სისტემაში მის უმაღლეს საფეხურზე განთავსებამ, სამეურნეო სფეროში სახელმწიფოს რეგულირების ფარგლების მინიმალურ დონემდე შემცირებამ, და რაც მთავარია, კონტრაგენტების თავისუფლად არჩევის შესაძლებლობათა კანონმდებლობით დადგენამ, ხელი შეუწყო კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში ხელშეკრულებათა როლის ზრდის ტენდენციას. აღნიშნულმა პროცესებმა თავის მხრივ განაპირობა კანონმდებლობაში ნების გამოვლენის თავისუფლების პრინციპის აღიარება და მისი განხორციელების გარანტიათა საიმედო მექანიზმების შექმნა.

სახელშეკრულებო ურთიერთობებში ყოველი ახალი ნორმატიული აქტის მიღება ემსახურება ერთ მიზანს – ახლებურად მოაწესრიგოს და რაც შეიძლება ხელი შეუწყოს მხარეთათვის ნების ავტონომიურობას და მის გამოვლენას თანასწორუფლებიანობის საწყისებზე. ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება, რომელიც ქვეყნისა და საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება.

მოცემული ხელშეკრულება არ არის სამოქალაქო კოდექსის სიახლე. იგი ადრე მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსითაც (1964 წელს მიღებული) იყო ცნობილი, მაგრამ მათ შორის არის არსებითი ხასიათის სხვაობა, რაც გამოიხატება ხელშეკრულების სამართალსუბიექტებსა და საგანთან მიმართებაში.

ახალმა სამოქალაქო კოდექსმა ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრა სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების ცნება, რომლის თანახმადაც: პირი, რომელიც კისრულობს სამისდღეშიო სარჩოს გადახდას (მარჩენალი), მოვალეა გადაუხადოს იგი სარჩოს მიმღებს (სარჩენს) მთელი სიცოცხლის მანძილზე, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

აღნიშნულიდან ერთი რამ აშკარად იკვეთება, რომ მარჩენალი კისრულობს ვალდებულებას არჩინოს სარჩენი, მაგრამ რა პირობებით, ცნებაში ეს მოცემული არ არის. თუმცა, ამ ხელშეკრულების შემდგომი მუხლების (942-ე, 945-ე მუხლი) შინაარსი აზუსტებს მარჩენალის მოქმედების მიზანს, კერძოდ, იმას, რომ იგი ამ მოქმედებისათვის სარჩენისაგან სანაცვლოდ იღებს ქონებას, და ეს მაშინ, როცა ადრე მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსით გათვალისწინებული გარდაცვალებამდე რჩენის ხელშეკრულების ცნება აკონკრეტებდა სარჩენისა და მარჩენალის, იგივე გამსხვისებლისა და შემძენის მხრიდან ხელშეკრულების დადების მიზანსა და პირობებს, კერძოდ, „ხელშეკრულებით გარდაცვალებამდე რჩენის შესახებ სახლის გასხვისების პირობით ერთი მხარე, ასაკის ან ჯანმრთელობის გამო არაშრომისუნარიანი პირი (გამსხვისებელი) გადასცემს მეორე მხარეს (შემძენს) საკუთრებად სახლს (ან მის ნაწილს), შემძენი კი ამის სამაგიეროდ კისრულობს გამსხვისებლის გარდაცვალებამდე მატერიალურ უზრუნველყოფას ნატურად ბინით,

კვებით, მოვლითა და აუცილებელი დახმარებით“.

როგორც ჩანს, გარდაცვალებამდე რჩენის ხელშეკრულებით განსაზღვრული იყო არა მხოლოდ მხარეთა მოქმედების მიზანი, არამედ საგანიც, რომელთან მიმართებაშიც მხარეები იღებდნენ ვალდებულებას ქონების გადაცემასა და სანაცვლოდ მის რჩენასთან დაკავშირებით. ეს იყო მხოლოდ საცხოვრებელი სახლი (ან მისი ნაწილი), რაც ახალი სამოქალაქო კოდექსით შეიცვალა და განისაზღვრა ქონებით, რომელშიც მოიაზრება როგორც უძრავი, ისე მოძრავი ნივთები. ამასთან, მოძრავი ნივთების გადაცემის შემთხვევაში, ის არ უნდა ატარებდეს მოხმარებით ხასიათს (მაგალითად, აქციები, ფული და სხვა).

რადიკალურად განსხვავებულია ამ ხელშეკრულებათა სუბიექტური შემადგენლობაც, რაც გამოიხატება ძველი სამოქალაქო სამართლის კოდექსით მხარეთათვის წარდგენილ მოთხოვნებში, რომ გამსხვისებელი, დღევანდელი სარჩენი, უნდა ყოფილიყო არაშრომისუნარიანი პირი ასაკის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, რაც ახალი სამოქალაქო კოდექსით დაკონკრეტებული არ არის. ე. ი. სამისდღეშიო ხელშეკრულების სუბიექტები შეიძლება იყვნენ პირები, რომლებსაც ესაჭიროებათ რჩენა ჯანმრთელობის ან ასაკით შრომისუნარობის გამო ან ამ პირობათა არ არსებობის მიუხედავად სურთ იცხოვრონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით ანუ რჩენის ვალდებულებების სანაცვლოდ მარჩენალს გადასცენ ხელშეკრულებით განსაზღვრული ქონება. რჩენის ვალდებულებაში იგულისხმება სარჩოს გადახდა ფულადი ან ნატურალური სახით (ბინით, კვებით, მოვლით და სხვა აუცილებელი დახმარებით).

გამომდინარე იქიდან, რომ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებით შესაძლებელია სასყიდლიანი გზით სარჩენის საკუთრებაში არსებული ქონების მარჩენალის საკუთრებაში გადასვლა, იგი პირობითად შეიძლება მივიჩნიოთ ნასყიდობის ხელშეკრულების ერთ-ერთ ნაირსახედ, რის გამოც შევეცდებით გამოვყოთ მათ შორის მსგავსებისა და სხვაობის ელემენტები.

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება არის ორმხრივი და სასყიდლიანი ხელშეკრულება. მისი სასყიდლიანობა განპირობებულია მარჩენალის

მიერ ნაკისრი ვალდებულების ხასიათით, რომ იგი ვალდებულია, ნაცვლად მიღებული ქონებისა, სამისდღეშიოდ არჩინოს სარჩენი (თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული). რაც შეეხება მის ორმხრივ ხასიათს, იგი განპირობებულია იმ საფუძვლებით, რაც ზოგადად განსაზღვრავს ხელშეკრულების ორმხრივობას, ანუ როცა თითოეულ მხარეს წარმოეშობა როგორც უფლებები, ისე მოვალეობები. ჩვენს შემთხვევაში, როგორც სარჩენს ისე მარჩენალს გადაცემულ ქონებასა და რჩენის ვალდებულებასთან მიმართებაში წარმოეშობათ უფლებები და ეკისრებათ მოვალეობები.

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება ვადიანია, თუმცა, იგი კალენდარული თარიღით კი არ არის განსაზღვრული, არამედ სარჩენის მთელი სიცოცხლის ვადით. ამასთან, კანონი არ კრძალავს მხარეთა შეთანხმებას განსაზღვრული დროით რჩენის თაობაზეც. რაც შეეხება სარჩოს გადახდის პერიოდულობას იგი კანონით არ არის დადგენილი და შესაძლებელია განისაზღვროს ხელშეკრულებაში მხარეთა შეთანხმებით სარჩოს ბუნებიდან და მიზნებიდან გამომდინარე. სარჩოს ოდენობა ასევე განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. ხელშეკრულებით მხარეებს შეუძლიათ გაითვალისწინონ ნატურალური სარჩო და მისი შეცვლა ფულით.

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით. უძრავი ქონების გადაცემის შემთხვევაში კი, დამოწმდეს სანოტარო წესით და რეგისტრირებულ იქნეს საჯარო რეესტრში. ქონების გადაცემა უნდა მოხდეს ხელშეკრულების დადებისთანავე.

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებასა და ნასყიდობის ხელშეკრულებათა შორის სხვაობა ვლინდება როგორც მათ სუბიექტურ შემადგენლობაში, ისე გადაცემული ქონების მიმართ უფლებათა განხორციელებაში.

ნასყიდობის შემთხვევაში მისი მონაწილენი შეიძლება იყვნენ, როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები, მაშინ, როდესაც სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების მხარეებად ყოველთვის გამოდიან ფიზიკური პირები. თუმცა, ფიზიკურ პირებთან დაკავშირებით მარჩენალთან მიმართებაში არის გარკვეული შეზღუდვებიც, რომლის თანახმად მარჩენალი არ შეი-

ძლება იყოს შეზღუდულქმედუნარიანი პირი, თუნდაც საამისოდ არსებობდეს როგორც მზრუნველის, ისე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანხმობა. ნასყიდობის ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება გასაყიდი ქონების ღირებულებით, რომელიც გამოხატულია ფულად ექვივალენტში, სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებით კი სარჩო შეიძლება დადგინდეს ფულადი ან ნატურალური სახით (ბინით, კვებით, მოვლით ან სხვა აუცილებელი დახმარებით).

მიუხედავად იმისა, რომ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებით ქონება გადადის მარჩენალის საკუთრებაში, იგი არსებითად განსხვავდება ნასყიდობის ხელშეკრულებისაგან. კერძოდ, მარჩენალისათვის ქონების საკუთრებაში გადასვლა არ იწვევს მესაკუთრისათვის დადგენილი უფლებამოსილების სრულად განხორციელების შესაძლებლობას, ანუ ამ შემთხვევაში იგი არის გადაცემულ ქონებაზე შეზღუდული საკუთრების უფლების მქონე პირი, რომელსაც სარჩენის სიცოცხლეში ეკრძალება გაასხვისოს, დააგირავოს ან სხვაგვარად დატვირთოს გადაცემული ქონება სარჩენის წერილობითი თანხმობის გარეშე, რასაც ადგილი არა აქვს ნასყიდობის ხელშეკრულების დროს და რაც განსხვავებულად იყო მოწესრიგებული გარდაცვალებამდე რჩენის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მარჩენალის შესაბამის უფლებასთან, რომლის თანახმადაც გასხვისებული სახლი (ან მისი ნაწილი) გირაოდ რჩებოდა გამსხვისებლის რჩენის ხელშეკრულების მოქმედების მთელი ხნის განმავლობაში და შემდგომ არ შეეძლო გაესხვისებინა ან დაეგირავებინა იგი, თუნდაც ამის შესახებ ყოფილიყო გამსხვისებლის ნებართვა. მართალია, ზემოაღნიშნული აკრძალვა ნორმაში პირდაპირ მითითებული არ იყო, მაგრამ ლოგიკურად გამომდინარეობდა მისგან. ახალი სამოქალაქო კოდექსით კი, სარჩენის სიცოცხლეში მარჩენალს უფლება არა აქვს გაასხვისოს, დააგირავოს ან სხვაგვარად დატვირთოს გადაცემული ქონება სარჩენის წერილობითი თანხმობის გარეშე. ამდენად, მარჩენალისათვის გადაცემული ქონება პირობითად შეიძლება ჩაითვალოს დაგირავებულ ქონებად, რის გამოც მარჩენალის ვალეების გადახდევინების მიქცევა ამ ქონებაზე დაუშვებელია. სარჩენის მიერ მარჩენალისათვის უძრავი ქონებ-

ის გადაცემის შემთხვევაში, მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, მას აქვს გირავნობის უფლება ამ ქონებაზე (სამოქალაქო კოდექსის 945-ე მუხლის მეორე ნაწილი)¹.

მოცემული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ სარჩენის მიერ მარჩენალისათვის გადაცემული მოძრავი ქონების მიმართ სარჩენს მოთხოვნის უზრუნველსაყოფად არ გააჩნია გირავნობის უფლება ამ ქონებაზე.

თუ გადაცემული ქონება არის ერთგვარი გარანტი სარჩენის მიერ მარჩენალისათვის ნაკისრი ვალდებულების მოთხოვნისათვის და რომლის შესრულებაც მოძრავი და უძრავი ქონების შემთხვევაში ერთნაირად ეკისრება მარჩენალს, ვფიქრობ, რომ სარჩენის უფლებები მოთხოვნის უზრუნველსაყოფად ქონების სახეობიდან გამომდინარე დისკრიმინაციულ ხასიათს ატარებს ანუ კანონით დაცულია მხოლოდ იმ სარჩენი პირის უფლება, რომელმაც მარჩენალს გადასცა უძრავი ქონება. სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებით მარჩენალისათვის გადაცემული ქონების შემთხვევით დაღუპვის რისკი ეკისრება მარჩენალს, მისი დაღუპვა ან დაზიანება არ ათავისუფლებს მას სარჩოს გადახდის მოვალეობისაგან².

სარჩენის მიერ მარჩენალისათვის ქონების გადაცემა ყოველთვის როდი ატარებს უდავო ხასიათს. იგი შეიძლება საცილო გახადონ პირებმა, რომელთაც კანონიერი უფლება აქვთ მიიღონ სარჩო მარჩენალისაგან, მაგრამ ვერ მიიღეს იმის გამო, რომ მარჩენალი იხდის სამისდღეშიო სარჩოს. ასეთი შედეგების უფლება გააჩნიათ ალიმენტის მიმღებ პირებს და მარჩენალის მემკვიდრედ ყოფნის შემთხვევაში იმ შრომისუნარო პირებს, რომლებიც მამკვიდრებლის რჩენაზე იყვნენ და დამოუკიდებლად თავის შენახვა არ შეუძლიათ და თუ მათ შესახებ ანდერძში მითითებული არ არის, ამ საფუძველზე ხელშეკრულების მოშლის შედეგად ქონება უბრუნდება სარჩენს.

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება შეიძლება მოიშალოს მხარეთა შეთანხმებით ნებისმიერ

¹ როდესაც საკითხი ეხება უძრავ ქონებას, მის გირავნობაზე საუბარი დაუშვებელია, რადგან ახალმა სამოქალაქო კოდექსმა უძრავი ქონებით ვალდებულების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით შემოიღო იპოთეკის ცნება.

² ქონებაში ივულისხმება როგორც უძრავი, ისე მოძრავი ქონება.

დროს, რაც ასევე წერილობით უნდა იყოს დადებული, ხოლო უძრავი ქონების შემთხვევაში — დამოწმებული სანოტარო წესით. რაც შეეხება მოცემულ ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძვლებს, იგი კანონით არის დადგენილი და დაიშვება იმ შემთხვევაში, როდესაც სახელშეკრულებო მოვალეობათა დარღვევის შედეგად მხარეთა შორის ურთიერთობა აუტანელი გახდა, ანდა სხვა არსებითი მიზეზები უკიდურესად აძნელებს ან შეუძლებელს ხდის მის გაგრძელებას. კანონის მოცემულ ნორმაში შეიძლება მოვიპოვოთ მარჩენალის სამსახურიდან გათავისუფლება (მხოლოდ არა პირადი განცხადებით, რათა თავი აარიდოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას), შემოსავლის შემცირება, მიმე ავადმყოფობა და სხვა წინასწარ გაუთვალისწინებელი გარემოებები. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ადრე მოქმედი კოდექსით გარდაცვალებამდე რჩენის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები, რომლის თანახმადაც ხელშეკრულების შეწყვეტა დაიშვებოდა სარჩენის (გამსხვისებლის) შრომის უნარის სრული აღდგენის შემთხვევაში, რაც ახალი სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული არ არის იმ მიზეზის გამო, რომ

კანონი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების დადებას არ ითვალისწინებს მხოლოდ ასაკის ან ჯანმრთელობის გამო შრომისუნარო სარჩენი პირებისათვის, თუმცა, მოცემული საფუძვლით, თუ ის ხელშეკრულებით იქნება გათვალისწინებული, არ არის გამორიცხული ხელშეკრულებაზე უარის თქმა.

სარჩენის ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული განსაზღვრული სამართლებრივი შედეგები უშუალოდ უკავშირდება მემკვიდრეობით სამართალურთიერთობით გათვალისწინებულ მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს ანუ სარჩენის გარდაცვალების შემთხვევაში გადაცემული ქონება გადადის მარჩენალის საკუთრებაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს მესამე პირთა მხრიდან ამ ქონებაზე შედავების კანონიერი საფუძველი (მაგალითად, თუ სარჩენი ქონების მესაკუთრე არ იყო და სხვა), ხოლო მარჩენალის გარდაცვალებისას კი, რჩენის ვალდებულება გადადის მის იმ მემკვიდრეებზე, რომლებმაც მიიღეს გადაცემული ქონება. მათ მიერ ამ ვალდებულებებზე უარის თქმა იწვევს ხელშეკრულების შეწყვეტას და ქონება უბრუნდება სარჩენს.

ლელა ნალიბაიძე,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

იურიდიული მნიშვნელობის მქონე

ფაქტების დადგენა

საქართველოს ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განასხვავებს სამოქალაქო სამართალწარმოების სამ ძირითად სახეს: 1) სასარჩელო წარმოებას, 2) გამარტივებულ წარმოებას, 3) უდავო წარმოებას.

უდავო წარმოების წესით განიხილება მოქალაქეთა და ორგანიზაციათა განცხადებები იმ ფაქტების დადგენის შესახებ, რომლებსაც იურიდიული მნიშვნელობა აქვთ, ასევე იმ გარემოებების დადგენის შესახებ, რომლებზეც დამოკიდებულია დაინტერესებული პირის ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა, ან უდავო უფლების დადასტურება. უდავო წარმოება შეიძლება ჩავთვალოთ უდავოდ, მხოლოდ იმ მხრივ, რომ მასში არა გვაქვს უფლების შესახებ დავა, რომელიც დამახასიათებელია სასარჩელო წარმოებისათვის. უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეებში დგინდება ფაქტები და არა ამ ფაქტების სამართლებრივი შედეგები. თუ უდავო წარმოების წესით საქმის განხილვისას აღიძვრება დავა ისეთი უფლების შესახებ, რომელიც სასამართლოს უწყებრივად ექვემდებარება, სასამართლო განცხადებას განუხილველად დატოვებს და დაინტერესებულ პირებს განუმარტავს, რომ მათ უფლება აქვთ წარმოადგინონ სარჩელი საერთო საფუძველზე.

უდავო წარმოების წესით განსახილველი საქმის აღძვრა ხდება არა კონკრეტული მოპასუხისადმი სარჩელის მიმართებით, არამედ განცხადების შეტანის გზით, რომელიც შეიცავს სასა-

მართლოსადმი მიმართულ თხოვნას იურიდიული მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ გარემოების დადგენის, ანდა უდავო უფლების დადასტურების შესახებ.

უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეებში არ არსებობს მხარეთა ინსტიტუტი, არ არიან მოსარჩელე და მოპასუხე, მესამე პირები, არ არის სარჩელი და უფლების დაცვის სასარჩელო ფორმისათვის დამახასიათებელი ინსტიტუტები, არ შეიძლება შეგებებული სარჩელის წაყენება, მორიგება. ამ კატეგორიის საქმეებზე არ მოქმედებს ისეთი ინსტიტუტები, როგორცაა: სარჩელზე უარის თქმა, სარჩელის აღიარება, სარჩელის უზრუნველყოფა.

უდავო წარმოების წესით განსახილველ ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენა. სანამ გადავიდით იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის წესსზე, ამ კატეგორიის საქმეთა თავისებურებებზე, აუცილებელია გაირკვეს, თუ რას წარმოადგენს იურიდიული ფაქტები, რა შემთხვევაში შეიძლება მათი სასამართლო წესით დადგენა.

იურიდიული ფაქტები (ან იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები) – ესაა ისეთი გარემოებები, რომელთა არსებობას ან არარსებობას მოქმედი კანონმდებლობა უკავშირებს განსაზღვრული სამართლებრივი შედეგების დადგომას, კერძოდ, მოქალაქეთა და ორგანიზაციათა პირადი ან ქონებრივი უფლებების წარმოშობას,

შეცვლას ან შეწყვეტას. მაგ., მოქალაქის გარდაცვალება, როგორც იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი, იწვევს ქორწინების შეწყვეტას, თუ იგი დაქორწინებულია, მემკვიდრეობის გახსნას და სხვა სამართლებრივ შედეგებს.

მოქმედი კანონმდებლობით ზოგიერთი ფაქტი, რომელზედაც დამოკიდებულია მოქალაქეთა ან ორგანიზაციათა პირადი და ქონებრივი უფლებების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა, მოწმდება დოკუმენტებით, რომელთაც გასცემს შესაბამისი ორგანო. მაგ., ისეთი იურიდიული ფაქტები, როგორცაა დაბადება, გარდაცვალება, ქორწინება, განქორწინება და სხვა, რეგისტრირდება სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში (სარო) და მოწმდება ამ ორგანოს მიერ შესაბამისი მოწმობის გაცემით. მაგრამ, ესა თუ ის იურიდიული ფაქტი შეიძლება ყოველთვის ვერ იყოს დამოწმებული შესაბამისი დოკუმენტით: დოკუმენტები შეიძლება განადგურდეს, დაიკარგოს და მათი აღდგენა იყოს შეუძლებელი; ესა თუ ის ფაქტი (მაგ., გარდაცვალების ფაქტი) შეიძლება თავის დროზე არ იქნას რეგისტრირებული.

მსგავს შემთხვევებში წარმოიშობა საკითხი იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ. ამგვარი ფაქტების დადგენა, უპირველეს ყოვლისა, შესაძლებელია ადმინისტრაციული წესით ანუ იმ ორგანოებში, რომლებსაც აკისრიათ ამა თუ იმ ფაქტების რეგისტრაცია შესაბამისი დოკუმენტების გაცემით. ზოგჯერ ეს პროცესი დაკავშირებულია მოწმეთა დაკითხვის აუცილებლობასთან, იმ დოკუმენტების შეგროვებასთან და შემოწმებასთან, რომლებიც მოწმობენ აღნიშნული ფაქტის არსებობას, და სხვა მტკიცებულებებთან. ამ შემთხვევაში იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენა სასამართლოს პრეროგატივაა. სანამ გაირკვევა ფაქტის დადგენის სასამართლოსადმი ქვემდებარობის საკითხი, მოსამართლემ უნდა გაარკვიოს, აღნიშნული ფაქტი იწვევს თუ არა რაიმე სამართლებრივ შედეგებს. ანუ არის თუ არ ეს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი. მოსამართლემ ასევე უნდა გაარკვიოს, ხომ არ ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა აღნიშნული ფაქტის სხვაგვარ, არასასამართლო წესით დადგენას. თუ ამგვარი ფაქტის დადგენა შესაძლებელია ადმინისტრაციული წესით, მო-

სამართლე არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ განცხადებაზე უარის თქმით იმის გამო, რომ საქმე სასამართლოს არ ექვემდებარება, არამედ იგი ვალდებულია აუხნას განმცხადებელს, თუ რომელ ორგანოს უნდა მიმართოს მან.

საქმის აღძვრის დროს უნდა დადგინდეს, რომ განმცხადებელს არ გააჩნია სხვა შესაძლებლობა მიიღოს ან აღადგინოს დაკარგული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს იურიდიულ ფაქტს. განცხადების მიღებისას მოსამართლე არკვევს ფაქტის დადგენის მიზანს და განმცხადებლისაგან მოითხოვს წერილობით მტკიცებულებას, რომელიც ადასტურებს დაკარგული დოკუმენტის აღდგენის ან სხვაგვარად მიღების შეუძლებლობას.

იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენას ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლი. აღნიშნული მუხლის თანახმად სასამართლო განიხილავს საქმეებს:

ა) პირთა ნათესაური კავშირის დადგენის შესახებ;

ბ) პირის კამყოფაზე ყოფნის ფაქტის დადგენის შესახებ;

გ) დაბადების, შვილად აყვანის, ქორწინების, განქორწინებისა და გარდაცვალების რეგისტრაციის ფაქტების დადგენის შესახებ;

დ) უფლების დამდგენი საბუთის იმ პირისადმი კუთვნილების ფაქტის დადგენის შესახებ, რომლის სახელი, მამის სახელი ან გვარი, რაც საბუთებშია აღნიშნული, არ ემთხვევა მის პასპორტში ან დაბადების მოწმობაში აღნიშნულ სახელს, მამის სახელს ან გვარს;

ე) საკუთრების უფლებით ნივთის ფლობის ფაქტის დადგენის შესახებ;

ვ) უბედური შემთხვევის ფაქტის დადგენის შესახებ;

ზ) პირის გარკვეულ დროსა და გარკვეულ ვითარებაში გარდაცვალების ფაქტის დადგენის შესახებ, თუ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანომ უარი თქვა გარდაცვალების ფაქტის რეგისტრაციაზე;

თ) მემკვიდრეობის მიღების ფაქტისა და მემკვიდრეობის გახსნის ადგილის დადგენის შესახებ;

ი) იურიდიული მნიშვნელობის მქონე სხვა ფაქტების დადგენის შესახებ, თუ კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მათი დადგენის სხვა წესს.

სასამართლო წესით პირთა ნათესაური კავშირის დადგენა ხდება ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც იგი უშუალოდ ბაღებს იურიდიულ შედეგებს და როდესაც ნათესაური კავშირის დადგენა შეუძლებელია შესაბამისი დოკუმენტებით. პირთა ნათესაური კავშირის დადგენის ფაქტის შესახებ გადაწყვეტილებაში სასამართლომ უნდა მიუთითოს ნათესაობის რომელ ხარისხში იმყოფება განმცხადებელი შესაბამის პირთან, ხოლო თუ ლაპარაკია ნათესაური კავშირის დადგენის შესახებ მეორე რიგის მემკვიდრეთა შორის, აღნიშნავს პირველი რიგის შესაბამისი მემკვიდრეების არსებობას.

ნათესაური კავშირი ბაღებს იურიდიულ შედეგებს. ყოველგვარი ნათესაური კავშირი არ წარმოადგენს იურიდიული შედეგების დადგომის საფუძველს. მემკვიდრეობის მისაღებად ნათესაური კავშირის დადგენისას სასამართლოებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ ნათესავთა წრეზე, რომელიც სამოქალაქო კანონმდებლობით არის დადგენილი. პენსიის დანიშვნისას, ნათესაური კავშირის დადგენისას უნდა ვიხელმძღვანელოთ გარდაცვლილის ოჯახის წევრთა წრიდან, რომელიც საპენსიო კანონმდებლობით არის გათვალისწინებული. ამ კატეგორიის საქმეების განხილვისას სასამართლოს უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს დაინტერესებულ პირთა მოწვევა საქმეში მონაწილეობისათვის. სასამართლო სხდომაზე მოსამართლემ საგულდაგულოდ უნდა შეამოწმოს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებანი, რომლებიც ადასტურებენ ნათესაური კავშირის არსებობის ფაქტს. მტკიცებულებათა სახით გამოიყენება დოკუმენტები, პირადი მიმოწერა, მოწმეთა ჩვენება. სასამართლო გადაწყვეტილებაში უთითებს, ნათესაური კავშირის რა ხარისხში იმყოფება განმცხადებელი შესაბამის პიროვნებასთან.

კმაყოფაზე ყოფნას შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს მემკვიდრეობის მისაღებად, პენსიის დასანიშნად და ა.შ. თავად კმაყოფაზე ყოფნის ფაქტი რეგისტრაციას არ ექვემდებარება, ამიტომ შეიძლება წარმოიშვას მისი სპეციალურად დადგენის აუცილებლობა. დოკუმენტური მონაცემების არარსებობის ან შესაბამისი ორგანოების მიერ აუცილებელი დოკუმენტების გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში ეს ფაქტი შეიძლება

დადგინდეს სასამართლო წესით. განცხადების მიღებისას, მოსამართლე პირველ რიგში არკვევს, აქვს თუ არა კმაყოფაზე ყოფნის ფაქტს მოცემულ მომენტში იურიდიული მნიშვნელობა. კმაყოფაზე ყოფნის იურიდიული ხასიათი დამოკიდებულია კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის დადგენის მიზანზე: პენსიის დანიშვნაზე, მემკვიდრეობის მიღებაზე ან მარჩენალის გარდაცვალების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურებაზე.

პენსიის მიღების უფლების წარმოშობისათვის კმაყოფაზე ყოფნა იურიდიულ მნიშვნელობას იძენს, თუ კმაყოფაზე ყოფი პირი იყო გარდაცვლილი მარჩენალის ოჯახის წევრი და მარჩენალის გარდაცვალების მომენტისათვის იყო შრომისუნარო (ცალკეული გამონაკლისების გარდა). კმაყოფაზე ყოფნის ვადას მნიშვნელობა არა აქვს.

მემკვიდრეობაზე უფლების წარმოსაშობად კმაყოფაზე ყოფნას შეიძლება ჰქონდეს იურიდიული მნიშვნელობა.

ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს 1964 წლის სამოქალაქო კოდექსის 544-ე მუხლი მიუთითებდა, რომ კანონისმიერი მემკვიდრეების წრეს ეკუთვნის არაშრომისუნარიანი პირები, რომლებიც სამკვიდროს დამტოვებლის რჩენაზე იყვნენ არა ნაკლებ ერთი წლისა მის სიკვდილამდე.

რაც შეეხება ახალ სამოქალაქო კოდექსს, იგი არაშრომისუნარიან პირებს კანონისმიერი მემკვიდრეების წრეს არ მიაკუთვნებს. სამოქალაქო კოდექსის 1338-ე მუხლის თანახმად არაშრომისუნარიან პირებს, რომლებიც მამკვიდრებლის რჩენაზე იყვნენ და დამოუკიდებლად თავის შენახვა არ შეუძლიათ, თუ მათ შესახებ ანდერძში მითითებული არ არის, უფლება აქვთ მოითხოვონ სარჩო (ალიმენტი) სამკვიდროდან.

კმაყოფაზე ყოფნის შესახებ ფაქტის დადგენისას მხედველობაშია მისაღები, რომ გარდაცვლილის ოჯახის წევრები ითვლებიან მის კმაყოფაზე ყოფი პირებად, თუკი ისინი იმყოფებოდნენ მის სრულ კმაყოფაზე ანდა ღებულობდნენ მისგან დახმარებას, რომელიც მათი მუდმივი და საარსებო წყარო იყო. თუ განმცხადებელს გააჩნია ხელფასი, ღებულობს პენსიას, სტიპენდიას და ა.შ. საჭიროა გაირკვეს, იყო თუ არა მარჩენალის მხრიდან დახმარება განმცხადებლის მუდმივი და ძირითადი საარსებო წყარო. თუ ასეთი დახმარება განმცხადებლის მუდმივ და ძირითად

წყაროს წარმოადგენდა, მაშინ მას შეიძლება დაენიშნოს პენსია.

ზიანის ასანაზღაურებლად კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის დადგენისას, სასამართლოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ის გარემოება, რომ კანონის თანახმად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არ არის დაკავშირებული მარჩენალსა და კმაყოფაზე მყოფ პირს შორის არც ნათესაური კავშირსა და არც კმაყოფაზე ყოფნის ვადის ხანგრძლივობაზე.

სასამართლო განიხილავს ასევე საქმეებს დაბადების, შვილად აყვანის, ქორწინების და გარდაცვალების რეგისტრაციის ფაქტის დადგენის შესახებ. აქ აუცილებელია ყურადღება მიექცეს იმას, რომ აღნიშნულ შემთხვევაში საუბარია არა თავად დაბადების, ქორწინების და ა.შ. ფაქტის დადგენაზე, არამედ მათ რეგისტრაციაზე სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში. სასამართლოები მოცემულ ფაქტს აღგენენ, თუკი: ა) სარო-ში შემონახული არ არის შესაბამისი ჩანაწერი და ასეთი ჩანაწერის აღდგენაზე პირს უარი ეთქვა; ბ) შესაბამისი ჩანაწერი შეიძლება აღდგეს სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის ფაქტის დადგენის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.

ქორწინების რეგისტრაციის ფაქტის დადგენის შესახებ განცხადებით სასამართლოს შეიძლება მიმართოს ორივე მეუღლე. თუკი სასამართლოში ასეთი განცხადება შეიტანა ერთ-ერთმა მეუღლემ, მაშინ მეორე მეუღლე სასამართლოში ჩაებმება დაინტერესებულ პირად.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1124-ე მუხლის თანახმად, სარო-ში ერთ-ერთი მეუღლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით განქორწინება დაიშვება იმ მეუღლეებს შორის, რომელთაც არ ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები და შეაქვთ ერთობლივი განცხადება განქორწინების შესახებ. განცხადებაში მეუღლეები მოვალენი არიან დაადასტურონ არამარტო ურთიერთთანხმობა, არამედ ისიც, რომ მათ არ ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები და არა აქვთ ქონებრივი დავა.

გარდაცვალების ფაქტის რეგისტრაციის დადგენა უნდა განვასხვავოთ განსაზღვრულ დროში პირის გარდაცვალების ფაქტისაგან. პირველ შემთხვევაში საუბარია სასამართლოსაგან გარ-

დაცვალების რეგისტრაციის შესახებ დოკუმენტის მიღების ან აღდგენის შეუძლებლობაზე. მეორე შემთხვევაში კი სარომ უარი განაცხადა გარდაცვალების ფაქტის რეგისტრაციაზე, რამაც გამოიწვია განმცხადებლის მიმართვა სასამართლოსადმი.

სასამართლო განხილავს ექვემდებარება ისეთი საქმეები, როგორცაა უფლების დამდგენი საბუთის იმ პირისადმი კუთვნილების ფაქტის დადგენა, რომლის სახელი, გვარი, მამის სახელი, რაც საბუთებშია აღნიშნული არ ემთხვევა მის პასპორტში ან დაბადების მოწმობაში აღნიშნულ სახელს ან გვარს, დაკავშირებულია შეცდომის დადგენასთან, რომელიც უკვე აღარ შეიძლება გამოსწორდეს ამ დოკუმენტის გამცემი ორგანოს მიერ. ამასთან დაკავშირებით სასამართლომ უნდა მოსთხოვოს განმცხადებელს მტკიცებულებათა წარმოდგენა იმის შესახებ, რომ უფლების დამდგენი დოკუმენტი ეკუთვნის მას და რომ ამ დოკუმენტის გამცემ ორგანოს არ შეუძლია შეიტანოს მასში შესაბამისი შესწორება.

საკუთრების უფლებით ნივთის ფლობის ფაქტის დადგენა სასამართლოს მიერ ხორციელდება, თუკი განმცხადებელმა დაკარგა უფლების დადასტურებელი დოკუმენტი და აღნიშნული ფაქტი არ შეიძლება, რომ დადასტურდეს, დამტკიცდეს არა სასამართლო წესით. მაგ., შენობის ფლობის ფაქტი საერთო წესის მიხედვით ღვინდება ადმინისტრაციული წესით. თუკი მოქალაქეს არ გააჩნია საბუთები, რომელიც ადასტურებს მის მიერ ნაგებობის ფლობას საკუთრების უფლებით, მაშინ მას შეუძლია მოწმეთა ჩვენებების, წერილობითი მტკიცებულებების მეშვეობით დაამტკიცოს, რომ ნაგებობაზე შესაბამისი დოკუმენტები მას გააჩნდა და მიმართავს სასამართლოს განცხადებით საკუთრების უფლებით ნაგებობის ფლობის ფაქტის დადგენის შესახებ. განცხადებაში ასევე უნდა იყოს მითითებული მტკიცებულებანი განმცხადებლის მიერ შესაბამისი დოკუმენტის მიღების შეუძლებლობის ანდა ამ დოკუმენტის აღდგენის შეუძლებლობის შესახებ. ამ შემთხვევაში სასამართლოს მიერ ხდება შესაბამისი დოკუმენტების არსებობის ფაქტის დადგენა და არა საკუთრების უფლების დადგენა.

სასამართლო წესით შესაძლებელია უბედური შემთხვევის ფაქტის დადგენა. აღნიშნულ შემთხ-

ვევაში საქმე ეხება წარმოებაში მომხდარ უბედურ შემთხვევას. ამგვარი შემთხვევების დადგენის წესი დარეგულირებულია დებულებით წარმოებაში მომხდარ უბედურ შემთხვევათა გამოძიებისა და აღრიცხვის შესახებ. აღნიშნული დებულების თანახმად, კონტროლს უბედური შემთხვევების სწორად და დროულად გამოძიებაზე ახორციელებენ შრომის ტექნიკური ინსპექციები. თუკი დაზარალებულმა მიიღო უარი აღმინისტრაციისაგან უბედური შემთხვევის შესახებ აქტის შედგენაზე ანდა სხვა ოფიციალური დოკუმენტის გაცემაზე იმ მოტივით, რომ ფაქტი არ დადასტურდა, მაშინ მას შეუძლია მიმართოს განცხადებით სასამართლოს მოცემული ფაქტის დადგენის თაობაზე.

იურიდიული მნიშვნელობა გააჩნია მხოლოდ იმ უბედურ შემთხვევას, რომელმაც გამოიწვია შრომითი ტრამეები. აღნიშნული ფაქტის დადგენისას სასამართლო არ განსაზღვრავს შრომისუნარიანობის დაკარგვის მიზეზებსა და ხარისხს, ინვალიდობის მიზეზს, ჯგუფსა და დადგომის დროს. აღნიშნული ფაქტების დადგენა საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების პრეროგატივაა.

სასამართლოები უდავო წარმოების წესით განიხილავენ საქმეებს პირის გარკვეულ დროსა და გარკვეულ ვითარებაში გარდაცვალების ფაქტის დადგენის შესახებ, თუ სარომ უარი თქვა გარდაცვალების ფაქტის რეგისტრაციაზე. საქმის აღძვრა ხდება დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, რომელმაც სასამართლოში უნდა წარადგინოს დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ საროს მიერ გარდაცვალების ფაქტის რეგისტრაციაზე უარის თქმას. გარდაცვალების ფაქტი საროში რეგისტრირდება გარდაცვლილის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ამგვარი რეგისტრაციისას აუცილებელია, რომ დაინტერესებულმა პირმა წარმოადგინოს იმ სამედიცინო დაწესებულების ცნობა, რომელმაც დაადასტურა გარდაცვალება. თუმცა ეს ყოველთვის არ არის შესაძლებელი, თუ არ არის სახეზე ცხედარი; მაგ., ადამიანი ჩაიძირა წყალში მოწმეთა თვალწინ, მაგრამ ცხედარი ვერ აღმოაჩინეს; ადამიანთა ჯგუფი იმყოფებოდა თვითმფრინავში, რომელიც საომარი მოქმედებების დროს ჩამოაგდეს და დაიწვა მთლიანად მგზავრებთან ერთად; სანაუთობო დანადგარის აფეთქების შედეგად დასახინჩრდნენ და მთლიანად დაიწვნენ სამი მომ-

სახურე მუშაკი და ა.შ. ყველა მსგავს შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია პირის გარდაცვალების ფაქტის დადგენა წერილობითი მტკიცებულებების საფუძველზე, როგორცაა უბედური შემთხვევის აქტი, მოწმეთა ჩვენება, ექპერტის დასკვნა და სხვა. გარდაცვალების თარიღად ითვლება სასამართლოს მიერ დადგენილი გარდაცვალების ფაქტის დღე. გარდაცვალების ფაქტის რეგისტრაციისას გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მითითებულია: სარო-ს რომელი ორგანოს მიერ იყო რეგისტრირებული გარდაცვალება, რეგისტრაციის დრო.

განცხადება მემკვიდრეობის მიღების ფაქტისა და მემკვიდრეობის გახსნის ადგილის დადგენის შესახებ სასამართლომ შეიძლება განიხილოს უდავო წარმოების წესით, თუკი სანოტარო მოქმედებათა განმხორციელებელმა ორგანომ უარი უთხრა განმცხადებელს სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე იმასთან დაკავშირებით, რომ განმცხადებელს არ გააჩნია დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ სამკვიდრო ქონების ფაქტობრივ მფლობელობაში მიღების ფაქტს ანდა ასეთი დოკუმენტები არ არის საკმარისი. სამოქალაქო კოდექსის 1412-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო. მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების დამადასტურებელ მტკიცებულებებს სანოტარო ორგანოსათვის წარმოადგენს გადასახადების გადახდის შესახებ ქვითრები, საბინაო-საექსპლოატაციო ორგანიზაციების მიერ გაცემული ცნობები და სხვა დოკუმენტები. თუკი ყველა საჭირო დოკუმენტი წარმოდგენილია, მაგრამ სანოტარო ორგანო უარს ამბობს სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე, მაშინ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს არა განცხადებით მემკვიდრეობის მიღების ფაქტისა და სამკვიდროს გახსნის ადგილის დადგენის შესახებ, არამედ საჩივრით სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ.

სსსკ 312-ე მუხლში მოცემული იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების შესახებ

ჩამონათვალი არ არის ამამწურავი. სასამართლოს შეუძლია დაადგინოს იურიდიული მნიშვნელობის მქონე სხვა ფაქტებიც. მაგ., პაის ფლობის ფაქტი, ავტომობილის, სხვა ქონების ფლობის ფაქტი, რომელიც ექვემდებარება რეგისტრაციას იმ ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში, რომლის სახელზეც იყო ქონება რეგისტრირებული, ერთ-ერთი მეუღლის სახსრებით ნაგებობის აშენების ფაქტი, თუ მეუღლეები ოფიციალურად განქორწინებულები არ არიან, მაგრამ ფაქტობრივად ცალ-ცალკე ცხოვრობენ, თუკი ეს გარემოება ხელს უშლის სახლის გაყიდვას; მამობის დადგენის ფაქტი, ასევე სხვა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები, თუკი არ არსებობს მათი დადგენის სხვა წესი.

განცხადება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ სასამართლოში შეიტანება განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. გამონაკლისია განცხადება საკუთრების უფლებით უძრავი ქონების ფლობის ფაქტის დადგენის შესახებ, რომელიც შეიტანება სასამართლოში უძრავი ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით. თუკი განმცხადებლად გამოდის ორგანიზაცია (იურიდიული პირი) მაშინ განცხადება შეიტანება ამ ორგანიზაციის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

სხვადასხვა ადგილას მცხოვრები პირების მიერ განცხადების შეტანის შემთხვევაში, განცხადება შეიტანება სასამართლოში მათი არჩევით ერთ-ერთის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

განცხადება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ უნდა პასუხობდეს სსსკ 178-ე მუხლის მოთხოვნებს. ამ მუხლში მოცემული ზოგადი რეკვიზიტების გარდა, განცხადებაში ასევე აღნიშნული უნდა იყოს: ა) რომელი ფაქტის დადგენაა აუცილებელი; ბ) ამ ფაქტის დადგენის მიზანი; გ) მტკიცებულებები, რომელიც ადასტურებს განმცხადებლის მიერ სათანადო საბუთების მიღების ან დაკარგული საბუთების აღდგენის შეუძლებლობას.

სსსკ 315-ე მუხლი ავალდებულებს განმცხადებელს, რომ მან წარმოადგინოს მტკიცებულებები,

რომელიც ადასტურებს განმცხადებლის მიერ სათანადო საბუთების მიღების ან დაკარგული საბუთების აღდგენის შეუძლებლობას. ამგვარი მტკიცებულებები შეიძლება იყოს, მაგ. სარო-ს შეტყობინება სამოქალაქო აქტის ჩაწერის არარსებობის შესახებ; წერილობითი უარი სამოქალაქო აქტის დაკარგული ჩანაწერის აღდგენის შესახებ მისი აღდგენის შეუძლებლობის მოტივით; დოკუმენტი, რომელშიც არის შეცდომა ან უზუსტობა და დოკუმენტის გამცემი ორგანოს წერილობითი უარი შეიტანოს დოკუმენტში შესაბამისი შესწორებანი და სხვა.

სსსკ 203-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვისათვის საქმის მომზადების დროს, მოსამართლეს, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია მოითხოვის დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა და განახორციელოს საქმის განხილვის მომზადებასთან დაკავშირებული სხვა მოქმედებანი.

იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ საქმეები სასამართლომ უნდა განიხილოს სსსკ 312-316 მუხლებით დადგენილი წესების მიხედვით. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება ფაქტის დადგენის შესახებ, რომელიც რეგისტრირებული უნდა იყოს სარო-ში ან სხვა ორგანოში, ასეთი რეგისტრაციისა და გაფორმების საფუძველია, მაგრამ ვერ ცვლის ამ ორგანოების მიერ გასაცემ დოკუმენტებს.

თუკი იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ საქმის განხილვის დროს წამოიჭრება დავა ისეთი უფლებების შესახებ, რომელიც სასამართლოს უწყებრივად ექვემდებარება ანდა თვითონ სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ მოცემულ საქმეში ფაქტის დადგენა დაკავშირებულია უფლების თაობაზე დავის სასამართლო წესით გადაწყვეტის აუცილებლობასთან, ასეთ შემთხვევაში სასამართლო განცხადებას განუხილველად დატოვებს და დაინტერესებულ პირებს განუმარტავს, რომ მათ უფლება აქვთ წარმოადგინონ სარჩელი საერთო საფუძველზე.

ლავითი იმნაძე,
 თსუ სამოქალაქო სამართლის
 კათედრის ასპირანტი.

სისხლის სამართალი, კრიმინოლოგია

ჯემალ ჯანაშია

ნარკოტიკებზე მსოფლიო კონტროლის სისტემის ჩამოყალიბება

„ამ პრობლემას სათავეში უნდა ვებრძოლოთ“.

გაეროს სტრატეგიული
მოხსენებიდან

§1. ბრძოლი და მიმდინარე თანხმობისაკენ

სტატიაში გამოკვლეული და გაანალიზებულია ის საუკუნოვანი გზა, რომელიც მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნებმა 1909 წლის შანხაის პირველი კონფერენციიდან. 1988 წლის ვენის კონფერენციამდე გაიარა. შთამბეჭდავია ამ პერიოდში ნარკოტიკებით ვაჭრობასთან ჭიდილში დახარჯული დრო, ენერგია და მაინც, გაწეული მრავალმხრივი მუშაობის მიუხედავად, ჯერჯერობით ვერ ხერხდება ამ პრობლემის გადასაჭრელად ერთიანი საერთაშორისო თანხმობის მიღწევა.

მჭიდრო მთავრობათშორისი თანამშრომლობის გარეშე ბრძოლა გამოცდილ კრიმინალურ ორგანიზაციებთან, ფაქტობრივად მსოფლიოში ნარკოტიკების უკანონო გადაზიდვის მონოპოლისტებთან, იმის მცირე იმედს გვიტოვებს, რომ ნებისმიერი ქვეყნის მთავრობამ დამოუკიდებლად შეძლოს ნარკოტიკების გავრცელების აღკვეთა.

1990 წლის გაეროს გენერალური ასამბლეის მე-17 საგანგებო სესიაზე ნარკოტიკების უკანონო ვაჭრობით მიღებული ყოველწლიური სარგებელი 500 მლრდ აშშ დოლარით შეფასდა, რომელიც მსოფლიო ვაჭრობაში ადგილს მხოლოდ შეიარაღებისათვის დახარჯულ თანხას უთმობდა.¹

დღესდღეობით მსოფლიოს ყველა ქვეყნისა და საერთაშორისო ორგანიზაციისათვის ნარკოტიკების საკითხი უპირველესია მათი მუშაობის დღის წესრიგში მშვიდობის განვითარების, გარემოს დაცვისა და სხვა სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხთა გვერდით.

მისი მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ ნარკოტიკების უკანონო ტრანსპორტირება მრავალმხრივ საშიშროებას უქმნის ქვეყნის ძირითად ინსტიტუციონალურ მოწყობას, არაიშვიათად, სახელმწიფოს სტაბილურობას, მთავრობათშორის დამოკიდებულებას და თვით ხალხის კეთილდღეობასაც კი.

ნარკოტიკების უკანონო ტრანსპორტირება ოპერაციათა რთული ჯაჭვია დაწყებული ნარკოტიკების მწარმოებლიდან მისი მომხმარებლით დამთავრებული. ჯაჭვი, რომელიც იშვიათად შემოიფარგლება ერთი ნებისმიერი სუვერენული ქვეყნის საზღვრებით – ხშირად ერთი ქვეყნის პროდუქცია მეორეში ნარკოტიკულ თუ ფსიქოტროპულ ნივთიერებად გარდაიქმნება, რათა მომხმარებლამდე საბაზრო ან განაწილებული ქსელებით მიაღწიოს.

ამოგებული სარგებელი თითქმის ყველა სტუმართმოყვარე ქვეყანაში ინვესტირდება.

მრავალი მილიარდი დოლარის მომცველი ეს არალეგალური ბნელი ბიზნესი კრიმინალური სინდიკატების კონტროლქვეშ იდგამდა ფესვებს და რამდენადაც ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობის სფერო და გავლენა საშიშ სიდიდემდე იზრდე-

¹ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოხსენება 1990 წლის 20 თებერვალს, გენერალური ასამბლეის მე-17 მოწვევის საგანგებო სესიის ღია სხდომაზე, A/S _ 17/PV1.

ბოდა, იგი იმდენად მეტად ექცეოდა საყოველთაო ყურადღების ცენტრში.

უდიდესმა სარგებელმა მოიხსიდა პოლიტიკური ელიტა და ეკონომიკური ნათლიმამები, კორუმპირებული მთავრობები და სახელმწიფო აპარატი.²

უკანასკნელ ათასწლეულში მსოფლიო წესრიგისათვის ნარკოტიკები უკვე მრავალსაქეტიანი პრობლემა გახდა – მისმა ბოროტად გამოყენებამ და ტრანსპორტირებამ მრავალი ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროზე მოახდინა გავლენა, რის გამოც ბოლო საუკუნის მთელ პერიოდში ყოველი პროგრესული საზოგადოება ცდილობდა ქვეყნებს შორის ისეთი ეფექტური ჩარჩოებისა და მექანიზმების შექმნას, რომ შესაძლებელი გამხდარიყო ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობისაგან თავდაცვა.

მაგრამ ეს უაღრესად რთულად განსახორციელებელი საქმე გამოდგა. ბევრმა სახელმწიფომ, პირველ რიგში, დიდი ბრიტანეთმა, გააანალიზა, რომ მათი ეკონომიკის განვითარებაში დიდი წვლილი ოპიუმით ვაჭრობასაც შეეძლო შეეტანა, რის გამოც ინგლისის პრიორიტეტის ქვეშ მყოფ ჩრდილოეთში და სამხრეთ ჩინეთში დასაბამი მისცა ოპიუმის ყაყაჩოს მოშენებას – ადგილობრივი მოსახლეობის ოპიუმზე გაზრდილ მოთხოვნილებას ინდოეთი უკვე ვეღარ აკმაყოფილებდა. ჩინეთში ნარკოტიკების გაშენებამ და მისმა ინდუსტრიამ უდიდეს მასშტაბებს მიაღწია.³

ამას უდავოდ შეუწყო ხელი დასავლეთის ქვეყნების, პირველ რიგში კი, ინგლისის „ოპიუმის ომებში“ შეღარებით იოლმა გამარჯვებამ. შედეგად ჩინეთში ოპიუმის მომხმარებელთა რიცხვმა 100 მილიონს გადააჭარბა და მსოფლიო დიდი ჩინელი ერის კოლექტიური ინტოქსიკაციის მოწმე გახდა. ქვეყანა ოპიუმის ბოლში გაეხვია.⁴

² რ. გოდსონი, ჯორჯტაუნის უნივერსიტეტის პროფესორი, ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული სტრატეგიული კვლევის ცენტრის პრეზიდენტი, *ორგანიზებული დანაშაულის გაკლენა ეროვნულ უსაფრთხოებასა და ტრანსნაციონალურ სტაბილურობაზე*, კონფერენციის მასალები, გერმანია, გარმიშ-პარტენკირხენი, სექტემბერი, 1999 წ.

³ V. Berridge, *Opium and the People: Opiate Use in XIX England*, Yale University Press, 1987.

⁴ Jonathan Spencer. "Opium Smoking in Ching China", in, ed. Frederic Wakeman, Jr., and Carolyn Grant, *Conflict and Control in late Imperial China* (Berkeley and Los Angeles: University of California Press, 1975), 144-72.

სწორედ ოპიუმის მოწვევა იქცა ქვეყნის გარეთ, აზიის ტერიტორიაზე მცხოვრებ ჩინელთა კულტურის განუყოფელ ნაწილად. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ოპიუმის მოწვევა ფართოდ გავრცელდა ჩინურ სათვისტომოებში, განვითარდა ოპიუმის ფერმერთა სისტემა, რომელიც იავაზე და სინგაპურში მთლიანად აკმაყოფილებდა მწვეველთა მოთხოვნებს. ეს საწარმოები – ოპიუმის მცირე მონოპოლიები, რეგიონის პოლიტიკური ეკონომიკის შემადგენელი ნაწილი გახდა.

მალე ოპიუმი მთელ მსოფლიოს მოედო.

ოპიუმის ომების სახელწოდებით ცნობილი მოვლენების ანალიზის შედეგებით ვასკენი, რომ ნარკოტიკების ბოროტად გამოყენება და ვაჭრობა ტრანსეროვნული მოვლენაა, რომლის ეფექტიან კონტროლქვეშ მოსაქცევად, უპირველესად, მთავრობათა შორისი მჭიდრო თანამშრომლობაა საჭირო.

მოკლედ, მრავალი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ პლანეტა რაც შეიძლება სწრაფად უნდა გათავისუფლებულიყო ოპიუმის სენისაგან.

სწორედ ამისკენ მიაპყრობდა ეპისკოპოსი ჩარლზ ბრენტი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თეოდორ რუზველტის ყურადღებას; თუმცა ცხოვრებამ აჩვენა, რომ იმ ხანად კაცობრიობამ ეს ამოცანა უფრო გაიცნობიერა, ვიდრე განახორციელა.⁵

მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში სულ უფრო მეტად და მეტად დარწმუნდნენ, რომ საჭირო იყო ჩინეთის ოპიუმისაგან დახსნა, რადგან ქვეყანა სულ უფრო და უფრო სუსტდებოდა და დინასტიას გაქრობა ელოდა.

1911 წელს მოვლენები კიდევ უფრო გააღრმავა ჩინეთის სამოქალაქო ომმა, რომელმაც ნაწილებად დაშალა მსოფლიოში ოპიუმის უდიდესი მწარმოებელი და მომხმარებელი პირველი სახელმწიფო.

გარდა დიდი ბრიტანეთისა, მსოფლიოს სხვა ძლიერ სახელმწიფოებსაც გაუჩნდათ პოლიტიკური ინტერესები აღმოსავლეთ აზიაში, მათ შორის, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს.

⁵ Alexander C. Zabriskie, *Bishop Brent: Crusader for Christian Unity* (Philadelphia: The Westminster Press, 1948).

დაიწყო დასავლეთის გავლენა აზიაზე. ცალსახად მომზადდა საფუძველი ოპიუმის წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისო შეხვედრისათვის.

წინამდებარე ნაშრომში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება 1909 წელს შანხაიში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ თეოდორ რუზველტის ინიციატივით შემდგარ პირველ საერთაშორისო კონფერენციას, რომელიც *ოპიუმის შანხაის კონფერენციის* სახელწოდებითაა ცნობილი. მასში მსოფლიოს 13 ქვეყანამ მიიღო მონაწილეობა (*აშშ, ჩინეთი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ნიდერლანდი, პორტუგალია, ავსტრო-უნგრეთი, რუსეთი, იაპონია, სიამი და სპარსეთი*).

ამერიკელები და ჩინელები ევროპელებს ჯიუტად უტევდნენ, რომლებიც თავისი კოლონიური ინტერესების გამო ოპონირებას უკეთებდნენ და უარს ამბობდნენ შემოთავაზებულ წინადადებაზე – ოპიუმის კომერციის აკრძალვაზე. კონფერენციამ მაინც დააყენა მთავარი ფუნდამენტური პრინციპები: ნარკოტიკების კომერცია უნდა გაკონტროლებულიყო და ლიმიტირებული უნდა გამხდარიყო მედიცინისა და მეცნიერების საჭიროებისათვის და კიდევ ერთი – კონფერენციის უმთავრეს მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ოპიუმის, კერძოდ კი, მისი მოწვევა აღიარეს, როგორც პოლიტიკური და სოციალური პრობლემა.⁶

შეხვედრაზე არ გაიზიარეს ის მოსაზრება, რომ ოპიუმი *სამრეწველო საქონელია* და მას *ეკონომიკური* მნიშვნელობა აქვს.

კონფერენციაზე ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ, რომელსაც წარმოადგენდა ეპისკოპოსი ჩარლზ ბრენტი და შორეული აღმოსავლეთის ტროპიკულ დაავადებათა მკვლევარი, დოქტორი ჰამილტონ რაიტი, შანხაიში ოპიუმის წარმოების გაფართოებაში დიდი ბრიტანეთი დაადანაშაულა. ამერიკის შეერთებული შტატების ბრალდებით სწორედ დიდ ბრიტანეთს მიუძღოდა მთავარი წვლილი ჩინეთში ოპიუმთან დაკავშირებულ პრობლემებში.⁷

⁶ Carl A Trocki, *Opium and Empire: Chinese Society in Colonial Singapore, 1860-1910*, Ithaca: Cornell University Press, 1990.

⁷ Arnold H. Taylor, *American Diplomacy and the Narcotics Traffic, 1900-1939: A Study in International Humanitarian Reform* (Durham: Duke University Press, 1969), 47-82.

1911-1912 წლებში ჰააგის კონფერენციაზე ამჯერად დიდმა ბრიტანეთმა დაადანაშაულა ამერიკის შეერთებული შტატები ჩინეთისათვის *კაშინგტონის გავლენის* თავზე მოხვევისათვის. დიდმა ბრიტანეთმა კონფერენციაზე შემოიტანა პროექტი, რომელშიც შეეცადა მოეცა ფორმალური მონახაზი *ნედლეულისა და მზა ოპიუმის არალეგალური ტრანსპორტირების შემცირებისა და აღკვეთის* თაობაზე.⁸

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლების ამოცანა უფრო შორს მიდიოდა, კერძოდ, მათი სურვილი იყო კონფერენციის ჩარჩოებში *კოკაინისა და მორფინის* მოქცევა, ისინი მიღწეულითაც დაკმაყოფილდნენ. ჰააგის კონფერენციის გადაწყვეტილებათა რეალიზებას პირველმა მსოფლიო ომმა შეუშალა ხელი.

სულ მალე ომი გახდა ნარკოტიკების მასტიმულირებელ და აღმზნებ საშუალებად გამოცხადების მძლავრი იმპულსი, რომელიც მის მსოფლიო წარმატებას აიოლებდა, მკვეთრად გაზარდა წარმოება და ფართო გზა გაუხსნა სამხედრო ფარმაკოთერაპიაში. *ცის გმირები* (1914-1918 წლებში), ისევე როგორც მესამე რეიხის მომავალი მარშალი ჰერმან გერინგი მას შესანიშნავ რეკლამას უკეთებდნენ.

1920-იანი წლების დასაწყისამდე *გერმანიის, პოლანდიისა და იაპონიის* უდიდესი *ლაბორატორიები* ნარკოტიკებს ასეული ტონობით აწარმოებდნენ.

1925 წელს *ჟენევის* ოპიუმის მეორე კონფერენციის შემდეგ მსოფლიოს ყურადღება კვლავ ამ პრობლემის ირგვლივ კონცენტრირდება: ქვეყნები, რომელთაც ნარკოტიკების წინააღმდეგ მიმართულ აქციებთან ჰქონდათ შეხება, კვლავ უშედეგოდ ითხოვდნენ კოკაინის წარმოების წინააღმდეგ ადეკვატური ზომების მიღებას, რასაც ნიდერლანდებისა და სხვა ქვეყნების მთავრობები პრინციპულად ეწინააღმდეგებოდნენ.

ერთა ლიგამ განაგრძო ძაწე ნარკოტიკების ლიმიტირების სისტემის ძიება და „*ნარკოტიკების მწარმოებელთა საერთაშორისო კარტელის*“ შექმნის იდეა წამოაყენა.

⁸ Great Britain, Foreign Office, *The Opium Trade, 1910-1941*, FO₄₁₅: Correspondence Respecting Opium, 6 vols, (Wilmington, DE: Scholarly Resources, 1974), 2 : v, January-June, 1912, no.81.

იდეა მაშინვე აიტაცა მსოფლიოს ქვეყნების დიდმა ნაწილმა და 1921-31 წლებში იგი ინტენსიურ კომერციულ მოლაპარაკებათა ცენტრში მოექცა.

მიუხედავად საბჭოთა კავშირისა და იაპონიის ფრონტალური ოპოზიციისა, *იუგოსლავების, პოლონელების, იტალიელების და ესპანელების ყოყმანისა*, ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა (*საფრანგეთი, გერმანია, შვეიცარია, დიდი ბრიტანეთი*) მაინც მიიღეს ოპიუმის შემცველთა საერთაშორისო კონვენცია. იგი ეფუძნებოდა საექსპორტო კვოტებს – ლეგალური კონტროლირებადი ვაჭრობის მსოფლიო სისტემის ნაირსახეობას.

ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის მასშტაბების ზრდაში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას მიძინარე საუკუნის 30-იან წლებს ვანიჭებ, სწორედ მაშინ, 1929-33 წლებში მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომელიც *ნარკოტიკებით სპეკულაციას* გარკვეულ მკაცრ შეზღუდვებს უწესებდა, ამან კი სახელმწიფოებს *საბაჟო ბარიერებს მიღმა* მოქმედებისაკენ უბიძგა.

დაიწყო კონტრაბანდის აღზევება.

ერთა ლიგის მიერ ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ მიმართულმა მკაცრმა ზომებმა და კარტელთა მიერ შეთანხმებით მიღწეულმა *ტარიფების ფიქსირებამ*, საქმოსნებისა და სახელმწიფო მოღვაწეთა ყურადღება მომგებიანი ნარკოტიკების ინდუსტრიისაკენ მიმართა.

ოპიუმის მწარმოებელი იუგოსლავია და თურქეთი, ასევე პოლონეთი თანამიმდევრობით ჩაერთო ალკალიოიდების ინდუსტრიის კონკურენციაში. ბუდაპეშტში *ყაყაჩოს ჩალიდან მორფინის* წარმოება დაიწყო. უნგრელებს წარმოებული პროდუქცია ავსტრიაში, ფინეთსა და ესტონეთში გაჰქონდათ.⁹

მაგრამ ამავე პერიოდში კარტელმა უკანონო კომერციის წინააღმდეგ ზეწოლა განახორციელა. ამას პირდაპირი შედეგები მოჰყვა – მისმა აქციამ 1930 წლის იანვრიდან 1933 წლის ოქტომბრამდე ოპიუმის *ნომინალური ფასი* 600

პროცენტამდე დააგდო, რამაც ახლო აღმოსავლეთის მრავალი მეწარმე გააკოტრა.

საერთაშორისო ორგანიზაციები და ქვეყანათა მთავრობები გამაბრუებელთა კონტროლისა და ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერებისათვის საჭირო ღონისძიებებს ახორციელებდნენ. მაგალითად, პოლიტიკოსებმა მხარი დაუჭირეს 1929 წელს ფილიპინებსა და აზიის სხვა ქვეყნებში (*ჩინეთის გარდა*) ლიგის კომისიის ვიზიტს, რომლის მიზანიც ოპიუმის მოწევის მავნებლობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება იყო. ლიგის წევრმა ქვეყნებმა უკმაყოფილება გამოთქვა იაპონიის ხელისუფლების მიერ *კვანტუნის* არმიის გათავისუფლებულ ტერიტორიაზე განხორციელებულ ღონისძიებათა შეფასებისას.

იაპონიის ხელისუფლება მცდარ ინფორმაციას ავრცელებდა ამ ტერიტორიაზე ნარკოწარმოების შესახებ. როგორც მოგვიანებით, ლიგის ვიზიტის დროს გაირკვა, ამ ტერიტორიაზე სიტუაცია გაცილებით უფრო მძიმე იყო, ვიდრე ეს ანგარიშში ჩანდა.¹⁰

იმის გამო, რომ წარმოების შეზღუდვის შესახებ მიღებული კონვენციის გადაწყვეტილებები სათანადოდ არ სრულდებოდა, ლიგის საბჭომ 1931 წლის ნოემბერში ბანგკოკში მოიწვია კონფერენცია *დევიზით* – ოპიუმის მწეველთა რაოდენობის შემცირება.

კონფერენციის მუშაობაში არ მონაწილეობდა ჩინეთი, რამაც კონფერენციაზე იქონია ზეგავლენა.

ბანგკოკის შემდეგ აზიის სიტუაციის განსახილველად პოლიტიკოსები იძულებულნი გახდნენ კიდევ რამდენჯერმე მისხდომოდნენ მოლაპარაკებათა მაგიდას – ჯერ ვაშინგტონში, შემდეგ კი ლონდონში.

განვითარებულმა მოვლენებმა, რა თქმა უნდა, შეცვალა მსოფლიო ქვეყნების ნარკოპოლიტიკა. ნათელი გახდა, რომ ოპიუმზე მკაცრი კონტროლის განხორციელებას მხოლოდ ის ქვეყანა შეძლებდა, რომელიც ნარკოტიკებზე ეკონომიკურად არ იყო დამოკიდებული. ჩინეთის პოლიტიკურ ეკონომიკაში ოპიუმი ბატონობდა, რასაც მეორე მსოფლიო ომის მიჯნაზე იაპონიის მილიტარის-

⁹ A.A. Block, *European Drug traffic and its consequences*, in *Journal of Social History*, vol 23, n⁰², Winter 1989.

¹⁰ Johnson to Stanley K. Hornbeck, 31 May 1934. Nelson T. Johnson Papers, General Correspondence, Box 23, Manuscript Division, Library of Congress, Washington, D.C.

ტულმა პოლიტიკამაც შეუწყო ხელი. ასეთი სტრატეგიით მანჯურიაში არალეგალური გზით სულ უფრო და უფრო დიდი რაოდენობით მორფინი შედიოდა. ჩინეთი თანდათან მოექცა იაპონიის ეკონომიკური გავლენის ქვეშ.¹¹

განხორციელებული კვლევის შემდგომ ვასაბუთებ, თუ რით იყო განპირობებული იმ წლებში იაპონიის ექსპანსიური პოლიტიკა.

ამისათვის ისტორიულ ფაქტებს ვეყრდნობი.

1868 წლიდან დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებზე დაწვევის მიზნით იაპონიაში ევროპის პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარების მოდელი აიღო. მოდელის ამ კოპირებამ იგი აიძულა ექსპანსიური პოლიტიკის გზას დადგომოდა, რომელიც იდეოლოგიურად, ადგილობრივი პირველადი მასალის რესურსების სიმცირის გამო, ნედლეულის სხვა ქვეყნებში მოპოვებას აკანონებდა.

ევროპული იმპერიალიზმის მსგავსად, იაპონური იმპერიალიზმის ერთ-ერთი მძლავრი ეკონომიკური ბერკეტი ნარკოტიკები გახდა.

ვერსალის ტრაქტატის თანახმად ტერიტორიული მატებით გაძლიერებული და გათამამებული იაპონია მორფინის ჩინური ბაზრის მთავარი მწარმოებელი გახდა.

შედეგი: 1915 წელს 45 კილოგრამიანი წარმოებიდან იაპონური მორფინის წარმოება 1921 წლისათვის 5 ტონამდე გაიზარდა. ამავე პერიოდში მკვეთრად დაეცა ჩინეთში ნარკოტიკების ინგლისური იმპორტი.

სამაგიეროდ, იაპონური ინდუსტრია მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული გახდა ოპიუმის იმპორტზე.

1932 წელს მანჯურიაში და 1941 წელს ჩინეთის სანაპიროზე შეიარაღებული შეჭრის წინ იაპონელებს უშუალოდ მხოლოდ ტაივანისა და კორეის ოპიუმზე მიუწვდებოდათ ხელი.¹² ამიტომ ისინი იძულებული გახდნენ ქვეყანაში გარედან შეეტანათ ოპიუმი, კერძოდ, თურქული, რომლის პროცენტული მაჩვენებელი სარეკორდო იყო

და ნაცვლად 11-12 პროცენტისა, 14 პროცენტ მორფინბაზას შეიცავდა.

იაპონიამ ნარკოტიკების ექსპორტის კიდევ ერთი ქსელი გააბა კალკუტასთან, სადაც 1920 წლის დასაწყისიდან იაპონელები ბენგალიის გადაუშუშავებელი ოპიუმის პირველ მყიდველებად გვევლინებოდნენ. ოპიუმის ჰერონად გადაშუშავება კობესა და ოსაკაზე მდებარე საიდუმლო ლაბორატორიებში ხდებოდა, საიდანაც ნარკოტიკები კენგაოში – შინდონგის დიდ პორტში იგზავნებოდა.

მიუხედავად ყველაფრისა, იაპონელები არ ცდილობდნენ ნარკოტიკების გავრცელების ოფიციალური ქსელების შექმნას. ჩინეთში დასავლეთიდან შემოტანილი ტექნიკის გამოყენებით და საოკუპაციო არმიასთან თანამშრომლობით ინტენსიურად ავითარებდნენ საიდუმლო, დახურულ ნარკოკომერციას, რასაც მათთვის მეტი მოგება მოჰქონდა.

ტაივანიდან შემოტანილი ოპიუმით, მორფინით და ჰერონით მოირწყა სუატოკა და ჰონკონგი, სადაც ტრიალებმა, სუსტი წინააღმდეგობების გაწვევის შემდეგ იაპონურ მმართველ წრეებთან თანამშრომლობა დაიწყო.

იაპონელი სპეკულანტები ასევე სარგებლობდნენ ძლიერი ევროპული ფირმების ლეგალური იმპორტის დიდი ნაკადით. 1925 წელს შვეიცარიის დიდი ფრმაკვევტული ფირმა სანდოზი ტონა ნახევრამდე მორფინის ექსპორტირებას ეწეოდა იაპონიაში.

1925 წელს ჟენევის კონვენციის შედეგად გაჩნდა რა ლეგალური ჰერონისა და მორფინის ნაკადის შეწყვეტის საფრთხე, იაპონელმა ქიმიკოსებმა საჭიროდ ჩათვალეს აღნიშნულ კონვენციასთან მიერთება. იაპონელი სტუდენტები ევროპაში (გერმანიაში) ჰერონის ინდუსტრიის შესასწავლად გაგზავნეს, ხოლო 1927 წელს სტამბოლში ჰერონის ფაბრიკა ააშენეს – “The Orient Products Co”, რომელიც აზიაში გაფანტული იაპონელი დისტრიბუტორების მოსამარაგებლად იყო განკუთვნილი.

დასავლეთის ნახევარსფეროში კი, ჰაავის კონვენციის გაფართოების თაობაზე, ამერიკის შეერთებული შტატების მცდელობას წინ აღუდგა პერუ და ბოლივია. ამ ქვეყნებში ჩამოყალიბდა აზრი, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატები მათი

¹¹ William O. Walker III. U.S.Narkotics Foreign Policy in The Twentieth Century: An Analytical Overview. Westview Press. Boulder. San Francisco. Oxford. 1944, 7-39.

¹² William O. Walker III, Opium and Foreign policy: The Anglo-American Search for Order in Asia, 1912-1954 (Chapel Hill:University of North Carolina Press, 1991), 13-19.

ქვეყნების შინაურ პოლიტიკაში ერეოდა, კერძოდ, ტრადიციული კოკაინის წარმოებაში და მაინც, ნარკოტიკების მსოფლიო ისტორიაში შანხაის 1909 წლის, ჰააგის 1912 წლის და ჟენევის 1925 წლის კონფერენციები წინადადებული ნაბიჯი იყო ნარკოტიკებთან ბრძოლის საქმეში. ისინი ოპიუმით ვაჭრობის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ნებას გამოხატავდა და გარკვეულ ვალდებულებასაც კისრულობდა. კერძოდ, კონფერენციებმა დააკანონა საბაჟო სამსახურის როლი ოპიუმის იმპორტ-ექსპორტის კონტროლის საქმეში.

საერთაშორისო საზოგადოებამ სწორედ 1920-46 წლებში ჩაუყარა საფუძველი იმ სამ მნიშვნელოვან დოკუმენტს, რომლებიც დღეს მოქმედი საერთაშორისო კონვენციების საფუძველია. ესენია:

– 1925 წლის საერთაშორისო კონვენცია ოპიუმის შესახებ;

– 1931 წლის კონვენცია ნარკოტიკულ ნივთიერებათა წარმოებისა და გავრცელების მოწესრიგების შესახებ;

– 1931 წლის კონვენცია სახიფათო ნარკოტიკების უკანონო ტრანსპორტირების აღკვეთის შესახებ.

ეს სამი კონვენცია თანდათან აფართოებდა ერთა ლიგისა და მისი სააგენტოების უფლებამოსილებას უკანონო ნარკოტიკების საერთაშორისო ტრანზიტის აღსაკვეთად. ჩემი აზრით, ამ დოკუმენტებმა ნარკოტიკების პრობლემასთან ბრძოლის პირველი მრავალმხრივი ადმინისტრაციული მექანიზმი ჩამოაყალიბა.

გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო 1936 წლის კონვენცია, როგორც პირველი საერთაშორისო მცდელობა ნარკოტიკების კანონიერი და უკანონო ტრანზიტის ერთმანეთისაგან გამიჯვნასა და შესაბამისი სანქციების აქცენტირებაში. ეს კი აუცილებელია უკანონო ტრანსპორტირების ასალაგმავად.

ეს იყო პირველი მრავალმხრივი კონვენცია კრიმინალური დასჯის უზრუნველსაყოფად, ვინც დოკუმენტში ჩამოთვლილი ნარკოტიკების უკანონო წარმოებას, გადაბეჭდვას, ექსტრაქციას (მინარეგებისაგან გასუფთავებას), მომზადებას, გავრცელებას, შესყიდვას, გაყიდვას, ტრანსპორტირებასა და გადაზიდვას ეწეოდა. კონვენცია 1939 წლის ოქტომბერში შევიდა ძალაში – მეორე

მსოფლიო ომის დაწყებისა და ერთა ლიგის დეფაქტო გარდაცვალების შემდეგ.

ჩემი აზრით, უდიდესია მეორე მსოფლიო ომის მნიშვნელობა, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლაში. მეორე მსოფლიო ომმა მეომარი მხარეები ნარკოტიკების პრობლემებიდან სხვა საკითხებზე გადართო, ხოლო ომის შემდგომი პერიოდის დაპირისპირებას ყოფილი მტრების ორ შეიარაღებულ ბანაკად დაყოფილი მოკავშირეების ახალი დაჯგუფებები მოჰყვა. ჩვენი საუკუნის 90-იან წლებამდე, ეგრეთწოდებული ცივი ომის პერიოდში დიდი ძალაუფლების მოპოვებისათვის კონკურენცია დომინირებდა; ნარკოტიკების პრობლემაც საერთო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი გახდა.

ამის თვალსაჩინო მაგალითია ჩინეთის რესპუბლიკაში ოპიუმის წარმოებასა და ჰეროინის დამზადებასთან წარმოქმნილი პოლიტიკური დაპირისპირება.

50-იანი წლების დასაწყისში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ჰეროინის ექსპორტისა და ნარკოტიკებით ნაღდი ფულის მოპოვების მიზნით ჩინეთი მტრებისათვის ძირის გამოთხრაში დაადანაშაულა.

60-იან წლებში, როდესაც საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის განხეთქილება ჩამოვარდა, საბჭოთა კავშირმა მაოისტების საწინააღმდეგო იგივე კამპანია წამოიწყო, რაზეც ადრე პრეტენზია ამერიკის შეერთებულ შტატებს ჰქონდა.

ყველას გასაოცრად ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ჩინეთს მხარი დაუჭირა და ამტკიცებდა, რომ საბჭოთა კავშირი ცილს სწამებდა დიდ ჩინელ ხალხს. ცხადია, საერთაშორისო დებოშის მთავარი ფაქტორი ორ ძლიერ სახელმწიფოს შორის მიმდინარე ცივი ომის პოლიტიკა იყო.¹³

ამ დროისათვის სუვერენული ქვეყნები იგნორირებას უკეთებდნენ ნარკოტიკებზე საერთაშორისო კონტროლის მოთხოვნებს, რადგან ნარკოტიკების სფეროში ძირითადი მონაწილენი სულ სხვა, ნარკოტიკებზე უფრო დიდი საფიქრალით იყვნენ დაკავებული.

¹³ A.W. McCoy, The Politics of Heroin: CIA Complicity in the Global Drug Trade, New York, Brooklin: Lawrence Hill, 1991.

აღნიშნულის მიუხედავად სრავლობის თანამეგობრობის ქვეყნებმა წყინობიერეს ნარკოტიკების საშიშროება დაბნაიჯ ჩამოაყალიბეს მასთან პრძოლის ქრძორისო ინსტიტუტები.

ომის შემდეგ მოხდა ერთაშეკრულება გაერთიანებული ერების გაზაიისადმი, რომლის სტრუქტურაშიც კეიძორს და სოციალურმა საბჭომ 1946 წსიერვალში ნარკოტიკებთან დაკავშირებუძიია ჩამოაყალიბა.¹⁴

1946-60 წლებში კომისიძმზოდ ერთი დამატებითი ოქმი მოამზადა, კოძ1953 წლის ოქმი ყაყაჩოს გაშენების შეზღვესადა მოწესრიგების, ოპიუმის წარმოებ.სათშორისო საბითუმო ვაჭრობისა და კაბნეს შესახებ.

50-იანი წლების ბოლოძდეერ კომისიის ყურადღება გადატანილი იყო უქრვაბძრიცხავი წინააღმდეგობების, სხვადაზა ნაბძებათა, კონვენციებსა და ოქმებს შირიდტურობისა და გაურკვევლობის თავიდან აცბა. სუბარია იძ დოკუმენტებზე, რომლებც ვიბთ შევიდა ძალაში. ამის წყალობით 101 ქლებში მომზადა ახალი სრული დიკტისაკეტი, რომელიც ამ სფეროში სარორო თანამშრომლობის საშუალებას ილა.

ეს იყო 1972 წლის ოძიშეხობული 1961 წლის ერთიანი კონვენციალოტიკებზე კონტროლის შესახებ, რომლის 1 პქტ 1912 წლიდან ძალაში მყოფ სარორო დოკუმენტებს ზღუდავდა.

მოგვიანებით, საერთაშორისოანლობის ქვეყნების მიერ მიღებულ იკა ევროთ დოკუმენტი – 1971 წლის კოვენციატროპული ნივთიერებების შესახებ, ქედც ჰათზე კონტროლს უზრუნველყოფა.

ნარკოტიკებისა და ფსიქოლო ნივთიერებათა ტრანსპორტირების შესახბ 1 წსპიღებულმა პრიორიტეტულმა კავძმ ოფლიო

საზოგადოება იძ საშუალებებით აღტურვა, რაც სატოროა მთავრობათშორისი თანამშრომლობისათვის, პირველ რთეში, ნარკოტიკების უკანონო ტრანსპორტირების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამი იურიდიულ სისტემის უდიდესი მხარდატერა გკამოუცხადა ერთიანი კონვენციის მონაწილე 1135 ქვეყანამ (მათ შორის 108 ქვეყანამ 1972 წლის ოქმის რატიფიცირება მოახდინა), 107-იმა დაამტკიცა ფსიქოტროპულ ნივთიერებზე მიღებული 1961 წლის კონვენცია; 1988 წელს 77 ქვეყანამ ხელი მოაწერა კონვენციას, რომელიც ძალაში 1990 წლის ნოემბერში შევიდა ძაბს შემდეგ, რაც აღნიშნული კონვენცია 20 ქვეყანამ 1992 წლის ოვლისში დაამტკიცა, ხოლო დამატებით 62 ქვეყანამ და ევროგაერთიანებამ მიიღო და მოიწონა.¹⁵

§2. სსაში უნივერსალური კონვენცია

ამჟამამდ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია რეკომენდაციას სწოროედ ამ სამ უნივერსალურ კონვენციას უწევს. ისინო მსოფლიო მასშტაბით იურიდიული ჩარჩოების შემოღებას ითვალისწინებენ, რათა წარმატებით ებრძოლონ ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპულ ნივთიერებაათა უკანონო ბრუნვა-მოხმარებას.

ძრავვაბძმზრივი მოქმედების შედეგად შემუშავებული ერს დოკუმენტები პროგრესულად შეერწყა საერთაშორისო სთსტემისს, ისინი კონსტიტუციური დოონის დოკუმენტებია ამ სფეროში მოღვაწე ყვეელა სუბიექტისთვის და საუკუნის მანძილზე მსოფლიოს მასშტაბით ნარკოტიკებზე კონტროლოლთს სისტემის შექმნის მცდელობის კულმინაცკიას წარმოადგენს.

როგორც ვხედავთ, ნარკოტიკებზე მსოფლიო კონტროლილის სისტემის შექმნა და მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილებები XX საუკუნის ძვირადღიერებული პროდუქტია.

შევეცდები დაწვრილებით განვიხილო და გავანაალიზო თითოეული კონვენციის როლი და მნიშვნელობა; საერთაშორისო თანამეგობრობის ქვეყნებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მათი მოთხოვნების შესრულებისა და კონტროლილის მქეწანიზები.

¹⁵ Организация Объединенных Наций, доклад междунарoднoгo комитета по контролю над наркoтикaми за 1993 год. Нью-Йорк, 1993г. с.12.

¹⁴ United Nations Documents /C1991 lev. 1, of December 20, 1990, prepared for the session in which the history and function of mission on Narcotic Drugs are summarized. This mission was created by the United Nations Economic and Social Council (ECOSOC) in resolution 9 (1) of 1966, 46, as the successor to the Advisory Commission on Narcotic and other Dangerous Drugs.

ჩემი აზრით, 1972 წლის ოქტომბრით შესწორებული 1961 წლის ერთიანი კონვენცია ნარკოტიკული საშუალებების შესახებ აყალიბებს უნივერსალურ სისტემას ნარკოტიკულ ნივთიერებათა სამი ოჯახის – ოპიუმის ყაყაოს, კოკას ფლოთლისა და კანაფის კულტივაციის, წარმოების, გადამამუშავების, ექსპორტის, იმპორტის, გავრცელების, ვაჭრობის, გადმოყენების და შენახვის კონტროლის შესახებ. კონვენცია მხარეებს ავალდებულებს მოთხოვნათა გავრცელებას არა მარტო თავიანთ ტერიტორიაზე, არამედ სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობასაც. ერთიანი კონვენციის თანახმად, გაკონტროლებულ ნარკოტიკებში შეიძლება გამოყენებული იქნეს კანონის ფარგლებში – მხოლოდ სამედიცინო და სსამეცნიერო მიზნებისათვის. კონვენციამ ჩამოაყალიბა საერთაშორისო მართვის ორგანო, რათა ამ უკანასკნელს ქვეყნებისათვის განესაზღვრა და გაეხანაწილებინა გაკონტროლებული ნარკოტიკები კანონიერი კულტივაციის, წარმოების, დამზადების და ა.შ. მიზნებისათვის. კონვენცია მხარეებისაგან მოითხოვს გაკონტროლებულ ნარკოტიკულ ნივთიერებათა წარმოებასა და დამზადებაზე ლიცენზიის გაცემას, რაც მოგვიანებით მკაცრ წესებს ამყარებს იმპორტ-ექსპორტზე; ამავე დროს, ქვეყნებს, რომლებიც ტვირთს ღებულობენ, მოეთხოვებათ იმპორტზე შესაბამისი სერტიფიკატების, ხოლო ექსპორტზე საგანგებო სამთავრობო სანქციის გაცემა. სააქონლის კანონიერი გზით ტრანსპორტირება საიმპორტო სერტიფიკატთან ერთად შეესაბამის საექსპორტო სანქციასაც მოითხოვს. შიდააბაზრებზე ვაჭრობისა და დისტრიბუციისათვის საჭიროა სამთავრობო ხელისუფლების მიერ გაცემული შესაბამისი ლიცენზია; კერძო მომხმარებელს კი სამედიცინო რეცეპტი (მოეთხოვება. ერთიანი კონვენცია აყენებს განსაკუთრებულ პირობას, რომ მხარეებს არ უნდა დაუშვან ნარკოტიკების ფლობა, თუკი ეს კანონიერი ხელისუფლების მიერ არ არის ნებადართული. ეს ყველაფერი სამთავრობო ინსპექტირებასა და შეთვალაფრებების სხვა ფორმებს ადგენს ყველა იმ პირობაზე, კონტ. ლიცენზიებს, სანქციებსა და სერტიფიკატებს, მოთხოვნებს. აღნიშნული საჭიროა იმისათვის, რომ სამთავრობო ხელისუფლების (მიერ) მოხმარება მწარმოებლების, ვაჭრების, მეცნიერების, სამეცნიერო დაწესებულებათა და საავადმყოფოების რევიტრაციაში გატარება, მკაცრი აკორიცხვა.

შავითურთ, ერთიანი კონვენციის შემოსვლით ხოვან იმისათვის არსებობს, რათა თვით აღონ ნარკოტიკების უკანონო ვაჭრობა, რის მხრივ, ამ კონვენციის ერთი მთავი ხოვანაა. მხარეებსა 1912 წლიდან გმობაზე დაყრდნობით ეროვნულ დონეზე უა თანხმონ აკრძალვა და უნდა მიანიშნონ უსახი საგენტო, რომელიც ამგვარ თანხმობაზე პასუხისმგებელი.

საჭიროა და მრავალმხრივი თანამშრომლობა ნარკოტიკების უკანონო ვაჭრობის აღსაკვეთა. მკაცრცელებელთა დასასჯელად და უკანონო ტრანსპორტირების საწინააღმდეგო კოორდინები კამპანიის მხარდასაჭერად.

ერთიანი კენციამ საერთაშორისო სისტემის ცენტრი მნ. გაეროს შიგნით არსებული მრავალმხრივის ორგანო, ეგრეთწოდებული ნარკოტიკის საერთაშორისო კონტროლის კომისია (C), რათა თვალყური ადევნოს კონვენცი გორციელებას.

INCB რკონვენციის მონაწილე ქვეყნებიდან წაიხიდა 13 სპეციალისტით დაკომპლექტებული ტენტური ორგანო, რომლის წევრები (განს ეკონომიკური და სოციალური საოსერ (ECOSOC) ხუთწლიანი ვადით არჩეა რომელსაც მხარს უჭერს მსოფლიო ჯანის ორგანიზაციის (WHO) საექსპერტები. იგი აღჭურვილია უფლებამოსილეთ უწლიურად მკაცრად აღნუსხოს კონრეულ ნივთიერებებზე მთელი მსოფლს ცნრო თუ სამედიცინო მოთხოვნილე აწლოს იგი ქვეყნებს შორის კანონიერ ტიციის, წარმოების, დამუშავების, ქარტმრტის, დისტრიბუციის, ვაჭრობის, გაყესადა ფლობისათვის. INCB-ს შეუღე დგე კიდეც ნორმებს, მუშაობის რეგდანტი მხხოვნებს კონვენციის წევრი ქვეყნებზე შეგომში მხარეებისაგან) ინფორაციებს, თაობაზე.¹⁶

მგვებ NB აღჭურვეს კონტროლირებულ ნთიაი სიის შედგენის უფლებით. მხარეთაბე მას შეუძლია ოქმის შემოწმება; აჭბი შემთხვევაში კი ECOSOC-

¹ Оания бъединенных Наций, Единая коненя отъских средствах, 1961 г. статья 5, 9-20

ის, ნარკოტიკულ ნივთიერებათა კომისიისა და თვით მხარეების ყურადღების მიპყრობა განსაკუთრებით მწვავე პრობლემებისადმი. იგი უფლებამოსილია მხარეებს მისცეს ინფორმაცია ქვეყნებში არალეგალური ნარკოტიკების მასშტაბების, ნარკოტიკების უკანონო კულტივაციის, წარმოების, გადაამუშავების, მოხმარებისა და ვაჭრობის შესახებ.

INCB-ს არ გააჩნია საკუთრი აღმასრულებელი ორგანო და დამსჯელი მექანიზმები. დასჯის უფლება თითოეული მხარის იურისდიქციას განეკუთვნება. თითოეული ქვეყნის კონსტიტუციური შეზღუდვა განაპირობებს პროფესიულ შეტევას, დამსჯელ ღონისძიებებსა და დამნაშავეთა გასასამართლებელ სხვა მექანიზმებს.

ეროვნულ ტრადიციებსა და საკანონმდებლო ნორმებში სხვაობებმა, მთავრობათაშორისი და საერთაშორისო შეზღუდულმა თანამშრომლობამ შეასუსტა კონვენციის მოთხოვნათა ცხოვრებაში განხორციელების ეფექტიანობა.

ერთიანი კონვენცია მოითხოვს, რომ ქვეყნებმა დასჯითი ღონისძიებებით შეუტიონ ნარკოტიკების კულტივაციას, წარმოებას, გადაამუშავებას, ექსტრაქციას, მომზადებას, ფლობას, გასაყიდად შეთავაზებას, დისტრიბუციას, შესყიდვას, გაყიდვას, მიწოდებას, გაგზავნას, ტრანზიტით გაგზავნას, ტრანსპორტირებას, იმპორტ-ექსპორტს რაც ეწინააღმდეგება კონვენციის გადაწყვეტილების საწინააღმდეგო ნებისმიერ ქმედებას, რომელიც მხარეთა აზრით, გათვალისწინებული არა არის ამ აქტით.

გარდა ამისა, კონვენცია ითვალისწინებს შესატყვის დამსჯელ ღონისძიებებს, რომლებიც განსაზღვრულია საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობის პრინციპით და ისეთ კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა აღკვეთა-აცილებას ითვალისწინებს, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

ამრიგად, მრავალმხრივი იურიდიული პროგრამის შესამუშავებლად, დღის წესრიგშია ნარკოტიკების ლეგალური წარმოების, ტვირთბრუნვისა და ნარკოტიკების გამოყენების პარამეტრების დადგენა მთლიანად ნარკოტიკების მოხმარების სფეროში.

INCB რჩევებს აძლევს მთავრობებს კონვენციითა მოთხოვნების დანერგვასთან დაკავშირებულ ტექნიკურ საკითხებზე, ხელმძღვანელობს სახელმწიფო თანამდებობის პირთა სასწავლო-

პროგრამებს იმ მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც მათ სამართავად კონვენციებისა და INCB-ის მიხედვით არის დაწესებული.

ნარკოტიკული საშუალებების შესახებ 1972 წლის ოქმით შესწორებული 1961 წლის ერთიანი კონვენცია რატიფიცირებულია მსოფლიოს 158 სახელმწიფოს, მათ შორის საქართველოს მიერ.

მეორე უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია 1971 წლის კონვენცია ფსიქოტროპულ ნივთიერებათა შესახებ, იგი 1961 წლის ერთიანი კონვენციის მონათესავე დოკუმენტია, რომელშიც ჩამოყალიბებულია საერთაშორისო მექანიზმი ფსიქოტროპულ ნივთიერებათა გასაკონტროლებლად და პასუხისმგებლობას აკისრებს INCB-ს განახორციელოს თავისი გადაწყვეტილებანი WHO-ს ტექნიკური მხარდაჭერით.

ზემოდასახებული კონვენცია ითვალისწინებს კონტროლს იმ ბუნებრივ თუ სინთეზურ ნივთიერებათა წარმოებაზე, ვაჭრობასა და დისტრიბუციაზე, რომლებიც ტოლერანტობას, ცენტრალური ნერვული სისტემის აღგზნებას ან პირიქით მოდუნებას იწვევს და შედეგები ჰალუცინაციაში ან ფიქრის, ქცევის, მეგობრების, გუნება-განწყობილების დარღვევაში ვლინდება.

კონვენცია გამოყოფს კონტროლირებადი ნივთიერებების ოთხ სიას. პირველსა და მეორეში შეტანილი ნივთიერებები უმკაცრეს კონტროლს ექვემდებარება. სია შეიძლება გაიზარდოს, შემცირდეს ან კორექტირება გაუკეთდეს WHO-ს ნარკოტიკების კომისიის რეკომენდაციით. ნივთიერებანი, რომელთაც ამ ოთხი სიიდან ნებისმიერი შეიცავს წარმოებისა და დისტრიბუციისათვის მთავრობის ლიცენზიას საჭიროებს. მთავრობებმა კი, ყოველწლიურად ამის შესახებ INCB-ს ანგარიშები უნდა წარუდგინონ. ამას გარდა, კონვენცია მოითხოვს, რომ მხარეებმა გაეროს გენერალური მდივნის საშუალებით ერთმანეთს მიაწოდონ ინფორმაცია ნებისმიერ აკრძალვაზე ან შეზღუდვაზე, რაც შესაძლებელია დაწესდეს რომელიმე გაკონტროლებული ნივთიერების იმპორტ-ექსპორტზე. და კიდევ, მხარეებმა სამედიცინო რეცეპტი უნდა მოითხოვოს I, II, III სიებში შეტანილი ნებისმიერი ნივთიერების მომარაგება განაწილებისათვის.

კონვენცია იძლევა სათანადო მითითებებს, რათა შეიზღუდოს გაკონტროლებულ ნივთიერებათა

გამოყენება სამედიცინო და სამეცნიერო მიზნებისათვის.

პირველი სიის მიხედვით განსაზღვრულია, რომ მონაწილე ქვეყნებმა აკრძალონ სამეცნიერო მიზნებისათვის ნარკოტიკულ ნივთიერებათა გამოყენება. ე.ი. ასეთი ნივთიერებების გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, ხელისუფლების წარმომადგენლის ნებართვის მიღების შემდეგ. სამედიცინო და სამეცნიერო ისტებლიშმენტი მთავრობის კონტროლს უნდა იყოს დაქვემდებარებული ან ჰქონდეს მთავრობის სპეციალური ნებართვა ამა თუ იმ ნივთიერების გამოყენებაზე¹⁷.

კონვენცია მოითხოვს, რომ ყოველმა მხარემ შეზღუდოს II, III, IV სიებში ჩამოთვლილ ნარკოტიკულ ნივთიერებათა სამედიცინო და სამეცნიერო მიზნებისათვის წარმოება, ექსპორტი-იმპორტი, დისტრიბუცია და ვაჭრობა.

INCB-ს მინიჭებული აქვს კონვენციის გადაწყვეტილებათა დანართზე მეთვალყურეობის უფლება, თითოეული ქვეყანა კი ვალდებულია გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება კონვენციით განსაზღვრულ ფარგლებში.

კონტროლი, ინსპექტირება და კანონის ცხოვრებაში გატარება – ეს ის ფუნქციებია, რომლებიც თითოეული წევრი სახელმწიფოს უფლებამოსილებაში შედის.

შიდაკანონმდებლობით განისაზღვრება დამსჯელი მექანიზმები, შესაბამისი სანქციები კანონის დარღვევებზე.

INCB იღებს მოხსენებით ანგარიშებს და აგროვებს ინფორმაციას. მას შეუძლია დაინტერესებულ მხარეს მისცეს რჩევა, გაუწიოს კონსულტაცია, ხელმძღვანელობა და აღმოუჩინოს საჭირო დახმარება.

კონვენცია, მხარეებს ღროდადრო ურთიერთ-თანამშრომლობისაკენ მოუწოდებს, მაგრამ ამავე დროს თავიანთი კონსტიტუციური მოთხოვნებისა და ადგილობრივი სიტუაციის შეფასების საფუძველზე თითოეულ მთავრობას უფლებას უტოვებს დამოუკიდებლად შეარჩიოს ყველაზე უფრო ადეკვატური მექანიზმი.

1971 წლის კონვენცია ფსიქოტროპულ ნივ-

თიერებათა შესახებ რატიფიცირებულია მსოფლიოს 146 სახელმწიფოს მიერ.

მესამე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც მიმართულია ნარკოტიკების უკანონო ტრანსპორტირების წინააღმდეგ, 1988 წლის კონვენციაა ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. იგი ძალაში 1988 წლის 20 დეკემბერს შევიდა და საგანგებო აქცენტს აკეთებს ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის პრობლემებზე. პირველმა ორმა კონვენციამ განსაზღვრა ის მექანიზმები, რომლებიც მსოფლიო მასშტაბით შეზღუდავდა კონტროლირებად ნივთიერებათა ლეგალურ კულტივირებას, წარმოებას და გადამუშავებას. ამ კონვენციებმა, აგრეთვე, ვალდებულებანი დააკისრეს მონაწილე ქვეყნებს INCB-ის მითითებათა შესასრულებლად. კონვენცია განკუთვნილია პირველი ორის მიხედვით დაკისრებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის საჭირო მექანიზმის შესამუშავებლად.

ნარკოტიკებისა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა არალეგალური ტრანსპორტირების (ან ბრუნვის) წინააღმდეგ მიმართული 1988 წლის გაეროს კონვენცია მომზადდა სარეკორდო მოკლე ვადაში. ეს ერთგვარი წინგადადგმული ნაბიჯია საერთაშორისო კანონმდებლობაში. კონვენციის მიხედვით ჩამოყალიბებულია მთავრობათშორისი ურთიერთთანამშრომლობის ის სტრუქტურა, რომელიც გამიზნულია კრიმინალური საქმიანობის აღსაკვეთად და არ ეწინააღმდეგება არც ერთი დამოუკიდებელი ქვეყნის კანონმდებლობას.

ჩემი აზრით, ის ტემპი, რომლითაც მსოფლიოს საზოგადოება კონსენსუსამდე მივიდა ამ რთული 34 პუნქტიანი დოკუმენტის შედგენის პროცესში, მიუთითებს იმაზე, რომ მთელი მსოფლიოს მთავრობები და მოსახლეობა ღრმად არის დაინტერესებული ნარკოტიკების არალეგალური ბრუნვისა და ბოროტად გამოყენების დინამიკის შენელებაში. გაცნობიერებულია ის, თუ რა დიდ ზიანს აყენებს ეს მანკიერება პოლიტიკურ სტაბილურობას, ეკონომიკურ განვითარებას და მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ბავშვების კეთილდღეობას. კონვენციის მიხედვით „არალეგალური ბრუნვა არის საერთაშორისო კრიმინალური საქმიანობა, რომლის აღსაკვეთად საჭიროა განსაკუთრე-

¹⁷ Article 7 of the 1971 Convention on Psychotropic Substances.

ბული ყურადღება და ამ პრობლემის სიმწვავის უმაღლეს რანგში აყვანა¹⁸.

კონვენციის 34 პუნქტის უმეტესობა ემყარება იმ ცნებებს, პრინციპებსა და ვალდებულებებს, რომლებიც თავდაპირველად განსაზღვრული იყო 1936 წლის კონვენციით და რომლებიც საზოგადოდ ეხებოდა ერთიან კონვენციას ფსიქოტროპულ ნივთიერებათა შესახებ.

ახალ კონვენციაში გაკეთდა ჩამოყალიბებული ცნებების სრული ანალიზი, აგრეთვე, შემუშავდა ის მექანიზმები, რომლებიც საჭიროა დასახული მიზნების განხორციელებისა და ცხოვრებაში გატარებისათვის.

ეს არის დამოუკიდებელ ქვეყნებს შორის შეთანხმება რათა მონაწილე ქვეყნებმა აწარმოონ წარმატებული კამპანია ნარკოტიკებისა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ. მათი საქმიანობა მხოლოდ საერთაშორისო პრიზმაში უნდა განხორციელდეს. კონვენციის მიხედვით არ შეიძლება შეილახოს არც ერთი დამოუკიდებელი ქვეყნის უფლებები, კონვენციამ არ შეიძლება ზიანი მიაყენოს ადგილობრივ საკანონმდებლო სისტემას და არ შეიძლება ხელყოს ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა. გადაწყვეტილება ერთობლივი მუშაობის შესახებ მკაფიო გამოხატულებაა იმისა, თუ რა დიდი ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკური სურვილი – საკუთარ ტერიტორიაზე კანონმდებლობის აღსრულების მიზანი.

კონვენციის უმთავრესი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ მონაწილე ქვეყნებმა კანონის დარღვევად მიიჩნიოს ისეთი საქმიანობა, რაც ეწინააღმდეგება გაეროს კონვენციების მიხედვით დადგენილ ნორმებს. კონვენციის მე-3 მუხლი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ქვეყანა, რომელმაც კონვენციის რატიფიცირება მოახდინა, ვალდებულია შეიმუშაოს საშინაო კანონმდებლობა და კანონის უხეშ დაღრვევად მიიჩნიოს საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების საწინააღმდეგო შემდეგი ქმედებები: არალეგალური ბრუნვა, კულტივაცია, წარმოება, მანუფაქტურა, ექსტრაქცია, მოშაღება, შეთავაზება, შეთავაზება გასაყიდად, დისტრიბუცია, გაყიდვა, მიწოდება ნებ-

ისმიერ პირობებში როგორც აგენტურული ქსელით, ასევე სხვა სატრანზიტო საშუალებათა გამოყენებით, ნარკოტიკებისა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა ექსპორტი, იმპორტი, ასევე მათი გამოყენება და შენახვა. ეს მოთხოვნა ვრცელდება, აგრეთვე ნარკოტიკებისა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა მისაღებად საჭირო აუცილებელ ტექნიკურ აღჭურვილობაზე, სატრანსპორტო და სადისტრიბუციო საშუალებებსა და ნედლეულზეც, აგრეთვე იმ ნივთიერებებსა და საშუალებებზე, რომლებიც გამოიყენება ნარკოტიკებისა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა არალეგალური წარმოებისა და მანუფაქტურის დროს. უფრო მეტიც: ჩამოყალიბებულია მექანიზმი, რომლის მიხედვითაც უნდა განხორციელდეს ბრძოლა არალეგალური საქმიანობის მენეჯმენტისა და დაფინანსების წინააღმდეგ, აგრეთვე ხერხები, რომელთა მეშვეობითაც უნდა გამოაშკარავდეს ფულის გათეთრების შემთხვევები და მოხდეს ქონების კონფისკაცია.

კონვენცია ამა თუ იმ ქვეყნის ხელისუფლებას მიუთითებს, როგორ ჩამოაყალიბოს საშინაო საკანონმდებლო სისტემა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება არალეგალური ბრუნვით მიღებული თანხების ამოღება. კონვენცია განსაზღვრავს წესებსა და მუშაობის რეგლამენტს, რომელთა მიხედვითაც გამოაშკარავდება ამა თუ იმ ნარკოტიკის მისაღებად საჭირო პრეკურსორებისა და ქიმიურ ნივთიერებათა არალეგალური ბრუნვა. ასევე, ქმნის საამისო კონტროლის მექანიზმს. კონვენცია მონაწილე ქვეყნებს სთავაზობს ხერხებს, რომლის თანახმადაც მოხდება არალეგალურ კულტივაციათა განადგურება და საზოგადოების მხრიდან მოთხოვნის შემცირება. კონვენციის მიხედვით მხარეებს უფლება აქვთ, საჭიროების შემთხვევაში, მიმართონ უფრო მკაცრ გადაწყვეტილებებს.

ამ საკითხის კვლევისას მივედი იმ დასკვნამდე, რომ კონვენცია მთავრობათაშორისი ურთიერთთანამშრომლობის საფუძველია, რომელიც:

მონაწილე ქვეყნებს კარნახობს კრიმინალური საქმიანობის აღსაკვეთად როგორ შეიმუშაონ საკანონმდებლო სისტემა, მათ შორის განსაკუთრებით რთულ სიტუაციაშიც;

აყალიბებს ექსტრადიციის უმთავრეს წესებს; განსაზღვრავს ორმხრივი თანამშრომლობის

¹⁸ The Fourth Preambular clause of the 1988 United Nations Convention against Illicit Traffic in Narcotic Drugs and Psychotropic Substances.

კანონიერ სფეროებს და ისეთ ფორმებს, როგორც არის თანამშრომლობა იურიდიულ და მაკონტროლებელ სისტემაში (იგულისხმება კონტროლი მოწოდებაზე) და ტექნიკური დახმარების სფეროში.

გამოყოფს უმთავრეს წესებს, რომელთა მიხედვითაც უნდა მოხდეს განსაკუთრებულ პირობებში ჩადენილი სისხლისსამართლებრივ საქმეთა გამოძიება თავისუფალი ვაჭრობის ზონებში, თავისუფალ პორტებში, ყურეებში, საფოსტო სისტემაში, სავაჭრო გემებსა და კომერციულ ტვირთმზიდებზე მომხდარ შემთხვევებზე;

განსაზღვრავს კანონებს, რომელთა მიხედვითაც უნდა მოხდეს ექსპორტის მარკირება (დათეგვა) და ნარკოტიკული ტვირთის ამოღება კომერციულ გემებსა და ტვირთმზიდებზე.

გაეროს კომისია ნარკოტიკების შესახებ და INCB უფლებამოსილია გააკონტროლოს, როგორ ხორციელდება კონვენციით დასახული ღონისძიებები. მას განსაკუთრებული ფუნქცია აქვს და იგი პასუხისმგებელია ამა თუ იმ ქვეყნის საქმიანობაზე. საბჭოს შეუძლია კონსულტაციისათვის ან ინფორმაციის მიღების მიზნით მოიწვიოს ერთი ან რამდენიმე მხარე. იგი ყოველწლიურად, ან განსაკუთრებულ შემთხვევებში, საჭიროებისამებრ ინფორმაციას წარუდგენს კომისიას.¹⁹

1988 წლის კონვენციის მიღებით და ძალაში შესვლით სახელმწიფოები მძლავრი მექანიზმით აღიჭურვა ნარკოტიკების არალეგალური ბრუნვისა და ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლაში. კონვენცია რატიფიცირებულია საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს მიერ.

ამრიგად, 60-იან წლებამდე პრობლემის მოგვარებისათვის საერთაშორისო ძალისხმევა არა სისტემური სემინარებით, სასწავლო პროგრამებით და ტექნიკური დახმარებით შემოიფარგლებოდა. ეს კი აშკარად არასაკმარისი იყო. ამასთანავე საჭირო იყო სახელმწიფოთა მთავრობებთან, მის მოსახლეობასთან თანამიმდევრული სტრატეგიის შემუშავება და ადეკვატური პროექტების განხორციელება, რისთვისაც საამისოდ გაეროს ეგიდით ახალი დანაყოფები ჩამოყალიბდა.

¹⁹ Article 23 (a) of the 1988 United Nations Convention, and Article 22 for the specification of INCB functions under the 1988 Convention.

გაეროს პირველი ასეთი ახალი დანაყოფი იყო ნარკოტიკულ ნივთიერებათა კომისია (DND), რომელსაც სამდივნოს ფუნქციები უნდა შეესრულებინა.²⁰

როგორც ზემოთ აღინიშნა 1961 წელს ერთიანი კონვენციის მიღებისთანავე დაფუძნდა საერთაშორისო ნარკოკონტროლის საბჭო (INCB), რომელსაც ხელშეკრულებით დასახულ ღონისძიებათა განხორციელებაზე კონტროლი დაევა.²¹

ახალი კონვენციის მიღებით კიდევ უფრო გაფართოვდა INCB-ის ძალაუფლება და მოქმედების არეალი.

1971 წელს დაფუძნდა ნარკოტიკების ბოროტად გამოყენებაზე კონტროლის ფონდი (UNFDAC – U.N. Fund for Drug Abuse Control), რომელსაც სამოქმედო პროგრამები უნდა დაეფინანსებინა.²²

UNFDAC-ის ფონდი გაეროს წევრი ქვეყნების შენატანებისა და სხვა საზოგადოებრივი თუ კერძო ორგანიზაციების ნებაყოფილობითი შემოწირულობების საფუძველზე შეიქმნა. პირველი ათი წლის განმავლობაში შემოწირულობანი მწირი იყო, მაგრამ 1980 წლის შემდეგ შენატანების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა და წლიურმა ბიუჯეტმა აშშ 70 მლნ დოლარს გადააჭარბა. ეს თანხა ნარკოტიკების ბრუნვით მიღებულ მოგებასთან შედარებით მცირე იყო და მაინც, ერთობ დიდია UNFDAC-ის როლი ნარკოტიკების უკანონო ბრუნვისა და ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლაში.

გაეროს ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის და ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში უმნიშვნელოვანესად მიმაჩნია 1990 წლის 21 დეკემბერი, როდესაც №45/179 რეზოლუციის თანახმად გენერალურმა ასამბლეამ ზემოხსენებული სამი ერთეული ერთ მთლიან ოპერატიულ მექანიზმში გააერთიანა და მათ ბაზაზე

²⁰ Articles 2 and 16-19 of the 1971 Convention on Psychotropic Substances and articles 22-23 of the 1988 Convention for INCB functions specified in their administration.

²¹ Article 22 (a) of the 1988 United Nations Convention, cited in footnote 5. Also see Article 22 for the specification of INCB functions.

²² United Nations Document A/39/646 of November 12, 1984, for a detailed description of the functions of UNFDAC.

ერთი ორგანო – გაეროს ნარკოტიკებზე საერთაშორისო კონტროლის პროგრამა (UNDCP) შექმნა.²³ ამ პროგრამის პირველი ხელმძღვანელი და აღმასრულებელი დირექტორი გაეროს გენერალური მდივნის თანაშემწე, ელჩი ჯორჯო ჯაკომელი იყო. იგი ამ თანამდებობაზე 1991 წლის დასაწყისში აირჩიეს.

UNDCP აერთიანებს DND-ს, UNFDAC-ს და INCB-ს სამდივნოებს.

ამ დროიდან რამდენიმე სამსახურის ნაცვლად მოქმედებას იწყებს ერთი ოპერატიული შენაერთი, რომელიც ხელმძღვანელობს და პასუხს აგებს ნარკოტიკებთან დაკავშირებულ გაეროს ყველა საქმიანობაზე, ადგენს გაეროს სამოქმედო პროგრამებს და კოორდინირებს უკეთეს გაეროს წევრი ქვეყნების ანტინარკოტიკულ საქმიანობას.

1991 წელს საქმიანობის უკეთ და ეფექტიანად წარმართვის მიზნით UNDCP ოპერატიულ სამსახურად გადაკეთდა.

UNDCP-ს შექმნის აუცილებლობას პირველად 1987 წლის ივნისში ნარკოტიკების ბოროტად გამოყენებისა და არალეგალური ბრუნვის შესახებ ვენაში გამართულ კონფერენციაზე გაესვა ხაზი. 138 ქვეყნის რეგიონული, სხვადასხვა მთავრობათაშორისი და 200 არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მოამზადეს და მიიღეს ყოვლისმომცველი მრავალდისციპლინარული დებულება ნარკოტიკების ბოროტად გამოყენებაზე კონტროლის შემდგომი საქმიანობის შესახებ (CMO);²⁴ ეს იყო პირველი გლობალური პროგრამა, რომელიც შემდგომ საფუძვლად უნდა დადებოდა იმ მრავალმხრივ, რეგიონულ და ადგილობრივი მნიშვნელობის თანამშრომლობას, რომელიც მიმართული იქნებოდა ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების, მოთხოვნის შემცირების, მიწოდებაზე კონტროლის, არალეგალური ბრუნვისა და ნარკოტიკების მოხმარების წინააღმდეგ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაეროს საქმიანობის სრულყოფის მიზნით კიდევ შეიქმნა სხვა საერთაშორისო მექანიზმები: პოლიციის ურთიერთთანამშრომლობის ორგანიზაცია (ICPO/INTERPOL)²⁵ და საბაჟო ურთიერთთანამშრომლობის საბჭო (CCC).²⁶ ამ ორგანიზაციების უმთავრეს მოვალეობას ნარკოტიკების პრობლემის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებისთვის დახმარების აღმოჩენა წარმოადგენდა.

ამგვარად, საერთაშორისო მრავალმხრივი იურიდიული სტრუქტურა, რომელიც ჩვენი საუკუნის დასაწყისში ჩაისახა, ორიენტირებულია, ზეგავლენას ახდენს და არაიშვიათად ზემოქმედებს კიდევაც მონაწილე ქვეყნების პოლიტიკაზე, საზოგადოებრივ ნორმებსა და მუშაობის რეგლამენტზე. მათი დაცვა და განხორციელება აუცილებელია ნარკოტიკულ ნივთიერებათა არალეგალური ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლაში. თუმცა სამართალდამცავთა ეფექტიანი საქმიანობის მიზნით თვით დამოუკიდებელმა სახელმწიფოებმა საკუთარი კანონმდებლობის ფარგლებში უნდა გადაწყვიტონ როგორი კანონები და სხვა ნორმატიული აქტებია საჭირო თავის ქვეყანაში. სწორედ ამიტომაც კონვენციის ეფექტიანობა დიდად არის დამოკიდებული კონვენციის წევრი ქვეყნების იმ საქმიანობაზე, რომელიც სახელმწიფოს ეროვნულ ნებასა და ინტერესებს უნდა ემყარებოდეს.

მთავრობასა და მოსახლეობას შორის მრავალმხრივი თანამშრომლობა შედარებით ახალი განზომილებაა მსოფლიო და რეგიონული ნარკოტიკების წინააღმდეგ მიმართულ საქმიანობაში. იგი ყოველთვის ხელს უწყობს კონვენციის მოთხოვნისათვის უპირობო განხორციელებას და სახელმწიფო ანტინარკოტიკული პროგრამების თვისებრივ გაუმჯობესებას.

²³ General Assembly resolution 45/179 of 21 December 1990. concerning the "Enhancement of the United Nations structure for drug abuse control.

²⁴ United Nations Publication, the Declaration of the International Conference on Drug Abuse and Illicit Trafficking and Comprehensive Multidisciplinary Outline of future Activities in Drug Abuse Control, 1988, UN document ST/NAR/14, UN Sales Publication No. E.88.XI.I, ISBN 92-1-148075-2, 00900P.

²⁵ The International Police Cooperation Organization (ICPO/INTERPOL) was founded in 1923 in Vienna, by national police organizations of 1938 and was reorganized after World War II and its Headquarters moved from Vienna to Paris.

²⁶ The Custom Cooperation Council (CCC) was created by the Brussels Convention of December 15, 1950, by the customs services of over 40 countries. It is headquartered in Brussels.

რამდენადაც უკეთ ჩასწვლებიან მთავრობები საერთაშორისო თანამშრომლობის აუცილებლობას ამ კრიმინალური ქმედების კონტროლის სფეროში, იმდენად აღეკვტურად გაიზრდება მრავალმხრივი მექანიზმის მნიშვნელობა მათ დასახმარებლად.

§3. კონვენციებიდან სახელმწიფო პროგრამებზე

საკითხის შესწავლის და ჩატარებული კვლევების საფუძველზე მივედი იმ დასკვნამდე, რომ ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის და ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლაში უმნიშვნელოვანესია მსოფლიოს ქვეყნების მიერ სახელმწიფო პროგრამების მიღება და მათი მოთხოვნების ცხოვრებაში გატარება. 1990 წლის თებერვალში ნარკოტიკების პრობლემასთან დაკავშირებით მიღებულმა მსოფლიო პროგრამამ მთავრობებს მოუწოდა ნარკოტიკების უკანონო მიწოდებისა და მოთხოვნის, აგრეთვე უკანონო ბრუნვის შემცირების მიზნით განეხორციელებინათ შეთანხმებული ღონისძიებები ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. ამ ზომებმა კიდევ უფრო მკაფიოდ გაუსვეს ხაზი კომპლექსური ეროვნული დაგეგმვის აუცილებლობას. იგი სახელმწიფოებს ურჩევდა მოეზადებინათ და თავიანთი ქვეყნების საკანონმდებლო ხელისუფლების დონეზე განეხილათ მოქმედების ეს სახელმწიფო პროგრამები.

ამგვარი საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნარკოტიკებზე საერთაშორისო კონტროლის პროგრამამ გაითვალისწინა ღონისძიებები, რომლებიც ეროვნული სახელმწიფო გეგმების ხელშეწყობისა და წახალისებისკენაა მიმართული.

მრავალწლიანმა თეორიულმა და პრაქტიკულმა გამოცდილებამ, ასევე „საქართველოში ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულ პროგრამაზე“ მუშაობამ დამარწმუნა, რომ სახელმწიფო პროგრამა-გეგმა უნდა იყოს მთავრობის მიერ მიღებული ერთიანი დოკუმენტი, რომელშიც აისახება ნარკოტიკების კონტროლთან დაკავშირებული ყველა არსებული პრობლემა ეროვნულ დონეზე.

მასში მოკლედ უნდა იყოს გადმოცემული ეროვნული პოლიტიკა ამ სფეროში. ასევე უნდა

იყოს განსაზღვრული პრიორიტეტები და მოვალეობები.

უნდა გვახსოვდეს, რომ სახელმწიფო პროგრამის მომზადება ამ პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლაში ქვეყნის ერთიანი პოლიტიკის შემუშავებისა და კოორდინაციის საფუძველია.

სახელმწიფო პროგრამა უნდა უზრუნველყოფდეს ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით განხორციელებულ საერთო შეთანხმებულ ღონისძიებებს, ისეთ სფეროებში, როგორიცაა:

- ბრძოლა უკანონო მიწოდებასთან;
- ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის აღკვეთა;
- მოთხოვნის წინასწარი განსაზღვრა და შემცირება;
- მკურნალობა და რეაბილიტაცია.

გარდა ამისა, სახელმწიფო პროგრამა საშუალებას იძლევა მჭიდრო კონტაქტები დამყარდეს იმ დაწესებულებებთან, რომლებიც გვემძვინვარებენ, კოორდინაციას უკეთებენ და ახორციელებენ ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს. ასეთი კომპლექსური მიდგომა ეროვნულ ორგანოებს ეხმარება ყურადღება იმ ურთიერთკავშირის განმტკიცებაზე გამახვილონ, რომელიც ამ რთული პრობლემის გადაწყვეტის მიზნით ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, ეკონომიკური განვითარების, ინფორმაციისა და სამართალდამცავ უწყებებს შორის უნდა არსებობდეს. იგი ასევე საშუალებას იძლევა ყურადღება იმ დაწესებულებათა საქმიანობაზე გამახვილდეს, რომლებიც გვემძვინვარებენ, კოორდინაციას უკეთებენ და ახორციელებენ ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს, განსაზღვრავენ მათი განმტკიცების გზებს.

სახელმწიფო პროგრამა მთავრობებს საშუალებას აძლევს ნარკოტიკებზე კონტროლის მიზნით მათ მიერ განხორციელებული ღონისძიებები ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის საერთო სტრუქტურაში ჩართონ და არ განიხილონ ისინი როგორც ერთმანეთთან დაუკავშირებელი ღონისძიებები.

სახელმწიფო პროგრამების მომზადებისას აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული კონკრეტული პირობები, რადგან:

პირველი - ნარკოტიკების ბოროტად გამოყ-

ენებასთან და მათ უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული პრობლემები, როგორც წესი, თავისი ხასიათით სრულიად განსხვავებულია. რიგი ქვეყნებისა უმთავრესად ნარკოტიკების კულტივირებისა და წარმოების პრობლემას აწყდება (ან ამ პრობლემის წარმოშობის რისკს). სხვა ქვეყნები ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის ან ფულის გათეთრების ცენტრებს წარმოადგენენ. დანარჩენები, საბოლოო ჯამში, იძულებულია იბრძოლონ ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ და ნარკომანების მკურნალობისა და რეაბილიტაციასთან დაკავშირებული პრობლემები გადაწყვიტონ, თუმცა ქვეყნების უმრავლესობა ერთდროულად ყველა ამგვარი პრობლემის წინაშე დგას.

მეორე – ქვეყნები სრულიად განსხვავებულ პირობებში იმყოფებიან. ზოგიერთ ქვეყანას მდიდარი გამოცდილება გააჩნია ამ სფეროში და უკვე მზად აქვს სათანადო პროგრამები. სხვა ქვეყნებისთვის ეს საკითხები ცნობილია და მათ უკვე განსაზღვრეს ეროვნული პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები და პრიორიტეტულობის კრიტერიუმები, მიუხედავად იმისა, რომ მათ ჯერ არ დაუწყიათ პროგრამების მომზადება. გასათვალისწინებელია, რომ ქვეყნების დიდი რაოდენობა პირველად წააწყდა ამგვარ პრობლემას. ამიტომ ისინი მნიშვნელოვანწილად განსხვავდებიან ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემების პოლიტიკური და საზოგადოებრივი მნიშვნელობის გაგებისა და ამ პრობლემის გადაჭრისათვის მოწოდებული სახელმწიფო ორგანიზაციებისა თუ კერძო დაწესებულებების არსებული ღონის მიხედვით.

მესამე – გასათვალისწინებელია, რომ ეს განსხვავებები არა მარტო ნარკოტიკების პრობლემის არსებობის შედეგია, არამედ იგი, აგრეთვე, ქვეყნების ეკონომიკური, სოციალური განვითარებისა და სახელმწიფო ფინანსური მდგომარეობის შედეგიცაა. გარდა ამისა, ყოველმა მთავრობამ აუცილებელია გადაწყვიტოს, განიხილავს იგი ნარკოტიკების ბოროტად გამოყენებას როგორც ცალკეულ პრობლემას, თუ როგორც ნივთიერებათა, მათ შორის ალკოჰოლისა და თამბაქოს ნაწარმის ბოროტად გამოყენების უფრო ფართო კომპლექსური პრობლემის ნაწილს.

დაბოლოს: არსებობს ეგრეთწოდებული დაგეგმვის ეროვნული სისტემები, ანუ მოკლე, საშუა-

ლო და გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყანაში სოციალური, ეკონომიკური და ფინანსური პროგრამების შემუშავების არსებული მექანიზმების სრულიად განსხვავებული ხერხები.

იმის მიხედვით, თუ ქვეყანა როგორ მნიშვნელობას ანიჭებს თავის სახელმწიფო პროგრამას, შეიძლება არსებობდეს გეგმის რამდენიმე ვარიანტი:

– მოკლევადიანი ოპერატიული პროგრამა (2 ან 3 წელი);

– ეროვნული განვითარების საშუალოვადიანი გეგმის შემადგენელი ნაწილი (5 წელი);

– პროგრამული გეგმა გამიზნული საშუალოვადიან ან გრძელვადიან პერსპექტივაზე (5-10 წელი);

– საშუალოვადიანი სექტორული პროგრამები (ჯანდაცვის, განათლების და ა.შ. სისტემებში) როგორც საერთო გეგმის – პროგრამის შემადგენელი ნაწილი.

პირველი გადაწყვეტილება დაკავშირებულია სახელმწიფო პროგრამის წარმოდგენასთან ოპერატიული პროგრამის სახით და მთავრობის მტკიცე ვალდებულებით – დააფინანსოს და განაზოციელოს იგი. ამ შემთხვევაში გეგმაში ჩართულ ღონისძიებათა განზოციელების ვადები არ უნდა გამოვიდეს სახელმწიფო დაგეგმვის ვადების ფარგლებიდან, ხოლო შესაბამისი საქმიანობა სახელმწიფო ბიუჯეტში და სახელმწიფო ინვესტირების პროგრამაში უნდა იყოს გათვალისწინებული ან დაფინანსდეს მკაფიოდ მითითებული სპეციალური სახსრების ხარჯზე.

ამგვარი ფორმულირება ფრიად მკაცრია, რამდენადაც იგი სახელმწიფოებს ავალდებულებს მკაფიოდ მიუთითოს, რანაირად შეასრულებს იგი სახელმწიფო პროგრამას.

მეორე ვარიანტი იმ შემთხვევებს ეხება, როცა სახელმწიფო პროგრამა შეიძლება მომზადდეს როგორც ეროვნული განვითარების საშუალოვადიანი გეგმის შემადგენელი ნაწილი. ამგვარი მიდგომა საშუალებას იძლევა ღონისძიებები უფრო ხანგრძლივი პერიოდისათვის დაიგეგმოს.

მესამე ვარიანტი კონკრეტული მიზნების მითითებით – საშუალოვადიანი პერიოდისათვის გამიზნული სპეციალური პროგრამა, უმრავლეს შემთხვევაში, ყველაზე უფრო რეალისტური მიდგომაა წარმოადგენს.

დაბოლოს, მეოთხე ვარიანტს, რომელიც

გულისხმობს არა ერთიანი ეროვნული პროგრამის, არამედ სხვადასხვა სექტორალური გეგმების შემუშავებას – გააჩნია როგორც უპირატესობა, ისე ნაკლოვანება. უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლაში შესაბამის სამინისტროთა დეპარტამენტების, აგრეთვე სხვადასხვა ადმინისტრაციული სამსახურების უფრო აქტიურ მონაწილეობას უზრუნველყოფს, ხოლო ნაკლი – დაგეგმვის პროცესის დანაწევრებასა და მუშაობის სხვადასხვა ასპექტის კოორდინაციის სიძნელეში უნდა ვეძებოთ.²⁷

საქართველოში მეცნიერთა და პრაქტიკოსთა ჯგუფმა, რომლის ხელმძღვანელი ამ სტატიის ავტორი გახლდით, ჯერ კიდევ 1996 წელს შეიმუშავა პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული „ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული პროგრამა“. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ მოიძებნა მისი დაფინანსების წყაროები (როგორც ქვეყნის ბიუჯეტიდან, ასევე სხვა რესურსების გამოყენებითაც), არ ჩანს დახმარება არც გაეროს შესაბამისი სტრუქტურებიდან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან. ამის გამო ეროვნული პროგრამის მოთხოვნები საწყის დონეზეც კი არ არის შესრულებული.

აღნიშნული ხელს უშლის საქართველოს შესაბამის სამსახურებს, აქტიურად ჩაერთონ ამ პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო სტრუქტურებში.

სტატიის დასასრულს, შეგვიძლია დავასკვნათ: ნარკოტიკების წინააღმდეგ მიმართული საქმიანობა ემყარება გაეროს სამ კონვენციას და ამ-

ჟამად მოქმედი რეგიონული და ქვერეგიონული ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ პროგრამებს. ეს ღონისძიებანი შედარებით ახალია და ისინი მხოლოდ ახლა იწყებენ მოქმედებას. ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლაში ყველაზე მნიშვნელოვან როლს დამოუკიდებელი ქვეყნები თამაშობენ. არ არსებობს სახელმწიფოზე ზემოთ მდგომი სტრუქტურა, რომელიც აიძულებდა ამა თუ იმ ქვეყანას ცხოვრებაში განეხორციელებინა კონვენციითა და პროგრამით განსაზღვრული ღონისძიებანი. ეს საერთაშორისო მრავალმხრივი ორგანოები მხოლოდ მრჩევლისა და დამარწმუნებლის ფუნქციას ასრულებენ. მიუხედავად ამ მოკრძალებული ფუნქციისა, ამ სტრუქტურებმა დიდი როლი შეასრულეს ნარკოტიკების არალეგალური ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლაში. ნარკოტიკების პრობლემა ხომ საერთაშორისო პრობლემაა და ამ პრობლემის გადაწყვეტისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ ერთი ქვეყნის საქმიანობა, წარმატება მხოლოდ ურთიერთშეთანხმებულმა საქმიანობამ შეიძლება მოიტანოს, ასეთი თანამშრომლობის სურვილი სულ უფრო და უფრო მეტ ქვეყანას უჩნდება, რადგანაც უფრო და უფრო აცნობიერებენ იმას, თუ რა აუნაზღაურებელი ზიანი შეიძლება მოუტანოს სახელმწიფოსა და საზოგადოებას ნარკოტიკების არალეგალურმა ბრუნვამ.

მიმაჩნია, რომ ჩვენი ვალაია დავძლიოთ ამჟამად არსებული ნარკოკრიზისი, ქმედუნარიანი გავხადლოთ ანტინარკოტიკული კამპანია და მსოფლიო საზოგადოებას დავანახოთ, რომ უკეთესი მომავლისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა მხოლოდ ქვეყნებს შორის შეთანხმებულ მოქმედებებს შეუძლია ჰქონდეს.

ჯემალ ჯანაშია,

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სამეცნიერო ტექნიკური ცენტრის უფროსის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, გენერალ-მაიორი.

²⁷ Программа Организаций Объединенных Наций по международному контролю над наркотиками. Формат и руководящие принципы подготовки национальных генеральных планов по контролю над наркотиками. Вена, 1994г.

გამოძალვის ბრალში განზრახვის სახითა საკითხის გამო

რუსულ უახლეს დოქტრინაში გამოძალვის სუბიექტურ მხარეზე მსჯელობისას აღიარებულია, რომ გამოძალვისას სახეზე გვაქვს პირდაპირი განზრახვა და ანგარებითი მიზანი. საეჭვოა ამ შეხედულებამ გაამართლოს, გამოძალვის ე. წ. მეორეხარისხოვანი დამნაშავეს, სხვისი ქონების დამცველი ან გამგებელი პირის მიერ გამოძალველზე ქონების იძულებით გადაცემის შემთხვევაში. ასეთ დამნაშავეს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, შეგნებულად უშვებდა მის დადგომას, მაგრამ არ სურდა ეს შედეგი – თავის დაცვაში ან სარგებლობაში მყოფი სხვისი ქონების გადაცემა გამოძალველზე. საქმე ისაა, რომ როცა რუსი მეცნიერები ასე კატეგორიულად არიან გამოძალვის მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ჩადენაზე, სხვისი ქონების დამცველი ან მფლობელი პირის მიერ გამოძალველზე ქონების გადაცემას გამოძალვაში თანამონაწილეობად არ აღიქვამენ. 1997 წ. მოსკოვში გამოცემული იურიდიული უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების სასწავლო და პრაქტიკოსი მუშაკების სახელმძღვანელოში, რომელიც რუსეთის ფედერაციის ახალი სისხლის სამართლის კოდექსის ფაქტობრივი კომენტარია, გამოძალვასთან დაკავშირებით გასაგებად წერია შემდეგი:

„დანაშაულის შემადგენლობა ფორმალურია, დანაშაული დამთავრებულად ითვლება ამა თუ იმ მოთხოვნის წარდგენის მომენტში. დამნაშავეს ყველა შემდგომი მოქმედებები, ისე როგორც

დაზარალებულის, გამოძალვის შემადგენლობის ფარგლებში ვერ ჯდება და სისხლის სამართლებრივ განცალკევებულ შეფასებას ექვემდებარება. მაგალითად, თუ გამოძალველმა გაავრცელა სხვა პირის წინასწარი შეცნობით ყალბი და სახელგამტეხი ცნობები, მისი მოქმედება დაკვალიფიცირდება გამოძალვის და ცილისწამების მუხლების ერთობლიობით; თუ მისი მოქმედება წინასწარი შეცნობით ცრუ დასმენის ნიშნებს შეიცავს, დამატებით საჭიროა ცრუ დასმენისათვის გათვალისწინებული მუხლით დაკვალიფიცირება; თუ ქონების განადგურების ან დაზიანების მუქარაა რეალიზებული, მისი მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს გამოძალვისა და სხვისი ქონების განზრახ განადგურების მუხლების ერთობლიობით.

გამოძალვის დამთავრებულ დანაშაულად ცნობისათვის არა აქვს მნიშვნელობა ქონების ან ქონებაზე უფლების გადაცემის ფაქტს. თუ დაზარალებულმა შეასრულა გამოძალვის მოთხოვნა, ზოგ შემთხვევაში წარმოიშობა პრობლემა დაზარალებულის მოქმედების სისხლისსამართლებრივი შეფასების თვალსაზრისით. ამასთან დაკავშირებით შეიძლება შეგვხვდეს შემდეგი განმასხვავებელი სიტუაციები:

1. ქონების გადაცემის მოთხოვნა კმაყოფილდება აღნიშნული ქონების მესაკუთრის მიერ. ამ შემთხვევაში გამოძალვაზე ქონების გადამცემი დაზარალებულის მოქმედება არ ქმნის დანაშაულის შემადგენლობას;

2. ქონების გადაცემის მოთხოვნას აკმაყოფილებს პირი, რომელიც არ არის მესაკუთრე,

მაგრამ მას ეს ქონება მინდობილი ჰქონდა (გამყვიდელო, რეალიზატორი, მოლარე, ექსპედიტორი და ა. შ.) ან იმყოფებოდა მისი დაცვის ქვეშ (ყარაული, დაცვა). ამ შემთხვევაში გამომძიებლის მიერ ქონების მოთხოვნის დაკმაყოფილება დაკავშირებულია სხვისი ქონების ამოღებასთან. იქიდან გამომდინარე, ქონების გამომძიებელზე გადამცემს როგორი დამოკიდებულება, უფლებამოსილება ჰქონდა ქონების მიმართ, მისი მოქმედება ჩაითვლება გაფლანგვად (თუ ქონება მინდობილი ჰქონდა) ან ქურდობად (თუ მისი დაცვის ქვეშ იმყოფებოდა).¹

ამგვარი შეხედულება იყო ჩამოყალიბებული ძველ რუსულ დოქტრინაშიც. თუ დავაკვირდებით, პირველ პუნქტში აღნიშნულია, რომ დაზარალებულის მოქმედება გამომძიებლის შემადგენლობას არ შეიცავს, როცა ის ქონების მესაკუთრეა, მაგრამ არაა ყოვლისმომცველი მსჯელობა გამომძიებელი-ბრალდებულის დანაშაულის კვალიფიკაციაზე, როცა ქონების მიღების მოთხოვნა დაკმაყოფილდება. ასეთ შემთხვევაში და იმ შემთხვევაშიც, როგორც ციტატიდან ჩანს, როცა მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება და გამომძიებელი შურისძიებით აღასრულებს რაიმე სახის მუქარას, დანაშაული მხოლოდ გამომძიებლის მუხლით ვერ კვალიფიცირდება. გამოდის, რომ გამომძიებელი აუცილებლად რომელიმე დანაშაულზე დამოკიდებული დელიქტი ყოფილა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დამნაშავე ქონების მიღების მხოლოდ მოთხოვნას წარუდგენს დაზარალებულს და ამ მომენტში მოხდება მისი დანაშაულებრივი ქმედების აღკვეთა.

ადრე გამოქვეყნებულ სტატიებში განვითარებული მქონდა აზრი, რომ გამომძიებლის შემთხვევაში სხვისი ქონების გამომძიებელზე იძულებით გადამცემი პირი ქურდი ან გამფლანგველი კი არ არის, არამედ გამომძიებლის თანამონაწილეა. საინტერესოა, რუს მეცნიერ-იურისტთა ლოგიკით როგორ დაკვალიფიცირდება პირადად სხვისი ნივთის მფლობელი ან განმგებელი პირის მიერ ამ ქონების გამომძიებელს თავის საკუთრებაში მოქცევის შემდეგ. ე. ი. როცა თავად იგი ემუქრება ქონების მეპატრონეს და ქონებასაც

თავად ეუფლება. რა ჩაიდინა მან: მითვისება თუ გამომძიებელი, თუ – ორივე ერთად? რა თქმა უნდა, მან ჩაიდინა მხოლოდ გამომძიებელი და ამ შემთხვევაში მას ექნება პირდაპირი განზრახვა, ხოლო თუ სხვას, გამომძიებელს, გადასცა, ჩემი აზრით, გაფლანგვა კი არ იქნება, არამედ ქონების გადამცემი დამნაშავე ქონების გამომძიებელ დამნაშავეს დაეხმარება გამომძიებლის აღსრულებაში და ამიტომ პირველი მათგანის განზრახვა ევენტუალური იქნება. აქედან გამომდინარე ვასკვნი, რომ გამომძიებელი შეიძლება იყოს როგორც წინასწარი განზრახვით, ასევე მოქმედების პროცესში წარმოშობილი არაპირდაპირი განზრახვისათვის დამახასიათებელი მოტივებით.

აქვე გვინდა ორიოდ სიტყვა ვთქვათ გამომძიებლისას ქონების გამომძიებელზე გადამცემი დამნაშავის ქმედების არა სისხლისსამართლებრივი წესით დასჯის იდეის გამო. თუ ჩვენს მოსაზრებას არ გაიზიარებს სასამართლო პრაქტიკა იმასთან დაკავშირებით, რომ სხვისი ქონების გამომძიებელზე გადამცემი პირი გამომძიებლის თანამონაწილეა და არა ქურდი ან გამფლანგველი, იქნებ უპრიანი იყოს, გვემსჯელა მის მხოლოდ სამოქალაქო მოპასუხედ ცნობის თაობაზე. იგი ხომ სხვის ქონებას ამა თუ იმ სამოქალაქო ხელშეკრულების დადების საფუძველზე განაგებს ან ფლობს და, თავისთავად, ამ ხელშეკრულებითვე ვალდებულია ზარალის ანაზღაურებაზე და ამისათვის სათანადო სამართლებრივი გარანტიები აქვს მიცემული მესაკუთრისათვის. იგი არც ქურდობის, არც გაფლანგვის, არც გამომძიებლისთვის დამახასიათებელი ანგარებითი მოტივით არ მოქმედებს, იგი, გარკვეულწილად, უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში მყოფი, კაბალურ შეთანხმებას სდებს გამომძიებელთან. რატომ უნდა ჩაითვალოს მისი მოქმედება წინასწარ შეთანხმებულ პირთა ჯგუფთან ერთად? იგი ხომ, ასე ვთქვათ, დანაშაულის ჩადენის „ცოცხალ იარაღად“ გვევლინება? იგი ხომ რეალურად დარწმუნებულია იმაში, რომ თუ სხვის ქონებას არ გადასცემს გამომძიებელს, ეს უკანასკნელი ან შანტაჟს მოუწყობს, ან რაიმე ძალადობას ჩაიდენს. მით უმეტეს, გამომძიებლის დანაშაულების ბუნების გამო მათი უმეტესად მიჩქმალვის ფონზე მივცეთ მას სამართლებრივი გარანტია გამომძიებლის დელიქტზე შენიშვნის დამატებით, რომ თუ იგი გამოძიებას დაეხმარება

¹ Уголовное право. Особенная часть, учебник для Вузов. Издательская группа «инфра», М-норма-Москва, 1997, გვ. 242-243.

დანაშაულის გახსნაში, დამნაშავის მზილებაში და დაზარალებულს ზიანის ანაზღაურების გარანტიაც ექნება, განთავისუფლდეს სისხლისსამართლებლივი პასუხისმგებლობისაგან.

როგორც ბოლოს მოყვანილ ციტატაში ეწერა, გამოძალველის მიერ ქონების გადაცემის მოთხოვნის წარდგენის შემდეგ, დამნაშავის ყველა მოქმედება სცილდება განსახილველი დელიქტის შემადგენლობას და საჭირო ხდება მისი ქმედების დასაკვალიფიცირებლად სხვა მუხლების მოშველება და განხილული იყო სხვა დელიქტთან გამოძალვის ერთობლიობის სამი მაგალითი, მაგრამ საერთოდ არ იყო ლაპარაკი და არც ძველ რუსულ დოქტრინებში არსად არ გვხვდება მსჯელობა, თუ როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ქმედება, როცა დაზარალებულმა, ე. ი. თავად ქონების მეპატრონემ, ქონება უკვე გადასცა დამნაშავეს. გამოძალვის კვალიფიკაციის საკითხს ეძახიან პრობლემატურს და კონკრეტულად ასეთი წინააღმდეგობის მოგვარების მცდელობას კი გაურბიან. საქმე ისაა, რომ გამოძალვა მიაჩნიათ რა ფორმალურ დანაშაულად და არ მიაჩნიათ გატაცების ხერხად, მუქარით ქონების გადაცემის მოთხოვნას აღიარებენ დამთავრებულ დანაშაულად, ხოლო მას შემდეგ, რაც ამ მოთხოვნის წარდგენის, ე. ი. დღევანდელი დეფინიციით გამოძალვის ჩადენის შემდეგ დამნაშავემ ამოიღო სხვისი ქონება, ე. ი. გაიტაცა, ვერ ახერხებენ ამ ქმედებაზე სახელის დარქმევას – გატაცება რადგან აშკარაა, უნდათ მონათლონ გაძარცვად, ვინაიდან გამოძალვას გატაცების ხერხად არ აღიარებენ. თავისი არსით, ერთი დელიქტის ორი მუხლით დაკვალიფიცირება კი, ეტყობა, აბსურდად მიაჩნიათ და, პირიქით, იმტვრევენ თავს, როგორ გამიჯნონ გაძარცვა გამოძალვისაგან. თუ გატაცების ხერხად აღიარებენ გამოძალვას, მაშინ მისი ფორმალური ხასიათი იკარგება, რადგან გატაცება ნიშნავს საბოლოოდ ქონების ამოღებას, თუმცა გამოძალვისას მოთხოვნის წარდგენა გატაცების მსვლელობის გზაზე ხდება, მისი ერთ-ერთი ეტაპია. მოკლედ – მიდიან დილემამდე, რისი თავიდან აცილების ერთადერთი გზაა, თუ მცდელობად ვაღიარებთ ქონების მუქარის მოთხოვნის წარდგენას, ხოლო დამთავრებულ დანაშაულად უკვე ქონების ამოღებას.

ვინაიდან გამოძალვა ფორმალურ დანაშაულადაა აღიარებული, მისი სუბიექტური მხარის

განხილვა პოსტსაბჭოური ქვეყნების იურიდიულ დოქტრინაში ხდება ამ თვალსაწიერიდან. განზრახვის ინტელექტუალურ და ნებელურ მომენტებზე ზუსტად ამ პოზიციიდან ლაპარაკობს ვ. ნ. კუცი, სხვა რუსულ მეცნიერულ ნაშრომებში კი დანაშაულის შემადგენლობის არც ამ და არც სხვა ნიშნებზე დეტალური განხილვა არ ხდება. ამიტომ ჩვენ ისევ ხსენებული მეცნიერის ნაშრომის – „გამოძალვის სუბიექტურ მხარის“ – განხილვას შევუდგებით.

ვ. კუცი განსაზღვრებების სახით აყალიბებს გამოძალვის პირდაპირი განზრახვის ინტელექტუალურ და ნებლობით ელემენტებს: „გამოძალვაში პირდაპირი განზრახვის ინტელექტუალური მომენტი – ესაა სუბიექტის მიერ იმის შეგნება, რომ დაზარალებულის ან მისი ახლობლების მიმართ ფიზიკური, მორალური ან ქონებრივი ზიანის მიყენების მუქარით ქონებრივ მოთხოვნებს წარუდგენს დაზარალებულს, რითაც მის პირად ხელშეუხებლობას არღვევს (საზოგადოებრივი საშიშროების შეგნება), ასევე საზოგადოებრივი მართლწესრიგის საწინააღმდეგო ხასიათის გამო ასეთ ქმედებათა აკრძალვის შეგნება (მართლსაწინააღმდეგობრიობის შეგნება).“²

„გამოძალვაში პირდაპირი განზრახვის ნებლობითი მომენტი შეიძლება განისაზღვროს როგორც სუბიექტის სურვილი, წარუდგინოს დაზარალებულს ქონებრივი მოთხოვნები მასზე ან მის ახლობლებზე ზიანის მიყენების მუქარით დაზარალებულის დაშინების და მისთვის წარდგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით.“³

გამოდის, რომ გამოძალვის დროს განზრახვის ნებლობითი მომენტი, უპირველესი დანაშაულებრივი მიზანი ის კი არ ყოფილა, რომ დაეუფლოს სხვის ქონებას, არამედ ეს სხვა გაანაწყენოს, დააშინოს, მის პირად ხელშეუხებლობებს მიაყენოს ზიანი, თითქოს გამოძალველს ქონების გამოძალვის მიზანი კი არ ჰქონია, არამედ მხოლოდ მსხვერპლზე ფსიქიკური ზემოქმედება ყოფილა მისი, ასე ვთქვათ, თვითმიზანი. თუ ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, გამოძალვა საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში კი არაა, იძულებისა და მუქარის დელიქტების

² «Субъективная сторона вымогательства», ვ. ნ. კუცი, ხარკოვი, 1986, გვ. 5.

³ „იქვე“, გვ. 6.

მსგავსად, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში უნდა იყოს მოთავსებული. ჩემი აზრით, ვ. კუცი ასეთ უმართებულობამდე მიიყვანა იმ არასწორად დაკანონებულმა შეხედულებამ, რაც გამოძალვის ფორმალურ დანაშაულად აღიარებას მოჰყვა. როცა ვ. კუცი გამოძალვის მთავარ უშუალო ობიექტად ადამიანის პირად ხელშეუხებლობას აღიარებს, ხოლო მეორეხარისხოვნად – საკუთრებას, ამ იდეის უსუსურობამ სუბიექტური მხარის განხილვისას იჩინა თავი. ამიტომ, ჩემი აზრით, გამოძალვაში განზრახვის ნებელობითი მომენტი არის ზუსტად სხვისი ქონების მისაკუთრება და როცა ასეთი აზრი უჩნდება დამნაშავეს, მას შემდეგ ფიქრდება ამგვარი სურვილის ასრულების გზებზე – ის ქონება გზაში რომ ყოფილიყო, მიითვისებდა; იოლად მოსაპარავი რომ ყოფილიყო, იჭურდებდა; თუ ადვილად დააშინებდა მის მეპატრონეს, გაძარცვავდა, მაგრამ როცა ასეთი ხერხებით ვერ აღწევს თავის სურვილს, გადაწყვეტს, რომ ჩაიდინოს გამოძალვა, ფსიქიკური ზემოქმედება მოახდინოს მსხვერპლზე. ამდენად, ჩვენ მიგვაჩნია, რომ, პირველ რიგში, გამოძალველის განზრახვაში მისი ნებელობითი მომენტი არის სხვისი ქონების მისაკუთრება, ასევე ამ ნების მისაღწევად მსხვერპლზე ფსიქიკური ზეგავლენის მოხდენის მიზნით მისი პირად ხელშეუხებლობაზე ზიანის მიყენების ნება.

რაც შეეხება გამოძალვის მოტივს და მიზანს, ამ საკითხზეც აზრთა სხვადასხვაობაა იურიდიულ დოქტრინაში – გამოძალვის მოტივად, ძირითადად, მიაჩნიათ ანგარება,⁴ რომელსაც ხშირად ასახელებენ როგორც გამოძალვის მიზნად, ასევე მოტივადაც.⁵

ასეთი მოსაზრებისაგან განსხვავებით, ვ. კუცი გამოძალვის მოტივად ასახელებს შურისძიებას, ვალის ყალბად გაგებულ გრძნობას, სიძულვილს და ა. შ.⁶ შურისძიების მოტივით გამოძალვის ჩადენის აზრის დასასაბუთებლად ის ამტკიცებს: „სუბიექტს, რომელმაც შურისძიების საშუალებად გამოძალვა აირჩია, შეგნებული აქვს, რომ თავისი მოქმედებით დაზარალებულს აყენებს რთული, გამოუვალი არჩევანის წინაშე – ან დააკმაყოფილოს გამომძალველის მოთხოვნა ან უარი უთხრას მას და ამით საშიშ მდგომარეობაში ჩააყენოს საკუთარი თავი ან ახლობლები. აღნიშნულის მხედველობაში მიღებით, იოლად იქმნება ისეთი სიტუაციები, როცა გამომძალველი შურისძიების მოტივით დაზარალებულს ძალადობით ან სხვა ზიანის მიყენების მუქარით წარუდგენს ქონებრივ მოთხოვნებს და ამით კმაყოფილდება, იცის, რომ უკვე ამ მოქმედებათა ჩადენით დაზარალებულს მიაყენა ფსიქიკური ვნება. მსხვერპლის შემდგომმა საქციელმა შეიძლება არც კი დაინტერესოს გამომძალველი, ე. ი. მისთვის, შესაძლებელია, სულერთი იყოს, დააკმაყოფილებენ მის მოთხოვნას თუ არა. მთავარი, ამ შემთხვევაში, გამომძალველისათვის არის, დაზარალებულს დაუკარგოს სიმშვიდე, დააშინოს იგი მისთვის ადრე მიყენებული უსიამოვნებების გამო, ე. ი. დაიკმაყოფილოს შურისძიების გრძნობა.“⁷

ასე ვრცლად იმიტომ მოვიყვანეთ ვ. კუცის ნააზრევი, რომ ციტატის შემოკლებით შეიძლება ნათელი ვერ გამხდარიყო მისი მოთხოვნა. აღნიშნული მაგალითი, ჩემი აზრით, წმინდაწყლის მუქარაა, რომელი საზოგადოებრივად საშიში ქმედებისათვის, ისე როგორც საქართველოს, ასევე რუსეთის და უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსშიც განკუთვნილია ადგილი. აბა, რა დავარქვათ ზემოთ მოყვანილი შემთხვევის მაგალითზე დამნაშავეს ისეთ მოქმედებას, როცა მისთვის მთავარი ის კი არ ყოფილა, რომ სხვის ქონებას დაუფლებოდა, არამედ იგი დაეშინებინა შურისძიების მოტივით, აეფორიაქებინა. ზუსტად ის არის მუქარის, როგორც დელიქტის, მოტივი და მიზანი, რომ დააშინოს მსხვერპლი ფიზიკური, ქონებრივი თუ მორალური ზიანის მიყენებით და ეს შიში უნდა იყოს საფუძვლიანი და როცა ასეთი შურისძიების მოტივი აქვს გამომძალველს, მისი ქმედება საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად, გამოძალვად ან მის მცდელობად კი არ უნდა განვიხილოთ, არამედ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად, მუქარად. როცა სსსკ 112-ე მუხლით სისხლის სამართლის საქმეზე განზრახი

⁴ “Курс Советского уголовного права”, т. 5, Москва, 1971, გვ. 357, გამომცემლობა „ნაუკა“.

⁵ “Комментарий к уголовному кодексу РСФСР”, ი. სვერინის რედაქციით, გამომცემლობა „იურიდიული ლიტერატურა“, მოსკოვი, 1985, გვ. 225.

«Субъективная сторона вымогательства», ვ. ნ. კუცი, ხარკოვი, 1986, გვ. 7.

⁷ იქვე.

დანაშაულის არსებობის შემთხვევაში აუცილებელ, კანონით სავალდებულო დასადგენ გარემოებად მიჩნეულია მოტივი და მიზანი, აღნიშნულის გარკვევას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დანაშაულების ერთმანეთისაგან, მით უმეტეს გამოძალვის სხვა დელიქტისაგან გამიჯვნის თვალსაზრისით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გამოძალვისას დანაშაულის მოტივი მისი „განსაზღვრული მოთხოვნებით და ინტერესით განპირობებული შინაგანი მამოძრავებელი მიზეზი, რომელიც წარმოშობს სუბიექტში დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას და რომლითაც იგი ხელმძღვანელობს დანაშაულის ჩადენის დროს“⁸, არის ანგარება – „საზოგადოებრივად საშიში ქმედების აღძვრის მიზეზის საფუძველი, რაიმე მატერიალური სარგებლის ან სხვა კეთილდროების მიღებისკენ ლტოლვა.“⁹

როცა ვ. კუცი გამოძალვის დროს მის სხვა მოტივებზე ლაპარაკობს, მაგალითად, ვალის ყალბად გაგებულ გრძნობაზე, აქაც არაა გამოძალვა სახეზე – ამ შემთხვევაში, ჩემი აზრით, თვითნებობის და იძულების დელიქტების არსებობასთან გვაქვს საქმე. სხვა შემთხვევაში ვ. კუცს მიაჩნია, მაგალითად, გამოძალვის ჩადენა ალტრუისტული გაგებით. მაგრამ, ჩემი აზრით, აქ მეცენატობა არა გვაქვს, რადგან ქველმოქმედება უნდა იყოს არადანაშაულებრივი და ამიტომ მნიშვნელობა არა აქვს, ვის საკუთრებაში გადავა სხვისი საკუთრება, გამომძალველისა თუ უპატრონო ბავშვთა სასარგებლოდ. აქ მთავარია ის, რომ მოხდა სხვისი ქონების ამოღება, გატაცება. ამ უკანასკნელად კი იურიდიულ დოქტრინაში მოიაზრება არა მართოდ დანაშაულის საკუთრებაში, არმედ ქონების სხვის საკუთრებაში მიქცევა. აკი ქართველმა კანონმდებელმა ახალ სისხლის სამართლის კოდექსში საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა დეფინიციისას ტყუილუბრალოდ არ გაამახვილა ყურადღება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანზე. მას შემდეგ, რაც დანაშაულებრივ მისაკუთრებს სხვის ქონებას, იგი მას განჰკარ-

გავს, ფილანთროპობას მიჰყოფს ხელს თუ თვითონ მოიხმარს, ეს მთავარი არაა. მთავარია ის, რომ დანაშაულებრივ სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი, რაღაც კეთილდღეობის თუ მატერიალური სარგებლობის მიღების მოტივი ამოძრავებს. როცა კანონმდებელმა გამოძალვის დელიქტის განმარტებისას მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანზე არაფერი თქვა, ალბათ, აქ ორი რამ ჰქონდა მხედველობაში: ჯერ ერთი, ქურდობის, ძარცვის ან ყაჩაღობისაგან განსხვავებით, გამოძალვისას შესაძლებელია სხვისი უძრავი (ასევე მოძრავი) ნივთიდან ქონებრივი სარგებლობის მიღება და ამ შემთხვევაში მისაკუთრების მიზანი არ ჰქონდეს დანაშაულებრივს. მეორეც, კანონის დღევანდელი გაგებით გამოძალვად ითვლება, მაგალითად, რაიმე მოძრავი ნივთის არა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება, არამედ მასზე მხოლოდ მოთხოვნის წარდგენა.

დამნაშავემ რომ რაიმე სარგებელი მიიღოს, მისაკუთრებელს გახდომის, მისაკუთრების მიზანი უნდა ჰქონდეს და იმის გამო, რომ ეს მიზანი დანაშაულებრივია, იგი, ისევე, როგორც ეს სხვა დელიქტებშია, უნდა მოვიხსენიოთ მართლსაწინააღმდეგობრიობაზე ხაზგასმით, რადგანაც როგორც ინგლისურ დოქტრინაში საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში მართებულადაა განსაზღვრული, კანონი მოითხოვს ასეთ დანაშაულთა შემადგენლობაში დანაშაულის განზრახვას, მიზანს, რომ მისაკუთრებს მოუსპოს ქონებაზე ყოველგვარი კანონიერი უფლება.¹⁰

მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი რომ ნაფიქრალი აქვს კანონმდებელს გამოძალვის ძირითად შემადგენლობაში, ამაზე მეტყველებს ამ დელიქტის მაკვალიფიცირებელი შემადგენლობა, სადაც ხაზგასმა ხდება დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზანზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დელიქტის პირველი ნაწილის დისპოზიციით დასჯადია არა დიდი ოდენობით ქონების, თავისთავად, მართლსაწინააღმდეგო მიღების მისაკუთრების მიზნით გამოძალვა.

კობა კობახიძე,
თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული
პროკურორის თანაშემწე.

⁸ „სისხლის სამართლის დანაშაული“, ლ. სურგულაძე, თბ., 1997, გვ. 207.

⁹ В. С. Волков, Мотивы преступлений, კანონის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1982, გვ. 45.

¹⁰ «Уголовное право и уголовный суд Англии», б. б. პოლიანსკის რედაქციით, გამომცემლობა «Юридическая литература», მოსკოვი, 1969, გვ. 171.

კახაბერ კაკაურიძე

სისხლისსამართლებრივი რეციდივი

ძველ კანონმდებლობაში, ვგულისხმობ 1961 წლიდან მოქმედ საქართველოს რესპუბლიკის ს.ს.კ-ს, არ გვხვდება დანაშაულებრივი რეციდივის განსაზღვრება. იგი არ იყო ფორმირებული არც მანამდე მოქმედ ს.ს-ივ კანონმდებლობაში.

რეციდივის ცნების შინაარსში სწორ გარკვევას გააჩნია დიდი სამეცნიერო-შემეცნებითი მნიშვნელობა და წარმოადგენს ერთ-ერთ აუცილებელ პირობას რეციდიული დანაშაულის წინააღმდეგ მიზანმიმართული და ერთგვაროვანი ბრძოლის განხორციელებისათვის. რეციდივისა და სხვა მომიჯნავე ცნებებს შორის ზუსტი საზღვრების დადგენა და მისი შინაარსის გარკვევა, განსაზღვრავს არა მარტო რეციდიული დანაშაულის თეორიული კვლევის ფარგლებს და კანონმდებლობას, რომელიც არეგულირებს რეციდივისტთა სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, არამედ განსაზღვრავს რეციდივის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებებს და მეთოდებს (მათ მოცულობას).

სისხლისსამართლებრივი რეციდივი წარმოადგენს დანაშაულის სიმრავლის განსაკუთრებულ სახესხვაობას. იგი, გარდა რეციდივისა, ასევე მოიცავს არაერთგვაროვან, რომლის ქვეშ მოიაზრება დროის სხვადასხვა მონაკვეთში იგივეობრივი ან არაერთგვაროვანი დანაშაულის ხელმეორედ ან მრავალგზის ჩადენა (თუ თანახმად კანონის შესაბამისი მითითებისა, უკანასკნელი წარმოქმნის არაერთგვაროვანს) ერთი და იმავე პირის მიერ მის გასამართლებამდე. აღნიშნული საკითხის სწორი გაგებისათვის საჭიროა აქვე

დავძინოთ, რომ სისხლის სამართლის ლიტერატურაში ტერმინი “არაერთგვაროვანი” იხმარება სხვადასხვა მნიშვნელობით. ფართო, “რომელიც მოიცავს ერთი და იმავე სუბიექტის მიერ ან ნებისმიერი შემდგომი დანაშაულის ჩადენის შემთხვევებს, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა იგი ნაშამართლელი წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის”, და უფრო ვიწრო გაგებით, რომელიც ჩვენს მიერაა ზემოთ განხილული. ტერმინს “არაერთგვაროვანი” ჩვენ ვიხმარებთ სწორედ ამ უკანასკნელი გაგებით. მასვე განეკუთვნება “რეალური ერთობლიობა, რომელიც გულისხმობს ორი ან მეტი სხვადასხვა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებას და აგრეთვე იდეალურ ერთობლიობას, როდესაც ერთი საერთო მოქმედების საშუალებით ორი ან მეტი სხვადასხვა და ამასთან ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობა განხორციელდება.¹

დანაშაულის რეციდივის თეორიულ საფუძვლად მიიჩნევა დანაშაულის სიმრავლე, რომელიც გულისხმობს “ს.ს. კანონით გათვალისწინებული რამდენიმე სამართალდარღვევის თავმოყრას ჩადენილს ერთი და იმავე ინდივიდის მიერ”.² ერთიანი დანაშაულისაგან განსხვავებით, რომელიც გულისხმობს სუბიექტის მოქმედებაში ერთი დანა-

¹ “Уголовное право”, часть общая, М., 1966, ст. 168.

² გ. ტყეშელიაძე, პასუხისმგებლობა დანაშაულთა ერთობლიობისათვის, 1965.

შაულის შემადგენლობის არსებობას, დანაშაულის სიმრავლისას აშკარაა ორი და მეტი დანაშაულის შემადგენლობა.³ ეს გარემოება, როგორც წესი, მოწმობს დანაშაულის სიმრავლის უფრო დიდ სოციალურ საშიშროებას, რომლებიც კანონის თანახმად ითვალისწინებენ უფრო მკაცრ სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ერთიან დანაშაულთან შედარებით.

ამასთან ერთად, დანაშაულის სიმრავლის სხვადასხვა სახეებისა და იმ პირთა სოციალური საშიშროების ხარისხი, ვინც დანაშაული ჩაიდინა, არ არის ერთნაირი, იგი განისაზღვრება რიგი გარემოებებით: დანაშაულთა სიმძიმის ხარისხით, ხასიათით, სხვადასხვა ფაქტებით, ნასამართლობით, დანაშაულთა შორის დროის ინტერვალთ. დანაშაულთა მექანიზმის თვალსაზრისით, რომლებიც ქმნიან დანაშაულის სიმრავლეს, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მხრივ, მიზანშეწონილია დანაშაულის სიმრავლის იმ ფორმების - რომლებიც ხასიათდება დანაშაულთა ჩადენის თანმიმდევრობით, როცა მეორე, მესამე და ა.შ. დანაშაულები ხორციელდება გარკვეული დროის მერე, გამოყოფა იდეალური ერთობლიობისაგან, როდესაც ასეთი თანმიმდევრობა გამორიცხულია.

ასეთი განცალკევება დაფუძნებულია დანაშაულის სუბიექტის სოციალური დახასიათების გათვალისწინებაზე. დანაშაულთა არაერთგზისობა - ობიექტური გამოვლინებაა და მოწმობს ინდივიდის ანტისაზოგადოებრივი მიდრეკილებების, თვისებების სიმყარეს, რომელიც დანაშაულის სისტემატური ჩადენის გზაზე დგას. დამნაშავის პიროვნების ეს თვისებები იდეალური ერთობლიობის დროს ყოველთვის არ მჟღავნდება, ყოველ შემთხვევაში, ინტენსიურად. იდეალური ერთობლიობისას სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის გაძლიერებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პიროვნების ანტისაზოგადოებრივი ორიენტაციის არა მდგრადობას, არამედ სხვა სუბიექტურ თვისებებს, ასევე იმ გარემოებას, რომ დანაშაულის სიმრავლის ასეთი ფორმა უფრო მეტად აზიანებს კანონით დაცულ სიკეთეს, ვიდრე ერთიანი დანაშაული.⁴

რეციდივისა და დანაშაულთა არაერთგზისობის სხვა ფორმების შეფარდებისას, უნდა აღინიშნოს სხვა ზოგადი თვისება, რომელიც ახასიათებს რეციდივს და დანაშაულთა არაერთგზისობის სხვა ფორმებს; როგორც დანაშაულთა არაერთგზისობისას, რეციდივი შეიძლება შეიქმნას არამართო იგივეობრივი, არამედ ერთგვაროვანი მოქმედებებით. ამასთან, როგორც რეალური ერთობლიობა, რეციდივი მოიცავს არაერთგვაროვან და ერთგვაროვან დანაშაულთა ჩადენის შემთხვევებს. ამასთან ძნელია დავეთანხმოთ აზრს იმ მეცნიერებისა, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ დანაშაულებრივ ქმედებათა ერთგვაროვნება გამორიცხავს რეალურ ერთობლიობას. ა. პიონტკოვსკი მიიჩნევს, რომ “რეალურ ერთობლიობას მაშინ აქვს ადგილი, როცა პირი რამდენიმე სხვადასხვა მოქმედების შედეგად ჩაიდენს რამდენიმე სხვადასხვაგვარ დანაშაულს და არც ერთისათვის არ არის გასამართლებული ან ისინი ჩაიდენილია მანამდე, სანამ მას რომელიმესათვის გამოუტანდნენ განაჩენს.”⁵

ა. იაკოვლევის აზრით, “თუ პირმა განახორციელა ერთგვაროვანი დანაშაული, გვექნება არაერთგზისობა, ხოლო თუ სხვადასხვაგვარი - დანაშაულთა ერთობლიობა, იმ პირობით, თუ ყველა ეს დანაშაული ჩაიდენილია რომელიმე მათგანის მიმართ განაჩენის გამოტანამდე”.⁶

ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით, ა. იაკოვლევს ამბობს, რომ ერთგვაროვნების ასეთი გაგება მის მიერ კონსტრუირებულია, მხოლოდ ერთობლიობისა და არაერთგზისი დანაშაულის განცალკევების საკითხის გადასაწყვეტად. უნდა ითქვას, რომ ალბათ დაუშვებელია ერთგვაროვნების ერთიანი ცნების სხვადასხვანაირი ახსნა თანახმად სისხლისსამართლებრივი დოქტრინისა. დანაშაულთა ერთგვაროვნების სხვადასხვანაირმა გაგებამ შეიძლება გამოიწვიოს ცნებების დაუშვებელი აღრევა ტერმინ “ერთგვაროვნების” ხმარების დროს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 მუხლი დანაშაულთა ერთობლიობის ცნებას

³ Е.А. Фролов, Р.Р.Галиакбаров, Множественность преступных деяний как институт советского уголовного права, 1967, с. 8.

⁴ В.П. Малков, Платворность преступлений, 1970, с. 26.

⁵ А.А. Пионтковский, Учение о преступлении по сов. уголовному праву, 1961, с. 616.

⁶ А.М. Яковлев, Совокупность преступлений по сов. уг. праву, 1960, с. 47.

შემდგენიერად განმარტავს: “დანაშაულთა ერთობლიობა ნიშნავს ამ კოდექსის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი ქმედების ჩადენას, რომელთაგან პირი არც ერთისათვის არ ყოფილა მსჯავრდებული. დანაშაულთა ერთობლიობად ითვლება აგრეთვე ისეთი ქმედების ჩადენა, რომელიც შეიცავს ამ კოდექსის ორი ან მეტი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთა ნიშნებს”. მუხლის მეორე ნაწილში მოცემულია ნორმათა კონკურენცია, რომლის მიხედვით, “თუ ქმედება გათვალისწინებულია ზოგადი და სპეციალური მუხლებით, დანაშაულთა ერთობლიობა არ არსებობს და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება სპეციალური ნორმით”.⁷

რეციდივსა და არაერთგზისი დანაშაულის სხვა ფორმებს შორის არის არსებითი განსხვავებები, რომელთა თანახმადაც იგი მიეკუთვნება დანაშაულთა სიმრავლის განსაკუთრებულ ნაირსახეობას.

რეციდივის დროს პირი ჩაიდენს ახალ დანაშაულს: არაერთგვაროვანს, ერთგვაროვანს ან იგივეობრივს, მას შემდეგ, როცა იგი იყო გასამართლებული წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის. რეალური ერთობლიობისაგან განსხვავებით,

რეციდივს ადგილი აქვს არა მარტო ერთგვაროვან და არაერთგვაროვან დანაშაულთა ჩადენის შემთხვევებში, არამედ იგივეობრივი დანაშაულის ჩადენის დროსაც. რაც შეეხება არაერთგზის დანაშაულის გამეორებას, რეციდივში შეიძლება შევიდეს არამარტო ერთგვაროვანი ან იგივეობრივი, არამედ არაერთგვაროვანი დანაშაულებიც.

გარდა ამისა, სხვა თანაბარ პირობებში, რეციდივისტთა სოციალური საშიშროების ხარისხი უფრო მაღალია, ვიდრე სხვა დამნაშავეებისა, თუნდაც მათ ჩადენილი ჰქონდეთ არაერთი დანაშაული. ახალი დანაშაულის ჩადენა იმ პირთა მიერ, რომელთა მიმართ უკვე გამოყენებული იყო სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ზომები, რა თქმა უნდა, მოწმობს მათ მომეტებულ სოციალურ საშიშროებას, მათი ანტისოციალური თვისებების სიმყარეს.

მაშასადამე, რეციდივი, წარმოადგენს რა დანაშაულთა განმეორების ნაირსახეობას, გააჩნია საერთო თვისებები შედარებით რეალურ ერთობლიობასა და დანაშაულთა არაერთგზისობასთან და ამავე დროს გამოირჩევა მათგან გარკვეული თვისებებით, რომელთა მიხედვითაც მას მიაკუთვნებენ დანაშაულებრივი საქმიანობის დამოუკიდებელ, სპეციალურ სახეობას.

კახაბერ კაკაშრიძე,
იურისტი.



⁷ საქ.ს.ს. კოდექსი, თავი V, მუხ.16.

სისხლის სამართლის ახალი კოდექსი ნარკოტიკული
საშუალებების ტრანზიტით საქრთველის გადაზიდვის შესახებ

ნარკომანია მრავალასპექტიანი ფენომენია. მას აქვს სამედიცინო, სოციალური, იურიდიული, ფსიქოლოგიური ასპექტები. ნარკომანიის იურიდიული-სამართლებრივი მხარე, თავისთავად, სხვადასხვა ასპექტის მომცველია, რაც ასახულია საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსში - ნარკოდანაშაული ცალკე თავად არის გამოყოფილი. ყურადღებას იმსახურებს ის პრინციპული ცვლილებები, რომლებიც ახალი სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის სისტემაში განიცადა. იგი დაიყო ცალკეულ კარებად (გვარეობითი ობიექტის მიხედვით) და თავებად (სახეობითი ობიექტის მიხედვით).

ნარკოტიკული საშუალებების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო ბრუნვა განთავსებულია სისხლის სამართლის კოდექსის მეცხრე კარში: „დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ“. ამ დანაშაულის გვარეობით ობიექტად მიჩნეულია საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მეცხრე კარში არის მოთავსებული XXXIII თავი „ნარკოტიკული დანაშაული“. განვიხილავთ ამ თავის 262-ე და 263-ე მუხლის შინაარსს.

XX საუკუნის 90-იან წლებში აღმოსავლეთ ევროპაში, დსთ-ს სივრცეში პოლიტიკური ცვლილებების შედეგად 600 მილიონამდე კაცმა მიიღო კონტინენტზე თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა. აღნიშნულმა სერიოზული იმპულსი მისცა ნარკოტიკებით ვაჭრობის მასშტაბების გაზრდას.

საზღვრების გახსნის შემდეგ, ნარკოტიკებთან დაკავშირებულ დანაშაულში აქტიურად ჩაერთნენ სხვადასხვა გაერთიანებების, სოციალური ჯგუფების წარმომადგენლები როგორც სხვა, ისე ჩვენი ქვეყნის მხრიდან.

საერთაშორისო სავაჭრო კონტაქტების გლობალურ მასშტაბებში გადასვლამ, სასაზღვრო ზოლის დაუცველობამ და საბაჟო კონტროლის სუსტმა ფუნქციონირებამ საქართველოს ნარკოტიკების სატრანზიტო ქვეყნად გადაქცევის რეალური საშიშროება შეუქმნა.

აზიაში წარმოებული ნარკოტიკების დიდი რაოდენობა მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოში, სხვა მარშრუტებთან ერთად, ტრანსკავკასიის გზითაც გადის. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოში ნარკოტიკული საშუალებები არ იწარმოება და იგი კონტრაბანდული გზით შემოდის, ცხადია, ჩვენი ქვეყნის გადაქცევის საფრთხე სატრანზიტო ტერიტორიად აშკარაა და ამიტომ, საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილია უმრავლესი ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობისაგან განსხვავებული შემადგენლობები. კერძოდ, მუხლი 262 - „საქართველოში ნარკოტიკული საშუალებების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა“ და მუხლი 263 - „საქართველოში ფსიქოტროპული ნივთიერებების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერებების დიდი ოდენობის უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან

ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა¹.

ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველო ახალბედა სახელმწიფოდ შეიძლება ჩაითვალოს, ამიტომ დიდ მნიშვნელობას იძენს მსოფლიოში დაგროვილი მდიდარი პრაქტიკული ხასიათის გამოცდილებისა თუ თეორიული მასალების შესწავლა, განზოგადება და საერთაშორისო ნორმების შესაბამისი, საქართველოსთვის მისაღები სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბება.

სანამ უშუალოდ აღნიშნული ნორმებით გათვალისწინებულ სიახლეებს განვიხილავდეთ, საჭიროა მოვიშველიოთ საერთაშორისო აქტებით განმტკიცებული დებულებანი ტრანზიტის სახელმწიფოსთვის საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ, მისთვის დახმარების გაწევის თაობაზე.

საერთაშორისო ან რეგიონალური ორგანიზაციები იღწვიან, რათა უკანონო ბრუნვის აღკვეთისათვის დახმარება გაუწიონ ტრანზიტის სახელმწიფოებს. მხარეებს კომპეტენტური საერთაშორისო ან რეგიონალური ორგანიზაციების საშუალებით შეუძლიათ აიღონ ვალდებულება ან უშუალოდ ფინანსური დახმარება გაუწიონ ტრანზიტის სახელმწიფოებს, რათა გაიზარდოს და გაძლიერდეს უკანონო ბრუნვის აცილების ინფრასტრუქტურები.

გაეროს 1988 წლის კონვენციის „ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად - „საერთაშორისო თანამშრომლობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, მხარეებს შეუძლიათ მიიღონ ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებები ან დადონ ხელშეკრულებები და ამასთან დაკავშირებით მხედველობაში მიიღონ ფინანსური მოლაპარაკებები“.²

რაც შეეხება უშუალოდ ნარკოტიკული საშუალებების შემოტანისა და გატანის წესს, იგი განსაზღვრულია 1961 წლის ერთიანი კონვენციით „ნარკოტიკული საშუალებების შესახებ“. კერძოდ, 21-ე მუხლით, სადაც საუბარია ნარკოტიკული საშუალებების შემოტ-

ანის და გატანის ჯამურ რაოდენობაზე.

ნებისმიერი ქვეყნის მიერ შემოტანილი ნარკოტიკული საშუალებების ჯამური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი გამოთვლების ფარგლებში სამედიცინო და სამეცნიერო მიზნებით მოხმარებულ რაოდენობას, აგრეთვე გატანილ რაოდენობას, სასაწყობო მარაგის შესაბამის გამოთვლებში მითითებულ ზომამდე შევსების მიზნით დამატებულ რაოდენობას, თუ შეტანის და გატანის შესახებ სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარეობს, რომ ნებისმიერ ქვეყანაში გატანილი რაოდენობა მეტია, ვიდრე ამ ქვეყნისათვის ან ტერიტორიისათვის გამოთვლის შედეგით არის გათვალისწინებული, კომიტეტს ამ ფაქტის შესახებ შეუძლია აცნობოს სახელმწიფოებს, რომლებიც კომიტეტის აზრით, უნდა იყვნენ ამის შესახებ ინფორმირებულნი.

ამ შეტყობინების შემდეგ მხარეებმა უნდა აკრძალონ მოცემული წლის განმავლობაში, ნარკოტიკული საშუალებების შეტანა ამ ქვეყანაში ან ტერიტორიაზე, გარდა:

1. მოცემული ქვეყნის ან ტერიტორიის შესახებ დამატებითი გაცვლის წარდგენამდე, როგორც გამოთვლების გადაჭარბების, ასევე აუცილებელი დამატებითი რაოდენობის შესახებ;

2. განსაკუთრებული შემთხვევებისა, როდესაც შეტანა, შემტანი ქვეყნის მთავრობის აზრით, ავადმყოფების სამკურნალოდაა საჭირო.³

მართალია, საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილია ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და მისი ანალოგების ან პრეკურსორების უკანონოდ შემოტანის, უკანონოდ გატანისა და ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი ნორმები, მაგრამ შესაბამისი სამართლებრივი ბაზის, სათანადო ნორმატიული აქტებისა და კანონების გარეშე ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა ამ კუთხით სასურველ შედეგს ვერ მიაღწევს.

² გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია „ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, თბ., 1988, გვ. 31.

³ იქვე, გვ. 32-33.

¹ „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“, თბ., 2001, გვ.114-115.

მხედველობაში გვაქვს საქართველოში ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების შესახებ კანონის მიღების დაჩქარების აუცილებლობა, აგრეთვე ნარკოტიკების კონტროლის შესახებ სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის შემუშავება, მისი ანალოგების ან პრეკურსორების შემოტანისა და გატანის წესის შესახებ შესაბამისი დადგენილებები.

მაშასადამე, აუცილებელია უმოკლეს ვადებში შეიქმნას სრულყოფილი საკანონმდებლო დოკუმენტების პაკეტი, რომელიც პრობლემის ყველა მხარესა და ასპექტს მოიცავს.

სწორედ „ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების შესახებ“ საქართველოს კანონით უნდა განისაზღვროს ამგვარი საშუალებების უკანონოდ შემოტანისა და უკანონოდ გატანის ცნებები.

ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შემოტანა ან გატანა არის - ნარკოტიკული საშუალებების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის, აგრეთვე ფსიქოტროპული ნივთიერებების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების უკანონო გადაადგილება სხვა სახელმწიფოს სასაზღვრო ტერიტორიიდან საქართველოს ტერიტორიაზე ან პირიქით - ჩვენი ქვეყნის ტერიტორიიდან სხვა სახელმწიფოს სასაზღვრო სივრცეში.

რაც შეეხება ნარკოტიკული საშუალებების უკანონო გადაზიდვას, იგი გამოიხატება ერთი ადგილიდან მეორეზე მათ გაგზავნაში ფოსტით, ან სხვაგვარ გადაზიდვაში.

ასეთ პირობებში, საჭიროა შემუშავდეს დადგენილება ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, მათი ანალოგების ან პრეკურსორის შემოტანისა და გატანის წესის შესახებ, შესაბამისად განისაზღვროს აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი. კერძოდ, საქართველოს ტერიტორიიდან ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების გატანა და შემოტანა უნდა განხორციელდეს საგანგებო ლიცენზიების საფუძველზე. ლიცენზიის გაცემის ერთ-ერთი პირობა კი იქნება მოწმობა (სერთიფიკატი), რომელიც ნებას დართავს ნარკოტიკული საშუალებების, მისი ანალოგის, ფსიქოტროპული

ნივთიერების და მისი ანალოგის გატანასა და შემოტანაზე. ლიცენზიის გაცემის უფლება უნდა ჰქონდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს. ამასთან, დაცული უნდა იყოს ლიცენზიის გაცემის საერთაშორისო ნორმებით დადგენილი ყველა პირობა.

კერძოდ, სერთიფიკატის მისაღებად განმცხადებელმა იურიდიულმა პირმა საჭიროა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტები:

1. წერილი-მოთხოვნა;

2. ნოტარიული წესით დამოწმებული ლიცენზია ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის, აგრეთვე ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ყიდვის, შენახვის, რეალიზაციისა და წარმოების სფეროში შესაბამისი საქმიანობის განსახორციელებლად;

3. განცხადება სერთიფიკატის გაცემის შესახებ;

4. განმცხადებლის მიერ წერილობით წარმოდგენილი მოვალეობა საქართველოში ნარკოტიკული საშუალების შემოტანის ან გატანის შესახებ.

5. გარემოს დაცვის კომიტეტის ნებართვა ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის შესახებ (მომწამვლელი და შხამიანი ნივთიერებების გატანისას);

6. ნოტარიული წესით დამოწმებული დოკუმენტაცია ნარკოტიკული საშუალებების ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ექსპორტისა და იმპორტის შესახებ;

7. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი ნებართვა.

მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ჩაითვლება კანონიერად ნარკოტიკული საშუალებების ანდა ფსიქოტროპული ნივთიერებების საქართველოში შემოტანა ან საქართველოდან გატანა. ინსტრუქციით გათვალისწინებული წესის დარღვევა ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების შემოტანისა და გატანის შესახებ გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

მაშასადამე, აუცილებელია უმოკლეს ვადაში შემუშავდეს შესაბამისი დადგენილება ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული

ნივთიერებების, მათი ანალოგების ან პრეკურსორის შემოტანის და გატანის წესის შესახებ.

რაც შეეხება ტრანზიტით საქრთავის გადაზიდვას, მისი სწორი მნიშვნელობით გაგებისთვის, აუცილებელია საქრთავის ტრანზიტის ცნების დეფინიცია. იგი განმარტებულია, როგორც სუვერენული სახელმწიფოს საზღვრის, სახელმწიფო ან საჰაერო სივრცის გადალახვა (გავლით, გადასვლით, გადაფრენით) ამა თუ იმ პირის მიერ, აგრეთვე ტვირთის სატრანსპორტო საშუალებით გადატანა საზღვაო, სახმელეთო ან საჰაერო გზით.⁴

ამგვარი გადაადგილება ხორციელდება სახელმწიფოთა შორის მრავალმხრივი ან ორმხრივი მოლაპარაკების შედეგად მიღებული შეთანხმების საფუძველზე დაინტერესებული მხარეების მიერ.

შეთანხმებაში რეგულირებულია ტრანზიტის წესი და პირობები, კერძოდ, განსაზღვრულია მარშრუტი, უსაფრთხოების გარანტიები და პირობები. სატრანზიტო მოძრაობა თავისუფლდება საბაჟო გადასახადისა და სხვა მოსაკრებლისაგან, გარდა იმ გადასახადებისა, რაც დაკავშირებულია მოძრაობასა და გადაადგილებასთან. ამასთან, სახელმწიფოს შეუძლია მისთვის არასასურველ სუბიექტს არ დართოს ტრანზიტის ნებართვა. ეს იმ შემთხვევაში, როდესაც შემოტანილი ტვირთის და საქონლის იმპორტი აკრძალულია უსაფრთხოების თვალსაზრისით, აგრეთვე სხვადასხვა დაავადებების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით.

რაც შეეხება სატრანზიტო ტვირთს (ნარკოტიკული საშუალება, მისი ანალოგი, პრეკურსორი, ფსიქოტროპული ნივთიერება, მისი ანალოგი და ძლიერმოქმედი ნივთიერება), იგი არის ტვირთი, რომელიც ერთი ქვეყნიდან მეორეში გადადის მესამე (სხვა) ქვეყნის ტერიტორიის მეშვეობით.

საჭიროა განვსაზღვროთ საქონლის ტრანზიტის ცნებაც. ეს არის საქონლის გადატანა საბაჟო რეჟიმის დაცვით, ამასთან საბაჟო კონტროლის გავლით, მესამე ქვეყნის ტერიტორიის მეშვეობით. საქონელი, რომელიც ორი საბაჟო ორგანოს ტრანზიტის მეშვეობით

გადაიგზავნება, ხელშეუხებელი და დაცულია, არ შეიძლება მათი გამოყენება სხვა მიზნით, გარდა ტრანზიტისა.

აუცილებელია დაცული იყოს სატრანსპორტო ვადა. ეს გახლავთ დრო, როდესაც სატრანზიტო საქონელი დანიშნულების ადგილას უნდა მივიდეს. დროის გადაცილება დაუშვებელია. გამონაკლისის სახით მხედველობაში მიიღება სატრანსპორტო საშუალებად დანიშნული მარშრუტი და გადაგზავნისთვის სხვა მნიშვნელოვანი პირობები.

ზოგადად მიმოვიხილოთ რა ნარკოტიკული საშუალებების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის, აგრეთვე ფსიქოტროპული ნივთიერებების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების უკანონოდ შემოტანის, უკანონოდ გატანისა და ტრანზიტით საქრთავის გადაზიდვის ცნებები, აუცილებელია იმაზეც მითითება, რომ მათი გადაზიდვა შესაძლებელია ფოსტით ან სხვა სახით მოხდეს.

ფოსტის მეშვეობით გადაზიდვის დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ საფოსტო გზავნილების გამოყენების საქრთავის სამართლით დადგენილი წესების დაცვის მოთხოვნები. კერძოდ, მსოფლიო საფოსტო კავშირის კონვენციების მიხედვით და ეროვნული სამართლებრივი სისტემების მთავარი პრინციპების თანახმად, მხარეები იღებენ ზომებს, რათა აღკვეთონ საფოსტო გზავნილების გამოყენება უკანონო ბრუნვისათვის და თანამშრომლობენ ამ მიზნით.

გაეროს 1988 წლის კონვენციის მე-19 მუხლის თანახმად, საფოსტო გზავნილების გამოყენება მოიცავს და გულისხმობს შემდეგ ზომებს:

ა) კოორდინირებულ მოქმედებებს უკანონო ბრუნვისათვის საფოსტო გზავნილების გამოყენების აღსაკვეთად და ასარიდებლად;

ბ) სამართლებრივი ორგანოების უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, ძეხვის და კონტროლის იმ საშუალებების დანერგვასა და გამოყენებას, რომელიც განკუთვნილია ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და შესაბამის ცხრილებში შეტანილი ნივთიერებების უკანონო გზავნილების აღმოსაჩენად;

გ) საკანონმდებლო ზომებს, რომლებიც

⁴ "Большой юридический словарь", М., 1997, с.701.

იძლევიან იმ საშუალებების გამოყენების უფლებას, რომელიც მტკიცებულებების მიღების მიზნით, აუცილებელია სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისთვის.

საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსის შედგენისას მხედველობაში იქნა მიღებული ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სამართლებრივი ნორმების დაცვის აუცილებლობა. სწორედ მისი გათვალისწინებით შევიდა ახალ სისხლის სამართლის კოდექსში 262-ე და 263-ე მუხლი.

როგორც აღინიშნა, საქართველოში მთელი სიმწვავეთ დგას ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მსოფლიოში ისეთი აპრობირებული მეთოდების გაზიარება და პრაქტიკულ საქმიანობაში დანერგვა, როგორცაა „საკონტროლო შესყიდვა“ და „კონტროლირებული მიწოდება“. აღნიშნული მეთოდები კონკრეტული ღონისძიებების გატარებას მოიცავენ, ოპერატიული გზით გამოვლენილი ნარკოტიკული საშუალებების საქართველოში შემოტანის, გატანის ან ტრანზიტით გადაზ-

იდვის დაშვებას, ღონისძიების განმახორციელებელი ორგანოს მუდმივი, განსაკუთრებული კონტროლითა და მეთვალყურეობით, რათა დადგინდეს დანიშნულების საბოლოო პუნქტი, გადაზიდვის ადგილი და უკანონო ბრუნვაში მონაწილე ყველა პირი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 263-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს ფსიქოტროპული ნივთიერებების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების დიდი ოდენობით უკანონოდ შემოტანას, საქართველოდან უკანონოდ გატანას და ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვას.

ნარკოტიკული საშუალებების, მისი ანალოგის ან პრეკუსორის დიდი ოდენობით უკანონოდ შემოტანასა და უკანონოდ გატანაზე, აგრეთვე ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვაზეა საუბარი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლის მეორე ნაწილში.

მისი გაგებისათვის აუცილებელია დაკონკრეტდეს ზოგიერთი ნარკოტიკული საშუალებების, ძლიერმოქმედი და ფსიქოტროპული ნივთიერებების ოდენობის ნუსხის მონაცემები:

ნარკოტიკული საშუალებები

№	ნარკოტიკული საშუალებების დასახელება	ნარკოტიკული საშუალებების ოდენობა		
		მცირე	დიდი	განსაკუთრებით
1	მარიხუანა	5 გრ	500 გრ	5000 გრ
2	ჰაშიში	1 გრ	100 გრ	1 კგ
3	კანაბისის ფისი	0,4 გრ	40 გრ	400 გრ
4	ოპიუმი (მათ შორის სამედიცინო)	0,5 (0,01 გრამიანი 50 აბი)	50 გრ	500 გრ
5	ოპიუმის ექსტრაქტი	0,5 გრ	50 გრ	500 გრ
6	მორფინი (ფუბე და მარილები)	0,03 გრ (1%-იანი 3 აბ.)	0,01-1,0 (1-დან 100 აბ. ულა 10 გრ 1% 2,5 გრ (1% 250 აბ.)	25 გრ (1% 2500 აბ.)
7	ჰეროინი	0,015 გრ	1 გრ	10 გრ
8	კოდეინი	0,2 გრ	10 გრ	100 გრ
9	პრომედოლი	0,03 გრ	3 გრ	30 გრ
10	კოკაინი	0,02 გრ	1 გრ	10 გრ
11	ეფედრინი	0,03	3 გრ	30 გრ

როგორც ნუსხიდან ირკვევა, სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლის II და III ნაწილში აღნიშნული დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გადაზიდვის შემთხვევა, 263-ე მუხლის I და II ნაწილით გათვალისწინებული გარემოებები, შესაძლებლობას იძლევა დადგინდეს უკანონოდ გატანილი ან შემოტანილი ნარკოტიკების ოდენობა.

აღნიშნული კოდექსის 262-ე მუხლის დამამძიმებელი გარემოებაა ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შემოტანა ან უკანონოდ გატანა, აგრეთვე ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რაც ნიშნავს ორი ან მეტი პირის მონაწილეობას დანაშაულის ჩადენაში, რაზეც ისინი წინასწარ იყვნენ მოლაპარაკებულნი.

ასეთ შემთხვევაში, წინასწარი მოლაპარაკება შეიძლება გავიგოთ როგორც ჯგუფის წევრთა გაერთიანება ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შემოტანის, უკანონოდ გატანის ან სატრანზიტო საერთაშორისო გადაზიდვის მიზნით.

მოლაპარაკების ფორმას დანაშაულის კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არა აქვს.

რაც შეეხება შემდეგ დამამძიმებელ გარემოებას ანუ აღნიშნული დანაშაულის ჩადენას სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, იგი მიუთითებს იმ პირის მიერ დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელებაზე, რომელიც თავისი სამსახურებრივი დავალების შესრულებისას მონაწილეობას მიიღებს ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შემოტანაში, გატანაში ან ტრანზიტით, საერთაშორისო გადაზიდვაში (მაგ., საბაჟო სამსახურის თანამშრომლების მიერ ამგვარი დანაშაულის ჩადენა).

დანაშაულის არაერთგზის ჩადენა ნიშნავს პირის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 261-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ორგზის ან მრავალგზის ჩადენას. მნიშვნელობა არა აქვს, იყო თუ არა პირი ამგვარი ქმედებებისთვის პასუხისმგებლობაში მიცემული.

ამავე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ პუნქტი გულისხმობს დანაშაულის ჩადენას იმ პირის მიერ, ვისაც წინათ ჰქონდა ჩადენილი კოდექსის ამ თავით (თავი XXXIII- ნარკოტი-

კული დანაშაული) გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტი ითვალისწინებს ორგანიზებული ჯგუფის მიერ ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შემოტანას ან უკანონოდ გატანას, აგრეთვე ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვას.

როგორც უკვე აღინიშნა, ნარკოტიკული საშუალებების უკანონოდ ბრუნვა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დანაშაულია. ამიტომ თავისი არსით, იგი საერთაშორისო ხასიათის დანაშაულთა კატეგორიას უნდა განეკუთვნოს, ვინაიდან ზოგადი ობიექტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მის შედეგად ირღვევა საერთაშორისო მშვიდობა და ხალხთა უშიშროება.

სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე და 263-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ობიექტზე მსჯელობისას, ადამიანთა ჯანმრთელობის გარდა, თავს იჩენს სახელმწიფოთაშორისი შიდა ეკონომიკური ურთიერთობების ნეგატიური განვითარება, ვინაიდან ნარკობიზნეს დამნაშავეთათვის უდიდესი შემოსავალი მოაქვს. მაგ., აშშ-ში იგი იძლევა 275% სუფთა მოგებას და ამერიკული მაფიის წლიური შემოსავალი ამ სფეროში ერთ მილიარდ დოლარს აღწარბებს, რაც გაცილებით მეტია, ვიდრე საწარმოო გიგანტის - „ჯენერალ მოტორსი“-ს შემოსავალი. ნარკობიზნესის წარმომადგენლები არც პოლიტიკაში ჩარევაზე ამბობენ უარს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნარკობიზნესი თავისი საერთაშორისო და რეგიონალური მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე სარფიანი დანაშაულებრივი საქმიანობაა. იგი მჭიდროდ არის გადაჯაჭვული ისეთი სახის ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დამნაშავეობასთან, როგორებიცაა: ტერორიზმი, იარაღით ვაჭრობა, კონტრაბანდა, პორნოინდუსტრია, არალეგალური კაპიტალის „გათეთრება“, ძალადობა, ანგარებითი დანაშაული. ბუნებრივია, ეს ყველაზე ნეგატიურად აისახება მოსახლეობის ფსიქიკაზე და ზნეობრივ მდგომარეობაზე, დიდ საფრთხეს უქმნის მომავალ თაობებს და საბოლოო ჯამში, მთლიანად სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტე-

რესებს. იგი ნაყოფიერი ნიადაგია დამნაშავეობის, კორუფციის და სხვა ნეგატიური გამოვლენების და პროცესების განვითარებისათვის, ლახავს საზოგადოებრივ ზნეობას, აჩანაგებს ქვეყნის ეკონომიკას, აზიანებს სოციალურ სფეროს, ადამიანთა ჯანმრთელობას, უბიძგებს ახალგაზრდობას ქურდობისაკენ, ძარცვისაკენ, ძალადობისაკენ და ა.შ.

ამგვარი განზოგადების შედეგად, ბუნებრივად იკვეთება ნარკოტიკების უკანონო შემოტანის, გატანისა და საერთაშორისო ტრანზიტის გადაზიდვის, როგორც მძიმე დანაშაულის სუბიექტური მხარე, რაც გამოიხატება იმაში, რომ დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ სჩადის 262-ე 263-ე მუხლებით გათვალისწინებულ ქმედებას.

რაც შეეხება დანაშაულის სუბიექტს, იგი ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება იყოს ის პირი, რომელიც თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩაიდენს დანაშაულს.

ზოგადად მიმოვიხილეთ რა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე (საქართველოში ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკუსორის უკანონოდ შემოტ-

ანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა), აგრეთვე 263-ე მუხლი (საქართველოში ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების დიდი ოდენობით უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა), შეგვიძლია გამოვიტანოთ შემდეგი სახის დასკვნები:

1. საჭიროა დაჩქარდეს ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, მისი ანალოგის ან პრეკუსორის შემოტანის და გატანის წესის შესახებ შესაბამისი ნორმატიული აქტის მიღება.

2. შემუშავდეს სახელმწიფო კონცეფცია ნარკოტიკებზე კონტროლის შესახებ.

3. „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების ან პრეკუსორების შესახებ“ საქართველოს კანონში აისახოს და ზუსტად განისაზღვროს მათი შემოტანის, გატანის და საერთაშორისო გადაზიდვის წესები.

აღნიშნული პრინციპების დაცვა უზრუნველყოფს გასათვალისწინებელი პრაქტიკული ხასიათის შეცდომების აღკვეთას.

ლავით კაჭკაჭიშვილი,
საქართველოს შსს კორუფციასთან და
ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი
სამმართველოს უფროსი.



სისხლის სამართლის პროცესი, კრიმინალისტიკა

გიორგი შინდელიშვილი

ექვმიტანილის და ბრალდებულის დაკითხვის მომზადება

დაკითხვის ეფექტიანობა, პირველ რიგში, დამოკიდებულია მის კარგად მომზადებაზე. თუ დაკითხვა წარმოებს მომზადების გარეშე, ის უმრავლეს შემთხვევაში არ იძლევა მოსალოდნელ შედეგებს. გასათვალისწინებელია, რომ დასაკითხი პირებიც ემზადებიან ჩვენებისათვის. მაგ., დაკავებული ბრალდებულები, არაიშვიათად განიხილავენ მომავალ დაკითხვას სხვა პატიმრებთან. ხანდახან კი მათთან ერთად აკეთებენ მის ინსცენირებას, მით უფრო მნიშვნელოვანია გამომძიებლის ყოველმხრივ მომზადება დაკითხვისას.

დაკითხვისთვის მზადების არსი მდგომარეობს სისხლის სამართლის საქმის მასალების ძირფესვიანად შესწავლაში, დაკითხვისათვის გეგმის შედგენაში, დაკითხვისათვის შესაბამისი დროის, ადგილის პირობების გამონახვაში.

გამომძიებელმა უნდა განსაზღვროს, თუ ვინ უნდა დაკითხოს და ვის როლში უნდა დაკითხოს (ექვმიტანილის სახით თუ ბრალდებულის სახით). აქვე უნდა გადაწყდეს საკითხი იმის შესახებ, თუ რა ფაქტორების და გარემოებათა დადგენა არის მოსალოდნელი დაკითხვის შედეგად.

საქმის მასალების შესწავლა აუცილებლად წინ უნდა უსწრებდეს დაკითხვის პროცესს, თუ იგი მიმდინარეობს დაკითხვის მსვლელობის დროს, ეს არ გამოეპარება ექვმიტანილს და ბრალდებულს. მათ ექმნებათ შთაბეჭდილება, გამომძიებლის გაუთვითცნობიერებაზე საქმის გარშემო, რაც აუცილებლად მოქმედებს საქმის მსვლელობაზე და მის შედეგებზე, განსაკუთრებით კი სწორედ ექვმიტანილთა და ბრალდებულთა დაკითხვისას.

გამომძიებელმა უნდა გაანალიზოს არსებული

მტკიცებულებანი, რომელზედაც დაყრდნობით აპირებს დაკითხვის წარმართვას და დასაკითხი პირებისათვის მათ წარდგენას.

საქმის მასალების შესწავლისას გამომძიებელი ვალდებულია მოიძიოს ყველა ის მონაცემი, რომლებიც მეტყველებენ ბრალდებულის დანაშაულზე, ყველა პირდაპირ და არაპირდაპირ მტკიცებულებაზე, მის წინააღმდეგ შეაგროვოს ის გარემოებანი, რომელნიც, თუმცა სრულყოფილად ჯერ არ არის დადგენილი, მაგრამ თვითონ ბრალდებულის დაკითხვის შედეგად უნდა გამოირკვეს. გამომძიებელმა საქმის შესწავლისას უნდა აღნიშნოს ის მონაცემები, რომელიც ბრალდებულის სასარგებლოდ მეტყველებს.

ზოგიერთი მასალის გაანალიზებამ გამომძიებლისგან შეიძლება მოითხოვოს მეცნიერების სხვადასხვა სპეციალური დარგის ცოდნა. ამასთან დაკავშირებით იგი ვალდებულია დაკითხვამდე გაეცნოს სასურველ ლიტერატურას, შეისწავლოს შესაბამისი ინსტრუქციები, დებულებანი, მიიღოს კონსულტაცია სპეციალისტებისაგან.

დაკითხვისათვის მომზადებისას საქმის მასალების გარდა შეიძლება გავითვალისწინოთ სხვა მონაცემებიც, რომელთა გამოყენებამაც დაკითხვა შეიძლება გახადოს უფრო შედეგიანი.

საქმის მასალების შესწავლა და ანალიზი, უპირველეს ყოვლისა, შესაძლებლობას იძლევა გამოვლინდეს ყველა ის საკითხი, რომლებიც აუცილებელ გადაჭრას მოითხოვენ დაკითხვის მსვლელობისას, ფაქტები, რომელთა დახმარებითაც შეიძლება მიეცეს მიმართულება დაკითხვას. შემოწმდეს დაკითხულის მიერ შეტყობინებულ ჩვენებათა სისწორე.

მონაცემებს, ბრალდებულის (ექვმიტანილის) შესახებ მიეკუთნება მისი ბიოგრაფიის, წარმოშობის, ძირითადი პროფესიის, სამხედრო სავალდებულო სამსახურის, ნასამართლობისა და სხვა ე. წ. "დასადგენი" მონაცემები.

ცნობები ექვმიტანილთა და ბრალდებულთა პიროვნებაზე და მისი ცხოვრების წესზე, შეიძლება მივიღოთ მათი ოჯახის წევრებისაგან, მეზობლებისაგან, ნაცნობ-მეგობრებისაგან და ა.შ.

ექვმიტანილთა და ბრალდებულთა ფსიქოლოგიის გამოსაკვლევად და ზოგჯერ ჩადენილი დანაშაულის მოტივისათვის დიდ ინტერესს იწვევს დღიურები, რომელსაც ბრალდებული წერდა, მხატვრული ლიტერატურა, რომელიც მას განსაკუთრებით უყვარდა, მისი შეხედულებანი განსაკუთრებულ კითხვებზე, მისი თვისებები, სხვადასხვა სახის ნარკოტიკების მიღება, მისი ნერვული სისტემის მდგომარეობა, აგრეთვე შედარებით სერიოზული დაავადებანი, რომელიც მან გადაიტანა ან თუ ავადმყოფობს.

ასეთი სახის მონაცემთა ერთობლიობა ეხმარება გამომძიებელს, რათა სწორი შეხედულება ჩამოუყალიბდეს ადამიანზე, რომელიც მან უნდა დაკითხოს, ყველა მისი სუსტი და ძლიერი მხარეებით, შინაგანი დაპირისპირებით, ფსიქოლოგიური წინააღმდეგობების გაწვევის შესაძლებლობით, ან, პირიქით, შინაგანი გატეხილობით და სიცარიელეით.

თუ ბრალდებულმა აირჩია ჩაკეტვის გზა და აღმოჩნდა, რომ გამომძიებელი შედარებით გაუთვითცნობიერებელია ჩადენილ დანაშაულზე და მის პიროვნებაზე, მაშინ იგი აძლიერებს თავის პოზიციებს და გადაწყვეტილებას ღებულობს, რომ არ გამოტყდეს.

სწორედ ამიტომ არის საჭირო გამომძიებლის მიერ მთლიანი საქმის ძირეული შესწავლა და იმ თითოეული მონაცემის უტყუარობის დაზუსტება, რომელშიც მას ეჭვი ეპარებოდა.

დაკითხვის მომზადება გულისხმობს აგრეთვე დაკითხვის ადგილისა და დროის განსაზღვრას. ტაქტიკური მოსაზრებიდან და საქმის მასალებიდან გამომდინარე, გამოძიებელს შეუძლია დაკითხვა აწარმოოს არა მარტო გამოძიების ადგილზე და საგამომძიებო იზოლაციაში, არამედ იმ ადგილზე, სადაც დასაკითხი პირი იმყოფება. ცალკეულ შემთხვევაში დაკითხვა შეიძლება ჩატარდეს გა-

მომძიებლის ცალკეული დაჯალბებით, ყველა შემთხვევაში დაკითხვოს ადგილზე უნდა იყოს შექმნილი ნორმალური პირობები. დაკითხვის დრო – ტაქტიკისთვის მეტად საჭირო საკითხია და ის გამომძიებელს მხედველობაში უნდა მიიღოს, დაკითხვის მიმსდების პერიოდში. აგრეთვე გამომძიებელს უნდა აქვს ექვმიტანილი, ბრალდებული დაკითხვისსმიერ ადგილას მისგან მოულოდნელად.

დაკითხვა უნდა ჩატარდეს დღის საათებში გარდა იშვიათი გამონაკლისისა, როდესაც ამ საგამომძიებო მოქმედების გააღებას შეუძლია ზიანი მოუტანო ტექნიკური და დანაშაულის დადგენას. დაკითხვის დროს განსაზღვრათა ორ შემთხვევაში არ არის გამომძიებელზე დამოკიდებული და იგი უნდა ჩატარდეს იმ დროს, განმავლობაში, როგორც ამას კანონი ადგენს, ექვმიტანილი უნდა დაიკითხოს რა უგვიანეს ოცდაათი საათისა დაკავების მიმდინარე. ბრალდებული კი, მისთვის ბრალდბა წაყენების შემდეგ, თუ დაკითხვა ვერ ოხრხდა, ასეთი დაყოვნების მიზეზების შესახებ უნდა შეედეგს ოქმი.

დაკითხვის გარეშე პირობები უნდა იყოს ისეთი, რომ ისინი უზრუნველყოფდნენ დაკითხვის წარმატებით ჩატარებას და არ იწვევდნენ მხარეთა ყურადღების გაფანტვას. გამომძიებელმა წინასწარ უნდა დაიჭიროოს თადარიგი, რათა დაკითხვის დრო შეძლებისდაგვარად გამორიცხული იყოს სტრუქტურული ზარები, მოულოდნელი გამოძახებები, სხვა პირებთან საუბარი, საწერი მაგიდიდან უნდა ალაგდეს ზედმეტი საგნები, რომლებიც არ შეეკუთვნებიან საჭირო მასალებს და ა.შ.

ცალკეული შემთხვევებში დაკითხვის მომზადება გულისხმობს ტექნიკური საშუალებების მომზადებასაც (საგნოტოფონი, ვიდეოკამერატურა, კინოკამერა და ა.შ.)

საკითხთა მეორე ჯგუფს, რომელიც უნდა მომზადდეს დაკითხვამდე, განეკუთნება იმ პირების განსაზღვრა, რომლებმაც უშუალო მონაწილეობა უნდა მიიღონ დაკითხვის წარმოებაში. დაკითხვას ხელმძღვანელობს და წარმართავს გამომძიებელი დ. სწორედ ამ პირმა უნდა გადაწყვიტოს საკითხი, კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე, თუ ვინ და ვის როლში უნდა დაესწროს აღნიშნულ საგამომძიებო მოქმედებას.

პროკურორი უფლებამოსილია ყველა შემთხვევაში დაესწროს დაკითხვის ჩატარებას, როგორც თავისი ინიციატივით, ასევე გამოძებლის თხოვნით ან დასაკითხი პირის შუამდგომლობის საფუძველზე, ზოგიერთ შემთხვევაში პროკურორის დასწრება კანონით არ არის სავალდებულო. პროკურორს შეუძლია დამოუკიდებლად აწარმოოს ყველა საგამომძიებლო მოქმედება, ანდა მიიღოს მონაწილეობა იმათ წარმომადგენელთან ერთად.

დაკითხვაზე რომელიმე მიძვეს გამოძიებელს, პროკურორის აქტიურ ჩარევით ვალდისწინებს მის მიერ საქმის მასალებების კარგ კონსტრუქციას, დასაკითხი პიროვნების ისეთ თავისებურებებს, რომლებსაც შეუძლიათ შეგვახსენებინონ დაკითხვის წარმოების ტექნიკაზე. ერთობლივი დაკითხვის წარმოების მომზადება თავად მასში პროკურორის მონაწილეობის ხსათისა და მოქმედების საზღვრების განსაზღვრით. ამასთან ერთად საჭიროა შეთანხმება: ვინ, როდის და როგორ კითხვებს იმისთვის, ვინ დაიწყებს დაკითხვას, როგორ მტკიცებულებებს და ვინ როდის გამოიყენებს და ა.შ. დაკითხვის ერთობლივი წარმოება გამოძიებლისა და პროკურორის მიერ წინ წევს რიგ ტექნიკურ საკითხებს. ასეთი დაკითხვის მიმდინარეობისას პროკურორი ვალდებულია შენიშნული ნაკლოვანებები აღმოფხვრას და შესაძლებლობის ფარგლებში არ დაუშვას ისინი.

გამომძიებელი და პროკურორი დაკითხვის ერთობლივად წარმართვისას უნდა მოქმედებდნენ შეთანხმებულადად, მათ შორის დააკითხონ აღმოჩნდება ორი დამკითხავის წინაშე, რომლებიც ერთმანეთს ეხმარებიან. ასეთი პირობები დასაკითხვისათვის იქნება უფრო რთული ფსიქოლოგიური პირობები. ასეთ შემთხვევაში საჭიროა უფრო დიდი ყურადღება და ტექნიკურად სწორად დაკითხვის ჩატარება, ამასთან ერთად, არ უნდა დაუშვას დასაკითხის პროცესულური გარანტიების დარღვევა.

დაკითხვის დაწყებამდე უნდა გადაწყდეს საკითხი დამკითხავის მოწვევის შეახება, იმ შემთხვევაში, როდესაც მისი მონაწილეობა დაკითხვის დროს კანონით არის სავალდებულო. სხვა შემთხვევაში ამ საკითხის გადაწყვეტა შედის როგორც გამოძიებლის, ისე დასაკითხი ექსპერტისა და ბრალდებულის კომპეტენციაში.

იგი შემთხვევაში, სპეციალისტის სახით, მოწვეული უნდა იყოს ოპერატორი, რომელმაც უნდა გამოიყენოს ტექნიკური საშუალებები. თუ დასაკითხი პირი ავადია, ან იმყოფება საავადმყოფოში, მისი დაკითხვისას საჭიროა მკურნალი ექიმის ნებართვა და დაკითხვას უნდა დაესწროს ექიმი-სპეციალისტი. აუცილებელ შემთხვევაში გამოძიებელს შეუძლია გააფრთხილოს სპეციალისტი, რომ დაუშვებელია წინასწარი გამოძიების მასალების გახმაურება. დაკითხვაზე სპეციალისტის დახმარების ფაქტი და მისი როლი ამ დროს, უნდა დაფიქსირდეს ოქმში.

იგი საქმის მასალების შესწავლის საფუძველზე გამოძიებელი მივა დასკვნამდე, რომ დასაკითხი პირი არ ფლობს, ან კარგად არ იცის სამართალწარმოების ენა, მიღებული უნდა იქნას ზომები თარჯიმნის მოწვევის მიზნით. ყრუ ან მუნჯი პირის დაკითხვისათვის საჭიროა მოწვეული იყოს თარჯიმნის როლში ისეთი პირი, რომელიც კარგად ფლობს ამ პირთა სალაპარაკო ნიშნებს.

იმ შემთხვევაში, როცა არსებული მონაცემები, მოსალოდნელი დაკითხვის დროს არ არის გამოიყენებული ექსპერტის ან ბრალდებულის მხრიდან ფიზიკური წინააღმდეგობა, აგრეთვე მის მამილებელ მტკიცებულებათა განადგურების მცდელობა, გამოძიებელს უფლება აქვს მოიწვიოს მოკვლევის წარმომადგენელი. მოკვლევის მუშაკი გამოძიებელს უწევს ტექნიკურ დახმარებას მტკიცებულებათა წარმოდგენის დროს, თვლყურს ადევნებს ბრალდებულის რეაქციას. დაკითხვის დამთავრების შემდეგ მოკვლევის ორჯანოს მუშაკი გამოძიებელთან და დასაკითხთან ერთად ხელს აწერს ოქმს.

დაკითხვის მომზადებულად და მიზანსწრაფულად ჩატარება შეუძლებელია ისე, თუ გამოძიებელი არ შეადგენს დაკითხვის გეგმას. გეგმის შედგენა დაკითხვის მომზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. დიდ და რთულ საქმეებზე დაკითხვის გეგმა უნდა შედგეს წერილობით. წერილობითი გეგმის შედგენა რეკომენდირებულია იმ შემთხვევაში, როცა დაკითხვა წარმოებს მრავალ ეპიზოდებად, ან საქმის მნიშვნელოვან წარმოებათა გამო. ასეთ შემთხვევაში დგება გაშლილი გეგმა ისეთი ელემენტების აუცილებელი ჩართვით, როგორცაა გარემოებები, რომლებიც აუცილებელია გამოირკვეს, საქმის რომელი

მასალები უნდა წარედგინოს დაკითხვის მსვლელობის დროს.

გამომძიებელს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ ბრალდებულს საგულდაგულოდ ემზადება დაკითხვისათვის. ეს მან ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს დაკითხვის გეგმის შემუშავებისას.

დაკითხვის გეგმის საჭიროების მიუხედავად, უნდა აღვნიშნოთ, რომ ნებისმიერი გეგმა, რაც არ უნდა ჭკვიანურად და კარგად იყოს შედგენილი, შეიძლება საჭიროებდეს ცვლილებებს, დაკითხვის დროს წარმოქმნილ გარემოებათა და მომენტების გამო.

გეგმა ეს არის მკვდარი დოგმა. გამომძიებელს შეუძლია დაკითხვის ნებისმიერ სტადიაში უარყოს იგი და შეცვალოს იგი, თუ ამას ტექნიკური აუცილებლობა მოითხოვს. დაკითხვის გეგმის შედგენისას გამომძიებელი ხელმძღვანელობს კონკრეტული მიზნებით, რომელსაც იგი ისახავს დაკითხვის წინ.

გამომძიებელი ნათლად უნდა ხედავდეს თუ რა გზით აპირებს ამ მიზნის მიღწევას. აღნიშნული ტექნიკიდან გამომდინარე, დაკითხვის გეგმა უნდა იყოს მკაცრად თანმიმდევრული, აგრეთვე კითხვები, რომლებიც ბრალდებულს და ეჭვიმტანილს უნდა დაესვას უნდა შეენაცვლოს ერთმანეთს, ლოგიკურად დაახლოვოს დაკითხვა განსაზღვრულ, წინასწარდასახულ კულმინაციურ წერტილამდე.

დაკითხვის გეგმის შესრულებისას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს იმ მასალებისა და ნივთიერი მტკიცებულებების შემუშავებას, რომელიც შეიძლება დაკითხვის დროს გამოყენებული იქნეს დათვალთქვისათვის, წარდგენისა და ამოცნობისათვის.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ბრალდებულისათვის ნივთიერი მტკიცებულების წარდგენა, ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობს მის ფსიქიკაზე, რასაც დანაშაულის აღიარებამდე მიყვარ-

ვართ. ეჭვიმტანილისა თუ ბრალდებულის დაკითხვის დაგეგმვისას აუცილებელია მოვიფიქროთ პროცესი, დრო და შესაბამისი ნივთიერი მტკიცებულებების წარდგენის თანმიმდევრობა.

ყოველი ტაქტიკური მომენტი შემუშავებული უნდა იყოს საქმის ინდივიდუალური თავისებურებიდან გამომდინარე და აგრეთვე ბრალდებულის (ეჭვიმტანილის) პიროვნების გათვალისწინებით. სანამ გამომძიებელი ნივთიერი მტკიცებულებებს წარუდგენს, მან უნდა დაადგინოს, რომ ეს მტკიცებულებები სწორედ იმ დანაშაულს ეხება.

დაკითხვის მომზადება გულისხმობს დასაკითხი პირის გამოძახებას კანონის საფუძველზე, უწყებით, დეპეშით ან ტელეფონოგრამით. ეს დოკუმენტი ბარდება დასაკითხს ხელწერილის ჩამორთმევით, რომელშიც აღინიშნება ხელწერილის ჩამორთმევის თარიღი. უწყებაში გამომძიებელმა უნდა აღნიშნოს, თუ ვის როლშია (ეჭვიმტანილის ან ბრალდებულის) გამოსაძახებელი პირი, სად და ვისთან უნდა გამოცხადდეს, გამოცხადების დღე და საათი და ის შედეგები, რაც შეიძლება მოჰყვეს დასაკითხი პირის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობას.

თუ დასაკითხ პირს უწყება ვერ ჩაბარდება, იგი უნდა გადაეცეს მასთან ერთად მცხოვრებ ოჯახის სრულწლოვან წევრს, არასრულწლოვანი პირის გამოძახება (16 წლის ასაკამდე), როგორც წესი, ხდება მისი მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით.

იმ შემთხვევაში, თუ დასაკითხი პირი არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება, გამომძიებელი ღებულობს ზომებს მისი იძულებითი წესით მოყვანის შესახებ.

ყველა აღნიშნული საკითხის განხილვა-გადაწყვეტის შემდეგ, დაკითხვის მომზადება ითვლება დამთავრებულად და გამომძიებელი ემზადება დაკითხვის უშუალო წარმოებისათვის.

გიორგი შინდელიშვილი,

მსს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი ინსპექტორი, პოლიციის პოლკოვნიკი.

ადმინისტრაციული სამართალი

ვახტანგ ქარუმიძე,
მამუკა ქარუმიძე

საბაჟო ორგანოების ადგილი სახელმწიფო მმართველობის სისტემაში

1. საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი სამართალდამცავი ორგანოს მქონე საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებაა.

საბაჟო ინსტიტუტების შექმნა და დამკვიდრება საქართველოს სახელმწიფოებრიობის მნიშვნელოვანი მონაპოვარია. მას, როგორც ქვეყნის საშინაო და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს, განსაკუთრებული ადგილი უკავია საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში.

საქართველოს საბაჟო ორგანოების საქმიანობის უმთავრეს პრობლემებს შორის ერთ-ერთი მთავარია საბაჟო საქმის ინფრასტრუქტურის ორგანიზაცია და მისი სრულყოფა. საბაჟო საქმის ინფრასტრუქტურა სამი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ჯგუფისაგან შედგება. ასეთი დაყოფა ჯგუფებად მიღებულია საზღვარგარეთის ქვეყნების საბაჟო ორგანოების საქმიანობაშიც.

პირველ ჯგუფს წარმოადგენენ საბაჟო ობიექტები, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაბამის პირობებს საბაჟო ორგანოების ფუნქციონირებისა და საბაჟო რეჟიმების პირობებში მგზავრთა ნორმალური მომსახურებისათვის. ესაა საბაჟო დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ადმინისტრაციული შენობები, გამშვები პუნქტები, ტერმინალები, სხვადასხვა ტიპის საწყობები, უბაჟო ვაჭრობის მაღაზიები, სატრანსპორტო საშუალებები, სპეციალური დანიშნულების ობიექტები. ვაგზლებზე, აეროპორტებში საბაჟო კონტროლის ზონები და სხვა.

მეორე ჯგუფს მიეკუთვნებიან საბაჟო ორგანოების საქმიანობის სისტემები და საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფენ საბაჟო პროცედურების განხორციელებას, მიღებული შედეგებისა და ინფორმაციების გამოყენებას. ესაა

საბაჟო ექსპერტიზისა და საბაჟო კავშირების ტექნიკური საშუალებანი, საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის ერთიანი ავტომატიზებული საინფორმაციო სისტემა, კომპიუტერული ქსელი, საბაჟო რეჟიმების დარღვევის კონტროლის სახეების კოორდინაცია და სხვა.

მესამე ჯგუფს შეადგენს სოციალური ინფრასტრუქტურა, რომელიც გათვალისწინებულია საბაჟო დეპარტამენტის სისტემის მუშაკთა და თანამშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო, კულტურული და სხვანორმალური, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი. სოციალური პირობების შექმნისათვის. ამ ფუნქციებს ასრულებენ უმაღლესი სასწავლებლები და სასწავლო ცენტრები, საბინაო-საყოფაცხოვრებო მომსახურების, ჯანმრთელობის დაცვისა და საზოგადოებრივი კვების სამსახურები.

საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტრომ და მისმა საბაჟო დეპარტამენტმა, უკანასკნელ პერიოდში, საკმაოდ თამამი და პროგრესული ნაბიჯები გადადგეს საბაჟო სისტემაში. დაფიქსირდა საკმაოდ ფართო სპექტრი იმ პრობლემებისა, რომლებიც აფერხებენ საბაჟო სისტემის სრულყოფილ მუშაობას.

თანამედროვე ეტაპზე საბაჟო სისტემის უმთავრესი პრობლემებია: 1) საბაჟო გამშვებ პუნქტებზე სხვადასხვა რეჟიმით მოძრავი ტვირთების კონტროლი; 2) იმპორტიორების მიერ საბაჟო დაწესებულებაში წარმოდგენილი იმპორტული ტვირთების თანმხლები დოკუმენტების (ანგარიშფაქტურა, ხელშეკრულება, კონოსამენტი) სიზუსტე და მათში დაფიქსირებული ფასების რეალობა; 3) საბაჟო ოპერაციების ტექნიკური გაფორმება; 4) ფისკალური პოლიტიკის გატარება და ეკონომიკური ღონისძი-

ებების გამოყენება; 5) კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლა; 6) ტვირთების გადაადგილება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე; 7) ლიცენზირება და საბაჟო საქმიანობის მონიტორინგი; 8) ექსპორტ-იმპორტის სტატისტიკის წარმოება და ინფორმაციული ქსელის გამართვა; 9) საბაჟო ლაბორატორიის ფუნქციონირება; 10) მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება და ტრენინგი; 11) საბაჟო საქმის ინფრასტრუქტურის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მის, როგორც ქვეყნის ეკონომიკური მესაზღვრის ფუნქციების შესრულებას.

2. საბაჟო სამართლის ერთ-ერთი სუბიექტი საბაჟო ორგანოებია. მათი საქმიანობა მჭიდროდაა დაკავშირებული საგარეო-ეკონომიკურ, კერძოდ, საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის განხორციელებასთან. სამეურნეო-ეკონომიკური პროცესები გამოხატულებას პოულობს ხელისუფლების განხორციელების ისეთ ფორმებში, როგორცაა სახელმწიფოს მონოპოლიური უფლება - ამოიღოს მოსახლეობიდან გადასახადები და მოსაკრებლები, მოახდინოს ეროვნული ბიუჯეტის ფორმირება და სხვა. კერძოდ, საბაჟო გადასახადებისა და მოსაკრებლების დადგენის უფლება, საზღვარზე გასატარებელი საქონლის რაოდენობისა და სახეების, მათი შემოტანა-გატანის წესების განსაზღვრა.

საბაჟო ორგანოები მიეკუთვნებიან სახელმწიფო მმართველობის სისტემას. მათ საქმიანობას აქვს აღმასრულებელ - განმკარგულებელი ხასიათი. მმართველობის ორგანოა სახელმწიფო აპარატის ნაწილი, რომელიც ახორციელებს აღმასრულებელ - განმკარგულებელ საქმიანობას მმართველობის ფორმებისა და ფუნქციების მეშვეობით და გააჩნია კომპეტენცია, ამოცანები, უფლება-მოვალეობები იგი წარმოადგენს დარგობრივი ან ფუნქციური მართვის ორგანოს. მართლაც საბაჟო ორგანო, პირველ რიგში, სახელმწიფო აპარატის შემადგენელი ნაწილია. საბაჟო ორგანოების მთავარი ამოცანა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო ფუნქციების შემადგენელი ნაწილია. საბაჟო ორგანოები იცავენ სახელმწიფოს ინტერესებს საბაჟო სისტემაში. ამიტომ ისინი მიეკუთვნებიან სახელმწიფო სტრუქტურებს. თანამედროვე საბაჟო ორგანოები წარმოადგენენ ერთიან ცენტრალიზებულს, მოქმედებენ სახელმწიფო ორგანოთა მთლიან სისტემაში, ატარებენ სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკას.

საბაჟო ორგანოები ალტერნატიული არიან სახელმწიფო ხელისუფლებრივი უფლებამოსილებით: ისინი ხელმძღვანელობენ და მართავენ საბაჟო

საქმეს საბაჟო კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფო ორგანოებს, რომლებიც არ ახორციელებენ საბაჟო საქმის საერთო ხელმძღვანელობას, უფლება არა აქვთ მიიღონ გადაწყვეტილებანი, რომლებიც ეხება საქართველოს საბაჟო ორგანოების კომპეტენციას ან სხვაგვარად ჩაერიონ ამ ორგანოების საქმიანობაში. ამასთან, საბაჟო ორგანო, რომელიც ალტერნატიული ხელისუფლების მიერ უფლებით იმოქმედოს სახელმწიფოს სახელით, მოვალეა თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცეს განკარგულება, რომელიც სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოს, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისა და მოქალაქისათვის, აგრეთვე მოითხოვოს პასუხი განკარგულების შესრულების მდგომარეობაზე.

საბაჟო ორგანოების უმთავრეს ამოცანას, ფართო გაგებით, წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური სუვერენიტეტისა და ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვა, მაგრამ ამ ამოცანას სხვა ორგანოებიც ახორციელებენ. მაგალითად, სამართალდამცავი ორგანოები იცავენ სახელმწიფოს ეკონომიკურ სისტემას დანაშაულებრივი ხელყოფისაგან და ამდენად, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებენ ეროვნული ეკონომიკის დაცვის ამოცანას.

საბაჟო ორგანოები, როგორც წესი, სახელმწიფოს მიერ იქმნება საზღვრებზე ვალუტის, საქონლისა და სხვა საგნების მიმართ კონტროლის უშუალოდ განსახორციელებლად, აგრეთვე კონტრაბანდის აღსაკვეთად. ამიტომ, უფრო ზუსტი იქნება, რომ საბაჟო ორგანოების მთავარ ამოცანად მივიჩნიოთ სახელმწიფო საზღვრების ეკონომიკური დაცვა.

საბაჟო ორგანოები დარგობრივი მართვის ორგანოებია. საბაჟო დეპარტამენტი ხელმძღვანელობს ერთ კონკრეტულ და სპეციფიკურ დარგს - საბაჟო საქმიანობას. ამასთან, საბაჟო დეპარტამენტი ახორციელებს ხელმძღვანელობას მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამიტომ იგი ცენტრალიზებული მართვის ორგანოა.

საბაჟო ორგანოები აღმასრულებელ-განმკარგულებელ საქმიანობას ახორციელებენ სახელმწიფო მმართველობის სპეციფიკურ სფეროში. იგი დაკავშირებულია სახელმწიფო საზღვარზე სხვადასხვა სახეობის ტვირთის, მათ შორის ბარგისა და საფოსტო გზავნილების, ვალუტისა და ძვირფასეულობის გატარებასთან, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებების გაშვებასთან, რომლებიც ემსახურებიან მგზავრებისა და ტვირ-

თების გადაადგილებას; მათი მეშვეობით უზრუნველყოფილია აგრეთვე ბაჟისა და მოსაკრებლების ამოღება.

საბაჟო, როგორც წესი, არსდება ან უშუალოდ სახელმწიფო საზღვრის ხაზზე, ან მასთან ახლოს სასაზღვრო ზონაში. თუმცა, არც თუ იშვიათად, საბაჟოები განლაგებულია არა სახელმწიფო საზღვრის ახლოს, არამედ ქვეყნის შიგნით - დიდ ქალაქებში, რომლებიც წარმოადგენენ დანიშნულების იმ პუნქტებს, სადაც ხდება ტვირთების შეტანა ექსპორტიორი ქვეყნებიდან. ამ შემთხვევაში ტვირთები საზღვარზე კი არ ჩერდება, არამედ მიემართება ქვეყნის სიღრმეში შესაბამის საბაჟოებში გასაფორმებლად. ამასთან დაკავშირებით, ლიტერატურაში ხშირად მიღებულია საბაჟოების დაყოფა ორ სახედ - შინაგან და სასაზღვრო საბაჟოებად. ამ გაგებით თბილისის საბაჟო შეიძლება მივიჩნიოთ შინაგან საბაჟოდ იმ შემთხვევაში, როცა ტვირთი თბილისში შედის რკინიგზით, საავტომობილო ტრანსპორტით, ან კავშირგაბმულობის არხებით, მაგრამ თუ საქმე ეხება თბილისის საერთაშორისო აეროპორტს, რომელიც წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე საერთაშორისო რეისების თვითმფრინავის აფრენის პირველდაწყებით პუნქტს, ან პირიქით, თვითმფრინავის დაჯდომის საბოლოო პუნქტს, საზღვარი „გადაიტანება“ თბილისში.

ამგვარად, ერთი და იგივე საბაჟო, ერთ შემთხვევაში შინაგანი, მეორე შემთხვევაში - სასაზღვრო საბაჟოა. სახელმწიფო საზღვრებზე განლაგებული საბაჟოები სასაზღვრო საბაჟოებია. ამიტომ საბაჟოების დაყოფა შინაგან და სასაზღვრო საბაჟოებად ფორმალურია. ასეთ სტრუქტურას საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

3. საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტი მმართველო ორგანოა, რომელსაც ექვემდებარება ყველა საბაჟო დაწესებულება. იგი უშუალოდ ახორციელებს საბაჟო პოლიტიკას; აწესებს საბაჟო რეჟიმებს; საბაჟო საკითხებზე გამოსცემს სამართლებრივ აქტებს, რომლებიც სავალდებულოა ყველა დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის, სახელმწიფო ორგანოს, თანამდებობის პირისა და მოქალაქისათვის. დეპარტამენტი ხელმძღვანელობს კადრების მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის წარმოებას, საბაჟოების აღჭურვას შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და სხვა. მის კომპეტენციაში შედის აგრეთვე საქონლის ექსპორტ-იმპორტის აღ-

რიცხვის წარმოება. საამისოდ შექმნილია ექსპორტისა და იმპორტის კომპიუტერული ქსელი.

4. საბაჟო საქმის ამოცანათა გადაწყვეტის მიზნით საქართველოს საბაჟო ორგანოები თანამშრომლობენ სახელმწიფო მმართველობის ორგანოებთან, საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და მოქალაქეებთან. პირველ რიგში, საბაჟო დეპარტამენტი და მისი ორგანოები თანამშრომლობენ საქართველოს პრეზიდენტთან, რომელიც საქართველოს სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურია. პრეზიდენტი წარმართავს საბაჟო ორგანოების საქმიანობას, ანიჭებს ამ სისტემის მუშაკებს სახელმწიფო ჯილდოებს, სპეციალურ და საპატიო წოდებებს, კონსტიტუციისა და კანონის საფუძველზე გამოსცემს ბრძანებულებებსა და განკარგულებებს, ხელს აწერს და აქვეყნებს კანონებს საბაჟო საქმის საკითხებზე. გარდა ამისა, პრეზიდენტი უფლებამოსილია გააუქმოს საბაჟო დეპარტამენტის აქტები, თუ ისინი ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციას და სხვა კანონებს.

საბაჟო ორგანოებს მჭიდრო ურთიერთობა აქვთ საქართველოს პარლამენტთან, რომელიც ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა. იგი ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს; კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.¹

საქართველოს პარლამენტი ამტკიცებს კანონებს საბაჟო საქმის საკითხებზე, საბაჟო კოდექსს, საბაჟო ტარიფებსა და სხვა სამართლებრივ აქტებს, აწესებს აგრეთვე სპეციალურ და უმაღლეს სპეციალურ წოდებებს საბაჟო დეპარტამენტის სისტემის მუშაკებისათვის, ისმენს თანამდებობის პირების ანგარიშებს საბაჟო საქმის ცალკეულ საკითხებზე.

საბაჟო ორგანოებს შესაბამისი ურთიერთობები აქვთ სამინისტროებთან, სახელმწიფო დეპარტამენტებთან, სხვა უწყებებთან. მაგალითად, საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო გასცემს ლიცენზიებს, რომელსაც საბაჟო დაწესებულებანი მოითხოვენ საქონლის ექსპორტის დროს. მთელ რიგ სამინისტროებს (კულტურის, საგარეო, შინაგან საქმეთა და სხვა) შეუძლიათ გამოსცენ სამართლებრივი აქტები, რომლებიც არეგულირებენ

¹ „საქართველოს კონსტიტუცია“, 2001, გვ. 20.

საბაჟო საქმის მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებს.

საბაჟო ორგანოებს განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობები აქვთ სამართალდამცავ ორგანოებთან. საბაჟო და სამართალდამცავი ორგანოები ერთობლივად ებრძვიან ნარკოტიკული ნივთიერებებისა და იარაღის კონტრაბანდას, აგრეთვე ინტელექტუალური საკუთრების, ეროვნული საუნჯის უცხოეთში გატანას.

საბაჟო ორგანოები თანამშრომლობენ სასაზღვრო ორგანოებთან, რომლებიც აწესებენ მტკიცე კონტროლს სასაზღვრო რეჟიმის დაცვაზე. ეს უწყებები ხელმძღვანელობენ საკანონმდებლო აქტებით, სასაზღვრო რეჟიმის დაცვას ახორციელებენ სპეციალური ორგანოების მეშვეობით. მაგალითად, სასაზღვრო ზონაში საპასპორტო სისტემის დაცვას ახორციელებენ შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურები, მიწათსარგებლობის წესებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, საზღვრების პოლიტიკურ დაცვას - სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი, საზღვრების ეკონომიკურ დაცვას - შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სპეციალური სამსახურები. საზღვრების ვეტერინალურ დაცვას ახორციელებენ სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ორგანოები.

კანონმდებლობის მიხედვით, სასაზღვრო რეჟიმის დაცვის კოორდინაციას ახდენენ ადგილობრივი თვითმმართველობისა და საბაჟო ორგანოები. თავის მხრივ, სასაზღვრო ორგანოები ქმნიან ხელსაყრელ პირობებს საბაჟო ორგანოების საქმიანობისათვის, რათა მათ წარმატებით განახორციელონ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ეკონომიკური დაცვის ფუნქცია.

5. საბაჟო საქმის ძირითადი პრინციპების შესაბამისად, საბაჟო სისტემა, მისი ყველა სამსახური ხელს უწყობს ქვეყნის ბიუჯეტის შევსებას. ცნობილია, რომ განვითარებულ ქვეყნებში იგი შემოსავლის 5-10 პროცენტს შეადგენს. ბევრგან, უმთავრესად განვითარებად ქვეყნებში, 20-40 პროცენტს.

საქართველოს საბაჟო სამსახური თანდათან ხდება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ბერკეტი. გონივრული, კარგად მოფიქრებული, მეცნიერულ პრინციპებზე დამყარებული საბაჟო-სატარიფო პოლიტიკა საშუალებას აძლევს ქვეყანას განავითაროს უპირატესი დარგები, ხელს უწყობს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, ინფრასტრუქტურის სრულყოფას.

სწორი საბაჟო პოლიტიკა, მისი განხორციელება ეხმარება საქართველოს ცივილიზებულ საფუძველზე გააღრმავოს პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობანი.

საქართველოს საბაჟო სამსახურს საქმიანი ურთიერთობები აქვს აშშ-ის, ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების, სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთის, თურქეთის საბაჟო ორგანოებთან, რომლებთანაც სტატიისტიკური და კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის ინფორმაციის გაცვლა საკმაოდ კარგ შედეგს იძლევა.

6. ამასთან ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ საბაჟო სამსახურის სრულყოფას ხელს შეუწყობს მუშაობაში მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინება. ჩვენი აზრით, ეს ფაქტორებია:

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა აღინიშნოს, რომ არსებობის ათი-თერთმეტი წლის განმავლობაში საბაჟო სისტემამ რამდენჯერმე განიცადა რეორგანიზაცია; ამასთან დაკავშირებით იცვლებოდნენ ხელმძღვანელები, მებაჟეები, სხვა თანამდებობის პირები; ამან თავისი კვალი დაამჩნია საბაჟო სისტემას. დასკვნა: უნდა შეჩერდეს კადრების მუდმივი ცვლილებები; შეიქმნას მტკიცე, განათლებული მუდმივი კოლექტივი.

მეორე, საბაჟო სამსახურის სრულყოფას ხელს უშლიდა საბაჟო ტრადიციების უქონლობა. ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში რესპუბლიკებს, ფაქტობრივად ჩამოაცილეს საბაჟო დარგი, მისდამი ხელმძღვანელობას ახორციელებდა სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს მთავარი საბაჟო სამმართველო. იგი ხსნიდა საბაჟოებს, აწესებდა ბაჟებს, ნიშნავდა კადრებს, წყვეტდა ყველა საკითხს. საქართველოს თავისი საბაჟო ტრადიციები გააჩნდა უძველესი დროიდან, მაგრამ იგი დავიწყებულ იქნა მას შემდეგ, რაც საქართველო დაიპყრო რუსეთმა, გადააქცია თავის კოლონიად. თითქმის ორი საუკუნის მანძილზე საქართველოს არ გააჩნდა თავისი საბაჟოები. ახლა საბაჟოს ჩვეულებრივი ნორმები და ტრადიციები მეცნიერულ შესწავლას მოითხოვს, რაც საბაჟო სამსახურის სრულყოფის მნიშვნელოვანი პირობა გახდება;

მესამე, საბაჟო ორგანოების ნორმალურ საქმიანობას აფერხებდა სამართლებრივი ბაზის ჩამორჩენა. ამ პრობლემის გადასაწყვეტად საჭირო იყო სრულყოფილი კანონებისა და ნორმატიული აქტების შემუშავება და მიღება. ამ მხრივ, დადებითი ნაბიჯები გადაიდგა. მიღებულია და ამოქმედდა საქართველოს საბაჟო კოდექსი, კანონები და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები. მაგრამ საბაჟო კანონმდებლობა მოითხოვს სრულ-

ყოფას, ახალ საფეხურზე აყვანას. მისაღებია საბაჟო საქმის ცალკეულ საკითხებზე დებულებები, ინსტრუქციები, სხვა აქტები.

მეოთხე, საბაჟო ორგანოების მუშაობას ხელს უშლის სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: (ადმინისტრაციული შენობები, გამშვები პუნქტები, ტერმინალები, საწყობები, უბაჟო ვაჭრობის მაღაზიები, სატრანსპორტო საშუალებები, სპეციალური დანიშნულების ობიექტები, კომპიუტერული ქსელი, კავშირგაბმულობის საშუალებანი და სხვა). მისი განმტკიცება უნდა განხორციელდეს საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებითა და მათი დახმარებით.

მეხუთე, საბაჟო სამსახურის სრულყოფას აფერხებდა ამ დარგის სპეციალისტთა თითქმის არ არსებობა საქართველოში, არც ერთ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებელში არ მზადდებოდა საბაჟო საქმის სპეციალისტი. იყო შემთხვევები, როდესაც საბაჟო ორგანოებში ინიშნებოდნენ შეუფერებელი პირები. გამოსავალი: საგადასახადო შემოსავლების სამინისტრომ და მისმა საქვეუწყებო დაწესებულებამ - საბაჟო დეპარტამენტმა საჭიროა გაატარონ ეფექტიანი ღონისძიებები. აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, განამტკიცონ კავშირი ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ და ეკონომიკურ, აგრეთვე სპორტის აკადემიის იურიდიულ ფაკულტეტებთან, სადაც მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა საბაჟო სამართლისა და საბაჟო საქმის შესწავლას;

მეექვსე, ერთიანი საბაჟო სივრცის შექმნის ამოცანას აფერხებს აგრეთვე, ფაქტობრივად, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაუზუსტებლობა, ამ პრობლემების ავტომატურად გადაწყვეტა თითქმის შეუძლებელია. საჭიროა მეზობელ სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. პირველ რიგში, უცხოეთის იმ ქვეყნებთან ურთიერთობა, რომლებიც უშუალოდ გვესაზღვრებიან;

მეშვიდე, საბაჟო საქმის ეფექტიანობის ამაღლებას ხელს შეუწყობს საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების შესწავლა და პრაქტიკულ საქმიანობაში დანერგვა, ამ ქვეყნების სამარ-

თლებრივი დოკუმენტების (საბაჟო კოდექსები, კანონები, დეკრეტები, საბაჟო ტარიფები და სხვა აქტები), ცნობილ მეცნიერთა და პრაქტიკოსთა შრომების, სახელმძღვანელოებისა და რეკომენდაციების ქართულ ენაზე გამოქვეყნება, მუშაობაში საბაჟო სამართლის სფეროში საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინება, უცხოეთის საბაჟო სამსახურებთან საქმიანი კავშირებისა და ურთიერთობების გაღრმავება-განვითარება, მათი წარმომადგენლობების მოწვევა; ერთობლივი საერთაშორისო კონფერენციების, სიმპოზიუმების, შეხვედრების ორგანიზაცია;

მერვე, გარდა აღნიშნულისა, საბაჟო საქმის განვითარებას ხელს შეუწყობს საქართველოში საბაჟო სამართლის დარგში ინტენსიური სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაშლა, მეცნიერთა და მოაზროვნე პრაქტიკოსთა ძალების გაერთიანება. დასამუშავებელი პრობლემების განსაზღვრა, მათი შესწავლა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავება-დანერგვა; სასურველია საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მონაწილეობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნას სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ცენტრი, რომელიც ამ დარგში საკვლევადიებო მუშაობის კოორდინაციას მოახდენს; თავს მოუყრის მეცნიერთა ძალებს დასახული ამოცანების განხორციელების საქმეში.

დასასრულს, მეცხრე, საქართველოში დროულად უნდა გამოინახოს საბიუჯეტო სახსრები, რომლებიც გათვალისწინებული იქნება საბაჟო დეპარტამენტის სისტემის მუშაკთა და თანამშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო, კულტურული და სხვა ნორმალური, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, სოციალური პირობების შექმნისათვის. ეს კი საბაჟო სამსახურის მთავარი, პრიორიტეტული მიმართულებაა.

ამრიგად, საქართველოში, ისე როგორც ნებისმიერ ქვეყანაში, საბაჟო საქმის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებენ აღმასრულებელი ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოები, ხოლო საბაჟო საქმის უშუალო განხორციელება ეკისრებათ საბაჟო ორგანოებს.

ვახტანგ ქარუმიძე,

პროფესორი;

მამუკა ქარუმიძე,

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრის ასპირანტი.

ინტერნეტის საქართველო

ნინო კუნცია-გაბაშვილი

დომენური სისტემის განვითარების და რეგისტრაციის ისტორია

ინტერნეტი ურთიერთდაკავშირებული-
უტერების მსოფლიო ქსელია. სერვისო
კომპიუტერულ ქსელში ჩართეს იეთი
აუცილებელი პირობაა ინტერნეტის ჩარის
და სახელის არსებობა, რომელსაც “ინერი
სახელი” ეწოდება. დომენი ინტერნეტში
ჩართული კომპიუტერის “პონიისა”
აუცილებელი და ყოველთვის შეგვეჩერ-
ქიული ელემენტებისგან. მაგალითად დომენი
<http://www.nic.ge> შედგება:

- აბრევიატურა <http://> გამოიყენება ინტერნეტში
პროტოკოლის (Hyper Text Transfer tool -
ჰიპერტექსტის გადაადგილების რცოლი)
გადაადგილებისთვის. წარმოადგენს ურთი-
უმნიშვნელოვანეს პროტოკოლს, ქედიც
WWW- ში გამოიყენება (WWW - World Wide
Web; WWW; The Web - რტეის
საშუალებაა გააერთიანოს და ადგოს
დოკუმენტები. ვებ-დოკუმენტს ეწოდება “web
page” (ვებ-გვედრი), გვერდებს შორის
მომხმარებელს გვერდიდან გვერდში
ტექსტი) გადასვლის საშუალებას ძესაც
გვერდი განთავსებულია რომელიმე სერ-
ვისის მსოფლიოს სხვადასხვა სერვერებზე.

- აბრევიატურა www სერვერის “owner”
- კომპიუტერი ან პროგრამული უზრუნველყოფის
პაკეტი, რომელიც ხელს უწყობს ინტერნეტის
კავშირს სხვა კომპიუტერის პროგრამებთან
- “nic” - მეორე დონის დომენი (second-
level domain);

- “ge” - უმაღლესი დონის დომენია (top-
level domain).

უმაღლესი დონის დომენი ორი სახისაა:
1. gTLD - რომელიც მიუთითებს გვერდის
მფლობელის ძირითად საქმიანობაზე და სამი
ასოსგან შედგება (მაგ., com, net, org); მის
რეგისტრაციას აწარმოებენ სპეციალური რეგის-
ტრატორები, რომლებიც საერთაშორისო ორგა-
ნიზაციები არიან; 2. ccTLD - ქვეყნის კოდი,
რომელიც შედგება ორი ასოსგან და მისი
რეგისტრაცია ხდება ნაციონალურ დონეზე. თუ
უმაღლესი დონის დომენების სახეები ზუსტად
აარის განსაზღვრული, მეორე დონის დომენს
თავითონ განმცხადებელი ორგანიზაცია ირჩევს.

თავდაპირველად დომენური სახელების
სისტემის (დსს - Domain Name System - DNS)
მართვას ახორციელებდა აშშ-ს მთავრობა.
მთავრობის მთავრობამ ხელშეკრულების
საფუძველზე გადასცა ეს ფუნქცია ინტერნეტის
ნომრების გამცემ დაწესებულებებს (Internet
Assigned Numbers Authority - IANA) და
Network Solutions Inc. (NSI). ჯერ კიდევ 30
წლის წინ ჯონ პოსტელის დახმარებით IANA
დააიწყო ინტერნეტის მისამართების სისტემის
მართვა და იგი გასცემდა ნომრებს, რომელიც
შეესაბამებოდა დომენების მისამართებს. NSI
აწარმოებს უმაღლესი დონის დომენის “com”,
“org”, “net” - ის რეგისტრაციის პროცესის
მართვას და კონტროლს. ინტერნეტის
გლობალიზაციამ და კომერციულიზაციამ ცხადი
გაჩხადა, რომ აუცილებელი იყო დომენური

სახელების სისტემის საერთაშორისო მექანიზმების ჩამოყალიბება. ამერიკის მთავრობამ დაიწყო ინტერნეტის მართვის ალტერნატიული ფორმების ძიება. სანამ სპეციალისტებო სხვადასხვა მოსაზრებებს განიხილავდნენ, აშშ-ს მთავრობამ საზოგადოებას შესთავაზა ახალი განსხვავებული გეგმა: ინტერნეტის გლობალური მართვის კერძო არამომგებიანი ორგანიზაციის შექმნა. აშშ-ის მოსაზრებით, ეს იქნებოდა ინტერნეტის ინდუსტრიის "საერთაშორისო არამომგებიანი კორპორაცია, რომელმაც უნდა მართოს მომავალი საუკუნის უმნიშვნელოვანესი საშუალება. /!.../ თუ არსებობს რაიმე, რასაც უდიდესი ძალაუფლება აქვს და კიდევ უქნება, თქვენ შეგიძლიათ იმსჯელოთ იმაზე, თუ რა სამართლებრივი მექანიზმებით უნდა იმართებოდეს იგი".

(<http://cyber.law.harvard.edu/property/domain/icann2.html>)

რადგან DNS-ს პროცესის ფარგლებში მრავალი სხვადასხვა მოსაზრება გამოითქვა, აშშ-ის მთავრობამ გადაწყვიტა, რომ უკეთესი იქნება ინტერნეტის სახელების და მისამართების მართვის პრივატიზაცია. პრივატიზაციის პროცესი დაიწყო შეერთებული შტატების კომერციის დეპარტამენტის ტელეკომუნიკაციისა და ინფორმაციის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ "ინტერნეტის სახელებისა და მისამართების ტექნიკური მართვის გაუმჯობესების შესახებ წინადადების" (დოკუმენტი "Green Paper" - ის სახელითაა ცნობილი) შემუშავებით. დოკუმენტი გამოქვეყნდა 1998 წლის 20 თებერვალს და მსოფლიო საზოგადოების მიერ კომენტარებისათვის გახსნილი იყო 1998 წლის 23 მარტამდე. ეროკავშირის და ავსტრალია აკრიტიკებდნენ აშშ-ს იმისათვის, რომ იგი ცდილობდა "საერთაშორისო ქსელის ხელში ჩაგდებას". აშშ-ს მთავრობამ გადახედდა ამ დოკუმენტს და 1998 წლის 5 ივნისისთვის შეიმუშავა ახალი დოკუმენტი, რომელსაც "თეთრი დოკუმენტი" ("White Paper") ეწოდა. პირველისგან განსხვავებით ამ დოკუმენტში გათვალისწინებული იყო მრავალი შენიშვნა. ამან განაპირობა საერთაშორისო საზოგადოების მიერ "თეთრი დოკუმენტისადმი" მხარდაჭერა და მრავალი ქვეყნის მთავრობამ მხადგოფნა გამოხატა დოკუმენტით გათვალისწინებულ ინფრასტრუქტურებთან ეთანამშრომლა (მაგრამ აღნიშნული

დოკუმენტს ვერ განსაზღვრავდა კორპორაცია დამარსებელთა მხარეების უფლება-ალბებს). შემდეგ ეტაპზე შეიქმნა "თეთრი დოკუმენტის" საერთაშორისო ფორუმი (Irenneforum for the White Paper - IFWP), რომლიც იყო: "ინტერნეტის შუამავლების სხვადასექტორული და გეოგრაფიული ჯგუფს" შექმნით და ფუნქციონირებით დღეისა ხელების სისტემის მართვის უზუყვა. IANA - მ და ჯონ პოსტელმა დაჩქ. პროცესის დანერგვა და ხელი შეწე "თერი დოკუმენტით" გათვალისწინებული ორგანიზაციის - სახელების დანოსაცემის ინტერნეტის კორპორაციის (ICAF-ექმნას. კერძოდ კი, ორგანიზაციის სპერიმართვის სტრუქტურის შექმნა - პოტე მანი იყო. 1998 წლის 2 ოქტომბერს ჯონ ჰელს წარმოადგინა ICANN - ი, მისი ხედმელ ორგანო, როგორც სპეციალური არპოან კერძო ორგანიზაცია, რომლის მიზნობრივი სახელების სისტემის და აშშ-ს ვრების კომერციის დეპარტამენტის "თერი დოკუმენტის" დებულებების განხორცილმარამ ისეთ ორგანიზაციებს, როგორც Open Root Sererferation, Ronda Hauben, INEG Inc., ეჭვს აყენებდნენ ICANN-ის სტრუქტურას და ღებეს. აღიარებისთვის, ICANN - ს ჯე კდლი გზა ჰქონდა გასავლელი. 1999 წლის მ ჩაატარა საქმიანი შეხვედრები ევროპა მერიკაში, მოგვიანებით კი, 1999 წლის კმ - აზიაშიც.

IA ს ღაეკისრა, ერთი მხრივ, დომენური სახლ:სისტემის თაობაზე ადმინისტრაციის გადწყობების შესრულებაზე კონტროლი, მეორე კი, ამ სფეროში საზოგადოებრივი პოლიტ შემუშავება. ICANN-ი ოთხ მნიშვნელოვან აკონტროლებს: 1. დომენური სახლ:პოლიტიკას; 2. ციფრული მისამართებს ემს; 3. მნიშვნელოვანი საბაზო სერერ ფუნქციონირებას; და 4. აგრეთვე აწამოქენიკური პროტოკოლის წარმოების კორდას.

ა მბი და განვიხილავ მხოლოდ ერთ მიმართებას - დომენებს. დომენებთან დაკმით ICANN - ი აწარმოებს შემდეგ

საქმიანობას:

1. რეგისტრაცია. “თეთრი დოკუმენტის” თანახმად “საზოგადოებას აფიქრებდა დომენების რეგისტრაციისას კონკურენციისა და კონკურსის არ არსებობა”. მრავალი ქვეყნის კერძო კომპანია ცდილობდა “დომენების რეგისტრაციის ბაზრის” ხელში ჩაგდებას და ამ დროისათვის კონკურენცია საკმაოდ გამწვავდა. საკითხის გადასაწყვეტად ICANN - მა დაიწყო საქმიანობის აღმნიშვნელი უმაღლესი დონის დომენური სახელების (...ვთ) რეგისტრაციის მექანიზმების შემუშავება. ICANN - მა იკისრა სარეგისტრაციო ფირმებს შორის ინტერესების დაბალანსების ფუნქცია. (1999 წლის დეკემბრისათვის ICANN- ს 100 ორგანიზაციაზე მეტთან დადებული ჰქონდა ხელშეკრულება, აქედან 60 - აშშ - ში, 8 - დიდ ბრიტანეთში, 7 - საფრანგეთში, 5 - კანადაში, 4 - გერმანიაში, 3 - ჩინეთში, ისრაელში, იაპონიაში, შვედეთში, 2 - ესპანეთში, კორეაში, დანიაში, 1 - ავსტრალიაში, ნორვეგიაში, კუვეიტში, იტალიაში, სინგაპურში და სხვ.). აპლიკანტს თავის შეხედულებისამებრ შეუძლია აირჩიოს აღმინისტრატორი ნებისმიერ ქვეყანაში.

2. საქმიანობის აღსანიშნავი ახალი უმაღლესი დონის დომენების (gTLD) წარმოდგენა. დისკუსიის მონაწილეთა ერთ მხარეს მიაჩნდა, რომ ICANN - ის მიერ შემოთავაზებული gTLD რაოდენობა უნდა შეიზღუდოს, ხოლო მეორე მხარე მიიჩნევს, რომ ახალი gTLD ვარიანტები შეთავაზებულ უნდა იქნას რაც შეიძლება ჩქარა და არ უნდა იყოს ლიმიტირებული.

3. კონტროლი ქვეყნების კოდების უმაღლესი დონის დომენებზე (ccTLD). ქვეყნების კოდების უმაღლესი დონის დომენებს სხვადასხვა ორგანიზაცია მართავს თითოეული ქვეყნის (ან გეოგრაფიული რეგიონის) მასშტაბით. ICANN უზრუნველყოფს “თითოეული ქვეყნის სუვერენიტეტს მართოს თავისი უმაღლესი დონის დომენი”. სახელმწიფოებმა თვითონ უნდა შექმნან ქვეყნის კოდის უმაღლესი დონის დომენის მართვის დამოუკიდებელი სისტემა. მაგრამ ამ სისტემამ შეიძლება მრავალ მილიონ დომენს უარი განუცხადოს ამ ქვეყნის კოდის მინიჭებაზე. ICANN - ი მოწოდებულია გადაწყვიტოს შესაძლო კონფლიქტები, “დაამყაროს სტაბილურობა”.

4. დომენური სახელების სფეროში მოლა-

პარაკების სტრატეგიისა და პოლიტიკის განსაზღვრა. ინტერნეტის კომერციალიზაციის შედეგად წამოიჭრა კონფლიქტი დომენებსა და სავაჭრო ნიშნებს შორის. ცნობილი სავაჭრო ნიშნების დაცვის მიზნით ICANN - მა მიმართა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციას (ისმო) და შესთავაზა სპეციალური დისპუტის ჩატარება. თავის მხრივ, ისმო-მ დამატებით დაგეგმა ახალი gTLD -ს წარმოდგენის მიზნით სავაჭრო ნიშნების შესწავლა. ისმო-ს და ICANN - ის თანამშრომლობას დიდი პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, რამაც სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის სწორედ ICANN-ი გააძლიერა და ამჟამად სწორედ იგი თამაშობს წამყვან როლს ინტერნეტის რეგულირებაში. მიუხედავად იმისა, რომ ICANN -ის შტაბ-ბინა აშშ-შია, იგი მსოფლიო ორგანიზაციაა.

როგორც უკვე აღინიშნა, სხვადასხვა ორგანიზაციებთან მოლაპარაკებისა და დისპუტების შემდეგ 1999 წლის 24 ოქტომბერს ICANN - მა შეიმუშავა მნიშვნელოვანი დოკუმენტი - დომენური სახელების თაობაზე გადაწყვეტილებათა საერთო პოლიტიკა (Uniform Domain Name Dispute Resolution Policy - UDRP). ამ პოლიტიკის მთავარი მიზანია - “სწრაფად, იაფად და ადვილად მოაწესრიგოს დომენების საკითხი სავაჭრო ნიშნების მფლობელებსა და დომენების “არაკეთილსინდისიერ” რეგისტრანტებს შორის“. დისპუტები გრძელდებოდა სულ 45 დღე და დაჯდა 750 ამერიკული დოლარი. (უახლოეს მომავალში დაწვრილებით განვიხილავთ ICANN UDRP და UDRP Rules დოკუმენტებს).

CCTLD - ის რეგისტრაციას კი აწარმოებენ ეროვნული ორგანიზაციები (პროვაიდერები), რომელიც თითოეულ ქვეყანაშია შექმნილი. პროვაიდერი არეგისტრირებს მეორე დონის დომენებს “პირველი მოთხოვნის” პრინციპის საფუძველზე და რეგისტრაციისთვის განცხადებული სახელების არანაირ ექსპერტიზას არ ითვალისწინებს. წარსულში ერთი პირის მიერ განცხადებული დომენების რაოდენობა შეზღუდული არ იყო. მაგრამ დღეისათვის ეს პოლიტიკა შეიცვალა. NSI - იმ შეიმუშავა სპეციალური დოკუმენტი “NSI-ის დომენური სახელების თაობაზე დისკუსიის პოლიტიკა” (NSI Domain

Dispute Policy), რომლის შესაბამისად, აშშ - ს ან უცხოური სავაჭრო ნიშნის მფლობელს, რომლის უფლებებიც ირღვევა ლომენური სახელის მფლობელის მხრიდან, განცხადებით უნდა მიმართოს NSI - ს. თუ მას შეუძლია დაამტკიცოს, რომ ნიშნის გამოყენებაზე მიღებული უფლება წინ უსწრებდა ლომენური სახელის გამოყენებას (აქტივიზაციას), NSI მიმართავს ლომენის მფლობელს თავის მხრივ დაამტკიცოს თავისი უფლება ლომენის გამოყენებაზე უფრო ადრინდელი პრიორიტეტით. თუ ლომენის მფლობელი შესძლებს დაამტკიცოს თავისი პრიორიტეტი 30 დღის განმავლობაში, მას უფლება ეძლევა გააგრძელოს ლომენით სარგებლობა სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ლომენის გამოყენება შეჩერებული იქნება და სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე მისი ხელახალი განთავსება არ დაიშვება. NSI - ის აღნიშნული დოკუმენტი და შემუშავებული წესები გაკრიტიკებული იყო. ამისი საფუძველი კი შემდეგია: 1. წესები იცავენ მხოლოდ რეგისტრირებული ნიშნების მფლობელთა ინტერესებს და არ შეეხება საყოველთაოდ ცნობილ ნიშნებს; 2. რეგისტრირებული ნიშნების მფლობელებს შეუძლიათ ხელი შეუშალონ ისეთი ლომენური სახელების გამოყენებასაც, რომელთა მფლობელები სთავაზობენ რეგისტრირებული ნიშნისგან განსხვავებული კლასის საქონელს ან მომსახურებას.

ინტერნეტის ნომრების გამცემი უწყება (Internet Assigned Numbers Authority - IANA) აწარმოებს ეროვნული ორგანიზაციების რეგისტრაციას (რეესტრი გაიხსნა 1992 წელს). საქართველოში ქვეყნის კოდის უმაღლესი დონის ლომენის (ccTLD) და საქმიანობის აღმნიშვნელ მეორე დონის ლომენების რეგისტრაციას ახდენს ორგანიზაცია - ლომენური სახელების საქართველოს რეგისტრატორი (The Georgian Domain Name Registry). განაცხადი ლომენის რეგისტრაციაზე შედგება ორი ნაწილისგან:

1. აუცილებელია ოფიციალური მოთხოვნის წერილის შედგენა GE ლომენის ადმინისტრატორის სახელზე. ეს მოთხოვნა კეთდება ორგანიზაციის ბლანკზე (იურიდიული პირისათვის) ან ჩვეულებრივ ფურცელზე (ფიზიკური

პირისათვის). მოთხოვნა უნდა შეიცავდეს: 1. ლომენურ სახელს, 2. განმცხადებლის გვარს და სახელს, 3. მის საკონტაქტო ინფორმაციას. იურიდიული პირისათვის დამატებით აუცილებელია ორგანიზაციის სახელისა და წარმომადგენლის თანამდებობის მითითება. რეკომენდირებულია ორგანიზაციის ან კერძო პირის საქმიანობის მოკლე აღწერა;

2. განაცხადს თან უნდა დაერთოს <http://www.nic.net.ge> მისამართზე მოცემული ლომენური სახელის სარეგისტრაციო ტექნიკური ფორმა, რომელიც რეგლამენტის სრული დაცვით უნდა იყოს შევსებული. (<http://georgia.net.ge/domain/>)

განაცხადები მიიღება ასოციაცია - "ინტერნეტის განვითარების ჯგუფის - საქართველო"-ს ოფისში, მისამართზე: თბილისი, რუსთაველის 22, მე-3 სართული. ამ დებულების მე-3 პუნქტის შინაარსი კი გაუგებარია, მოვიყვანო ციტატას: "განაცხადის მიღებისთანავე რეგისტრანტი ლებულობს ინფორმაციას, არის თუ არა ადმინისტრატორის მისამართით შემოსული განაცხადი მის მიერ მოთხოვნილ ლომენურ სახელის რეგისტრაციაზე." (<http://georgia.net.ge/domain/> - გვერდი როგორ დავარეგისტრიროთ ლომენური სახელი GE ზონაში?). აშკარაა, რომ წინადადება შინაარსობრივად და სინტაქსურად დაუსრულებელია. ჩემი აზრით, ამ ეტაპზე ორგანიზაციამ უნდა გაარკვიოს, თუ რა უფლებები გააჩნია განმცხადებელს განცხადებულ ლომენზე.

განაცხადის ჩაბარების შემდეგ 2 სამუშაო დღის განმავლობაში რეგისტრანტი ელექტრონული ფოსტით ლებულობს შეტყობინებას ლომენის რეგისტრაციაზე განსახილველად მიღების ან მიუღებლობის შესახებ. განაცხადის განხილვის შეუძლებლობის შემთხვევაში ეს შეტყობინება შეიცავს მიზეზის ახსნაგანმარტებას. განაცხადის განსახილველად მიღების შემდეგ ადმინისტრატორი აწარმოებს ტექნიკურ ფორმაში მოცემული ინფორმაციის შემოწმებასა და დაზუსტებას. სწორად შევსებული ტექნიკური ფორმის მიღებიდან 7 დღის განმავლობაში ლომენური სახელი დარეგისტრირდება და დაიდება ხელშეკრულება ლომენური სახელის გადაცემაზე. რეგლამენტით გათვალისწინებულ შემთხვევაში აუცილებელია ლომენის რეგისტრაციისა და მომსახურების ღირებულების გადახდა. ფასიანი

ლომინის რეგისტრაციის შემთხვევაში რეგისტრანტის სახელზე გამოიწერება ანგარიში, რომელიც დაფარული უნდა იყოს 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

GE დომენის რეგისტრაციის წესები და პირობებია (<http://georgia.net.ge/domain/> - გვერდი "წესები" - ს მიხედვით):

GE - ზონაში რეგისტრაციისათვის გამოყოფილია დომენების შემდეგი პრეფიქსები:

ge - ნებისმიერი ტიპის ორგანიზაციისათვის;
.com.ge (generic) - მხოლოდ კომერციული ორგანიზაციებისათვის;

.edu.ge (generic) - მხოლოდ საშუალო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის;

.gov.ge (generic) - მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების ორგანიზაციებისათვის;

.org.ge (generic) - მხოლოდ არასამთავრობო არაკომერციული ორგანიზაციებისათვის;

.mil.ge (generic) - მხოლოდ სახელმწიფო სამხედრო ორგანიზაციებისათვის;

.net.ge (generic) - მხოლოდ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც წარმოადგენენ ქსელების პროვაიდერებს ან ქსელი პროექტებს;

.pvt.ge (generic) - მხოლოდ კერძო პირებისათვის.

რეკომენდირებულია, მეორე დონის დომენში ან საქმიანობის არმნიშვნელ დომენში მითითებულ იქნას ორგანიზაციის ან ორგანიზაციათა ჯგუფის დასახელება, რომლის სახელითაც შემოტანილია განაცხადი. ფიზიკური პირისაგან განაცხადის შემოტანის შემთხვევაში რეკომენდირებულია დომენურ სახელში მითითებულ იქნას განმცხადებლის სახელი და გვარი.

დომენური სახელი უნდა იწყებოდეს და მთავრდებოდეს ლათინური ანბანის ასოთი ან ციფრით. შუალედური სიმბოლოები შეიძლება იყოს ასოები, ციფრები ან დეფისი. დომენი უნდა შეიცავდეს: 1. საქმიანობის აღმნიშვნელ (ზოგადი) ტიპის დომენის შემთხვევაში ერთ სიმბოლოზე მეტს (მაგალითად, nic.ge); 2. მეორე დონის დომენური სახელის შემთხვევაში ორ სიმბოლოზე მეტს (მაგ. nic.com.ge).

რეგისტრანტი შეიძლება იყოს მხოლოდ: 1. საქართველოს მოქალაქე; ან 2. ფიზიკური პირი, რომელიც ცხოვრობს (რეგისტრირებულია)

საქართველოს ტერიტორიაზე. იურიდიულ პირს, რომელიც არ არის რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ან არ გააჩნია საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული წარმომადგენლობა, უფლება აქვს ერთი დომენის რეგისტრაციაზე. ასეთ შემთხვევაში, უცხოურმა იურიდიულმა პირმა უნდა გადასცეს დომენური სახელის რეგისტრაციაზე თავისი უფლებამოსილება ნებისმიერ იურიდიულ პირს, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს ტერიტორიაზე.

წესების 1.10 ქვეპუნქტის თანახმად, დომენური სახელის და მისი ადმინისტრირების უფლება არ არის ყიდვა-გაყიდვის საგანი. აკრძალულია დომენის გაჩუქება, გაქირავება და სხვა ფორმით გასხვისება. განაცხადი არ იქნება განხილული, თუ მოთხოვნილი სახელი უკვე რეგისტრირებულია სხვა პირის სახელზე (ქვეპუნქტი 1.11).

განაცხადი შეიძლება არ იყოს დაკმაყოფილებული: 1. თუ იგი შეიცავს უცენზურო ან სხვა არანორმატიულ ლექსიკას; 2. თუ განაცხადი არ აკმაყოფილებს <http://www.nic.net.ge> მისამართზე მოტანილ განაცხადის შევსების მოთხოვნებს.

რეგისტრანტი ვალდებულია განაცხადში შეიტანოს სწორი და უტყუარი ინფორმაცია. განაცხადში მოტანილი სარეგისტრაციო ინფორმაციის ცვლილებებისას რეგისტრანტი ვალდებულია 1 თვის განმავლობაში შეცვალოს სარეგისტრაციო მონაცემები. წინააღმდეგ შემთხვევაში ადმინისტრატორს უფლება აქვს შეაჩეროს დომენის გადაცემა, რეგისტრაციის შემდგომი გაუქმების ჩათვლით. დომენური სახელის სარეგისტრაციო ინფორმაციის დადასტურების საჭიროების შემთხვევაში, ადმინისტრატორის მოთხოვნით, რეგისტრანტი ვალდებულია წარადგინოს მონაცემთა ბაზაში შეტანილი ინფორმაციის სისწორის დამადასტურებელი საბუთი.

ადმინისტრატორს უფლება აქვს შეაჩეროს დომენის გადაცემა: 1. რეგისტრანტის ოფიციალური წერილის საფუძველზე; 2. სასამართლოს დადგენილებით; 3. საერთაშორისო ქსელური კონსორციუმის ICANN/IANA - ს ან მის მიერ დასახელებული ორგანიზაციის მოთხოვნით.

ყოველ 12 თვეში ერთხელ აუცილებელია დომენის რეგისტრაციის გაგრძელება.

დომენის გადაცემა დასაშვებია: 1. რეგისტრანტის კანონიერ მემკვიდრეზე; 2. სასამართლოს გადაწყვეტილებით; 3. საერთაშორისო ქსელური კონსორციუმის ICANN/IANA-ს ან მის მიერ დასახელებული ორგანიზაციის მოთხოვნით. დომენის გადაცემა ხორციელდება წარმოდგენილი ოფიციალური საბუთის საფუძველზე, დამატებითი გადასახადის გარეშე. თუ რეგისტრანტი ითხოვს დომენის გადაცემას კონკრეტულ მესამე პირზე, დომენის გადაცემა ხორციელდება რეგისტრანტის მიერ 4000 (დღგ - ს ჩათვით) ლარის გადახდისას, რომელიც მთლიანად მოხმარდება საქველმოქმედო, არაკომერციული საქმიანობას, ინტერნეტის განვითარების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე (წესების მე-3 პუნქტი).

წესებში არ არის დაზუსტებული:

1. მოეთხოვება თუ არა რეგისტრანტს მესამე პირზე დომენის გადაცემის შემთხვევაში ამ არჩევანის დასაბუთება;

2. წესების 3.1. ქვეპუნქტში მოცემულია დომენის გადაცემის ამომწურავი შემთხვევები. რომელ მესამე პირზეა საუბარი წესების 3.3. ქვეპუნქტში?

3. 1.11. ქვეპუნქტში აღნიშნულია, რომ დომენი არ არის ყიდვა-გაყიდვის საგანს, აკრძალულია მისი გაჩუქება, გაქირავება ან სხვა სახით გასხვისება. რა საფუძველი შეიძლება ჰქონდეს რეგისტრანტის მოთხოვნას დომენის მესამე პირზე გადაცემის თაობაზე?

4. საჭიროა თუ არა სარეგისტრაციო საბუთებში ცვლილებების შეტანა დომენის მესამე პირზე გადაცემის დროს?

5. ევალება თუ არა მესამე პირს თავისი უფლებების დასაბუთება დომენურ სახელზე?

დომენების რეგისტრაცია წარმოებს “პირველმა მიმართა, პირველმა მიიღო” პრინციპის საფუძველზე. უკვე გადაცემული დომენის რეგისტრაციის მსურველს საშუალება აქვს შეიტანოს განაცხადი რეგისტრაციის რიგში. რიგში შეტანისათვის რეგისტრაციის მსურველი იხდის შესაბამის თანხას (ერთი დომენური სახელი წელიწადში - 2 ლარი). თუ დომენი განთავისუფლდა, მისი გადაცემა ხდება რეგისტრაციის რიგში პირველივე პირის სახელზე. რეგისტრაციის რიგში ჩაწერილ პირს შეუძლია, მომსახურების გადახდისთანავე, მიიღოს რიგში მყოფ პირთა სრული სია.

რაც შეეხება მხარეთა მოვალეობას, უნდა აღინიშნოს შემდეგი:

- ადმინისტრატორი არ აწარმოებს შემოწმებას და პასუხს არ აგებს, რეგისტრანტის მიერ:

1. დომენური სახელის რეგისტრაციის ან რეგისტრაციის გაგრძელების მიზნით წარდგენილი ინფორმაციის სისრულესა და სიზუსტეზე;

2. დომენის რეგისტრაციით მესამე პირისათვის მიყენებულ ზიანსა და უფლებების დარღვევაზე;

3. დომენის რეგისტრაციის კანონმდებლობის დარღვევით ან არაკანონიერი მიზნით გამოყენებაზე. ადმინისტრატორი არ გამოდის რეგისტრანტებს შორის ან რეგისტრანტსა და მესამე პირს შორის დომენის რეგისტრაციის ან გამოყენების საკითხებთან დაკავშირებულ დავათა არბიტრის როლში. რეგისტრანტი ვალდებულია თავიდან ააცილოს ადმინისტრატორს და მის თანამშრომელს დომენის რეგისტრაციით, რეგისტრაციის გაუქმებით ან გადაცემის შეჩერებით გამოწვეული ნებისმიერი ზიანი და ზარალი, სასამართლოსა და სხვა ხარჯების ჩათვლით. ადმინისტრატორის მატერიალური პასუხისმგებლობა შემოიფარგლება დომენის რეგისტრაციისათვის რეგისტრანტის მიერ გადახდილი თანხით. ადმინისტრატორი არ არის პასუხისმგებელი რეგისტრანტის მიერ დომენის გამოყენებაზე, საქმიანობის შეფერხებაზე, ზიანზე, რომელიც გამოწვეულია ირიბად, განზრახ ან შემთხვევით, ზარალზე, მოგების დაკარგვის ჩათვლით, მიუხედავად ფორმისა და გარემოებებისა.

- ადმინისტრატორი იხსნის პასუხისმგებლობას და აფრთხილებს რეგისტრანტს, რომ მისთვის გადაცემული დომენი შეიძლება გახდეს დავის საგანი შემდეგ შემთხვევებში:

1. დომენი იდენტურია ან მსგავსია მესამე პირის (მოსარჩლის) იმ სავაჭრო ნიშნებისა, რომლებზეც მას გააჩნია კანონიერი უფლებები;

2. რეგისტრანტს არ აქვს უფლება ან კანონიერი ინტერესი დომენთან დაკავშირებით;

3. დომენი რეგისტრირებულია და გამოიყენება არაკეთილსინდისიერად:

ა) ვითარებები, რომლებიც მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ თქვენ რეგისტრაციაში გაატარეთ ან შეიძინეთ დომენური სახელი, ძირითადად მოსარჩელისათვის მიყიდვის, იჯარით გაცემის ან სხვაგვარი სახით გადაცემის მიზნით, რომელიც

არის სავაჭრო ნიშნის ან მომსახურების ფლობელი, ან ხსენებული მოსარჩლის კონკრეტული პირისათვის მიყიდვის ან გადაცემის პირობითი მნიშვნელოვანი ანაზღაურების სასაცლოდ, რომელიც აჭარბებს დოკუმენტური საბიჯარმოდგენილ თქვენს სხვადასხვა სახის დახარჯებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია დომენის რეგისტრაციასთან;

ბ) თქვენ რეგისტრაციაში გაატარეთ დომენი, რათა სავაჭრო ნიშნის ან მომსახურების ნიშნის მფლობელისათვის თავიდან აგეცილებინათ შესაბამის დომენურ სახელში ხსენებული ნიშნის რეპროდუცირება იმ პირობით, რომ ასეთი ქმედების ინიციატივა მოდიოდა თქვენი მხრიდან;

გ) თქვენ რეგისტრაციაში გაატარეთ დომენი, უპირველეს ყოვლისა, იმ მიზნით, რომ ზანი მიგეყენებინათ თქვენი კონკურენტის ბიზნესისათვის;

დ) დომენის გამოყენებით თქვენ შვებულად შეეცადეთ მოგეზიდათ (კომერციული მიზნების მიზნით) ინტერნეტის მომხმარებლები თქვენს ვებგვერდზე ან ქსელის სხვა მისამართზე, რისთვისაც შექმენით მოსარჩლის ნიშნის მსგავსი შეცდომაში შემყვანი ნიშანი, მის პრეფერსიაროსთან, სპონსორობასთან, ფილიადეზთან ან თქვენი ვებგვერდის ან ადგილმდებარეობის თვალსაზრისით ან თქვენი ვებგვერდზე არსებული პროდუქციის ან მომსახურების რეკლამის მიზნით.

აღნიშნული დოკუმენტის ზედაპირული ანალიზიდან ჩანს, რომ დომენების სახელებთან დაკავშირებით ბევრი ასპექტია დასახვეწი. აპარტველოში არც ერთი ნორმატიული აქტი არ არეგულირებს დომენთან დაკავშირების წარმოშობილ ურთიერთობებს, ელექტრონული კომერციის, ინტელექტუალური საკუთრების იბიექტების დაცვის საკითხებს და მრავალ სხვა.

საქართველოს არ აქვს ხელმოწერილი საერთაშორისო დოკუმენტები. მაგრამ ყოველდღიური ურთიერთობები ასახავენ ამის აქტუალობას. აუცილებლად მიმაჩნია სხვა ქვეყნებში და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაგროვილი გამოცდილების, საკანონმდებლო და სასამართლო პრაქტიკის შესწავლა, გაანალიზება და ადაპტაცია.

ზანი უნდა გაესვას იმი ფაქტს, რომ დომენური სახელების საკითხი მჭიდროდ კავშირშია ელექტრონულ კომერციასთან, რამაც ბოლო წლების განმავლობაში შეცვალა მსოფლიო ვაჭრობის და ბიზნესის ინფრასტრუქტურა, საქართველოს კომპანიების და არამომგებიანი ორგანიზაციების საერთაშორისო ბაზარზე გასვლასთან, ადგილობრივი ბაზრის სამართლებრივ რეგულირებასთან.

უახლოეს მომავალში გახსნილი იქნება ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის მასალები, ისმო-სთან შექმნილი სპეციალური საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებები, ევროკომისიის დირექტივები და ევროგაერთიანების შროგრაამული დოკუმენტები, ICANN UDRP და Rules, საერთაშორისო პრაქტიკა და სხვ. ამის მიზანია: ეტაპობრივად მოკამზადოთ და შევიშუქოთ ეროვნული კანონმდებლობა, ფართო საზოგადოებას მივაწოდოთ უახლესი ინფორმაცია, ჩამოვაყალიბოთ სტრატეგია და გავაცნობიეროთ ინტერნეტის უდიდესი პოლიტიკური, ფსიქოლოგიური, კულტურული, ეკონომიკური, სამართლებრივი როლი.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ასოციაციამ დაიწყო ამ პრობლემების შესწავლა, მონაწილეობას იღებს საერთაშორისო დისკუსიებში და იმედოვნებს, რომ ახლო მომავალში მისი მონაწილეობით შემუშავდება ეროვნული საკანონმდებლო ბაზა.

ნიდო კუნცევა-ბაბაშვილი,
საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ასოციაციის თავმჯდომარე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. The International Intellectual Property, Commentary and Materials Frederick Abbott, T.Cottler, F.Gurry; Kluwer Law International; The Hague - London - Boston, 1999;
2. "Law and the information superhighway", Henry H. Perritt Wley Law Publishing, John Wiley and Sons, Inc; New York, Chishester - Toronto - Singapore, 1996;
3. "The management of Internet Names and Addresses: Intellectual Property Issues, Report of the WIPO Internet Domain Name Process, 1999);
4. Internet Business: Der Weg zu erfolgreichem, Online Marketing und Electronic Commerce; Internet Verlag, August Nr. 4 / 2000;
5. The Whole Internet: User's Guide and Catalog, Ed Krol, C'Rilly and Association, Inc, 1994;
6. Paralegal Guide to Intellectual Property; Valerie J. Atkinson, Wiley Law Publication, 1997;
7. "New media and society", SAGE Publication, Vol.2,N 2, Jun 2000;
8. "International Information Technology Law", editor - D. Cambel, John Wiley and Sons, 1997;
9. The new Information Infrastructure. Strategies for U.S. Polic; editor - William J. Drake, The 20th Century Fund Press, New York, 1995;
10. "Software and Intellectual Property Protection", Benard A Giler, Quorum Books, Westport, Connecticut - London, 1995;
11. Who owns Information? From Privacy to Public Access; Anne Wells Branscomb, Basic Books, A Division of Harpor Collins Publ., 1994;
12. "Using ICANN's UDRP: Process", <http://eon.law.larvarl.eu/udrp/process.html>
13. <http://www.icann.org/udrp/udrp.htm>
14. "Uniform Domain Name Dispute Resolution Policy", <http://www.icann.org/udrp/udrp-policy-24oct99.htm>
15. <http://www.icann.org/udrp/staff-report-24sept99.htm>
16. "Rules for UDRP", <http://www.icann.org/udrp/udr-rule-2oct99.htm>
17. "Policies on Cybersquatting", <http://www.domainhandbook.com/comp-bills.html>
18. "Webvertising: Unfair Competition and Trademarks on the Internet", AIJA Law Library; editor - Matthias W. Stecher, Kluwer Law International, London - The Hague - Boston, 1999;
19. "The Georgian Domain Name Registry", <http://georgia.net.g/domain/>
20. "ICANN Accredits Ten New Domain Name Registrars", <http://www.icann.org/announcements/icann-pr21dec99.htm>
21. "ICANN Staff Report", <http://www.icann.org/santiago/udrp-staff-report.htm>
22. "Model UDRP for Voluntary Adoption by Registrars", <http://www.icann.org/santiago/registrar-dispute-policy.htm>
23. "A Structural Overview", <http://www.icann.org/general/structure.htm>
24. "ICANN - IEU: Questions for candidates", <http://aigua.rncde.icann-europe/msg0097.html>
25. "Guide to UDRP Procedure and Policy", Zak Musovitcl, <hp://boalt.org/UDRP/UDRP-policy-guide.html>
26. "Country Code Top Level Domain", <http://www.iana.org/ccld/ cctld.htm>
27. "New TLD Program", <http://www.icann.org/tlds/>
28. "Comparison of Bylaws proposals for a new Internet Corporation", <http://www.domainbook.com/comp-bylaws.html>
29. "ISPA Advisory 4: ICANN - A Primer", <http://www.ispa.orgza/advisory4.htm>
30. <http://cyber.law.harvard.edu/property/domain/icann2.htm>
31. "USA Department of Commerce, Management of Internet Names and Addresses", [http://www.icann.org/general/white-paper-\(05jju9\)8.htm](http://www.icann.org/general/white-paper-(05jju9)8.htm)



სახელმწიფოსა და სამართლის ისჯიზია, თეორია

ნინო ცნობილაძე

ვაჟა-ფშაველა, როგორც ქართული მემკვიდრეობის სამართლის მკვლევარი

ცხოვრებას თავისი კანონები გააჩნია. რაც უნდა განერიდო, მაინც თავის ფერხულში ჩაგაბამს. ვაჟა-ფშაველას არასოდეს უცხოვრია თავისთვის. სამშობლოს საკურთხეველზე სიცოცხლის ნებაყოფლობით გაწირვა, ახლობლისათვის თავდადება, მოყვრის გატანა, ერთპირობა, მხარის მიცემა, სჯულზედ მტკიცედ და ურყევად დგომა, თანამოძმეთათვის გასაჭირში შემწეობა მისი სულის თვისება იყო.

ირგვლივ კი, სამწუხაროდ, არსებობდა დაღლატიც, სიმართლისათვის თვალის დახუჭვა, უსამართლობაც, ხშირად უღონობაც, უილაჯობაც, შურიც, შფოთვა და ძრწოლა, ბორგვა და შიში. ხშირად იდგა უჟამური ჟამი, იყო ძმისაგან ძმის არ დანდობა, გაწირვა, გადაშენებისა და გადაგვარების, მიწისაგან ალგვის საფრთხე და განსაცდელი.

ბუნებრივია, ყოველივე ეს აწუხებდა, აწვალებდა მწერალს. ეწადა, სიტყვითა თუ საქმით გულწრფელი, დამაჯერებელი პასუხი გაეცა. სწორედ ამიტომაც სამზეოზე გამოჰქონდა ჩვენი ცხოვრების შავბნელი ამბები. მისი მიზანი იყო, მშობელი ხალხისათვის ეჩვენებინა, რომ ჩვენს ისტორიაში, თუმცა იყო მძიმე წუთები, მაგრამ ქართველი ხალხი მაინც გადარჩა იქ, სადაც სხვები უკვალოდ გაქრნენ.

და არა მარტო გადავრჩით! შევინარჩუნეთ მრავალჭირგამოვლილი ქართული ენა... შევინარჩუნეთ ქართული სახელმწიფოებრიობა... ჩვენი მეობა, ზნე, ჩვეულება, ადათი, ჩვენი წმინდა სახატე, სალოცავი, შინაგანი სიმტკიცე.

ვაჟა-ფშაველა მცნიერულად, თავისი დროის მოთხოვნათა შეატვისად განსაზღვრა სამართლის არსი და დაიშნულეა, მისი არსებითი ნიშან-თვისება კომპლექსო. მმათ შორის ნაფულისხმეია ზოიერების გრძნობის დაცვის აუცილებლობაც ი უკიდურესობის დაძლევა, როდესაც კეთლისურნობოს პოზიციებიდან იგნორირებული დანაშაულთა მხილვა, როცა სამართალი ზოიერების ფარგლებს სცილდება.

ძმთის სამართლიუადრესად თავისთავადი და განუუმორებელი კენძენოა. ასეთოვეა მისი წიაღიდან წარმოქმნილ კანონიც. ვაჟა-ფშაველამ ღრმად შეიცნო ეროვნული სამართლის არსი და სპეციფიკა. იგი ხშირდ ჰინაგანი კანონების კარნახით მოქმედებდა, მწრლურ სულს კვი თავისთავად მიჰყავდა ორჯინლური გზით, თვეითვე აძლევდა მიმართულეს.

ვაჟა-ფშაველა ხმართლებროვი შეხედულეზანში, თავისი შინრით, მრავალფეროვანია. ცნობილია, რომ დაშულის შემადგენლობა შეიცავს შემდეგ ელქებებს: ა / დანაშაულის ობიექტი, ბ / დანაშალს სუბიექტი, გ / დანაშაულის ობიექტურ მხრე, დ / დანაშაულის სუბიექტური მხარებრილი არის პასუხისმგებლობის საფუძველით არ არის ბრალი, არ არის პასუხისმგებლი.

სისხლის სამთაში ბრალის პრიობლემასთან დაკავშირებით იდე მნიშვნულობა აქვს ნების თავვისუფლების აკთხსაც. პასუხისმგებლობა იმისდა მიხედვი იზღვრება, თუ როგორ მო-

ქმედება დანაშაულის ჩამდგომი - წინასწარგანზრახვით, ნებისით, თუ წინასწარზრახველად, უნებლიედ. პასუხისმგებლობის საყოველთაო გარკვევისას საინტერესოა ისიც, თუ რამდენადაა ადამიანი თავისუფალი თავის მოქმედებაში.

ბრალის საკითხს ქართველი ალხის სამართლებრივი აზროვნების ისტორიაში დიდი მნიშვნელობა აქვს. რადგან დანაშაული კლასობრივი კატეგორიაა, ამიტომაც მისი მნიშვნელობა ისტორიულად იცვლება.

სავარაუდოა, რომ დანაშაულს სუბიექტური მხარე თუშ-ფშავ-ხევსურეთში, კთვრესად, სწორედ ბრალის პრობლემაა. ამასთანავე, ბრალი, რომელიც ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საფუძველია, არის სისხლის სამართალი ერთ-ერთი, და შეიძლება ითქვას, უმთავრეს პრობლემა.

ვაჟა-ფშაველამ კარგად იცოდა, ბრალი შეიძლება უდანაშაულო საც დაღო, ზაგრამ დასჯა მხოლოდ დამნაშავესაა საირო. მას სწამდა თანასწორობა კანონის წინაშე. ღრსებით ყველას ვერ ათანაბრებდა. სუფიცი ძლიერი ერჩია სულით ზვიადი მკვრობელს.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებანი საქმის ზედმიწევნითი ცოდნით არის განხლები თუშ-ფშავ-ხევსურეთში გავრცელებული სასართლებრივი ნორმები. საინტერესოა, პასუხისმგებლობისათვის იყო თუ არა საკმარისი მქმედების გარეგანი შედეგი, მნიშვნელობა ენიჭოდა იუ არა დანაშაულის სუბიექტურ მხარე, თქედის შინაგან მდგომარეობას, ანდა, ობიექტურ შერაცხვისათვის საკმარისი იყო თუ არა მოქმედებას შორის (მიზეზობრივი კმრ, მოქმედების მატერიალური შედეგი იყო იუარა ობიექტური შერაცხვის საიფუძველი და ..

ვაჟა-ფშაველას სამართლებრივი შინაარსის რაიმე სპეციფიკური ნაშრომ რ დაუტოვებია. ამიტომ სახელმწიფოებრივ-სმათლებრივი შეხედულებანი მთლიანად მისი ქრემის მიხედვით უნდა შევოსწავლოთ. ვაჟა-ფშაველას შრომები კი ენციკლოპედიურ ხასიათააგარებენ. ამავდროს, ბევრიაა ამა თუ იმ აკთხს მეცნიერული ახსნაც.

ერთი შეხედვით, თითქო, რავერია ისეთი საპირისპირო, მიულებელი ვაჟ-ფშაველას ღვთიური შემოქმედებისათვის როგორც კანონი, სამართალი თაკვისი ზოგადი უხუის მიყენებით.

და, მინც, აქაც მან თავისი კომპეტენტური სიტყვა თქვა...

მწერალმა კარგად იცოდა, რომ სამართალი ადამიანის სასიცოცხლო ინტერესებს ეხება. როგორც კი შეწყდება, ან შეფერხდება სამართლის მოქმედება, ადამიანს, მის თავისუფლებას და სიცოცხლესაც კი, საფრთხე ექმნება.

„სამართალი, - წერს ივანე ჯავახიშვილი, - ან ერის საზოგადოებრივი ცხოვრებით შექმნილი ჩვეულება და წესია, ან სახელმწიფოს მთავრობისა და კანონმდებელი კრების გაჩენილია ხოლმე. უძველეს ხანაში, რასაკვირველია, სამართალი და ერის ზნე-ჩვეულება ერთიდაიგივე იყო, შემდეგ, როცა კაცობრიობა განვითარდა და წარმატებული მოქალაქეობრივი ცხოვრება შეექმნა, მაშინ სამართალი ზნე-ჩვეულებას დაჰშორდა, დაწინაურდა და კანონდებულ სამართლად გადაიქცა“¹

საფიქრალია, სწორედ უძველესი ხანიდან შემორჩენილი სამართალი და ზნე-ჩვეულებები მოქმედებდა მთაში ვაჟა-ფშაველას დროს.

აქვე გავიხსენოთ, ვინ და როდის შეუდგინა პირველად მთიელებს „სამართლის წიგნი“ და რა ვერსიები არსებობდა ამასთან დაკავშირებით შენახულია გიორგი V ბრწყინვალეს /1318-46/ „ძეგლის დადება“ ... ეს ძეგლი მთელი სამეფოსათვის არ არის შედგენილი, არამედ, როგორც თვით ამ სასამართლო წიგნშია ნათქვამი, მთიულთათვის. ახალშედგენილი კანონებით მხოლოდ „ჯვართაყელს აქეთ, ხადა-ცხაოტს, ზანდუკის ზევის კიბეთ ქვეშეთ და მენესოს ზემოთ“ უნდა ეხელმძღვანელათ. მაშასადამე, ამ „ძეგლის დადებას“ ადგილობრივი მნიშვნელობა ჰქონია... საქართველოში მეფე გიორგი ბრწყინვალემდე მხოლოდ მთიელებს არა ჰქონიათ სასამართლო წიგნი დანარჩენ სამეფოში, მაშასადამე, გიორგის დროსაც მოქმედებდა განსვენებულ „ლ-თივ გვირგვინოსანთა და სანატრელ მეფეთგან ძეგლითა, განაჩენითა და დადებითა“ განჩენილი სასამართლო წიგნები. ხოლო რაკი მთიელები გიორგის დრომდე უკანონოდ ყოფილან, ამიტომ მეფეს ეს ნაკლი შეუვსია და მხოლოდ მათთვის შეუდგენია ძეგლი...²

¹ ივანე ჯავახიშვილი, თხზ., ტ. VI, 1982, გვ. 29.
² იქვე, გვ. 94-95.

ფშავის ისტორიულ ტერიტორიას მდინარე ფშავის არაგვის ხეობა შეადგენს, რომელიც იწყება ჟინვალთან და აღწევს კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედს. ვახუშტი ასე წარმოგვიდგენს ფშავის ისტორიულ საზღვრებს: „ხოლო მზღვრის ფშავს აღმოსავლით მთა კავკასიდამ ჩამოსული სამხრით, მთა ამას თიანეთს შორის. ჩრდილო კავკასი ამასა და ღლივს შორის. დასავლით მთა კავკასიდამ ჩამოსული. სამხრით ამას და ხევსურს შორის“.³

ქართლის პოლიტიკოსთა ყურადღება, ძირითადად, თერგ-დარიალის გზაზე მდებარე მთიულეთ-ხევის მოსახლეობაზე ბატონობის განმტკიცებისაკენ იყო მიმართული.

საქართველოს მთიანეთი მტრისათვის მიუვალი სიმაგრე იყო, სადაც ომიანობის დროს თავს აფარებდა ბარის მოსახლეობა. ამავე დროს, მთა ბარისათვის ამოუშრეტელი რეზერვი იყო. კახეთის ბარის მოსახლეობა დანაკლისს მთის მოსახლეობის ხარჯზე ივსებდა. ხშირად, თითქმის ერთიანად განადგურებული იორ-ალაზნის ველები მთიდან ჩამოსახლებული მოსახლეობით აღდგენილა.

საქართველოს მთის მოსახლეობა ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას იღებდა ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო ისტორიულ მოვლენებში და, ბევრ შემთხვევაში, ისტორიული პროცესების განვითარებას სპეციფიკურ სახეს აძლევდა. სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში იცვლებოდა საქართველოს მთის ბართან ურთიერთობის შინაარსი და ხასიათი, მაგრამ უცვლელი იყო ის, რომ ორივე მხარისათვის ამ ურთიერთობას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

თუშ-ფშავ-ხევსურეთი მუდამ ითვლებოდა გმირული სულისკვეთებისა და საქართველოსათვის რაინდული თავდადების სიმბოლოდ. ალბათ, ყოველივე ეს იყო მიზეზი, რომ ...მეფეთ-მეფე გიორგის, დიმიტრი მეფეთ-მეფის ძეს, მთიულთათვის სამართლის წიგნი შეუდგენია, მთელი საქართველო მის ხელთ ყოფილა.

„უცილებლად ქონებასა შინა სამეფოსა ჩუენისასა და უცილებლად პყრობასა ტახტისა და სკრიპტისასა“ შევუდექი მთიულთა ცხოვრე-

ბის მოწესრიგებასო. მას ჯერ თვით ხალხის მდგომარეობა ადგილობრივ შეუსწავლია და საამისოდ „წარვედით ტახტით ჩუენით, ქალაქით და შევედით სასახლესა ჩუენსა ჟინვანს და მუნით მივედით ხადა-ცხაოტს“. აქ მეფეს გამოუკითხავს საქმის ვითარება და ქვეყნის გასაჭირი მოუსმენია: „მოვასხენით ყოველნი შენებურნი ხევისბერნი და ჰაეროვანნი და გავიგონეთ მათნი საქმენი“. შემდეგ გიორგი ბრწყინვალეს თავის მოგზაურობა განუგრძია და ხადაცხაოტითგან დაძრული „მივედით დარიელამდისაო“. აქაც სასამართლო საქმეების მდგომარეობის გამორკვევის შემდგომ მეფეს ისევ სამხრეთისაკენ უბრუნია პირი. „დარიელთ მობრუნებულთა ვილოცეთ ღომისის მთავარმოწამის წინაშე და ჩამოვიარეთ ცხრაზმის ხევი და მოვიკვლიეთ მუნებურნი სასაქმენი.“

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ტფილისში მეფეს თან არაგვის ხეობის მოხელენი ჩაუყვანია, სხდომაში მონაწილეობა მიუღიათ ყველა ვაზირსა და მოურავებს, ანუ დარბაზის კარსა მყოფ ხელისუფალთ ერთი მხრით, სხვადასხვა თემის ერისთავთ, ხევისთავებს, ხევისბერებს და ჰეროვანთ, ანუ საქვეყნოდ გამრიგე მოხელეებს, მეორეს მხრით და კათალიკოს ეპისკოპოსებს, ვითარცა დარბაზის მუდმივ წევრებს. ეს სახელმწიფო დარბაზის ჩვეულებრივი სხდომა კი არ ყოფილა, არამედ საკანონმდებლო და სწორედ ამიტომაც არის, რომ დარბაზის ერთა გარდა ისეთი შედარებით დაბალი და ხელქვეშეთი მოხელეებიც ყოფილან მიწვეულნი, როგორც ხევისთავნი, ხევისბერნი და ჰეროვანნი იყვნენ... მუშაობა ჯერ არაგვისხეველ მოხელეთა მოხსენებით დაწყებულა მთიულთა მდგომარეობის შესახებ: „გავიგონეთ“ დარბაზის სხდომის დამსწრე პირთაგან, „რომელ დიდი უსამართლობა და მძლავრებულობა ქმნილიყო ერთმანეთსა ზედა“ არაგვის ხეობაში. იქ მეტადრე გავრცელებული ყოფილა: „ერთმანეთის ღალატად დასხმა და დაქცევა ციხეთა, სიკუდილი, ცოლის წაგურა და უბრალოდ დაგდება და მრავალ-ფერნი ულოსობანი.

...საქმის ვითარების შესწავლისა და მიზეზების გამორკვევის შემდგომ სახელმწიფო დარბაზის საგანგებო კრება მთიულთა ყოფაცხოვრების მოწესრიგებას შესდგომია... როგორც საკანონმდებლო კრების დადგენილების შედეგი, ...ეს „გა-

³ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 93.

ნაჩენი“ ძეგლი გიორგი ბრწყინვალემ და დარბაზმა სასამართლო წიგნად დაუმტკიცა და მთიულებს დაუდვა.“⁴

ფშაველებს თითქმის გამუდმებული მტრობა და ბრძოლები ჰქონდათ მეზობელ თემებთან. გვიან შუა საუკუნეებში, საერთო ფეოდალური ანარქიის ვითარებაში ურთიერთმიხედომა და დარბევა-დატაცება ჩვეულებრივი ამბავი იყო. მაგრამ საგარეო მტრის წინააღმდეგ ქართველი მთიელები მაინც ერთიანი ძალით გამოდიოდნენ.

„გიორგი ბრწყინვალე ამტკიცებდა, ვითომც ქართველი მეფეები არ უდებდნენ სასამართლო წიგნსა, რომ მათ „ეპრიანებოდათ მთიულთა აღრევით ყოფა ერთმანეთსა შიგან“-ო, ესე იგი, მათთვის სასარგებლო იყო, როცა მთიულებს ერთმანეთში დავიდარაბა ჰქონდათ ატეხილი და ერთმანეთსა სჭამდნენ. საბუთებითგან არა სჩანს, რამდენად სამართლიანია ამგვარი ბრალდება. უფრო სწორი იქნება, ვგონებ, ვიფიქროთ, რომ საქართველოს მეფეები მთიულების შინაურ საქმეებში არ ერეოდნენ და ადგილობრივი სამართლის საქმეს არ ეხებოდნენ. ამასთანავე, თამარ მეფის ისტორიკოსის „მთიულთა, ფხოვლთა და ღიდლოთა“ შესახებ ცნობებს ეტყობა, რომ მაშინდელი განათლებული ქართველი საზოგადოება ჩამორჩენილ მთიულებს მედიდურად უყურებდა და ღიდ ფასსა და ღირსებას არ სდებდა: „ფხოვლნი ჯუარის მსახურნი არიან და ქრისტიანობასა იჩემებენო“...შემდეგ, როცა საქართველოს მონღოლები შემოესივნენ, თუნდაც რომ სდომოდათ მეფეებს „სხუისა ჟამისა შემოსრულობისათვის“ აღარ შეეძლოთ წადილი განეხორციელებინათ. გიორგი ბრწყინვალეს მთიულებში საქართველოს საერთო კანონები კი რასაკვირველია, იმიტომ არ შემოუღია, რომ იქაურ ცხოვრების პირობებს არ შეეფერებოდა.“⁵

როდესაც საუბარია სახელმწიფოსა და სამართლის რომელიმე საკითხის შესწავლაზე ვაჟას შემოქმედებაში, რასაკვირველია, მხედველობაში გვაქვს მისაღები ის გარემოება, რომ მისი მხატვრული ნაწარმოებები შეიცავს ცხოვრებისეულ მოვლენებს ავტორის წარმოსახვაში. მაშა-

სადამე, შესასწავლია ის ტრანსფორმაცია, რომელსაც განიცდის რეალური სინამდვილე ავტორის თვალთახედვაში.

ვაჟა-ფშაველამ ასახა თანამედროვე ცხოვრება. რამდენადაც სამართალი, სახელმწიფო მწერლის თანადროულობის, მისი ასასახავი ცხოვრების შემადგენელი ნაწილია, ამდენად დასაშვებია, მოსალოდნელიც და აუცილებელიც, რომ ამა თუ იმ სახით საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ამ მხარეებსაც ეპოვა გამოხატულება მის ლექსებში, მოთხრობებსა თუ ასევე მდიდარ პუბლიცისტიკაში.

გარკვეული სახით ვაჟა-ფშაველას დამოკიდებულება და მისი შეხედულება სამართლის ინსტიტუტისადმი გამოვლინდა კიდევც. იგი პოზიტიურადაც გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამა თუ იმ საკითხზე და, ამვე დროს, მისი შეხედულება, შესაძლებელია, გაირკვეს სხვადასხვა მოვლენისადმი დადებითი თუ უარყოფითი დამოკიდებულებით.

პოლიტიკური შეხედულებანი, რომლებშიც შედის სამართლებრივი შეხედულებანიც, მჭიდროდაა დაკავშირებული მსოფლმხედველობის საკითხებთან. მწერალი, როგორც წესი, მხატვრულ ნაწარმოებებშიც გამოავლენს თავის მრწამსს.

ვაჟა-ფშაველა რეალური სინამდვილიდან ქმნის მხატვრულ სინამდვილეს. რეალისტურია ვაჟას მხატვრული ასახვის მეთოდი. ცხადია, მის შემოქმედებაში ყოველთვის არაა დასმული, ან განხილული რომელიმე სამართლებრივი საკითხი. მისი შემოქმედების უდიდესი ღირსებაა, რომ რეალისტურადაა ასახული ადამიანის ყოფიერება, საზოგადოების პოლიტიკური ბრძოლები. ზოგჯერ მწერალი თავის იდეას ფანტასტიკური ფორმით გამოსახავს, ზღაპრულ სამოსელში ახვევს, მაგრამ იგი ასეთ ვითარებაშიც არ დაღაბობს რეალისტურ მეთოდს.

ყოველივე ეს უნდა გვქონდეს გათვალისწინებული, რომ შევისწავლოთ ვაჟა-ფშაველას შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მიხედვით შეიძლება გავარკვიოთ სახელმწიფოსა და სამართლის მრავალი საკითხი მთაში.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ბურჟუაზიული იურისპრუდენციის ერთერთი თვალსაჩინო

⁴ ივანე ჯავახიშვილი, თხზ., ტ. VI, 1982, გვ. 96-97.

⁵ იქვე, გვ. 95-97.

წარმომადგენლის – იერინგის აზრით, „უსამართლობა, ჩადენილი ჰუმანურობისათვის, თვით არის უსამართლობა“. მისივე აზრით, პოეტს შეუძლია შექმნას საკუთარი იურისპრუდენცია. მხატვრული ნაწარმოების ავტორის საქმეა, თუ როგორ იურისპრუდენციას შექმნის. იურისტი, კი, რომელიც შედის მხატვრული ნაწარმოების ავტორის მიერ შექმნილ იურიდიულ სამყაროში, იქ თავის საზომს იმარჯვებს. იურისტი ავტორის მიერ გადმოცემული სინამდვილის ვერც ერთ მხარეს ვერ შეცვლის, მაგრამ საკუთარი შეფასების საზომს კი მიუყენებს.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებით შეიძლება, ნაწილობრივ, შევისწავლოთ სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი საქართველოში როგორც ძველად, ასევე XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის I მეოთხედში, მწერლის შეხედ-

ულებანი სახელმწიფოსა და სამართლის სხვადასხვა ინსტიტუტზე. ხშირად, მის შემოქმედებაში მოვლევები ისეა გადმოცემული, რომ ესა თუ ის საგანი აღწერილია, როგორც მოვლენათა და საგანთა დამაკავშირებელი რგოლი, ხოლო თვით ასეთი მოვლენა არ იწვევს ავტორის შეხედულებების, მისი სიმპათია– ანტიპათიის გამოვლენის საჭიროებას, ხშირად – პირიქითაა.

ვაჟა-ფშაველამ საკუთარი იურისპრუდენცია წარმოგვიდგინა. სხვა საკითხია, თუ როგორ არის ასახული სინამდვილე ამა თუ იმ ნაწარმოებში, როგორაა ტრანსფორმირებული ავტორის წარმოდგენაში, მის ლიტერატურულ სახეებში სინამდვილის ესა თუ ის მხარე. მაგრამ ფაქტია, რომ წარმოგვიდგინა გარკვეული სამყარო. ამ სამყაროში მოქმედებენ გმირები, რომელთა მოქმედება სათანადო შეფასებას მოითხოვს.

ნინო ცნობილაძე,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.



საკონსულო სასამართლოების როლი
დამნაშავეთა დასჯისა და
ექსტრადიციის საქმეში XIX საუკუნეში

შუა საუკუნეების დასაწყისიდან მოყოლებული ქრისტიანული სახელმწიფოები არაქრისტიანულ სახელმწიფოებში ქმნიდნენ საკონსულო სასამართლოებს, რომელიც იცავდა საკუთარი ქვეშევრდომების ინტერესებს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე და ამ მიზნით იხილავდა თავის ქვეშევრდომებთან დაკავშირებულ სამოქალაქო, სავაჭრო და სისხლის სამართლის საქმეებს.

საკონსულო სასამართლოების იურისდიქციის საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა XIX საუკუნეში, რაც აისახა რუსეთისა და სხვა სახელმწიფოების კანონმდებლობაში. რუსეთის სისხლის სამართლის სჯულდების 175-ე მუხლის მიხედვით, რუსეთის ქვეშევრდომები, რომლებიც იმყოფებოდნენ თურქეთში ან სპარსეთში და იქ ჩაიდენდნენ დანაშაულს იქვე მყოფი რუსეთის ქვეშევრდომების ან თურქეთის, სპარსეთისა და სხვა სახელმწიფოების ქვეშევრდომების წინააღმდეგ, რომლისთვისაც დაწესებული არ იყო პატიმრობა, ექვემდებარებოდნენ რუსეთის დესპანის, მინისტრის, საქმეთა რწმუნებულის ან კონსულის განსჯადობას, მაგრამ, როდესაც ჩადენილი ქმედებისათვის დაწესებული იყო პატიმრობა, მაშინ გამოძიების დამთავრების შემდეგ, დადგენილი წესის შესაბამისად, განსასჯელი საგამოძიებო საქმესთან ერთად გადაეცემოდა ყველაზე უფრო ახლოს მყოფ მოსაზღვრე გუბერნიის ხელმძღვანელობას, რომელიც უგზავნიდა საქმეს განსჯისათვის უფლებამოსილ სასამართლოს.

ინტერესმოკლებული არ იქნებოდა აღნიშნულთან დაკავშირებით ყურადღება გაგვემახვილებინა საკონსულო იურისდიქციის განვითარების ზოგიერთ საკითხზე. საკონსულო დაწესებულებების ჩამოყალიბების ისტორიიდან ნათლად ჩანს, რომ კონსულები პირველად წარმოადგენდნენ კომერციულ სასამართლოებს, რომლებიც შეიქმნა მუსლიმანურ სახელმწიფოებში ჯვაროსნებისა და ვაჭრების ზეგავლენით. მუსლიმანური სახელმწიფოს მთავრობა თავის თავს არაკომპეტენტურად მიიჩნევდა, რათა განეხილა საქმეები, რომლებიც წარმოიშობოდა ევროპიდან წარგზავნილებს შორის და კანონიერად მიაჩნდა მათი კონსულისათვის დაქვემდებარება. საკონსულო იურისდიქციის უფლების შესახებ პრეტენზიებს არ გამოთქვამდნენ მუსლიმანურ სახელმწიფოთა ხელისუფალნი. აღნიშნული ჩვეულება იმ დონეზე იყო დაცული, რომ ზოგიერთ შემთხვევაში საჭირო არ იყო ტრაქტატების გამოყენება.

კონსულის განსჯადობას ექვემდებარებოდა მუსლიმანური სახელმწიფოს ტერიტორიაზე თანამემამულეთა და მის მფარველობაში მყოფი სხვა ქვეყნების ქვეშევრდომთა სამოქალაქო, სავაჭრო და სისხლის სამართლის საქმეები. ევროპის სახელმწიფოების ქვეშევრდომებს შორის სასამართლო მიმდინარეობდა „ჩვეულებებზე“ დაყრდნობით, ან იმ წესების გათვალისწინებით, რომელსაც უპირატესობას ანიჭებდნენ ქრისტიანული ქვეყნები, მაგრამ განსახილველ საქმეში

თუ ჩართული იყვნენ ადგილობრივი ქვეშევრდომები ან მუსლიმანები, საერთო წესის თანახმად, ასეთ საკითხს ხელადა ადგილობრივი ხელსუფლება, რომელიც შედიოდა გუბერნატორი, საბაჟოსა და ციხისმაგარის უფროსი. აღნიშნული წესი ჩამოყალიბდა შუა საუკუნეების დასაწყისში და არსებობდა მთელი XIX საუკუნის მანძილზე.

თურქებმა კონსტანტინეპოლის ადგილს შექმნეს უზარმაზარი იმპერია, მათ მექვიდრებით მიიღეს კონსტანტინეპოლის უფლებები ყველა იმ ადგილებში, რომელიც შედიოდა ამ ბუნდობრივი ახელმწიფოს შემადგენლობაში.

ქრისტიანული სახელმწიფოებიდან საგარეო ურთიერთობა თურქეთთან ყველაზე უფრო ადრე დაამყარა საფრანგეთმა. 1528 და 1835 წლების შეთანხმებით თურქეთის ტერიტორიაზე კონბილი იწარმოებოდა კონსულების იურისდიქცია. საფრანგეთის კონსულების უფლებები თურქეთში ზუსტად განსაზღვრული იყო 1740 წლის კაპიტულაციით.¹

საფრანგეთისა და თურქეთის განსაკუთრებული პოლიტიკური მდგომარეობის წყალობით ევროპის სხვადასხვა ქრისტიანული სახელმწიფოს ქვეშევრდომები სარგებლობდნენ საფრანგეთის კონსულების მფარველობით. ფრანგი კონსულები გარკვეულ დახმარებას უწევდნენ საქართველოს ქვეშევრდომებსაც თურქეთში. 1580 წელს ინგლისს დადო ხელშეკრულება თურქეთთან, რომლის მიხედვითაც იმპერიის მთელ ტერიტორიაზე ინგლისის კონსულები იღებდნენ ოგივე უფლებებს, რაც გააჩნდათ ფრანგებს.

1783 წელს რუსეთსა და თურქეთს შორის დაიდო სავაჭრო ტრაქტატი, რომელსაც მიენიჭა საერთო ევროპული მნიშვნელობა. ამ ხელშეკრულების მიხედვით რუსეთის ქვეშევრდომები და კონსულები იღებდნენ იმაზე მეტ უფლებებს, რაც გააჩნდათ ინგლისელებსა და ფრანგებს.

ტრაქტატის მიხედვით რუსეთის მთავრობას საჭიროები შესაბამისად, შეეძლო, თავისი კონსულები თურქეთის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე დაენიშნა. კონსული ხელშეუხებლად ითვლებოდა და არ ემორჩილებოდა ადგილობრივი იურისდიქციას. რუსეთის ქვეშევრდომები, რომ-

ლებსაც თურქეთის ტერიტორიაზე ყოფნის დროს ურთიერთშორის წარმოეწობოდათ დავა, გასაწართლებოდნენ თავისი ქვეყნის კონსულის მიერ. ამასთან ერთად, შერეული პროცესის დროს, როდესაც მხარეები იყვნენ რუსეთისა და სხვა ევროპული სახელმწიფოების ქვეშევრდომები, რუსეთის კონსულის თანხმობის გარეშე, არ შეიძლებოდა გასამართლებულიყვნენ ადგილობრივი ორგანოების მიერ. თუ რუსეთის ქვეშევრდომი ჩაიდინდა დანაშაულის ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგ, საქმე განიხილებოდა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ კონსულის თანდასწრებით. უზრუნველყოფილი იყო რუსი ქვეშევრდომის ხელშეუხებლობა, მათ საცხოვრებელში შესვლის უფლება თურქეთის ხელისუფლებას არ ჰქონდა დესპანის ან კონსულის თანხმობის გარეშე.

ევროპის სხვა სახელმწიფოებმაც მიბაძეს საფრანგეთსა და ინგლისს. ავსტრიამ თურქეთთან გააფორმა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ავსტრიის კონსულსაც თურქეთში საკუთარი ქვეშევრდომების მიმართ მიენიჭა გარკვეული სასამართლო და საპოლიციო ფუნქციები.

XIX საუკუნის მანძილზე თურქეთთან ხელშეკრულებები საკონსულოების საქმიანობის შესახებ გააფორმეს იმ სახელმწიფოებმა, რომლებსაც გასულ საუკუნეში ასეთი შეთანხმებები არ ჰქონიათ. მაგალითად, სარდინიამ ასეთი ხელშეკრულება გააფორმა 1823 წელს, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა – 1830 წელს, ბელგიამ და საბერძნეთმა – 1839 წ. ყველა დასახელებული სახელმწიფოს ქვეშევრდომები და კონსულები თურქეთში ითვლებოდნენ განსაკუთრებით პატივსაცემ ერებად.

თურქეთში დამკვიდრებული საკონსულო წესები მოგვიანებით, ხელშეკრულების საფუძველზე გავრცელდა სპარსეთში, ჩინეთსა და იაპონიაში. აღნიშნულ ქვეყნებში ევროპოს სახელმწიფოს ქვეშევრდომები სარგებლობდნენ განსაკუთრებული უფლებებით.

საკონსულო იურისდიქციის შესახებ სპარსეთთან პირველი ხელშეკრულება დადო საფრანგეთმა 1708 წელს, რომლის შესაბამისად სადაო საკითხი საფრანგეთის და სპარსეთის ქვეშევრდომს შორის განიხილებოდა სპარსეთის სასამართლოს მიერ მუსლიმანური სამართლის საფუძველზე, მაგრამ აღნიშნული ხელშეკრულება შეუსრულებელი დარჩა,

¹ A.Vindal. Une ambassade française en orient sous Louis XV. Paris 1887, p. 16 et suiv.

რადგან საფრანგეთს დიდი ხნის მანძილზე სპარსეთთან არავითარი ურთიერთობა არ ჰქონია, ვინაიდან სპარსეთში ფრანგები არ იყვნენ. მოგვიანებით, 1854 წელს, სპარსეთსა და საფრანგეთს შორის დაიდო ასეთივე ხელშეკრულება, რომელსაც მიენიჭა სავალდებულო ძალა.

რუსეთსა და სპარსეთს შორის 1717, 1723, 1729, 1732, 1735, 1813-სა და 1828 წლებში დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, რუსეთის კონსულებმა და ქვეშევრდომებმა მოიპოვეს ფართო უფლებები. ამ უკანასკნელი (1828წ.) ხელშეკრულების თანახმად, ყველა სარჩელი და დანაშაულო სპარსეთში მცხოვრებ რუს ქვეშევრდომებს შორის უნდა განეხილა რუსეთის კონსულს. ზოლო ადგილობრივი ქვეშევრდომების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს იზილავდა სპარსეთის სასამართლო, მაგრამ დამნაშავე დასასჯელად გადაეცემოდა კონსულს ან დაესჯანს. აღნიშნული შემთხვევა დამნაშავეს საკუთარი სახელმწიფოსათვის გადაცემად შეიძლება ჩაითვალოს. მცირე მნიშვნელობის სასჯელს დამნაშავე ადგილზე იხდიდა (მაგ., ჯარიმის), ზოლო პატიმრობის დროს სასჯელი თავისი ქვეყნის საპყრობილეში უნდა მოეხადა.

სპარსეთთან 1814 წელს და 1841 წელს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ინგლისი სარგებლობდა განსაკუთრებული უფლებებით.

პირველი ხელშეკრულება ჩინეთთან რუსეთის იმპერიამ დადო 1889 წელს. ამ ხელშეკრულების მე-6 მუხლის თანახმად, უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისათვის ერთმანეთს გადაეცემოდნენ ჩინელები და რუსები ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად გასასამართლებლად.

1727 წლის რუსეთ-ჩინეთის ტრაქტატით პირველად გამოცხადდა რუსეთის ქვეშევრდომების ექსტერიტორიულობა ჩინეთში. 1851 წლის ხელშეკრულებით კი, რუსეთმა მიიღო უფლება, ჩინეთში დაენიშნა თავისი კონსული, რომელსაც გააჩნდა შეზღუდული უფლებები, მაგრამ ეს უფლებები ვაფართოვდა და კონსულების რაოდენობა გაიზარდა 1858 და 1862 წლების ტრაქტატებით.²

ინგლისელი კონსულები ჩინეთში 843 და 1861წ. ხელშეკრულების შესაბამისად, სარგებლობდნენ სასამართლო უფლებებით. ფრანგებმა კი, აღნიშნული უფლება მოიპოვეს 844 და 1844 წლის ხელშეკრულებებით.

კონსულების იურისდიქციის მოქმედება ჩინეთში უფრო ფართო იყო, ვიდრე თურქეთის იმპერიაში. შერეული პროცესების დროს, რომელიც მონაწილეობდნენ ჩინელი ქვეშევრდომები, საქმე განიხილებოდა კონსულების მიერ ჩინეთის ხელისუფლების დახმარებით.

საფრანგეთის, ჰოლანდიის, ინგლისის, რუსეთის. ამერიკის შეერთებული შტატებს მიერ იაპონიასთან საკონსულო იურისდიქციის საკითხები განისაზღვრა 1858 და 1866 წლების ხელშეკრულებებით.³

XX საუკუნის მიწურულს ევროპის მთავარი ქვეყნების მიერ იაპონიასთან დადებული ხელშეკრულებებით საკონსულო იურისდიქცია იაპონიაში გაუქმდა. 1899 წლიდან უცხოელები ქ ჩადენილი დანაშაულისათვის ექვემდებარებოდნენ იაპონიის კანონმდებლობას და სასამართლოს. ანცვლოდ ევროპის სახელმწიფოებმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავიანთი მოქალაქეებისათვის იაპონიის ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილების უფლება მიიღეს.

1799 წელს ესპანეთსა და მაროკოს შორის დაიდო ტრაქტატი, რომელმაც ნაწილობრივ შეცვალა საკონსულო იურისდიქცია იმ მიმართულებით, რომ მაროკოს ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისათვის ითხოვდა ესპანელი ქვეშევრდომების გადაცემას კონსულს ან ესპანეთის სასაზღვრო ხელისუფლებისათვის, მაროკოელები კი გადაეცემოდნენ ადგილობრივ ხელისუფლებას.

ევროპელების მდგომარეობის საკითხი მაროკოში განიხილეს 1880 წლის იაფხულში მადრიდში ესპანეთის ხელისუფლებს ინიციატივით მოწვეულ საერთაშორისო კონფერენციაზე. ამ შეკრების შედეგი იყო 880 წლის 3 ივლისის მრავალმხრივი კონვენცია, რომელსაც

³ Tsurutaro senga. Gestaltung und Kritik der Konsulargerichtsbarkeit in Japan. Berlin, 1897;

F.Lppmann. Die Konsularjurisdiktion in Orient, ihre historische Entwicklung etc. Leipzig. 1898

² Н. Балкашинъ, Трактаты России с Китаем. СПб, 1889, стр. 3.

ხელი მოაწერეს ინგლისის, ავსტრია-უნგრეთის, გერმანიის, საფრანგეთის, ესპანეთის, ბელგიის, იტალიის, დანიის, ამერიკის შეერთებული შტატების, პოლანდიის, შვეციის, პორტუგალიის და მაროკოს წარმომადგენლებმა.

ცივილიზებული სახელმწიფოები არაქრისტიანულ სახელმწიფოების ტერიტორიაზე ქმნიდნენ ისეთ სასამართლო წესრიგს, რომელიც მთლიანად უზრუნველყოფდა მართლმსაჯულების განხორციელებას. კონსულებისათვის მინიჭებული სასამართლო უფლება არ უნდა განხილულიყო, როგორც ევროპელებისათვის დაუსჯელობის პრივილეგია დანაშაულის ჩადენის დროს. საკონსულო იურისდიქციის უფლებას თან სდევდა ვალდებულება, რათა ორგანიზაცია გაეკეთებინათ საკონსულო სასამართლოსათვის გადაუდებელი იურიდიული წესრიგის დასამყარებლად.

აქ აღნიშნული წინადადებები არ იყო გათვალისწინებული ევროპის ყველა სახელმწიფოს კანონმდებლობით. საკონსულო იურისდიქციის არსებული წესები ხშირად მიუღებელი იყო, რაც იწვევდა ადგილობრივი მოსახლეობისა და მთავრობის ჩივილს.

საკონსულო სასამართლოები სამი სახის იყო: რუსული, ფრანგული და ინგლისური. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ მოწყობის მიხედვით და ხასიათდებოდნენ შემდეგი განსაკუთრებული ნიშნებით:

სპარსეთის გარდა, არც ერთ სახელმწიფოში რუსეთის საკონსულო სასამართლოების ორგანიზაცია არ იყო კანონმდებლობით განსაზღვრული. 1887 და 1893 წ. გამოცემული საკონსულო წესდება სპეციალურად შეეხებოდა რუსეთის საკონსულო სასამართლოებს სპარსეთში. აღნიშნული წესდების ზოგიერთ მუხლში საუბარია რუსეთის კონსულის უფლებებზე თურქეთში, რაც საკონსულო სასამართლოების ორგანიზაციაზე წარმოდგენას არ გვაძლევს.⁴

სპარსეთში არსებული რუსული საკონსულო სასამართლოები, როგორც ქვემდგომი სასამართლოები, ორი სახის იყო. საკონსულო სასამართლოები განიხილავდნენ საქმეებს რუსეთის ქვეშევრდომებს შორის, რომლებიც ცხოვრობდნენ

მოქმედი საკონსულოს ოლქის ტერიტორიაზე, ხოლო მისიასთან არსებული სასამართლო განიხილავდა საქმეებს მთელი სპარსეთის მასშტაბით, რომელიც საკონსულოს ოლქის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ხდებოდა. როგორც საკონსულო, ისე მისიასთან არსებული სასამართლოები, თავმჯდომარის გარდა, შედგებოდა ორი მსაჯულისაგან. აღნიშნული სასამართლოების განხილვის საგანს მნიშვნელოვანი საქმეები წარმოადგენდა. მცირე მნიშვნელობის საქმეებზე დადგენილებას ერთპიროვნულად კონსული იღებდა.

მისიასთან არსებულ სასამართლოს მისიის პირველი მდივანი ხელმძღვანელობდა, რომელიც იყო მთავარი გენერალური კონსული სპარსეთში, ხოლო მსაჯულები ინიშნებოდნენ თეირანში მცხოვრები რუსეთის საპატიო ქვეშევრდომთა რიცხვიდან.

აქ აღნიშნული სასამართლოების მნიშვნელოვანი ნაკლოვანება ის იყო, რომ საკონსულო სასამართლოს თავმჯდომარეები პროფესიონალი იურისტები არ იყვნენ, მაგრამ დადებით მხარეს წარმოადგენდა ის, რომ მსაჯულები ადგილობრივი საზოგადოებიდან იყო შერჩეული.

თურქეთში რუსეთის საკონსულო სასამართლოებს ეხება 1893 წელს გამოცემული საკონსულო წესდების 178-ე და 189-ე მუხლი. თურქეთში მყოფ რუს ქვეშევრდომთა შორის საკითხების განსახილველად კონსტანტინეპოლის საელჩოს მიერ დაფუძნდა კომისია, რომელიც იმყოფებოდა თურქეთში რუსეთის ელჩის ზედამხედველობის ქვეშ. ზუსტად ცნობილი არ არის, თუ ვინ შედიოდა კონსტანტინეპოლის კომისიაში, როგორი წესით განიხილებოდა საქმე და რა კომპეტენცია გააჩნდა მას.

უცნობია რუსეთის საკონსულო სასამართლოების სტრუქტურა და საქმიანობა ჩინეთში. ცნობილია მხოლოდ ის, რომ რუს კონსულებს ტრაქტატის საფუძველზე ჰქონდათ უფლება და ვალდებულება, გაერჩიათ რუს ქვეშევრდომთა შორის საქმეები, ხოლო შერეული საქმეები განეხილათ ჩინეთის ხელისუფლებასთან ერთად.

ინგლისის საკონსულო სასამართლოები მუსლიმანურ ქვეყნებში ჰგავდა თვით ინგლისში არსებულ სასამართლო სისტემას. საკონსულო სასამართლოები იქმნებოდა 1864, 1865 და 1881 წლებში გამოცემული „Orders in Council“-ის საფუძველზე.

⁴ Ф.Мартенс, О консулах и консульской юрисдикции на востоке, СПб. 1873.

პირველ ინსტანციას ყველა სასამართლო საქმისათვის, რომელიც წარმოიშობოდა ინგლისელ ქვეშევრდომებს შორის მუსლიმანურ სახელმწიფოებში, წარმოადგენდა პროვინციის ან ოლქის საკონსულო სასამართლო, რომელიც შედგებოდა თავმჯდომარის და ორი ან ოთხი მსაჯულისაგან. თავმჯდომარედ ითვლებოდა თვით კონსული, ხოლო მსაჯულებად ინიშნებოდნენ ინგლისის ქვეშევრდომები, რომლებიც ამ ოლქში ცხოვრობდნენ. სისხლის სამართლის საქმეები განიხილებოდა ხუთი ნაფიცი მსაჯულის მონაწილეობით, რომელთაც ირჩევდნენ ყოველწლიურად ინგლისის ქვეშევრდომთაგან ოლქში შედგენილი სიითი შემადგენლობიდან.

უმაღლესი სააპელაციო ინსტანცია იყო უმაღლესი საკონსულო სასამართლო. ის შექმნილი იყო კონსტანტინეპოლში, მაგრამ შეეძლო, სხდომები გაემართა თურქეთის მთელ ტერიტორიაზე. უმაღლესი მოსამართლე და სხვა წევრები სპეციალურად ინიშნებოდა ინგლისის მთავრობის მიერ.

ჩინეთში ინგლისის უმაღლესი საკონსულო სასამართლო არსებობდა შანხაიში, რომელიც კონტროლს უწევდა ოლქებში არსებული საკონსულო სასამართლოს საქმიანობას.

საფრანგეთის საკონსულო სასამართლოების შექმნას საფუძვლად დაედო 1681 წლის საზღვაო ორდონანსი. საკონსულო სასამართლო იხილავდა სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებს ფრანგ ქვეშევრდომებს შორის, რომლებიც მოხვდებოდნენ მუსლიმანურ სახელმწიფოებში. მოსამართლეებს ირჩევდნენ იმ ფრანგი კომერსანტების შემადგენლობიდან, რომლებიც ცხოვრობდნენ საკონსულოს ოლქში. საზღვაო ორდონანსის დადგენილება განმტკიცებული იყო საკანონმდებლო აქტებით, რომელთაგან აღსანიშნავია 1778 წლის კანონი კონსულების სასამართლო ფუნქციების შესახებ, 1781 წლის კანონი საკონსულო სასამართლოების მოწყობის შესახებ და 1833 წლის დეკრეტი საფრანგეთის საკონსულოების გარდაქმნის შესახებ. აღნიშნული კანონმდებლობის შესაბამისად, თითოეულ ოლქში პირველი ინსტანციის სახით დაფუძნდა საკონსულო სასამართლო, რომელთა შემადგენლობაშიც შედიოდა კონსული და ორი მსაჯული, ეს უკანასკნელი კი კონსულის მიერ მოიწვეოდა

ოლქში მცხოვრები საფრანგეთის ქვეშევრდომების შემადგენლობიდან.

სააპელაციო ინსტანციას თურქეთის იმპერიისა და სპარსეთის ტერიტორიაზე არსებული საფრანგეთის საკონსულოს სასამართლოსათვის წარმოადგენდა პარიზში არსებული საკასაციო სასამართლო.

იგივე წესები იყო დადგენილი სხვა ქვეყნებში არსებული საფრანგეთის საკონსულოს სასამართლოებისათვის.

სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის წესი საკონსულო სასამართლო ოლქებში განისაზღვრებოდა სამართალდარღვევის ხასიათის მიხედვით. საპოლიციო განკარგულების დარღვევის საკითხს დამოუკიდებლად წყვეტდა კონსული. გადაცდომის დროს საქმე გადაეცემოდა კოლეგიალურ სასამართლოს, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა კონსული და მის მიერ მოწვეული ორი მსაჯული. დანაშაულის შემთხვევაში კონსული ასრულებდა სასამართლო გამომძიებლის ვალდებულებას. კოლეგიალური სასამართლო იყო ბრალმდებელი ორგანო, საქმე კი უშუალოდ წყდებოდა სააპელაციო სასამართლოზე.⁵

საკონსულო სასამართლოების შექმნის წესთან ერთად ჩვენთვის საინტერესოა, თუ როგორ მიმდინარეობდა სამართალწარმოება. კონსული ვალდებული იყო, მასზე დაქვემდებარებული საქმეები გადაეწვიტა მშობლიურ კანონმდებლობაზე დაყრდნობით. ეს მოთხოვნა სათანადოდ ასახული იყო იმ დოკუმენტებში, რომელიც ეხებოდა საკონსულო იურისდიქციას, რაც გამომდინარეობდა უცხოელების ექსტერიტორიულობის პრინციპიდან.

განსაკუთრებით საკამათო იყო იურისდიქციის საკითხები, კერძოდ, განსჯადობის დაქვემდებარების პრობლემა. საკონსულო სასამართლოს დაქვემდებარებული სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა განსჯადობა განისაზღვრებოდა შემდეგი წესის მიხედვით: ა) ერთი და იგივე ქრისტიანული სახელმწიფოს ქვეშევრდომების საქმე ტრაქტატებისა და ხელშეკრულებების შესაბამისად, საერთო წესით განიხილებოდა ეროვნული საკონსულო სასამარ-

⁵ Féraud-Giraund-De la juridiction française dans les Echelles du Levant et de Barbarie. Paris. 1866, t. 11.

თლოების მიერ; ბ) სხვადასხვა ქრისტიანული სახელმწიფოს ქვეშევრდომებს შორის საქმე უნდა გადაწყვეტილიყო შერეული სასამართლო წესით.

საერთაშორისო სამართლის ფრანგი სპეციალისტები წერდნენ, რომ შერეული საქმების განსჯადობის შესახებ შეთანხმება დიდი 1820 წელს კონსტანტინეპოლში, საფრანეთს, ინგლისის, ავსტრიის და რუსეთის წარმომადგენლების მიერ, რომლებსაც შემდეგ იურიდნენ სხვა სახელმწიფოები. აღნიშნული კოვენციის შესაბამისად, როგორც ამას ამტკიცებენ ფრანგი სპეციალისტები, დადგინდა, რომ სხვადასხვა სახელმწიფოს ქვეშევრდომთა შორის საქმების განსახილველად უნდა შექმნილიყო შერეული სასამართლო კომისია, რომლის შემადგელობაში უნდა შესულიყვნენ დაინტერესებული ქვეყნის საელჩოს წარმომადგენლები. სავარაუდოა, რომ საკითხები კენჭისყრის საფუძველზე წდებოდა. რაც შეხება ოლქებში გამართულ შერეულ საკონსულტო სასამართლოს მიერ ამტკიცებულ განაჩენებს, ხშირად აუქმებდნენ საპლაციო სასამართლოები, ამიტომ ფ. მარტესს მზან-შეწონილად მიაჩნდა, რომ ერთობლივი სასამართლოების საქმიანობის წესი ასახულიყო სახელმწიფოთა კანონმდებლობაში.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი იგლისის 1864 წლის გადაწყვეტილება „Orders n Council“, რომლის საშუალებითაც ყველა ქვეყნის პიროვნებას შეეძლო ინგლისის ქვეშევრდომის მიმართ საჩივარი ან სარჩელი შეეტანა, როგორც საკონსულტო სასამართლოში, ისე კონსტანტინეპოლის უზენაეს სასამართლოში.

ქრისტიანული სახელმწიფოების ქვეშევრდომებსა და ადგილობრივი სახელმწიფოების ქვეშევრდომებს შორის საქმე სხვადასხვა ელ-შეკრულების საფუძველზე განსხვავებულად განიხილებოდა. თურქეთსა და სპარსეთში აღნიშნული შემთხვევის განსახილველად კომპეტენტურად ითვლებოდა ადგილობრივი სასამართლოები. ეგვიპტეში კი XIX საუკუნის დასასრულამდე ასეთ საკითხებს იხილავდნენ საკონსულტო სასამართლოები, ხოლო ჩინეთში კანონიერად კონსულტის მონაწილეობით ადგილობრივი ხელისუფლების მიერ.

აქ აღნიშნული შემთხვევებიდან კარგად ჩანს, რომ ევროპის სახელმწიფოების მიერ არაქ-

რისტიანულ სახელმწიფოებში შექმნილი საკონსულტო სასამართლოები არღვევდნენ ტერიტორიულ პრინციპს. საკონსულტო იურისდიქციის ნაკლოვანებებმა გამოიწვია მცდელობა, რათა რეფორმები ჩატარებინათ ამ სფეროში. საკონსულტო სასამართლოს რეფორმები ჩატარდა ეგვიპტეში, რომელიც დასაწყისში შედეგიანი აღმოჩნდა.

1867 წლიდან ეგვიპტის მთავრობა გამოდიოდა ინიციატივით, რათა ძირითადი რეფორმები გაეტარებინათ საკონსულტო სასამართლოებში, რასაც ამტკიცებდა პრაქტიკული მაგალითებით, რომ ასეთი სასამართლოები მიუკერძოებელი მართლმსაჯულების ნაცვლად წერგავდნენ უსამართლობას.

ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრის მოხსენებაში საკონსულტო სასამართლო რეფორმების შესახებ, საუბარი იყო იმაზე, რომ ეგვიპტის მთავრობას თავიდან რომ აეცვილებინა ევროპის სახელმწიფოებთან ურთიერთობის გამწვავება, ოთხი წლის მანძილზე იძულებული იყო, რომ უცხოელებისათვის, საკონსულტო სასამართლოების გადაწყვეტილებების საფუძველზე, გადაეხადა 72 მილიონი ფრანკი. საკონსულტო სასამართლოების გადაწყვეტილებებით ირღვეოდა ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები. ევროპის სახელმწიფოს ქვეშევრდომთა მიერ ჩადენილი დანაშაულები ეგვიპტეში თითქმის დაუსჯეელი რჩებოდა.

ბოროტების აღმოსაფხვრელად ეგვიპტის მთავრობამ ევროპის სახელმწიფოთა მთავრობებს შესთავაზა წინადადება, რათა ეგვიპტეში დაეხურათ საკონსულტო სასამართლოები და მათ ნაცვლად შეექმნათ შერეული კომისიები, რომელშიც შევიდოდნენ ადგილობრივი და ევროპელი ქვეშევრდომები. აღნიშნული ორგანო არ უნდა დაქვემდებარებოდა არც კონსულს და არც ტერიტორიულ ხელისუფლებას.

ეგვიპტის მთავრობის წინადადება მიიღეს და 1869 წელს ქაიროში რეფორმების ჩასატარებლად შეიქმნა საერთაშორისო კომისია, რომელმაც მუშაობა 1870 წელს დაასრულა. 1873 წელს კონსტანტინეპოლში შეიკრიბა ახალი კომისია, რომელმაც გააფართოვა პროექტში მოცემული ახალი სასამართლოების კომპეტენცია, რომლის მიხედვითაც მის განსჯადობას დაუქვემდებარა თვით სასამართლოს და მისი გადაწყვეტილების აღმსრულებელი პირების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები. აღნიშნული პროექტის საფუძ-

ველზე, ეგვიპტეში შეიქმნა შერეული სასამართლოები. პირველი ინსტიტუციის სასამართლოები შეიქმნა ქაიროში, ალექსანდრიასა და მანსურში. ალექსანდრიაში იმყოფებოდა სააპელაციო სასამართლო, რომელიც 13 წევრისაგან შედგებოდა, აქედან 9) ევროპელი იყო, 4 კი — ადგილობრივი ქვეშევრდომი. სასამართლოს განხილვას ექვემდებარებოდა როგორც სამოქალაქო სამართლის, ასევე სისხლის სამართლის საქმეები.

წარმოდგენილი რეფორმა საცდელად ხუთი წლით უნდა გატარებულიყო. იგი მოქმედებდა 1876 წლიდან 1883 წლამდე, მაგრამ ვადის ამოწურვის შემდეგ გაგრძელდა კიდევ ორი წლით, რადგან პრაქტიკულად გაამართლა.⁶

სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე რუსეთის დამხმარე ჯარებში მოსამსახურე პირები ან რუსეთის ტერიტორიაზე უცხოეთის დამხმარე ჯარებში მოსამსახურე პირები, დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, ექვემდებარებოდნენ გადაცემას და გასამართლებას თავიანთი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად. ზოგიერთ შემთხვევაში, სახელმწიფოთათმორის არსებული ხელშეკრულების შესაბამისად, ზემოთ აღნიშნული პირების მიერ ჩადენილი ქმედებები ექვემდებარებოდა შერეული კომისიების განხილვას.

საკონსულო სასამართლოების როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო იმ დამნაშავეთა

დაკავშირება და გადაცემის საქმეშიც, რომლებმაც ქმედის ჩადენის შემდეგ დატოვეს სამშობლო და თვი შაფარეს სხვა სახელმწიფოს. ასეთ შემთხვევაში საკონსულო სასამართლოს არ შეეძლო დაკავებინა ასეთი პირი და საკუთარი ძალით ურუნველყო მისი გადაცემა, მაგრამ ამ პრობლემას აგვარებდა ადგილობრივი ხელისუფლებს დახმარებით. რაც შეეხებოდა მცირე მნიშვნელობის სისხლის სამართლის საქმეებს, რომლისთვისაც დაწესებული არ იყო პატიმრობა, საკონსულო სასამართლოები თვითონ არჩევდნენ და გნანის აღსასრულებლად ზოგიერთ შემთხვევაში, ასევე ადგილობრივ ხელისუფლებას მიმართდნენ, რაც ხელს უწყობდა იმას, რომ დამნაშავე დაუსჯელი არ დარჩენილიყო, სახელმწიფოს კი არ გაეწიათ ზედმეტი ხარჯები დამნაშავეთა გადასაცემად.

მიუხედავად იმისა, რომ ირღვეოდა ტერიტორიული და სუვერენულობის პრინციპი, მოცულ აკითხვებს, აქ დახასიათებული პერიოდის პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა განსვებელი რელიგიის მქონე სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის მოსაწესრიგებლად. დროთა განმვლობაში საკონსულო სასამართლოები შეკულ შერეულმა კომისიებმა. მოგვიანებით კი, ზემოთ აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტა სახელმწიფოთათმორის სუვერენულ საწყისებზე მოღვაწეების საგანი გახდა.

ვეზხია (მერაბი) გვარამია,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოხუმის ფილიალის ისტორია-იურიდიული
ფაკულტეტის დეკანის მოადგილე.

⁶ M'.Coan. La jurrisdiction consulaire en Turquie et em Egypt. Pris 1873. A.Lachaund, Etudes sur l'organisation judiciaire. Paris 1865. R. Goutin. Les capitulations. Lyon 1873. A. Gar. Della giurisdizione consolare in Levante e della riforma giudiziaria inn l'Editto. Firenze 1875.

სამცხის სამთავროს სახელმწიფო წყობილება XIII-XVI სს.

სამცხის მთავრის ათაბაგის ცენტრალური მმართველობის აპარატი

ათაბაგის ადმინისტრაციის მეთაური – სახლთუხუცესი

ერთიანი საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლების დაშლის შედეგად მოიშალა სახელმწიფო მმართველობის უწყებრივი სტრუქტურა. მართალია, სახელმწიფოს დაშლის შედეგად წარმოშობილი სამეფო-სამთავროები რაღაც შემკვიდრენი ერთიანი ქართული მონარქიის, მაგრამ მათი მმართველობის სიატემა განსხვავდება ერთიანი ცენტრალური ხელისუფლების უწყებრივი სტრუქტურისგან. თუ გაერთიანებულ საქართველოს მმართველობის სათავეში ვაზრთა ვგუფი („სავაზირო“) დგას, რომელთაგან თითოეულს მმართველობის ცალკე დარგი აქვს ჩინობილი, დაშლილ სამეფო-სამთავროებში სარფი ადმინისტრაციის სათავეში ერთი პირი დგას, რომელიც წყაროებში უფრო ხშირად სასლიუუცესად, ზოგან კი ვაზირად იწოდება.

„ხელმწიფის კარის გარიგებაში“ სახლთუხუცესი არ გვხვდება, როგორც პროფესორი ივ. სურგულაძე ვარაუდობს, „ის ფუნქციონირებდა XVII-XVIII სს-ების სახლთუხუცესს აქვს, „ხელმწიფის კარის გარიგების ჩიხედით“, სხვადასხვა მოხელეებს (ვაზირებს) ზრისარის განაწილებული“¹. მაგრამ ჩვენ მოგვეპოვება XIV ს-ის წყარო, რომელიც ამ ინსტიტუტს იხსენიებს: 1352 წლის ლიხაურის ხატის წარწერაში ვითხ-

ულობით: „...მოსავი შენ[ი] ძე დიდისა [სახლთ]უხუცესისა ბექისა ათაბაგი და სამცხისპასაალარი შალვა“² როგორც ირკვევა, ბექ ათაბაგს ჰყოლია მეურნეობის შემოსავალ-გასავლიის ზედამხედველი სახლთუხუცესი. სხვა ცნობაა შუა საუკუნეების სამცხის სახლთუხუცესის შესახებ აღარ მოგვეპოვება.

„დასატურლამალის“ საფუძველზე გავაანალიზოთ, თუ ვინ იყო სახლთუხუცესი და რა კომპეტენციების მქონეა ათაბაგის ცენტრალურ აპარატში (ბუნებრივია, მას იგივე ფუნქციები ექნებოდა სამცხეში, რაც ქართლში).

პირველ ყოვლისა, მისი განსაგებელი იყო ყოველგვარი გადასახდელი. იჯარა და ბაჟიც მას ექვემდებარებოდა. „დასატურლამალის“ მიხედვით ყველა სახის გადასახადისა და ბაჟისაგან სახლთუხუცესს წილი ეკუთვნოდა.

გადასახადების გაწერისა თუ აკრების, სამეფო (საათაბაგოს) შემოსავლის და გასავლის ყოველგვარი ანგარიში, სახლთუხუცესს უნდა ჩაბარებოდა.³

მსახურთუხუცესი

XIII ს-ის მიწურულიდან საფარა ჯაყელთა რეზიდენცია და საგვარეულო სიძველეა. ლასურისძეები ჯაყელთა ქვეშევრდომნი იყვნენ. ერთი მათგანი მსახურთუხუცესი იყო. ბექას, ათაბაგს

¹ ივ. სურგულაძე. სახელმწიფოსა და სასარლის ისტორიისათვის. გვ. 173-181.

² ქრონიკები. II. გვ. 183.

³ იქვე.

აევე როგორც მეფეებს, თავისი მსახურთუხუცესი (ე.ი. საკუთარი ქონებისა და მეურნეობის სართელი) ჰყავდა. „მეუფეო, ქრისტე ღმერთო... აღიდე ერთავე სუფევითა შინა პატრონი კენი მანდატურთუხუცესი ბექა და ძენი მისანი, ომელმან... მიუბოძა საფლავი ლასურისაძესა ასურს და ძმათა მისთა საუკუნოდ“, – იკფითხა საფარის ტაძრის კედელზე.⁴

თისლის და ხახულის ხელნაწერთა მინაწერებში კითხულობთ: „თვეს [ა დეაკენ]ბ[ერსა]...ურთუხუკ] ესი სულკურთხეული პატრონი... გილორგი აიდვა ალაპი გოგრულის მამულისათვის...“⁵ ეს უაპი დადებულია პატრონი გიორგისათვის, ომელიც მისთვის გოგრულის მამულისათვის აუწესებიათ. კალიგრაფიულად მინაწერი XIV ს. ვიანი არ უნდა იყოს. ამაზე მიუთითებს ისაკსძის სააღაპე შეწირულობის მდებარეობა, ომელიც პატრონი გიორგის შემდგომ ჩანს სვინაქსარში და XV ს-ით თარიღდება. ალაპში პატრონი გიორგი [...] ურთუხუცესად იწოდება, აც ცხადად მიუთითებს მის მოხელეობაზე. ემორჩინილ ფრაგმენტში „ურთუხუცესად“ შეილება იგულისხმებოდა [მანდატ] ურთუხუცესი [მსახ] ურთუხუცესი. ამ ორი სახელიდან XIII-IV სს. მანდატურთუხუცესის სახელოს ფელობა ჯაყელთა საგვარეულო-ბექა I (XIII ს. 80-ან, წწ.), სარგის II (1308-1334).⁶ ცდუნება ისლის სვინაქსარის პატრონი გიორგის ჯაყელთა საგვარეულოსთან დაკავშირებით დიდია, მით მეტეს, რომ ვარაუდის საფუძველი არსებობს. ხანაწერში გიორგი პატრონად იწოდება, თისლის სვინაქსარის მინაწერებში კი, პატრონად, ვეულებრივ, იწოდებიან ჯაყელები.⁷

ამდენად, მეცნიერთა გარკვეული ნაწილის ვლევის შედეგად, დადასტურდა მსახურთუხუცესის არსებობა სამცხეში: – დ. კლდიაშვილი

⁴ ე. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლები, თბ., 1953, გვ. 30.

⁵ „თისლისა და ხახულის ხელნაწერები“, ((ტექსტი გამზადდა, გამოკვლევა და საძიებელი დაურთო დ. ლდიაშვილმა; „მასალები XIII-XVI სს. სამხრეთ ქართველოს ისტორიისათვის“, თბ., 1982, გვ. 4-3.

⁶ დ. კლდიაშვილი. ჯაყელთა ფეოდალური საგვარეულოს ატორიიდან, XI-XIV სს. თბ., 1978, გვ. 57-78.

⁷ დ. კლდიაშვილი. ციხისგვარელთა ფეოდალური საგვარეულოს ისტორიისათვის, თბ., 1977, გვ. 79).

ამტკიცებს დასურისძეთა მსახურთუხუცესობას ჯაყელთა დქვემდებარებაში. თავის მხრივ, ამ აზრს დასტურებს ვ. ბერიძეც, რისთვისაც იმომებს საფარის ტაძრის კედელზე არსებულ წარწეას და ასკენის დასურისძეთა მსახურთუხუცესობს. მეც სავაებით ვიზიარებ მეცნიერთა ამ მოაზრებას.

სავააუდია, რომ ამ ინსტიტუტს სამცხეში იგივე ვუნქია უნდა ჰქონოდა, რაც ჰქონდა ქართლი, კხეთში და ა.შ.

ამილახორი

„კარს გაიგებაში“ წერია: „ამილახორი ვაზირი არს ამრსპასალარისა“, ხოლო „მეაბჯრეთუხუცესი და მეაბჯრენი და მესარტყლენი და საჯინოს ქემავალნი ყოველნივე ამილახორის ხელისნი აიიან“.

„ამილახორი“ დიდი ხელისუფალი იყო. ისე, რომ დრბაზის დროს „ორთა ვაზირთა სწორედ ნახოსქეფან“, ე.ი. მას ისეთივე უპირატესობა და პაივისგემა ჰქონია, რაც მეჭურჭლეთუხუცესსა და მსახურთუხუცესს. მეორე ის, რომ ქვეში მოხლეთაგან მარტო ამილახორს ჰქონდა უფლება ვაზირთა ბჭობას დასწრებოდა. იგი ვაზირის წევრი იყო. თუმცა მისი უფლება, შედარებით ჰელუდული ყოფილა. მას მხოლოდ სათათირო უფლება ჰქონდა და არა გადამწყვეტი. აირახარს, ამირსპასალარით, ვითარცა სამხედრო უწყების წარმომადგენელს, „ხმალი“ ეკუთვოდა.

ამილახორის სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობს ფქტს იძლევა ქართლის ცხოვრებაც. როდესც ფარყვარე ათაბაგმა დაიცვა თავისი მესხი ვაჭანი და უკან დაბრუნებულს გზაზე მოუხდ ციფიშვილებთან შებრძოლება, ათაბაგმა გაიმარჯვა მაშინ მესხი ამილახორი მოწყენით იჯდა თაბათან...“-ო,⁸ წერს მემატიანე „1587წ. აქა მაცურელი გაგზაფეს კონსტანტინოპოლეს და მეაპატონი კაცნი მძევლად მისცნეს: შალიკაწილი ედიშერ, შალიკაშვილი ელია და ამილახორი შვილი ქოიარ და მძევალნი დაუჭრეს პატრონი მანუჩარ ველარა მიენდო“.¹⁰

⁸ ივ.ჯავახიშვილი, ტ. VI გვ. 291.

⁹ „ქათლი ცხოვრება“, ტ. II, გვ. 348.

¹⁰ „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი III, გვ. 530.

აქ ამილახორის შვილი უკვე სამცხის ფეოდალად გვევლინება.¹¹

ამილახორი ქოიარ კი მოიხსენიება ათაბაგთა ქრონიკაში: „ამილახორს (სამცხიას) ქლიარე (ქოიარ) ყოფილს ქერმანს (გერმანს) შ-1 ღ-ნ (ქოიარ, დედა მისი, თამარ და ძმაი მისაი)“.¹²

სამცხის ამილახორთა შორის ქველახუ უადრესი კოპასძეთა სახლში შედგეილი მოსახსენებელია. აქ ცოცხალთა შორი მოხსენებელია ქაიხოსრო I-ის ვაჟი ყვარყვარე ათაბაგი (გარდაიცვალა 1535წ.). მას ქროლოლოგურად მოსდევს ამილახორთა სახლში შედგეილი მოსახსენებელი, რომელიც XVI ს. 20-40წწ. თარიღდება¹³. „...მრავალმცა არიან დღეი და ღმნი... სოილ კოპასძისა, ტაოს ამილახორისა“...¹⁴

ამილახორთა სახლის კრებულთა გვიანდელი მოსახსენებელი მოიხსენიებს: „ამილახორისა ელბდურისა საუკუნომცა არს სა სნებელ მისი და თანამეცხედრისა მისისა [ინეს] ხურციძისა ასულისა ნესტან-ჯნისა, საუკუნომცა არს სა სენებელი“...¹⁵

მოლარეთუხუცესი

სალარო „ხელმწიფის კარის გარეგნის ნხედვით“ დიდმნიშვნელოვანი დაწესებულება იყო.

რა არის თვით სალარო?!

ივ. ჯავახიშვილის აზრით, სალაროში ნახებოდა ისეთი განძეულობა, რაც „ახმარბლად სანიადაგოდ“ არ იყო საჭირო და შკრულ იდო. „საჭურჭლეში“ კი, პირიქით, „სახნრებლად სანიადაგოდ“ საჭირო განძეულობა იყო შენასული.

მაშ რა იყო „სალაროში“, მოლარეთუხუცესის მოსაკითხი და „სა ელო“?! ეს გახლდათ დიდი სასიგელე სახელმწიფო ბეგედი. იუმცა მოლარეთუხუცესი ისეთი დიდმნიშვნელოვანი დაწესებულების გამგედ ითვლებოდა, როგორც

¹¹ სამცხის ფეოდალებს ამილახორის შვლს ქოიარს და არფაქსად ამატაკიშვილს 1578 წლიდან დაუქვრიათ კავშირი თურქეთთან. - ქრ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 53.

¹² ქრონიკები, II, გვ. 263.

¹³ ქრ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 15.

¹⁴ იქვე, გვ. 15. ასევე ქართულ ხელნაწერა ადწერლობა, A კოლ. ტ. IV. თბ., 1971, გვ. 381.

¹⁵ ქრ. შარაშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 20.

არის სალარო, მაგრამ მაინც მას უფლება არა ჰქონდა ვაზრობას დასწრებოდა.. ამ მხრივ, იგი ამილახორზე დაბლა იდგა...¹⁶

რაც შეეხება სამხრეთ საქართველოს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს დეცენტრალიზაციის პერიოდში ყოველი ფეოდალი ცდილობდა ჰქონოდა მმართველობის ისეთივე აპარატი, როგორც მეფეს. ეს ეხებოდა როგორც ცენტრალურ მმართველობას, ისე ადგილობრივს სამცხის ათაბაგს, როგორც ყველაზე ძლიერ ფეოდალს, რომელიც ჯერ კიდევ გაერთიანებული საქართველოს პერიოდში თავისი მმართველობის თვისებებით მეფეს უტყოდებოდა, შეიძლება თუ არა ჰყოლოდა მოლარეთუხუცესი?

1523-1524 წლებს, გელათურის სოხოსტას ღვთისმშობლის ხატის მარჯვენით ვკითხულობთ: „მოლარეთუხუცესსა მ ეცოს ძესა სარგის შ-ნ ღ-ნ ა-ნ“.

ქრონიკებში 1519 წლის გენათის სამწყსოს შესაწირ სიგელში თკითხება: „ეციძისგან ვიყიდე მისი საჩკ დრო მამულთა მესხეთს გლეხნი კუამლი სამნი და პარატაჰნი ერთნი მართებს“.¹⁷

სინას მთის მონასტროს სულთა მატთანეში ალაპების ძირთადი ანუ პირველი პლასტი საინტერესოა თავისი შემადგენლობით. ამ ნაწილში მოხსენიებული არიან: ვრიგოლ დრანდელი, ცოტნე ქველივ...ს ძე. პროხორო, ჯვარის მამა, მ ეციძე ძე ბეშენ-მოლარეთუხუცესი, ალაპების ნაწილი მოიცავს სულ 74 ალაპს.

პირველი ალაპი იწყება ტიშენდორფისეული ნუსხით, მეორე ნაწილი არის მაწყვერელისა და ჯვრის მამის განწესებულთა ალაპი, პიშენ მაწყვერელის მიღვაწეობის ხანა იერუსალიმში გარკვეულია, ეს არის XV საუკუნის დამდეგი. 1400 წელს ჩმოსულა. პიშენი მაწყვერელი იერუსალიმში და ჯვრის მონასტრისთვის ცვილი და ზეთი შეუწირავს. ამავე პერიოდში აღდგომელა მახარობელს (ასე ეწოდება ქრისტეს საფლავის ქართველ მოძახურე ბერს) მოლარეთუხუცესს ხელასთვის საქართველოში წიგნი (წერილი) გაუგზავნია: „აღდგომელმან მახარობელმან წიგნი გაგზავნე საქართველოს ზეთით ის ხელასა წინაშე და მას გაამოეგზავნა ასი ფლური“.

¹⁶ ივ. ჯავახიშვილი, ნაწ. III, (ნაკ. 1, გვ. 184.
¹⁷ ქრონიკები II, გვ. 453.

ქრისტეს საფულავისათვის და ჭუარელთა დაიჭიროს და მონასტრისგან მ'შ მამამან პიმენ, მოძრუარმან იოანე, კანდელაკმან ნიკოლოზ და სრულიად კრებულთა... ყოველთავე დაგუიჩინეთ ასეთი თორმეტი ლოტრიათ ყოველთა წელიწადსა...¹⁸ ეს მინაწერი, საინტერესოა იმითაც, რომ დასახელებული არიან პიმენ მაწყვერელის თანამოღვაწენი და თანამედროვენი, ასევე მინაწერის შინაარსიდან ირკვევა, აღდგომელა მახრობელს პიმენ (მაწყვერელი) დავალებით გამოუგზავნია წერილი საქართველოში. მართალია, ადრესატი გარკვევით არ არის მითითებული, მაგრამ სად შეიძლება გადაგზავნა მაწყვერელს წიგნი? ვფიქრობ, სამცხეში, რომლის წარმომადგენელიც თავად იყო.

ქრონიკები წერს: ათაბაგთა შესახებ აქა შემოგვაქვს რამდენიმე წარწერა (ყვარყვარე ათაბაგის მესტუმრის, ერისთავების შემდეგ მოდის), „სულსა დადიანთაი მოლარეთ და მესტუმრეთ უხუცესსა და ბაგრატიუნთა მტესა ქუცენა ივანეს შ-ს, ლ-ნ... ბარძინცა აღდგომელე და მშვიდობით აღზარდე და მისა მეუღლისა ბატონს თუხარსა შ-ს, ლ-ნ. იქვე „პატრონისა და სახელგანთქმულთა დადიანთა ბატონსა (1;0) ყუარყუარის (+1149'8) მესტუმრესა და ამირთამირასა ნოშირევანს...“¹⁹ როგორც ვხედავთ, ათაბაგთა ქრონიკაში (სადაც ჩამოვილილია სამცხის ათაბაგისადმი დაქვემდებარებული, როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური აპარატის მოხელენი; ერისთავი, მესტუმრე, ამირთამირა, მესტუმრეთუხუცესი, მათ შორის მოლარეთუხუცესი) არის დადიანი. ყოველ შემთხვევაში მოლარეთუხუცესი დადიანი თუ ნამდვილად სამცხის მოლარეთუხუცესი არ იყო, იგი ათაბაგთან დაახლოებული პირი იქნებოდა, სხვა შემთხვევაში იგი ვერ აღმოჩნდებოდა ათაბაგთა მოხელეების მოსახსენებელ ნუსხაში, ცხადია, ეს ინსტიტუტი უცხო არ იყო ათაბაგისთვის.²⁰

დიონის იანამდებობა საქართველოში X-XV სს. არ არსებობდა და ამ მოხელეს მაშინ მწიგნობარი ეწოდებოდა.²¹ მდივანს სახლთუხუცესის სახელსთან ზერი რამ ჰქონდა საერთო. საფინანსო საქმებს სახლთუხუცესი და მდივანი განაგებდნენ.

დიონები მმართველობის თითქმის ყველა დარგს ემსახურებიდნენ. მდივობა, როგორც სა ელო მეცვდრეობით გადადიოდა. იგი დიდად შემოსალოანი და საპატიო სახელოც ყოფილა.²²

559 წლის გოგობაშვილების სიგელში ვკითხულობთ „ჩუენ; გოგობას: შვილმან: იოსაფათ:... გუბიძა, ..მწიგნობრისაგან დაიწერების...“²³

ქედან რომ ამკარად ჩანს მწიგნობრის, ანუ მდივნის ფუნქცია სამცხე-საათაბაგოში. ამ აზრს, თავის მხრვ, ამტკიცებს ასევე ალაპი-ყვარყვარე II-ის დედისთვის დაღებული და შეწირულობის წიცი „მე თაბაგ-ამირსპასალარის ივანეს შვილმა ყურყუარე შემოგწირე და მოგახსენე ქორდავას გლეხი სახარაძე მისითა მამულითა... დაიწერა ქვსა ზელითა ოსნასძისა იოვანესითა“.²⁴ საფიქრებელია, რომ ვინმე ოსნასძე იოვანე პირადად სათაბაგოს სამეფოს კარის მწერალი იყო, რადგან საქმე ათაბაგის შეწირულობის სიგელგზარებს ეხება.

როგორც ვხედავთ, ზოგან მწიგნობრის თანამდებობაა უშუალოდ დასახელებული, ზოგან კი იგი გვართა და სახელით მოიხსენიება. საბუთებიდან ირკვევა, რომ მწიგნობრებს შორისაც ყოფილ კანსხავება უფროს-უმცროსობის თვალ-

დადიანმა მოიყვანა ჩერქეზი ქალი, გურიელს რომ ესვა და ამო გორე; დადიანი, მამა დადიანი და გურიელი-ჩერქეზის მერე და იას ყავდა, შექმნენ ქვისლად, დამოყვრდნენ და რა სენა ესე დათულიამ. ბიძამან, დადიანისმან, შეიყარა საჯავახოლი და წარმოვდა სალალატოდ... ველარ ულალატა და წარვიდა თვისად საჯავახოდ დათულია...“ („ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, გვ. 352).

კახუშტი წერს: „სამცხის, გუზანის და არტანუჯის ერისთავი იმერეთს ბედიელი, დადიანი და სხუა“, („ქართლის ცხოვრება“, ტ. II, გვ. 575). თუ დადიანი შეიძლება იმერეთს ყოფილიყო, რატომ არ შეიძლება იგი სამცხეში იყოს? როგორც ვხედავთ, მოლარეთუხუცესობის ინსტიტუტი არსებობს ყველა ჩამოთვლილ რეგიონში, სამცხეში ის უცხო არ უნდა იყოს.

²¹ ივ. სურგულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 229.
²² იქვე, გვ. 229-239.
²³ ქრონიკები II, გვ. 244.
²⁴ „თისლისა და ხახულის ხელნაწერის მინაწერი“, გვ. 45.

¹⁸ ე. მეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVIII სს.) რედ. ი. აბულაძე. თბ., 1962, გვ. 16.

¹⁹ ქრონიკები, III, გვ. 263.

²⁰ შენიშვნა: საერთოდ, სამცხე სათაბაგოს ტერიტორიაზე, ჯავახეთში, როცა იმ უკვე ათაბაგთა მფლობელობაშია, ჩანან დადიანები. ზერი ეგნატაშვილი წერს (გვ. 352): „გიორგი

საზრისით. 1424 წელს ხახულის შეწირულობის სიგელში ვკითხულობთ „ხახულია და ვარძის ღვთის მშობელი...დაიწერა ხელთასევე მწიგნობრის დემეტრე მარკოზაშვილისათა“²⁵ აქ ნახსენები სეფე მწიგნობარი ეს ხომ უფროსმწიგნობარს ნიშნავს. მაშინ გამოდის, რომ არსობდა უფროსი მწიგნობარი, რომელსაც უნდა დაქვემდებარებოდნენ სხვა, რანგით დაბალი უმცროსი მწიგნობრები, მღვივები.

მღვივან-მწიგნობრული დამწერლობა ყველაზე მეტად გამოირჩეოდა დანიშნულების მიხედვით, ეს დამწერლობა მხოლოდ საბუთებისთვის იმარებოდა მღვივან-მწიგნობრის მიერ, რადგან მღვივან-მწიგნობრებს ხშირად კარნახით და სწორედ უხდებოდათ წერა.

ამრიგად, მწერლობას, წერა-კითხვის კონს და განათლებას ძველ საქართველოში „მწიგნობრობა“ ეწოდებოდა. „ელი მწიგნობრისა“ მწიგნობრობასთან დაკავშირებულ ყოველგვარ ხელობას შეიცავდა.

მესტუმრეთუხუცესი

„ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით იაკუვა, რომ მესტუმრეს ჰქონდა მინდობილი „მელუნეთა ჯეროვანი მისაგებლნი“ და „მოციქულია შემთხუევანი“, ე.ი. მოციქულების, სტუმრების, მეძღვნეთა დახვედრისა და მიღების თადაიგ. ამასთან, სიგელის წყალობა და მიცემაც ვისთვის უმისოდ ვერ მოხდებოდა და მასაც ეკუთვნოდა „ქრთამი სიგელისა“. ბუნებრივია, „მესტუმეი“ დარბაზობაში მონაწილეობა უნდა მიღწევაში ვაზირობას კი იგი ვერ დაესწრებოდა.²⁶

როდესაც ათაბაგს ჰყავდა საკუთარი ელი - ფარსადან ახალციხელი, როცა უცხოეთის სარმომადგენელი (მაგ., ლუდოვიკო ბოლონიელი) ხშირად სტუმრობდნენ სამცხეში, დაუშვებელია ათაბაგის ცენტრალურ აპარატს არ ჰყოლოდა ისეთი პასუხისმგებელი მოხელე, როგორც მესტუმრე იყო. ამასთან დაკავშირებით, ათაბაგთა ქრონიკაში ვკითხულობთ: „კაკასის ძესა ზაქარია შ-ნ ღ-ნ... აქა ერისთავნი ეწერებოდეს მათ

იქით... სულაა მესტუმრეთუხუცესისა რომნისისა კურთხულ იყვნენ უკუნიშამდე ამინ!“²⁷

ამ ცნობას თავისთავად ამყარებს კიდევ არა ერთი და ორი საბუთი. ათაბაგთა შესახებ დავასახელებთ რამდენიმე წყაროებს: „სულსა დადიანთა მოლარეთ და მესტუმრეთუხუცესისა და ბაგრატიუნთა მტესა ქუცენა ივანეს შ-ს ღ-ნ...“²⁸ ეს ორივე წყარო XV ს-ეს განეკუთვნება. პირველ მათგანში მოხსენიებულია მხოლოდ მესტუმრეთუხუცესი რომნია, მისი სულთა მოსახსენიებელი. მეორე საბუთი კი მოწმობს დადიანის მოლარეთ და მესტუმრეთუხუცესობას. გვიან ფეოდალურ საქართველოში ჩვეულებრივი მოვლენა იყო ერთი მოხელისთვის ორი სსახელის შეთავსება, რასაც წყაროებიც ხშირად აღსატყუარებს.

ათაბაგთა სულის მოსახსენიებელში დადიანთა მოხსენიება ან მძიმე მოხელეობის, ან საათაბაგოს სასახლის კვართან რამით დაახლოებით უნდა აიხსნებოდეს. სხვაფეროვ იგი ვერ მოხვდებოდა ათაბაგთა სახელის წევრებს შორის მოსახსენებელში.

„ხელმწიფის კარის გარიგებაში“, როგორც აღვნიშნეთ, ნახსენებია მხოლოდ „მესტუმრე“, უშუალოდ „მესტუმრეთუხუცესის“ ინსტიტუტი კი ამ წყაროში არ ჩანს, თუმცა სავარაუდოა, რომ თუ არსებობდნენ მესტუმრენი, ისინი იქნებოდნენ „მესტუმრეთუხუცესის“ ხელქვეითნი, მის დაქვემდებარებაში. სსამაგიეროდ, ამგვარი ინსტიტუტი არსებობდა სსამცხე-სსათაბაგოში, როგორც ეს წყაროებიდან მტკიცდება. მაგრამ აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ მოხელეს შესახებ ცნობა სხვა წყაროებში, მაგ., „დასტურლამალში“ არ მოიპოვება, რადგან XVII ს-ის შემდგომ ეს ტერმინი და ამ მოხელის ფუნქციათა დახასიათება სხვაგან აღარ ჩანს.

მესტუმრე

იმდენად, რამდენადაც არსებობდა მესტუმრეთუხუცესის სახელი საამცხეში, არსებობდა მისი ხელქვეითი მოხელის მესტუმრის ინსტიტუტიც. ამის შესახებ წყაროებში ვკითხულობთ:

„პატრონისა და საახელგანთქმულისა დიდისა პატრონისა () ყუარყუარუს (1498) მესტუმრე-

²⁵ „თისლისა და ხახულის ხელნაწერის მინაწერი“, გვ. 45.
²⁶ ივ. ჯავახიშვილი, ტ. VI, გვ. 301.

²⁷ ქრ. შარაშიძე, დასახ. ნაშრომ., ათაბაგთა ქრონიკა, გვ. 60.
²⁸ ქრონიკები, II, გვ. 332:1.

სა და ამირთ-ამირის ნოშრევანის ყოფილსა ნოფი-
ტის შ-ს ღ-ნ და მისა მეუღლესა გულქან ყო-
ფილსა გაიანეს შ-ს ღ-ნ ა-ნ“.

იმავე პერიოდისა წყაროში გრძელდება:

„პატრონსა ელქენეს შ-ს ღ-ნ. სპირიდონს...
მამისა მათსა (ამილახვარი) შ-ს ღ-ნ... დედასა
მათსა დედის-იძედსა შ-ს ღ-ნ მესტუმრესა აბე-
სალომს შ-ს ღ-ნ ერისთავსა ღუნთასა შ-ს ღ-ნ“.
(ყველა ერთის ხედლით)²⁹. ამავე მესტუმრე აბე-
სალომის შესახებ ათაბაგთა ქრონიკა კი ასე
გვაუწყებს: „სულსა ათაბაგთა-ათაბაკისა ყუარ-
ყუარესი... მესტუმრესა აბესალომს შ-ს ღ-ნ...
ერისთავსა ღუნთასა შ-ს ღ-ნ ა-ნ“.³⁰

ამ ორი წყაროს ერთმანეთთან შედარებით
გაურკვეველია, ყვარყვარე ათაბაგის მესტუმრე
აბესალომი იყო, თუ ნოშრევანი. მაგრამ შესა-
ძლებელია მათი მძონაცვლეობა ყვარყვარეს ათა-
ბაგობის პერიოდში. ისიც ცხადი ხდება, რომ
ყვარყვარეს მესტუმრისათვის, შესაძლო ყოფილა
ორი მოხელის ფუნქციონირება — კერ-
ძოდ, მესტუმრისა და ამირთ-ანრასი, მაგრამ
რამდენადაც ამირთ-ამირა პატარა თანამდებობა
არ ყოფილა ფეოდალურ საქართველოში, ამიტ-
ომ ეს სახელი რთული სათქმელია, უბრალო
მესტუმრეს ჰქონოდა. აქ შეიძლება ურთიერთ-
მონაცვლე ტერმინები იყულისხმება. მით უმეტეს,
რომ მესტუმრეთუხუცესის ინსტიტუტის სამცხ-
ეში არსებობა უდავოდ დასტურდება.

ამდენად, ყველა ეს წყარო ატყობებს მეს-
ტუმრის ინსტიტუტის არსებობას. მაგრამ, რად-
გან ამ წყაროებში განსაზღვრული არ არის მეს-
ტუმრეთა კომპეტენციები, სავარაუდოა, რომ იგი
იგივე იქნებოდა კახეთშიც, თმერთშიც და სამ-
ცხეშიც, რაც „ხელმწიფის კარის გარიგების“
მიხედვით ჩანს ერთიან საქართველოში.

მეღვინეთუხუცესი

როგორც მეცნოერული კვლევის შედეგადაა ცნო-
ბილი და დადგენილი, მეღვინეთუხუცესი, მართა-
ლია, არ ეკუთვნოდა სასახლის მოხელეთა უმაღლეს
ფენას, მაგრამ საპაატო ხელის მფლობელი იყო.

მოგვეპოვება 1401-1404 წწ. გუჯარი, რომელ-
შიც საუბარია მიწის ყიდვა-გაყიდვაზე დათუა

შლცაშვილსა და ვინმე ამილახორს შორის.
ამის თანამოწამედ კი გუჯარი ასახელებს:
„ქა პატრონისა ბრძანებისა ჯ-ის (ჯუარის)
მტ...რთველი თ-ე მოწამე ვარ“. ამავე ფრესკე-
ბთ ამოწმებენ: „... მეცა მეღვინეთ-ხუცესი მიქა
მოწამე ვარ“... „მეცა მოურავი ქერობინ... მეცა
მოწამე ვარ... მოურავი“...³¹ აქ ნახსენები „პა-
ტრონი“, ვისითა „ბრძანებისითაც“ მოწამები
არია... მეღვინეთუხუცესი, ეს გასაგებს ხდის
მიედ რიგ გარემოებებს. კერძოდ, როგორც უკვე
აღვნიშნეთ, ათაბაგის პიროვნება როგორც მე-
ფისა უკვე კანონზე მაღლა დგას და მხოლოდ
მას ეკუთვნის ტიტული „პატრონი“. ამასთან,
შლცაშვილები სამცხის უძლიერესი ფეოდალები,
ამ პრიოდში ჯერ ისევ სამცხეში სახლობენ
(ქრალში მათი გადასვლა XV ს. II ნახ. შეინ-
იწნა).

ამდენად, მეღვინეთუხუცესი, მსგავსად მოურავი-
სა, ათაბაგის ქვეშეთ მოხელედ ითვლებოდა და
მის ბრძანებებსაც ასრულებდა.

გალატოზთუხუცესი

სხადასხვა დოკუმენტურ თუ ნარატიულ
წყაროებში ხშირად ვხვდებით ტერმინებს „აღ-
ვაშენ“, „ავაგე“, და ა. შ. მაგ., როგორც დაახ-
ლოებით XIV ს-ის ლიკანის ღვთისმშობლის ხა-
ტის წარწერიდან ირკვევა: „ქნ. იპრიანა ლი-
კანის ღვთისმშობელმა და აღვაშენე სარეკლო
ეს...ე ქიშვარდ ავალიშვილმა...“³² ამ და სხვა
წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ სამცხეში,
ისევე როგორც ნებისმიერ რეგიონში, ხშირი იყო
აღმშენებლობითი მუშაობა. მაგ., ჩითახევის მონ-
ასტეი, რომელსაც „მწვანე მონასტერსაც“ უწოდებ-
ენ, ოწმობს „ორბისტეს ნიკოლოზ გალატოზ-
თუხუცესს შეუნდვნენ ღმერთმან“.

ეს სიგელი XIV ს-ით თარიღდება. გასაგები
ხდება, რომ XIII ს-დან მოყოლებული XVI ს-მდე
არსებობდა აღმშენებლობითი საქმიანობა, რომელ-
საც გალატოზთუხუცესი ხელმძღვანელობდა. უნდა
აღინშნოს, რომ ოშკისა და, საზოგადოდ ტაო-
კლარჯეთის მონასტერსა სიგელ-გუჯრებს ჩვე-

³¹ ქრონიკები. II, გვ. 215.
³² ბერიძე. სამცხის ხუროთმოძღვრება, თბ., 1983, გვ.
217, ლიკანი (ამ მამულებს უკვე სამცხის ფეოდალები —
ავლძვილები ფლობენ).

²⁹ ქრონიკები III, გვ. 318.
³⁰ „ათაბაგთა ქრონიკა“, გვ. 260,

ნამდევ არ მოუღწევია. მხოლოდ ერთმა მოაღწია (XVII ს-ის), რომელშიც ოქის ჭასარი მონასტრად არის მოხსენიებული. ქვზე ასოჭრილი წარწერა კი მხოლოდ სამი:

1. ...ესე იყო გალატოზთა და მოქმედთა ძიხდი და აზავერდა მექუიშე. 2. თა რ-ღ ქელწადსა ნაეგების ღრამა :კ: ათასი ღუინო ფ-აი :ჭ: რ-ინაი ლიტრ-ი : ხუარბალი გრივი:ს:მ:ი: კალატონითა ხურო და მჭედელი რ-ღ მარადის შურებო. 3. :ლ: ჯორი და სხუა აზავერი რ ღ გრიგო.³³

როგორც ამ წარწერებიდან ვგებულობთ, არსებულა „გალატოზთა და მოქმედთა ძიხდი“, „აზავერთა მექუიში“ და „სხუაი აზავერი“, კალატოზთა ხუროი, მჭედელი“ და ა.შ. ამასთან სხეულებია გარკვეული ოდენობის პროდუქტი, რომელიც შესაძლოა საჭირო იყო მშენებლობისთვის. „ათასი ღუინოი ლიტრი ... ხუარბალი გრივი..

არსებობს კიდევ ერთი XIV ს-ის ზარზმის ეკლესიის წარწერა, რომელიც შინაარსიდანაც ვგებულობთ, რომ არსებობს ვინმე ხუროთმოძღვარი, რომელიც მიქელს მოუწვევია, როგორც ხელოვნებით განთქმულთა კაცვი საბერძნეთიდან, ადგილისაგან „ხუფათ“ წოდებულისაგან. ჩანს მამა მიქელის დაინტერესება ბერძენი ხუროთმოძღვრის მოწვევისა, სწორედ მისი ხელოვნებით განთქმული ნიჭი უნდაა ყოფილიყო. ხოლო მის თანაშემწედ დაუდგენიათ ქართველი-კალატოზი შუარტყელი. როგორც ირკვევა, იგი მოსწავლედ დაუნიშნეს მას. მაგრამ მის გადრდა „მოსწავლეთ სიმრავლესა მუშაკთასააო.“ ე. ი. სხვა მრავალი მოსწავლენიც ყოფილან. გალატოზ-უხუცესის ინსტიტუტი არც აფხაზეთის რეგიონისთვის ყოფილა უცხო. ბედია (ოჩამჩირის რ-ნი) „სვიმონ გალატოზ-უხუცესის“ აარსებობას ამტკიცებს.³⁴

მარიამ მესხიშვილი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფოსა და
სამართლის ისტორიის კათედრის დისერტანტი.



³³ ექ. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, რეჯდ.. ა.. შანიძე, თბ. 1960, გვ. 47.
³⁴ „ქართული ლაზიკური წარწერები კორუსი“, მთავარი სარედაქციო კოლ., შ. ციციგური, თბ., 1980, გვ. 37.

ღაშა შალუტაშვილი

პოლიტიკური კულტურა და
მმართველობის ვიიმა

პოლიტიკური კულტურა არის საზოგადოების პოლიტიკური ქცევების მოდელი, პოლიტიკურ ინსტიტუტებზე ორიენტაციების ერთობლიობა და მოიცავს მმართველობასთან და პოლიტიკასთან დაკავშირებულ სუბიექტურ კულტურის ელემენტებს. პოლიტიკური კულტურა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის აუცილებელი შემადგენელი ელემენტია. პოლიტიკური კულტურის განვითარების დონე, ფაქტობრივად, განსაზღვრავს საზოგადოების დემოკრატიზაციის ხარისხს და პოლიტიკური რეჟიმის ხასიათს. ამის ნათელი დადასტურებაა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების რეალური პოლიტიკური ცხოვრება, სადაც დემოკრატიულად არი მუშაობს დასავლეთიდან „გადმონერგილი“ კონსტიტუციები და ლიბერალურ-დემოკრატიული სამართლებრივი ნორმები. პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემების „ტრანსპლანტაცია“ შეუძლებელია თუ სათანადო დონეზე არ იქნა განვითარებული მოცემული ქვეყნის პოლიტიკური კულტურა. ამ ჭეშმარიტებას ჯერ კიდევ 60-იან წლებში მიაკვლიეს გალმონდმა და სკვერბამ.¹

ამავე დროს, პოლიტიკური სისტემა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს პოლიტიკური კულტურის განვითარებაზე. აქედან გამომდინარე, პოლიტიკური კულტურის ფენომენის შესწავლას

მმართველბს ფორმასთან მიმართებაში, თეორიულ მნიშვნელობასთან ერთად, პრაგმატული ღირებულება გააჩნია. უფრო მეტიც, ჩემი ზრთ, სქართველოში საპრეზიდენტო მმართველობის თვისებებების ანალიზი შეუძლებელია გარდაავლი პერიოდის პოლიტიკური კულტურის შესწავლის გარეშე.

პოლიტიკური კულტურა შემდეგ ფუნქციებს ასრულებს სამართლებრივ სახელმწიფოში: შემცნბიი (პოლიტიკური მსოფლმხედველობის, რწმენ-წრმოდგენების ფორმირება); ინტეგრაციული პოლიტიკური თამაშის წესების და ქიიიადი საბაზისო ლიბერალური ღირებულების ირგვლივ პოლიტიკურ ძალებს, საზიგდობას სხვადასხვა ფენებს შორის ეროვნულ იანხმობის, კონსენსუსის მიღწევა); კომუნიკაციური (პოლიტიკური გამოცდილების კონსენუსს ვერტიკალური და ჰორიზონტალური კავშირბ); ნორმატიული (სამართლებრივი კულტურას ნორმების, კანონმორჩილებითი ქცეება დაცვიდრება, რომელიც სამართლებრივი სახელწოყა და სამოქალაქო საზოგადოების ფუქციონრების გარანტიაა); პროგნოზისტური (საზოგდობას სხვადასხვა ფენაში პოლიტიკური პროცეება კაზრება-პროგნოზირების ფორმირება); აღმზრდელითი (იგი გულისხმობს დამოუკიდექლ პოლიტიკურად აქტიური პიროვნების აღირას რომელიც საზოგადოებრივი და ინდვიდუალური ინტერესების დაცვას უზრუნველყოფს პოლიტიკურ ხელისუფლებაზე

¹ Almond G. and Verba S. The Civil Culture, Political Attitudes and Democracy in Five Nations 11 Princeton N.S. 1963, 498.

ლეგიტიმური ზეწოლის მექანიზმების გამოყენებით).

პოლიტიკური კულტურის მრავალფეროვან კონცეფციებში მოცემულია მისი შემადგენელი ელემენტების კლასიფიკაცია, რომელშიც ცენტრალური ადგილი უჭირავს სამართლებრივ კულტურას.² ხშირად პოლიტიკურ და სამართლებრივ კულტურას ერთი მნიშვნელობით ხმარობენ, რადგანაც ისინი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და ერთმანეთის გარეშე არ მოიპზრება.

სამართლებრივი კულტურა საზოგადოების (ეთნიკური, რელიგიური ჯგუფების, სხვადასხვა ერთობების და ინდივიდების) ინტეგრალური დახასიათებაა. საზოგადოების სამართლებრივ კულტურას უნდა შეესაბამებოდეს, როგორც კანონმდებლობა (წინააღმდეგ შემთხვევაში ის არაეფექტიანია), ასევე, თანამდებობის პირთა და მოქალაქეთა ქცევა და საქმიანობა (წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ნეგატიურ შეფასებას იმსახურებს). თავის მხრივ, სამართლებრივი კულტურა განისაზღვრება სამართლებრივი სისტემით, სამართლებრივი ნორმებით, სამართლებრივ დაწესებულებათა საქმიანობით. საზოგადოების სამართლებრივი კულტურა გადამწყვეტ ზემოქმედებას ახდენს მმართველი პოლიტიკური ელიტის, მთელი საზოგადოების მიერ სამართლებრივ ნორმათა დაცვზე. ინდივიდების სამართლებრივი კულტურა ყალიბდება სამართლებრივი სოციალიზაციის შედეგად, სოციალურ-სამართლებრივი გამოცდილების საფუძველზე.

პოლიტიკური და სამართლებრივი კულტურის ურთიერთკავშირი ნათლად ჩანს მაშინ, როცა საქმე ეხება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალებს შორის წონასწორობის, კონსენსუსის და სტაბილურობის მიღწევის ამოცანებს. იმ შემთხვევაში, თუ პოლიტიკური ელიტის მიზანმიმართული ცდები — დაარწმუნოს საზოგადოება თავის ლეგიტიმურობაში, მარცხს განიცდის, მაშინ იგი ძალზე ხშირად, სულ უფრო აქტიურად და სისტემატურად მიმართავს ინსტიტუციონალიზებულ ფიზიკურ ძალადობას.

ძალაუფლება, საბოლოო ანგარიშით ეფუძნება იმ ფაქტს, რომ იგი ერთადერთი პოლიტიკური ძალაა, რომელსაც არსებული სამართლებრივი წესრიგის პირობებში აქვს ძალის გამოყენების კონსტიტუციური უფლება. ძალა საბოლოო არგუმენტია, რითაც სარგებლობენ პოლიტიკური ელიტები ხელისუფლების შესანარჩუნებლად. შესაბამისად, სამართლებრივი სისტემა იმგვარად არის ორგანიზებული, რომ პოლიტიკურ ელიტას გაუადვილოს ძალოვანი სტრუქტურების დროული და ეფექტიანი ამოქმედება. „პოლიტიკური ელიტის, სახელმწიფოს მეთაურის კოერციულ“ (ძალის) ფუნქციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გარდამავალი პერიოდის პოლიტიკურ სისტემაში, როდესაც დიდია შემთხვევითი ქაოსური, კონფლიქტური პროცესების ალბათობა.³

სამართლებრივი და პოლიტიკური კულტურა მთლიანობაში მოიპზრება დემოკრატიულ საზოგადოებაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საკონსტიტუციო სამართლის ნორმებს, რომლებიც ამავე დროს პოლიტიკური დატვირთვის მატარებელია და სხვა საკითხებთან ერთად არეგულირებს საარჩევნო კამპანიას და არჩევნების ჩატარებას. დემოკრატიული საარჩევნო სისტემა ხელს უწყობს პოლიტიკური თამაშის წესების ირგვლივ მმართველი პოლიტიკურ ელიტასა და კონტრელიტას შორის კონსენსუსის მიღწევას.

მმართველობის ფორმა წარმოუდგენელია პოლიტიკურ კულტურასთან მჭიდრო კავშირის გარეშე, თუ არ ვიცით პოლიტიკური კულტურის ტიპები, შეუძლებელია პოლიტიკური ინსტიტუტების საქმიანობის სპეციფიკის განსაზღვრა.

ამერიკელმა მეცნიერებმა გალმონდმა, სვერბამ, გ.პაუელმა დაასაბუთეს, რომ პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში დემოკრატიული პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემების დემოკრატიულობა და სტაბილურობა განპირობებულია სამოქალაქო

³ კრებული: „პოლიტოლოგიის საკითხები“, ნაწ. II, თბილისი, „ცოდნა“, 2000, გვ. 18-19;

ა.ტუკვაძე, პოლიტიკური ელიტა, თბილისი, 1998, გვ. 160.

² «Политология», Под редакцией Г.В.Полуниной, Москва, «Акалис», 1996, гв. 229-233.

პოლიტიკური კულტურის არსებობით.⁴ სამოქალაქო, დემოკრატიული პოლიტიკური კულტურა „არატრადიციული“ და „არათანამედროვე“, მაგრამ შეიცავს თავის თავში ორივე კულტურის ნიშნებს და წარმოადგენს პოლიტიკური კულტურის ისტორიულ ტიპს. პოლიტიკური კულტურა თავდაპირველად ინგლისში ჩამოყალიბდა, უფრო სრულყოფილი სახე (გარკვეული სპეციფიკით) მიიღო აშშ-ში. კულტურის ამ ტიპში გაერთიანებულია პატრიარქალური, მორჩილებითი, აქტივისტური პოლიტიკური კულტურის ელემენტები. ქვეშევრდომობა და პატრიარქალურობა გაწონასწორებულია ინდივიდის აქტიური მონაწილეობით, რაც უზრუნველყოფს პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემის სტაბილურობასა და სიმტკიცეს. „იდეალური მოქალაქე“ ერთდროულად უნდა მიისწრაფოდეს ზეგავლენა მოახდინოს ხელისუფლებაზე და ამავე დროს შეინარჩუნოს მის მიმართ ლოიალობა; იყოს პოტენციურად აქტიური, მაგრამ არ იაქტიუროს მუდმივად; იხელმძღვანელოს არა ემოციებით, არამედ გონებით; ლეგიტიმური გზით ზეწოლა მოახდინოს ხელისუფლებაზე, მაგრამ ამან არ უნდა გამოიწვიოს სახელმწიფო მანქანის „გადახურება“, სისტემის დესტაბილიზაცია და ხელი არ უნდა შეუშალოს მთავრობას მიიღოს საჭირო და აუცილებელი, მაგრამ არაპოპულარული გადაწყვეტილებები. კრიზისის დროს განსაკუთრებით იზრდება ოპოზიციის აქტიურობა, მაგრამ როცა მმართველი პოლიტიკური ელიტა დებულობს აუცილებელ ზომებს, სიტუაცია უბრუნდება ნორმებს და პოლიტიკისადმი ინტერესი ეცემა. ეს ციკლი შეიმჩნევა პრაქტიკულად ყველა დემოკრატიულ საზოგადოებაში.⁵

პოლიტიკურ კულტურასა და მმართველობის ფორმას შორის ურთიერთკავშირზე გამახვილებულია ყურადღება გ.ხუბუას სტატიაში

⁴ Алмонд Г., Верба С., Гражданская культура и стабильная демократия. Политическое исследование, 1992, №4, გვ.17; Баталов Е.Я., Политическая культура современного американского общества, Москва, 1990, გვ. 14-15.

⁵ Verba S. Comparative Political Culture Princeton, 1969, გვ. 47.

„სპარეზიდენტო და საპარლამენტო მმართველობა მართვის ფედერალურ სისტემებში“.⁶ ავტორი განიხილავს ამერიკელი პოლიტოლოგის დელანარის შეხედულებას ამერიკის პოლიტიკურ კულტურასთან დაკავშირებით. კერძოდ, დ. ელანარი აშშ პოლიტიკურ კულტურაში ხედავს სამი ძირითადი სუბკულტურის სინთეზს: ესაა „ინდივიდუალისტური პოლიტიკური კულტურა“, რომელშიც პოლიტიკა ბიზნესთან და საბაზრო კონცეფციის მოტივებთანაა გაიგივებული; „მორალისტური პოლიტიკური კულტურა“, რომელშიც სახელმწიფო დომინირებს და კოლექტივიზმის პრინციპებია განსახიერებული; „ტრადიციონალისტური პოლიტიკური კულტურა“ მასში გაერთიანებულია ელიტარული და პატერნალისტური კულტურები. ელანარის აზრით, ეს კულტურები შერეული სახით ფუნქციონირებენ ამერიკის სინამდვილეში.⁷

ტრადიციული პოლიტიკური კულტურა გავრცელებულია სამხრეთის შტატებში, ინდივიდუალისტური პოლიტიკური კულტურა კი ცენტრალურ შტატებში, მორალური პოლიტიკური კულტურა გვხვდება ჩრდილოეთ შტატებში. ერთი და იგივე შტატში შეიძლება არსებობდეს განსხვავებული პოლიტიკური კულტურა. მაგალითად, პოლიტიკური კულტურის მიხედვით ერთმანეთისაგან განსხვავდება ჩრდილოეთი და სამხრეთი კალიფორნია, ქალაქი ნიუ-იორკი და ამავე დასახელების შტატი.⁸

ჩემი მხრივ გ.ხუბუას მართებულ მსჯელობას დაუმატებ მიუხედავად იმისა, რომ შტატების პოლიტიკურ მმართველობაზე ზეგავლენას ახდენს პოლიტიკური კულტურის თავისებურებები, მთლიანობაში დ. ელანარის მიხედვით წარმოდგენილ ტიპოლოგიაში მისი ცალკეული ელემენტები არ იმყოფება მკვეთრ წინააღმდეგობაში და აქედან გამომდინარე

⁶ ნარკვევების კრებული: „პრეზიდენტის ინსტიტუტი საქართველოში“, თბილისი, 2000, გვ.53.

Elazar D. Steps in the Study of American Political Culture 11 Political Culture. Public policy and the American States, 1975, გვ. 250; ვ.ხოჭოლავა, პოლიტიკური კულტურის აქტუალური საკითხები, თბილისი, „მეცნიერება“, 1999, გვ. 14-15.

⁸ ნარკვევების კრებული: „პრეზიდენტის ინსტიტუტი საქართველოში“, თბილისი, 2000, გვ.65.

აშშ პოლიტიკური კულტურა ხასიათდება კონსენსუსის მაღალი ხარისხით, რაც თავის მხრივ გამოხატულებას პოულობს პოლიტიკური სისტემის დემოკრატიულად ფუნქციონირებაში. ამის მაგალითად, აშშ ბოლო საპრეზიდენტო არჩევნები გამოდგება: ხალხმა ქვეყნის დემოკრატიული ღირებულებები, საარჩევნო სისტემის ტრადიციულობა მაღლა დააყენა და სამოქალაქო დაპირისპირების საგნად არ აქცია თითქმის შუაზე გაყოფილი ამერიკული ელექტორატის პოლიტიკური პოზიციები. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმ უცილობელ ჭეშმარიტებაზე, რომ აშშ-ში ფუნქციონირებადი პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემა სახელმწიფოს და საზოგადოების ბუნებრივ-ისტორიული განვითარების შედეგია.⁹

მმართველობის სისტემასა და პოლიტიკურ კულტურას შორის კავშირი განსაკუთრებით თვალსაჩინოა ლათინური ამერიკის ფედერაციულ სახელმწიფოებში. ლათინური ამერიკის თითქმის ყველა ქვეყანა განიცდის საპრეზიდენტო რესპუბლიკის ამერიკული მოდელის გავლენას, მაგრამ ამერიკისაგან განსხვავებით, ამ ქვეყნებში ვერ ჩამოყალიბდა ხელისუფლებათა ბალანსირების და კონტროლის მექანიზმი, რის გამოც, ფაქტობრივად, დამკვიდრდა პრეზიდენტის გაუკონტროლებელი ზე-ხელისუფლება. პარლამენტი და სასამართლო, კაბინეტი და მინისტრები სულ უფრო ფართოდ ექვემდებარება პრეზიდენტს.¹⁰

ასევე, საქართველოში ფუნქციონირებულ პოლიტიკურ-სამართლებრივ სისტემაზე განმსაზღვრელ გავლენას ახდენს საქართველოს პოლიტიკური კულტურა, რომლის შემადგენელი ელემენტების ანალიზი უფრო ნათლად წარმოაჩენს მმართველობის თავისებურებებს გარდამავალ პერიოდში.

ქართული პოლიტიკური კულტურის ხასიათს განაპირობებს ობიექტური და სუბიექტური ხასიათის მიზეზები, რომლებიც მემკვიდრეობით გვერგო ტოტალიტარული რეჟიმისაგან

(მორჩილებითი კულტურა, მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მმართველობა და სხვა), ხოლო დიდი ნაწილი წარმოშვა გარდამავალი პერიოდის სპეციფიკამ. ასევე, მნიშვნელოვან როლს თამაშობს პოლიტიკური კულტურის ფორმირებაში ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრებისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების ისტორიული თავისებურებანი:

1. ქართულ პოლიტიკურ კულტურაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქარიზმატული ლიდერისადმი რწმენის ტრადიციის ხელახალი ანარქიული აღზვევა. მეფის ერთგულება ქართველებს ისტორიულად ახასიათებს და ამის მიზეზი ქვეყნისათვის თავდადებულ ხელისუფალთა უმაგალითო გმრობებია. მართალია, რუსეთის მსგავსად, კარგი მეფის ძიებას სახალხო აჯანყებები არ გამოუწვევია, მაგრამ ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში და კულტურაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა ბაგრატიონთა დინასტიის მესიანურმა წარმოსახვამ და მეფისათვის სიკვდილი დიდ ღირსებად ითვლებოდა; საქართველოს ისტორია მეფეთა ისტორიადაა წარმოდგენილი „ქართლის ცხოვრებაში“.

საბჭოთა პერიოდში სტალინის დიდმა პიროვნულმა თვისებებმა და გენიამ განვითარების მაღალ საფეხურზე აიყვანა ბელადისადმი ფანატიკური რწმენის პატრიარქალური კულტურა, რომლის ანარეკლიც სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა და კულტურა იყო.

გარდამავალ პერიოდში ქარიზმატული ლიდერისადმი მოთხოვნილებამ რეალური ხორცშესხმა ზ.გამსახურდიას პიროვნებაში პოვა, რომელიც სათავეში ედგა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის რადიკალურ ფრთას და ხალხი მის სახელს უკავშირებდა დამოუკიდებლობისა და თავისუფლების რომანტიკულ იდეებს.

ქარიზმატული ლიდერისადმი უსაზღვრო რწმენამ და ქვეშევრდომობის პოლიტიკურმა კულტურამ, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სამოქალაქო საზოგადოების არარსებობაა, პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების უმრავლესობაში უპირატესობა მიანიჭა საპრეზიდენტო

⁹ ხაზი ჩემია. - ლ.შ.

¹⁰ ფლანინერ-გენსტერის სიტყვები ციტირებულია ნარკვევების კრებიდან - „პრეზიდენტის ინსტიტუტი საქართველოში“, თბილისი, 2000, გვ. 67.

მმართველობას, და საბოლოო ჯამში, პრეზიდენტის უფლებებმა ყოფილი ცკ პირველი მდივნების შეუზღუდავ ძალაუფლებაში პოვა „ძველებური გარდასახვა“. საქართველოში, აზერბაიჯანში, ბელარუსში, შუა აზიის რესპუბლიკებში აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლს დაექვემდებარა საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლება და სახელმწიფოს მეთაურის ხელში ძალაუფლების „გადაქაჩვა“ გამოიწვია ავტორიტარული პოლიტიკური რეჟიმის არაკლასიკური ფორმის ჩამოყალიბება, რომელიც საპრეზიდენტო მმართველობის თავისებურებაა გარდამავალი პერიოდის ქვეყნებში.

2. ქართული პოლიტიკური კულტურის ორგანულ ნაწილს შეადგენს დისიდენტური სუბკულტურა. ეროვნულ მოძრაობაში დიდი როლი შეასრულა, როგორც რადიკალურმა-დისიდენტურმა ფრთამ, ასევე, მისმა შედარებით ზომიერმა მიმდინარეობამ¹ რომელიც ეროვნული ინტელიგენციის მოწინავე ნაწილთან ასოცირდება. მთლიანობაში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა წინააღმდეგობისა და დაპირისპირების ტენდენციას აღვივებდა ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში: ერთის მხრივ, ზრდიდა აქტივისტური, მონაწილეობითი კულტურის ელემენტებს; მეორე მხრივ, დისიდენტურმა სუბკულტურამ ტრანსფორმაცია-რუტინიზაციის გარეშე გადმოინაცვლა პოსტსაბჭოთა საქართველოში და კვლავ წამყვან როლს თამაშობს ეროვნული მოძრაობიდან მოსული ლიდერებისა და მათი პარტიების და მთლიანად ოპოზიცია-პოზიციის პოლიტიკურ კულტურაში. ეს ტენდენცია, განსაკუთრებით გამოიკვეთა საპრეზიდენტო არჩევნების დროს, როცა „პოლიტიკიდან უკანდახეულ“ მოსახლეობას არჩევნების ბოიკოტირებისაკენ მოუწოდებდნენ და კიდევ უფრო ამცირებდნენ საარჩევნო აქტივობის კოეფიციენტს. სახელმწიფოსთან დისიდენტური დამოკიდებულების ისტორიულმა ტრადიციამ, რომელიც სხვის სახელმწიფოში ორასწლიანმა ცხოვრებამ განაპირობა, მნიშვნელოვნად შეაფერხა

ქართველი ხალხის პოლიტიკურ ერად განვითარების ისტორიული პროცესი, რომელსაც დიდი ტრადიციები გააჩნდა, რაც კარგად ჩანს ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური ოპოზიციის ქმედებასა და პროგრამაში, როცა, ერთის მხრივ, დამა, სისხლისღვრის და დაპირისპირების ნაცვლად, პოლიტიკური კომპრომისის და სახელმწიფოებრივი აზროვნების მაღალი კულტურა აჩვენა და მეორე მხრივ, ისანში კარავის დაღმის მოთხოვნა ხელისუფლების დანაწილების პრინციპების აღიარებას, კონსტიტუციური მონარქიისა და საპარლამენტო აზროვნების ნიშნებს შეიცავდა. ამიტომ, სწორი იქნება ვილაპარაკოთ, რომ ეროვნული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბება ხელახლა ააღორძინებს და განვითარების თანამედროვე ეტაპზე აიყვანს ქართველი ერის სახელმწიფოებრივი აზროვნების კულტურას.

3. ქართულ პოლიტიკურ კულტურაში ძალადობისკენ მიდრეკილება გააძლიერა სახელმწიფო გადატრიალებამ და სამოქალაქო ომმა. დღესაც, ექსტრემისტული იდეოლოგია, იარაღით ხელისუფლების შესაძლო დამხობის რწმენის სინდრომი ასაზრდოებს არადემოკრატიულ ოპოზიციას და გარეშე ძალების დახმარებით დროდადრო ნოყიერ ნიადაგს უქმნის პოლიტიკურ დაპირისპირებას, რომლის სავალალო შედეგები უკვე გამოვცადეთ: ეს ხელისუფლებას უბიძგებს მნიშვნელოვნად გაზარდოს ძალოვანი სტრუქტურების როლი და ადგილი ქვეყნის სტაბილურობის შენარჩუნების საქმეში. ყოველივე ეს ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესზე და მნიშვნელოვან თავისებურებებს განაპირობებს საპრეზიდენტო მმართველობის ინსტიტუტის ფუნქციონირებაში.

4. ლიბერალიზმის იდეოლოგიამ, რომელიც დაკავშირებულია სამოქალაქო საზოგადოების პოლიტიკური კულტურის საბაზისო ღირებულებებთან, ტრანსფორმაცია განიცადა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში: პოსტსაბჭოთა ლიბერალიზმი გამოიყენება, როგორც პოლიტიკური იდეოლოგია მორალური და პოლიტიკური ქაოსისათვის, რომლის დროსაც ისინი იოლად ახერხებენ ეკონომიკური და პოლიტიკური მისწრაფებების რეალიზაციას. ქართულ პოლიტიკურ კულტურაში მკვიდრდება

¹ კ. კუპრეიშვილი, ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის გნოსეოლოგიური ასპექტები, თბილისი, „ცოდნა“, 1999, გვ. 72

დასავლური კულტურის ეპიგონთა პოლიტიკური ორიენტაციები, სამართლებრივი და პოლიტიკური სისტემის ამერიკული მოდელის „გადმონერგვის“ დროს ალბათ მეტი ყურადღება უნდა დაგვეთმო და გაგვეთვალისწინებინა ჩვენი ქვეყნის ისტორიული, ეროვნული და სახელმწიფოებრივი მმართველობის გამოცდილება. ბოლო დროს უფრო ხშირად საუბრობენ პრემიერ-მინისტრის პოსტის აუცილებლობაზე. ახლა რეალურად დაისვა საკითხი პრემიერ-მინისტრის თანამდებობის შემოღების შესახებ, რაც ნახევრად საპრეზიდენტო მმართველობას გამოიწვევს საქართველოში.

5. პოლიტიკის კორუმპირებულობის მაღალი დონე უაღრესად ნეგატიურ გავლენას ახდენს პოლიტიკურ კულტურაზე. ხელისუფლებასთან „ახლოს დგომის პოლიტიკის მოტივაცია“ დაკავშირებულია პრივილეგიებთან და სიმდიდრესთან. პოლიტიკური მოღვაწეობა და თანამდებობრივ იერარქიაში ყოფნა პრივატიზაციის, კრედიტების და სახელმწიფოს სხვა ფინანსური წყაროებით მანიპულაციის, პირადი გამორჩენის, პროტექციონიზმის და კორუფციის პოლიტიკური კულტურის სტერეოტიპებთან იდენტიფიცირდება.

6. ქართული პოლიტიკური კულტურა შეადგენს რეგიონალური და კუთხური სუბკულტურების სინთეზს. რეგიონალიზმი, პარტიკულარიზმი სწორი სახელმწიფო პოლიტიკის შემთხვევაში შესაძლოა სასურველ კალაპოტში ჩადგეს და ადგილობრივ თვითმმართველობის დემოკრატიულმა განვითარებამ ქვეყნის მობილურ მართვას შეუწყოს ხელი. მაგრამ, დღეს, ტერიტორიული მთლიანობის არარსებობის პირობებში რეგიონისა და ცენტრის მკვეთრი დაპირისპირების ფონზე, ქართული პოლიტიკური კულტურის სიჭრელესა და წინააღმდეგობრივ ხასიათს მნიშვნელოვნად განაპირობებს საერთო ეროვნულ ღირებულებებთან (ქართულ სახელმწიფოსთან) არაიდენტიფიცირებული სეპარატისტული ეთნოპოლიტიკური კულტურების არაერთგვაროვნება და სიჭრელე და მასთან ერთად სუბკულტურების მრავალეროვნული ხასიათი.

რეგიონების, ავტონომიური ადმინისტრაციული ერთეულების და ადგილობრივი მმართველობის

ორგანოების ურთიერთმიმართება საქართველოს სახელმწიფოებრივი ორგანოების ცენტრალურ სტრუქტურებთან, მნიშვნელოვან თავისებურებებს წარმოშობს საპრეზიდენტო ინსტიტუტის ფუნქციონირებისა და განვითარების პროცესში. დღეისათვის, რეგიონისა და ცენტრის ურთიერთობა შემდეგ ასპექტებში პოულობს გამოხატულებას:

ა) გამოიკვეთა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ეთნოპოლიტიკური კონტრელიტის სწრაფვა „სრული დამოუკიდებლობისაკენ“ და გარეშე ძალების მხარდაჭერით საფრთხის წინაშე დადგა ქართული სახელმწიფოებრიობისა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის საკითხი. საქართველოს სახელმწიფოს იურისდიქცია არ ვრცელდება ამ რეგიონში.

ბ) დღეს, აჭარის ავტორიტარული ტიპის პოლიტიკური ლიდერის გარშემო გაერთიანებული ოპოზიციის ნაწილი აქტიურად იბრძვის აჭარის კონსტიტუციური სტატუსის გაფართოებისათვის, რაც ჯერჯერობით „ეტევა“ რეგიონალური პოლიტიკური ელიტის ინტერესებში. ცენტრალურ მმართველობასა და აჭარის ადგილობრივ მმართველობით ორგანოებს შორის კონფრონტაცია ბევრ სიძნელეებს უქმნის ქვეყნის მობილურ მმართველობას და მნიშვნელოვან თავისებურებებს განაპირობებს საპრეზიდენტო ინსტიტუტის ფუნქციონირების პროცესში.

7. საქართველოს პოლიტიკური კულტურა მრავალი პარამეტრით ჰმსუხობს სამოქალაქო, დემოკრატიული კულტურის ღირებულებებს. პირველ რიგში, მხედველობაში მაქვს ის გარემოება, რომ მოსახლეობის საერთო კულტურის მაღალი დონე სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის აუცილებელი საბაზისო ელემენტია. დიდი საზოგადოების ფორმირება, მხოლოდ საყოველთაო წიგნიერებისა და განათლების სათანადო დონეზეა დამოკიდებული. მაღალი ინტელექტი ადამიანის ინდივიდუალური თვისებებისა და დამოუკიდებლად, პოლიტიკურად აქტიური პიროვნების ფორმირების გარანტია, ხოლო დაბალი ეროვნული კულტურის პირობებში ნებისმიერი პოლიტიკური სისტემა ავტორიტარიზმად გარდაიქმნება. ამ ტენდენციამ ფართო გასაქანი

შედარებით დაბალი კულტურის მატარებელ პოსტსაბჭოთა სოცრცის ქვეყნებში პოვა. ამის ნათელი დადასტურებაა ჩრდილოეთ კავკასიისა და შუა აზიის რესპუბლიკები.

ქართველი ხალხის საუღიერი პოტენციალი კულტურის სხვადასხვა სფეროში პოულობს გამოხატულებას და უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი მნიშვნელოვან შეგავლენას მოახდენს ხელისუფლების დემოკრატიულად ფუნქციონირების ტრანსფორმაციის პროცესში.

8. ქართულ პოლიტიკურ კულტურაში თანდათან მკვიდრდება მონაწილეობითი სამოქალაქო კულტურის ელემენტები. ამის ნათელი დადასტურებაა 1978 წლის 14 აპრილის და 1989 წლის 9 აპრილის პოლიტიკური მოვლენები, როცა სტუდენტი ახალგაზრდობის ინიციატივით ხალხში დამოუკიდებლობის და თავისუფლების ნება მკვეთრად გამოხატა და აქტიურად დაუპირისპირდა იმპერიულ ხელისუფლებასა და აზროვნებას. გაძლიერდა ეროვნული ცნობიერების მთლიანობისა და აქტიური პოლიტიკური ორიენტაციებისათვის დამახასიათებელი პოლიტიკური კულტურის ელემენტები. ქართული ელექტორატის აბსოლუტურმა უმრავლესობამ მონაწილეობა მიიღო მრავალპარტიულ დემოკრატიულ არჩევნებში და სამოქალაქო თანხმობის მაღალი ხარისხის პირობებში მოხდა ხალხის „პოლიტიკაში შესვლა“.

9. საქართველოს პოლიტიკურ კულტურაში ლიბერალურ-დემოკრატიული პოლიტიკური ორიენტაციებისა და ღირებულებების საკმაო ბაზა არსებობს. პირველ რიგში, მხედველობაში მაქვს ქართველი ხალხის ისტორიულად გამოცდილი ტოლერანტობის გძნობა სხვა ერების ისტორიისა და კულტურის მიმართ. ისტორიული რეალობაა, რომ საქართველოში ადგილი არ ჰქონია დაპირისპირებას ეროვნულ და რელიგიურ ნიადაგზე. ამის მაგალითად ქართველების მშვიდობიანი თანაცხოვრების ისტორია გამოდგება ჩვენს მიწაზე მცხოვრებ ერებთან, სომხებთან, აზერბაიჯანელებთან, რუსებთან, ქურთებთან და სხვა ეროვნების ხალხებთან. ქართული ეროვნული და კონფესიური ტოლერანტიზმის მატერიალური დასაბუთებაა თბილისში, ერთი კილომეტრის

რადიუსში განლაგებული მეჩეთი, სინაგოგა, სომხური, რუსული და ქართული ეკლესიები. ამ მიმართულებით კორექტივები ვერც სამაჩაბლოსა და აფხაზეთის მოვლენებმა შეიტანეს. თუმცა, არ შეიძლება არ დავეთანხმოთ იოანე ოქროპირს, რომ ყოველგვარი უკიდურესობა (ტოლერანტიზმის სფეროშიც-ლ.შ.) დამღუპველია და საბოლოო ჯამში დიდ ვნებას მიაყენებს ნებისმიერ ხალხს.

ლიბერალური პოლიტიკური კულტურის საბაზისო მონაცემები, ეროვნული ტოლერანტობა და რელიგიური აღმსარებლობა, ქართველი ერის ბუნებრივ ხასიათშია ჩადებული, ხანგრძლივ ისტორიულ გამოცდას გაუძლო და მომავალშიც დიდ საშსახურს გაუწევს საქართველოს ადმინისტრაციული ტერიტორიული მოწყობის და დემოკრატიზაციის პროცესს.

ამრიგად, პოლიტიკური კულტურის ტიპი განსაზღვრავს მმართველობის ფორმის თავისებურებებს; ასევე, კონკრეტული ქვეყნის პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პოლიტიკურ კულტურაზე. პოსტმოდერნისტულ სამოქალაქო საზოგადოებებს ახასიათებთ კონსენსუსის მაღალი დონე. განვითარებული დემოკრატიის ქვეყნების პოლიტიკურ სისტემას შეესაბამება სამოქალაქო, ლიბერალურ-დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის ტიპი, რომელიც განაპირობებს ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ფუნქციონირებას. ამავე დროს, „არადასავლური ცივილიზაციის“ გამოცდილება გვიჩვენებს (სამხრეთ ამერიკა, აზიის, აფრიკის, პოსტსაბჭოთა ქვეყნები), რომ საპრეზიდენტო მმართველობის ამერიკული მოდელის „გადმონერგვას“ შედეგად მოჰყვა ძალაუფლების პრეზიდენტის ხელში კონცენტრირება. ამის მიზეზი, ეროვნული და ისტორიული განვითარების თავისებურებებთან ერთად, ტოტალიტარული პოლიტიკური სისტემებისა და კულტურის მემკვიდრეობაა.

გარდამავალი პერიოდის საქართველოს პოლიტიკური კულტურის ანალიზი გვიჩვენებს, რომ იგი ფრაგმენტული ხასიათისაა და დაბალია კონსენსუსის დონე საზოგადოებაში დემოკრატიის საბაზისო ღირებულებების მიმართ; პოლიტიკური კულტურის ცალკეულ ელემენტებს შორის წინააღმდეგობრივ ხასიათს განაპირობებს

სხვადასხვანაირი პლტიკური ორიენტაციები, მიზანდასულობი, (რავალჯერადი (ამავე დროს სრულყოფილი) უბუღტურები; პოლიტიკური ელტა არ გაახია სოციალური დასაყრდი, რკ კიდევ წვევებს დაპირისპირეს „ლიბერალ“ და მასობრივ კულტურ მოის

თანამდროე ქათული ხოადობა არ არის სრუტურბული და არსებობს დიდი საალ ენ, რომელი ურუნველყოფს ლიბერალურ ღრებულების დამკვიდრებას. პოლიტიკური უღტურა ღომინირებადი ქვეშევრდამი დაალოებთ 60%0, უფრო ზუსტ მაცებს კონკრეტულ სოციოლოგიური კვლევა ჭიდეა) პილიტიკური კულტურის გვერდით ანარქიბებენ ატიარქალური და მონაღობი ორიენტაცბის ელემენტები. დაბალია პლტიკური აქტობა, მწირია

ხელისსუსუუუფუფლებზე ლეგიტიმური ზეწოლის მექანიზმები (იხილეთ, ი, ი), დროდადრო აღზევებას განიცდის ქარიზმმა (მაქსიმალური ლიდერის და ბელადიზმის პატრიიზმი) (არარქალური კულტურის ელემენტები, მიუხედავად აგავად ზემოთქმულისა, ქართველი ხალხის საერთოთოლო კულტურის მაღალი დონე (რაც სამოქმედო საზოგადოების ფორმირების აუცილებელი პირობაა), მონაწილეობითი პოლიტიკური კულტურის ურდის ტენდენციები, ისტორიულად გამოცვდილი ეროვნული და კონფესიური ტოლერანტიზმი, ევროპასთან შემოქმედებითი ინტეგრირაციისკენ სწრაფვა იძლევა ოპტიმიზმის საფუძვლებს, რომ უახლოეს პერიოდში რადიკალურად შეიცვლება ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესები და დემოკრატიზაციის გზით განვითარდება პოლიტიკური სისტემის, მმართველობის ფორმის რეფორმირების პროცესები.

ლასა შალუტაშვილი,

თსუ იურიდიული ფაკულტეტის ასპირანტი.



R R R R E S U M E

1. **Manana Khvedelidze** – lawyer, “The legal aspects of establishing of state border of Georgia by Menshevik government.

Author considers historical aspects of Georgian border establishing and analyzes its modern state. In the work are represented materials, which was it published before represents a great interest itself.

2. **Zaza Jokhadze** – lawyer, “The rights of human’s natural resources and life?”

In the work discussed such debatable question as category of rights, which appeared from the birth of human. Namely, the question is about right of life, private dignity rights of personal inviolability and inviolability of personal independence. Author explains and organizes them as fundamental human values.

3. **Paata Davitaia** – candidate of jurisprudence “Administrative institutions of local government of Germany”

Author considers structure of institutions of local government of Germany. Author separates from each other authorities of representative bodies, to which corresponds management scheme.

4. **Amiran Giguashvili** – lawyer, “Society in the political system”.

Mentioned article was published in the previous number of continuation of familiar name article.

(See resume in the previous number)). . .

5. **Lela Nadibaidze** - candidate of jurisprudence “Transition of ownership by one of lifelong maintenance”

In the work considered the idea of contract of lifelong maintenance and its subjective structure, which in the author’s opinion is rather difficult. Author aims far as by contract of lifelong maintenance is possible to transfer the property from one person to another it conditionally might be considered as some kind of purchase and sale contract.

6. **David Imnadze** – post-graduate of Tbilisi State University Civil law chair “Ascertainment of the facts of juridical meaning”

Author considers originality of ascertainment of the facts of juridical meaning on the base of the new Civil Code. Explains these prerequisites, which must be noticed in the statute and these evidences, which confirms stated facts. s. s. s.

7. **Jemal Janashia** – Deputy chief of Scientific Center of Georgia Ministry of Defense, candidate of jurisprudence, major-general, “Organizing of drug world control system”

Author researched and analyzed the secular way, which have passed countries of world concord on the way of fight for drug trade. In spite of this that washed polygonal work, the whole international consent has not happened yet in order to resolve these problems. Namely, for the overcoming of mentioned problem author tries to organize definite recommendations.

8. **Koba Kobakhidze** – Assistant of city Tbilisi Gldami-Nadzalaev regional Procurator “About questions of premeditation kinds in the time of extortion”

In the work considered the features of juridical extortion with qualification point of view. Particular attention is paid to its subjective side, which is debatable in the juridical literature.

9. **Kakhaber Kakauridze** – lawyer, “Criminal second offence”.

Author thinks that the correct explanation of second offence essence matter has great scientific-cognitive meaning and is one of the necessary conditions for fulfillment of single-minded fight with recurrent criminal.

10. **George Shindelishvili** – lawyer, “Preparation for interrogator of defendant and suspect”

In the work described precondition of interrogatory effectiveness, conducting of different spade-work, drawing up of corresponding plan, which provide investigator for receiving of objective testimony in connection with concrete case.

11. **Vakhtang Karumidze** – professor.

Mamuka Karumidze - Post-graduate of Theory law and Constitutional chair of Iv. Javakhishvili Tbilisi State University. “Place of Custom bodies in the system of state government”

In the work analyzed features of establishing and hardening of custom institutions in Georgia, those problems, which exist for development of infrastructure of custom. Authors organize business recommendations, which mainly based on the foreign practice.

12. **Nino Kuntseva-Gabashvili** – President of Georgian intellectual property association, “History of domainic names development and registration”

Author considers conditions of switching on international: “Namely, domainic names, its kinds. Mechanisms of control on the system of these names. Author hopes that in the near future, by participation of the Georgian intellectual property association will be worked national legislative base in connection with mentioned problems.

13. **Nino Tsnobiladze** – Candidate of jurisprudence. “Vaja-Phshaeli as a researcher of Georgian law”

In the work is considered one part of Vaja-Phshavela's legislative opinion. In this work is shown the strivings of Vaja for analysis of Georgian law. In the author's opinion Vaja have not only described existed procedures, but investigated them.

14. **Vepkhia Gvaramia** – Deputy dean of History Juridical faculty of Sukhum branch of Iv. Javakhishvili Tbilisi State University “Role of consular courts in punishment of criminals and the case of extradition in XIX century”.

In the work: considered the history of consular courts this was created at the beginning of middle centuries by Christian governments in non-Christian countries. Also are analyzed some questions of consular jurisdiction development.

15. Mariam Meskhishvili – Author of dissertation, History of state and law chair of Iv. Javakhishvili Tbilisi State University, “Political system of Samtskhe Samtaro in XIII-XVI centuries (Instrument of central government of Satskhe Herad – Atabagi, leader Atabagis’s administration – Sakhtukhutsesi)”.

In the work is considered Political system which originated in the result of collapse of Central government of United Georgia, which were differ from structure of United Central departmental government.

16. Lasha Shalutashvili – Post-graduate of Juridical faculty of Iv. Javakhishvili Tbilisi State University. “Political cultural form of government”

Author touches on a meaning and destination of political culture within political system of society. It is mentioned that the development level of political culture in fact determines the quality of democratization and character of political regime.



ქეთხკუთა საყუჩადლები:

სტატიებისაჟირთა თვალსაზრისი შესაძლებელია არ ემისუოდეს რედაქციისას. მასალები, რომელთა მოკულობა არ ენდა აღემატებოდეს ორი ინტერვალით ნახჟე 15 გვარდს, სასურველია წარმოადგინოთ კომპუტერის დაცხე ჩაწერილი სახით.

ჟურნალი რეგისტრირებულია თბილისიხსს
კრწანისი-მთააწმინდის რაიონულ სასამართლოში
რეგისტრაციის ნომერია - 06/4-1990

პასუხსუბელი მდიუნ - ირმა ბეჟაური
კორექტირსტილისტი - ნინო ბურძენიშვილო
მთარგმნელი - ნათი კინწურაშვილი

გდუცა წარმოებას 14.05.2000 წ.,
ხელმწილია დასაბეჟად 1 11.05.2001 წ.,
ფორმატი 6X4, ფიზიკური ნახეჟლი (ფურცელი 6,25,
ტირაჟი 40).
ჟახი ხელშეკრულებითა.